

სამოქალაქო პროცესი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2024, №5

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2024, №5

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2024, №5

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2024, №5

გადაწყვეტილებების შერჩევისა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ქეთევან ჟინგელია

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საძიებელი

1. უწყებრივი ქვემდებარეობა
არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენა 4
2. პროცესის ხარჯები
ადვოკატის ჰონორარი 14
3. საპროცესო თანამონაწილეობა
თანამონაწილეობის საფუძვლები 41
4. სარჩელის უზრუნველყოფა
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება 53
საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფა 63
სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული
ზარალის ანაზღაურება 93
5. დაუსრულებელი გადაწყვეტილება
მოპასუხის გამოუცხადებლობა 132
6. საქმის წარმოება სააპელაციო სასამართლოში
ახალი ფაქტები და მტკიცებულებები 170
7. საქმის წარმოების განახლება
ახლად აღმოჩენილი გარემოება 203

1. უწყებრივი ქვემდებარეობა

არაბანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენა

განჩინება

საქართველოს სახელმწიფო

№ას-316-2023

15 ნოემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. კაკაბაძე,
ლ. მიქაბერიძე

დავის საგანი: ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2004 წლის 25 ოქტომბერს, ერთი მხრივ, სს სასტუმრო „ა-ას“ გენერალური დირექტორის, თ. უ-ვას წარმომადგენელსა და, მეორე მხრივ, ო. კ-იას შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ო. კ-იამ და მისმა ოჯახმა დაკავებული №403 ოთახი (ლუქსი) გამოათავისუფლა ერთჯერადი თანხის 14000 აშშ დოლარის, თითოეულ ოთახზე 7 000 აშშ დოლარის, გაცემის სანაცვლოდ. ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ კომპენსაციით დაკმაყოფილებულად მიჩნეულ იქნენ სასტუმროს №403 (ლუქსი) ოთახში რეგისტრირებული პირები – ო. კ-ია, ე. კ-ია, გ. კ-ია, მ. კ-ია, თ. კ-ია, მ. კ-ძე, ე. ა-ძე, ი. ა-ძე.

2. საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 2 თებერვლის №62 განკარგულების საფუძველზე, 2009 წლის 23 აპრილს, ერთი მხრივ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდეგში „გამყიდველი“) და, მეორე მხრივ, ე. კ-იას (შემდგომში „მყიდველი“) შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც ე. კ-იას გადაეცა პირობადადებული საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე, მდებარე, წყნეთი, ..., მე-2 სართული, 43.8 კვ.მ საცხოვრებელი ფართი. აღნიშნული ხელშეკრულების 2.2. მუხლის თანახმად, ე. კ-ია ვალდებულია მ. კ-ია, ე. ა-ძე და ი. ა-ძე უზრუნველყოს საცხოვრებელი ფართით მისთვის გადაცემულ ქონებაში, ხოლო 2.4. პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების დადების მომენტიდან, მყიდველი და ხელშეკრულების 2.2. პუნქტში ჩამოთვლილი პირები, არ არიან უფლებამოსილი მოითხოვონ სახელმწიფოსგან ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისგან ან სხვა პირისგან რაიმე სახის კომპენსაცია, ან უძრავი ქონების საკუთრებაში ან სარგებლობაში გადაცემა მათი დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, გარდა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების განთავსების სააგენტოს“ მიერ დადგენილი წესებისა.

რიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უძრავი ქონებისა. ხელშეკრულების 2.6. პუნქტის თანახმად, გამყიდველი ვალდებულია, უზრუნველყოს გადაცემულ ქონებაზე მყიდველის საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და გადასცეს მყიდველს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რითაც დასტურდება მყიდველის საკუთრების უფლება გადაცემულ ქონებაზე.

3. 2009 წლის 23 აპრილს, სახელმწიფოსაგან საკუთრებაში გადაცემული საცხოვრებელი ფართი, მდებარე: ქ. თბილისი, დაბა წყნეთი, ... (საკად. კოდი: №...) საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ე. კ-იას სახელზე.

4. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 3 ივნისის №05-01/06/15155 გადაწყვეტილებით მ. კ-იას საჩივარი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილებაში მითითებულია შემდეგი: „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის 13.4. მუხლის თანახმად, თუ დევნილი ოჯახი უზრუნველყოფილია გრძელვადიანი საცხოვრებელით, სახელმწიფოს ეხსნება დევნილის ან მისი ოჯახის წევრთა პირდაპირი და დამავალი შტოს შთამომავლების საცხოვრებელი ფართობით დაკმაყოფილების ვალდებულება, მათი დევნილის სტატუსიდან გამომდინარე. მოცემულ შემთხვევაში, სამინისტროს მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საფუძველზე, 2004 წელს სასტუმრო „ა-დან“ გამოსახლების შემდგომ, ოჯახის წევრებთან ერთად, მ. კ-ია უზრუნველყოფილი იქნა საცხოვრებელი ფართის სანაცვლო ფულადი კომპენსაციით და 2009 წელს, განმეორებით დაკმაყოფილდა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით, ე. კ-იასათვის საკუთრებაში გადაცემული – დაბა წყნეთი, ..., ფართით 43.80 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის ფარგლებში.

5. სასარჩელო მოთხოვნა:

5.1. მ. კ-იამ, ე. ა-ქმ და ი. ა-ქმ (შემდგომში მოსარჩელები) ადმინისტრაციული წესით სარჩელი აღძრეს სასამართლოში მოპასუხეების, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს პრეზიდენტისა და სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს (შემდგომში სააგენტო, მოპასუხე, კასატორი ან საკასაციო საჩივრის ავტორი) (სამივე მათგანი ერთად ტექსტში მოხსენებული, როგორც მოპასუხეები) მიმართ და მოითხოვეს: ა) ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 3 ივნისის №05-01/06/15155 გადაწყვეტილება; ბ) მოსარჩელეთა ნაწილში ბათილად იქნეს

ცნობილი 2004 წლის 25 ოქტომბერს, ს/ს „სასტუმრო ა-ას“ გენერალურ დირექტორსა და მოქალაქე, ო. კ-იას შორის გაფორმებული ხელშეკრულება, საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 2 თებერვლის №62 განკარგულება და 2009 წლის 23 აპრილს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ფიზიკურ პირს – ე. კ-იას შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება; გ) სააგენტოს დაევალოს გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც ცვლილება შევა დევნილთა მონაცემთა ბაზაში და კომპენსაციის შესახებ განხორციელებულ ჩანაწერში მოსარჩელები მითითებული იქნებიან არაკომპენსირებულ დევნილ პირებად.

6. მოპასუხეთა შესაგებელი:

6.1. მოპასუხეებმა წარდგენილი შესაგებლებით სარჩელი არ ცნეს.

7. საქალაქო სასამართლოს განჩინება საქმეში მესამე პირების ჩართვის შესახებ

7.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 10 მარტის საოქმო განჩინებით მოსარჩელეთა წარმომადგენლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირებად ჩაბმულ იქნენ ე. კ-ია და ო. კ-ია (შემდგომში მესამე პირები).

8. მესამე პირთა შესაგებელი

8.1. მესამე პირებმა წარდგენილი შესაგებლებით სარჩელი ცნეს.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

9.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; მოსარჩელეთა ნაწილში ბათილად იქნა ცნობილი 2004 წლის 25 ოქტომბერს, ს/ს „სასტუმრო ა-ა“-ს გენერალურ დირექტორსა და მოქალაქე – ო. კ-იას შორის გაფორმებული ხელშეკრულება, საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 2 თებერვლის №62 განკარგულება, 2009 წლის 23 აპრილს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ფიზიკურ პირს – ე. კ-იას შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება; ასევე ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 3 ივნისის №05-01/06/15155 გადაწყვეტილება და მოპასუხეს – სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დაევალა, კანონით დადგენილ ვადაში გამოეცა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც მოხდებოდა დევნილთა მონაცემთა ბაზაში ცვლილების შეტანა და კომპენსაციის შესა-

ხებ განხორციელებულ ჩანაწერში მოსარჩელები მითითებულნი იქნებოდნენ არაკომპენსირებულ დევნილ პირებად.

10. მოპასუხეთა სააპელაციო საჩივარი:

10.1. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა, მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის საოქმო განჩინება:

11.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 1-ლი ნოემბრის საოქმო განჩინებით ცალკე წარმოებად გამოიყო და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განსახილველად გადაეცა საქმე მოსარჩელეთა მოთხოვნის – 2004 წლის 25 ოქტომბერს სს „სასტუმრო ა-ას“ გენერალურ დირექტორსა და მოქალაქე ო. კ-იას შორის გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობის – ნაწილში.

11.2. სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით და აღნიშნა, რომ ვინაიდან 2004 წლის 25 ოქტომბრის ხელშეკრულება სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე გაფორმებულია კერძო სამართლის სუბიექტებს შორის – სს „სასტუმრო ა-ას“ გენერალურ დირექტორსა და მოქალაქე ო. კ-იას შორის, შესაბამისად იგი წარმოადგენს სამოქალაქო ხელშეკრულებას და მოთხოვნა ამ ნაწილში განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

12. სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

12.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 15 თებერვლის განჩინებით მოპასუხეთა სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 19 ივლისის განჩინება და საქმე 2004 წლის 25 ოქტომბრის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

12.2. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, მესამე პირები ე. კ-ია და ო. კ-ია შესაბამის მხარეებს (სამოქალაქო სამართლებრივი წესით) არ წარმოადგენდნენ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, ხოლო სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მათი მხარეებად ჩართვა უსაფუძვლოა და არ გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან. გარდა ამისა, დადგენილია, რომ ადმინისტრაციული სამართალ-

წარმოების წესით, საქმის განხილვისას არ მონაწილეობდა ასევე სადავოდ გამხდარი ხელშეკრულების მხარე – სს „სასტუმრო ა-ა“.

12.3. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3, მე-4 მუხლებით და აღნიშნა, რომ ვინაიდან მესამე პირებს არ მიეცათ შესაძლებლობა მხარეების სტატუსით, პირველი ინსტანციის სასამართლოში მიეღოთ მონაწილეობა დავის განხილვაში, სააპელაციო განხილვის ეტაპზე საქმეში ჩართვა მათ უზღუდავდა უფლებას პირველი ინსტანციის სასამართლოში წარედგინათ სარჩელები-შესაგებლები, დაეყენებინათ შუამდგომლობები და საქმეზე დასართავად წარედგინათ მტკიცებულებები, რაც დაუშვებელია. ამრიგად, იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ საქმის წარმოების ამ ეტაპზე აღნიშნული დავის არსებითად განხილვის შემთხვევაში, მხარეები დაკარგავენ შესაძლებლობას ორი ინსტანციის სასამართლოს მიერ სრულყოფილად იქნეს გამოკვლეული და შესწავლილი საქმის როგორც სამართლებრივი, ასევე ფაქტობრივი გარემოებები, არსებობს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობა.

13. კასატორის მოთხოვნა და საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

13.1. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა მოპასუხემ, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

13.1.1. სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას უგულებელყო უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა, რომელიც მსგავსი ტიპის სარჩელების ადმინისტრაციული წარმოებით განხილვას ითვალისწინებს. სადავო საკითხის სამოქალაქო წესით განსახილველად გამოყოფა საქმის განხილვის გაჭიანურებას ემსახურება.

13.1.2. მიუხედავად იმისა, რომ სადავო ხელშეკრულება გაფორმებულია კერძო სამართლის სუბიექტებს შორის, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო ხელშეკრულებად, ვინაიდან ხელშეკრულების არსი გამომდინარეობს ადმინისტრაციული დაპირებიდან და ხელშეკრულების მიზანსაც ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მათი ვალდებულების შესრულება წარმოადგენს. შესაბამისად, აღნიშნული ხელშეკრულება ადმინისტრაციული წესით უნდა აღსრულდეს.

13.1.3. ამასთან, საქმის გარემოებები არ იძლევა წარდგენილი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას არც ადმინისტრაციული და არც სამოქალაქო წესით საქმის განხილვისას, ვინაიდან სააგენტოს მოსარჩელეთა მიმართ ვალდებულება შესრულებული აქვს.

14. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

14.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 28 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად;

14.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 1 ნოემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვისა და მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მოპასუხის საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ დასაბუთებულია და იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

15. კასატორის ძირითადი პრეტენზია ემყარება იმას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა საპროცესო სამართლის ნორმები და ადმინისტრაციული სამართლის სფეროს მიკუთვნებული საკითხი შეაფასა სამოქალაქო სამართლის ნორმათა ფარგლებში.

16. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემული დავის მართებულად გადასაწყვეტად სწორად უნდა იქნეს მოძიებული მოთხოვნის განმაპირობებელი სამართლებრივი საფუძვლები.

17. ამ თვალსაზრისით კი, საკასაციო პალატამ პირველ რიგში, უნდა იმსჯელოს წარმოდგენდა თუ არა მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა.

18. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. აღნიშნულ მუხლში კონკრეტულად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიები და დადგენილია, თუ რომელი საქმეები შეიძლება იქნეს განხილული ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში. კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რაც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მონესრიგებული. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს – ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. იმავე მუხლის მე-3 ნა-

ნილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. სსკ-ის მე-11 მუხლი კი, შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი. ხსენებული მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილია ის სამოქალაქო საქმეები, რომლებსაც სასამართლო განიხილავს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, კერძოდ, სამოქალაქო ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც სასამართლოებისადმი სამოქალაქო საქმეთა დაქვემდებარების განსაზღვრის პრინციპად დავის შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობას აღიარებს.

19. ერთ-ერთ საქმეზე, რომელშიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ იმსჯელა სასამართლო კოლეგიებს შორის განსჯადობის საკითხზე, განმარტა, რომ „დავის კატეგორიის განსაზღვრისათვის არსებითია სწორედ ნორმატიული კომპონენტი – დავის გამომდინარეობა ამა თუ იმ სამართლის კანონმდებლობიდან (იხ., სუსგ №ბს-1479-1411(გ-09), 09 თებერვალი, 2010 წელი). გადამწყვეტი მნიშვნელობა სადავო სამართალურთიერთობის ხასიათსა და დავის საგანს ენიჭება. კონკრეტულად კი, დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის განსაზღვრისათვის კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად კომპონენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული. კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს კერძო სამართლის კანონმდებლობიდან, სახეზე იქნება სამოქალაქო სამართლის იურისდიქციის სასამართლოს მიერ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველი საქმე“.

20. განსახილველ დავაში, უდავოდ დადგენილია, რომ მოსარჩელეები არიან „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პირები – დევნილები.

21. მითითებული კანონი განსაზღვრავს დევნილის სამართლებრივ სტატუსს, პირისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საფუძვლებსა და წესს, დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვა-

ლეობებს (მუხლი 2.) ამავე კანონის პირველივე მუხლით კი, განსაზღვრულია დევნილთა სხვადასხვა სახის, სოციალურ-ეკონომიკური და ა.შ საჭიროებების სახელმწიფო ორგანოთა მეშვეობით მოგვარების აუცილებლობა (საქართველოს სახელმწიფო ორგანოები იძულებითი გადაადგილებით გამოწვეული სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით, იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის პრობლემების გადაჭრისას მოქმედებენ საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად; მუხლი 1).

22. წინამდებარე სარჩელით მოსარჩელები, როგორც დევნილის სტატუსის მქონე პირები, ითხოვენ სს „სასტუმრო ა-ის“ დირექტორსა და ო. კ-იას შორის გაფორმებული იმ ხელშეკრულების ბათილად ცნობას, რომლითაც ისინი, სხვა იძულებით გადაადგილებულ პირებთან (დევნილებთან) ერთად, მიჩნეულ იქნენ „კომპენსაციით დაკმაყოფილებულ პირებად“ (კერძოდ, ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ ო. კ-იამ და მისმა ოჯახმა დაკავებული №403 ოთახი (ლუქსი) გამოათავისუფლა ერთჯერადი თანხის 14000 აშშ დოლარის, თითოეულ ოთახზე 7 000 აშშ დოლარის, გაცემის სანაცვლოდ და კომპენსაციით დაკმაყოფილებულად მიჩნეულ იქნენ სასტუმროს №403 (ლუქსი) ოთახში რეგისტრირებული პირები – ო. კ-ია, ე. კ-ია, გ. კ-ია, მ. კ-ია, თ. კ-ია, მ. კ-ძე, ე. ა-ძე, ი. ა-ძე). სწორედ ამ საფუძვლით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ მოსარჩელებს უარი უთხრა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 3 ივნისის №05-01/06/15155 გადაწყვეტილება). ამრიგად, სადავო ხელშეკრულების ბათილად ცნობით მოსარჩელეთა საბოლოო მიზანია, მოიპოვონ „არაკომპენსირებული დევნილი პირების სტატუსი“ და შესაბამისად, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სოციალურ-ეკონომიკური გარანტიები (საცხოვრებელი ფართი), რასაც, თავის მხრივ, სახელმწიფო სტრატეგიიდან გამომდინარე განსახორციელებელ ღონისძიებათა ფარგლებში, უზრუნველყოფენ ადმინისტრაციული ორგანოები.

23. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება განმარტებულია როგორც – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა

ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება.

24. მითითებული სამართლებრივი ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ხელშეკრულების საჯარო-სამართლებრივად მიჩნევისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების მიზანს. ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსით განისაზღვრება. შესაბამისად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს (იხ. სუსგ საქმე №ბს-31-27(კ-13), 26 დეკემბერი, 2013 წელი).

25. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების, სამართლებრივი ნორმებისა და განმარტებების ურთიერთშეჯერებით, საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ 2004 წლის 25 ოქტომბერს დადებულ სადავო ხელშეკრულებას გააჩნია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათი, ვინაიდან მისი წარმოშობის მიზანი და საფუძველი საჯაროსამართლებრივია. ამ კატეგორიის საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების პროცედურით განხილვა კი გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან, რომელთა გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები (შედ. იხ. სუსგ საქმე №ას-559-530-2015, 30 ოქტომბერი, 2015 წელი).

26. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს, როგორიცაა უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღება. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი, ასახვას პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში (მუხლი 26) და ითვალისწინებს დავის განხილვასა და გადაწყვეტას უფლებამოსილი სასა-

მართლოს მიერ. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს, რომ სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით.

27. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლებით, ასევე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით დადგენილი განსჯადობის წესები, ვინაიდან გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებისა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რომელმაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით უნდა იმსჯელოს განსჯადობის შესახებ დავის დაწყების საკითხზე.

28. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადаныყდეს შემაჯამებელი გადანყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი, დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 15 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. პროცესის ხარჯები

ადვოკატის ჰონორარი

ბანჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1169-2019

6 აგვისტო, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაქური

დავის საგანი: ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არ
არსებობის აღიარება, თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ე. კ“-სა (შემდეგში: სანარმო, მოპასუხე, გამსხვიებელი, აპელანტი) და მ. ა-ას (შემდეგში: მოსარჩელე, მყიდველი ან კასატორი) შორის, 2016 წლის 1 ივნისს, ნასყიდობის №131596/თ ხელშეკრულება გაფორმდა; ამ ხელშეკრულებით მოსარჩელემ შეიძინა ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომლის მახასიათებლებია: მარკა – SAAB, ტიპი – სე-დანი, მოდელი – 9.5, სატრანსპორტო საშუალების უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი: ..., სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი: ..., გამოშვების წელი – 2000წ. ნასყიდობის საგნის ფასი 2200 აშშ დოლარით განისაზღვრა.

2. სანარმოსა და მოსარჩელეს შორის 2016 წლის 1 ივნისს გაფორმდა საკრედიტო ხაზით უზრუნველყოფის და გირავნობის შესახებ ხელშეკრულება №136980/თ; ასევე – სესხის ხელშეკრულება №136980/თ და №136980/თ შეთანხმება სესხის გადაცემის შესახებ. ხელშეკრულებით საკრედიტო ხაზის მაქსიმალური მოცულობა 2500 აშშ დოლარით განისაზღვრა.

3. მსესხებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, გირავნობით დაიტვირთა გამსესხებლის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალება (იხ. წინამდებარე განჩინების პირველი პუნქტი).

4. მხარეებს შორის გაფორმებული №136980/თ სესხის ხელშეკრულებით სესხის ოდენობა 2295,00 აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც მსესხებელს 24 თვის ვადაში ყოველთვიურად 151 აშშ დოლარის გადახდით

უნდა დაეფარა. სესხით სარგებლობისათვის საპროცენტო განაკვეთი კი 4%-ით განისაზღვრა.

5. სესხის ხელშეკრულებით მოსარჩელის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება უზრუნველყოფილი იქნა, ასევე, გამსხვისებელ საწარმოსა და ლ. კ-ს, ა. ჯ-ას შორის გაფორმებული სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებებით.

6. ავტომანქანა 2016 წლის 8 ივნისს მყიდველის სახელზე დარეგისტრირდა.

7. მყიდველის მიერ შეძენილმა და მის მფლობელობაში არსებულმა ავტომანქანამ 2016 წლის 1 ივნისს რუსთავი-თბილისის საავტომობილო გზაზე ექსპლუატაციისას შეწყვიტა მუშაობა.

8. ხელშეკრულებების დადების დღესვე, 2016 წლის 1 ივნისს, კომპენსაციის გადახდის შესახებ გაფორმებული შეთანხმებით გამსხვისებელმა საწარმომ აღიარა გაყიდული ავტომანქანის ნაკლი, ძრავის დაზიანება და მყიდველს ერთჯერადი ფულადი კომპენსაცია – 400 აშშ დოლარი გადასცა.

9. 2016 წლის 28 ივნისს მყიდველმა წერილობით მიმართა გამსხვისებელ საწარმოს და მოითხოვა ავტომანქანისათვის აღმოჩენილი ნაკლის აღმოფხვრა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, წინააღმდეგ შემთხვევაში მყიდველი უარს იტყოდა ხელშეკრულებაზე.

10. 2016 წლის 1 აგვისტოს მყიდველის წერილით გამსხვისებელ საწარმოს ეცნობა, რომ მყიდველი გადიოდა ხელშეკრულებიდან.

11. გამსხვისებელმა საწარმომ 2016 წლის ოქტომბერში მყიდველისაგან ავტოსატრანსპორტო საშუალება დაიბრუნა.

12. გამსხვისებელი საწარმოს მიერ გაცემული დავალიანების შესახებ ცნობის მიხედვით, 2017 წლის 16 ოქტომბრის მდგომარეობით, საკრედიტო ხაზით უზრუნველყოფისა და გირავნობის შესახებ 2016 წლის პირველი ივნისის №136980-თ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოპასუხეებს: მყიდველს და სოლიდარულად თავდებ პირებს – ლ. კ-ისა და ა. ჯ-ას (იხ. წინამდებარე განჩინების მე-5 პუნქტი) გააჩნდათ დავალიანება, კერძოდ, სესხის ძირითადი თანხა – 2 045,00 აშშ დოლარი, სესხზე დარიცხული სარგებელი – 597,13 აშშ დოლარი.

13. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (შემდგომი: ექსპერტიზის ბიურო) 2016 წლის 19 სექტემბრის №005552716 ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, გამოსაკვლევად წარდგენილი ავტომობილის SAAB – ..., სახელმწიფო ნომრით ..., გამოშვებული 2000 წელს, ვიზუალური და ტექნიკური შემოწმებით დადგინდა, რომ მწყობრიდან არის გამოსული ავტომობილის ძრავი, კერძოდ, გართულებულია მისი გაშვება, ძრავი მუშაობს მხოლოდ აქსელერატორზე ზემოქმედებით, მუშაობისას ვერ ხერხდება ბრუნების სტა-

ბილიზაცია და აღენიშნება დეტონაცია. ძრავი გაუმართავ მდგომარეობაშია და წარმოდგენილი სახით მისი ექსპლუატაცია შეუძლებელია. კონკრეტული დაზიანებული დეტალების დადგენა შესაძლებელია მხოლოდ ძრავის დეტალური დაშლის შემდეგ.

14. მხარეთა სასარჩელო მოთხოვნები

14.1. გამსხვისებელმა საწარმომ 2017 წლის 17 ოქტომბერს სარჩელი აღძრა მოპასუხეების: მყიდველისა და სოლიდარულად თავდები პირების წინააღმდეგ და მოითხოვა მათთვის სესხის ძირითადი თანხის 2 045,00 აშშ დოლარისა და საპროცენტო სარგებლის – 597,13 აშშ დოლარის გადახდის სოლიდარულად დაკისრება, 2016 წლის პირველი ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან, საკრედიტო ხაზით უზრუნველყოფისა და გირავნობის შესახებ 2016 წლის პირველი ივნისის №136980-თ ხელშეკრულებიდან, 2016 წლის პირველი ივნისის №136980-თ სესხის ხელშეკრულებიდან, 2016 წლის პირველი ივნისის №136980-თ სესხის გადაცემის შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე. მოსარჩელე საწარმომ ასევე საპროცესო ხარჯების ანაზღაურებაც მოითხოვა.

14.2. მყიდველმა, თავის მხრივ, სასამართლოს მიმართა სარჩელით გამსხვისებელი საწარმოს წინააღმდეგ და მოითხოვა, 2016 წლის 1 ივნისიდან აღიარებული იქნეს მყიდველსა და გამყიდველ საწარმოს შორის 2016 წლის 1 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან, საკრედიტო ხაზით უზრუნველყოფისა და გირავნობის შესახებ 2016 წლის პირველი ივნისის №136980-თ ხელშეკრულებიდან, 2016 წლის პირველი ივნისის №136980-თ სესხის ხელშეკრულებიდან, 2016 წლის პირველი ივნისის №136980-თ სესხის გადაცემის შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობების არარსებობა.

14.3. მყიდველისა და გამსხვისებლის სარჩელები ერთ წარმოებად გაერთიანდა. გამსხვისებელმა საწარმომ მყიდველის სარჩელი არ სცნო, ხოლო, თავის მხრივ, ავტომატურად მყიდველმა და სოლიდარულად თავდებმა პირებმა გამსხვისებელი საწარმოს სარჩელი არ ცნეს.

15. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

15.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით ავტომატურად მყიდველის სარჩელი დაკმაყოფილდა, ხოლო გამსხვისებელი საწარმოს სარჩელი არ დაკმაყოფილდა; 2016 წლის 1 ივნისიდან აღიარებულ იქნა გამსხვისებელი საწარმოს წინაშე მყიდველის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობა 2016 წლის 1 ივნისის №131596/თ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან, 2016 წლის 1 ივნისის „საკრედიტო ხაზით უზრუნველყოფისა და გირავნობის შესახებ“ №136980/თ ხელშეკრულებიდან, 2016 წლის 1 ივნისის №136980/თ სესხის ხელშეკრულებიდან, 2016 წლის 1 ივნისის №136980/თ სესხის გადაცემის შესახებ შე-

თანხმებიდან გამომდინარე.

15.2. საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 477-ე, 487-ე, 488-ე, 490-ე, 491-ე, 352-ე, 405-ე მუხლებით იხელმძღვანელა.

16. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

16.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 6 მაისის გადაწყვეტილებით გამსხვისებული საწარმოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; მყიდველისა და სოლიდარულად თავდები პირების სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველი, მე-3, მე-6, მე-7 პუნქტების შეცვლით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება; მყიდველის დაზუსტებული სარჩელი დაკმაყოფილდა; დადგინდა 2016 წლის 1 ივნისიდან გამსხვისებული საწარმოს წინაშე მყიდველის ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობა 01.06.2016წ. №131596/თ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან, 01.06.2016წ. №136980/თ საკრედიტო ხაზით უზრუნველყოფის და გირავნობის შესახებ ხელშეკრულებიდან, 01.06.2016წ. №136980/თ სესხის ხელშეკრულებიდან და 01.06.2016წ. №136980/თ სესხის გადაცემის შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე. მყიდველი გათავისუფლდა 01.06.2016წ. №131596/თ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან, 01.06.2016წ. №136980/თ საკრედიტო ხაზით უზრუნველყოფის და გირავნობის შესახებ ხელშეკრულებიდან, 01.06.2016წ. №136980/თ სესხის ხელშეკრულებიდან და 01.06.2016წ. №136980/თ სესხის გადაცემის შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებისგან. ექსპერტიზის დასკვნის მომზადებისთვის გაწეული ხარჯის ანგარიშში გამსხვისებელ საწარმოს მყიდველის სასარგებლოდ 300 ლარის გადახდა დაეკისრა;

16.2. პირველი ინსტანციის სასამართლოში განეული სასამართლოს გარეშე ხარჯის სახით გამსხვისებელ საწარმოს მყიდველისა და სოლიდარულად თავდები პირების სასარგებლოდ (სარჩელის, შესაგებლის წერილობითი განცხადებების, წერილობითი შუამდგომლობების მომზადებაზე დახარჯული ცელულოზის ქაღალდის ფურცლების ხარჯის; 2. შესაგებლის, შუამდგომლობების და თანდართული დოკუმენტების, ასევე სხვა მტკიცებულებების ასლების მომზადებაზე გაღებული ხარჯების; 3. მათ აკინძვაზე გახარჯული ლითონის ამკინძვით შეკვრაზე გაღებული ხარჯის; 4. საქმის მასალების სასამართლოში გადაგზავნისას საფოსტო კავშირისთვის გაღებული დანახარჯის; 5. სასამართლოში მოპასუხის სხდომებზე გამოცხადების უზრუნველსაყოფად ტრანსპორტირებისთვის განეული ხარჯის) 150 ლარის გადახდა დაეკისრა, დანარ-

ჩენ ნაწილში აპელანტებს უარი ეთქვათ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე;

16.3. მყიდველისა და სოლიდარულად თავდები პირების მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანგარიშში გამსხვილებელ საწარმოს 60 ლარის გადახდა დაეკისრა;

16.4. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განეული სასამართლოს გარეშე ხარჯის ანგარიშში გამსხვილებელ საწარმოს მყიდველისა და სოლიდარულად თავდები პირების სასარგებლოდ 70 ლარის გადახდა დაეკისრა;

16.5. იურიდიული მომსახურებისთვის განეული ხარჯის ანგარიშში გამსხვილებელ საწარმოს მყიდველისა და სოლიდარულად თავდები პირების სასარგებლოდ 400 ლარის გადახდა დაეკისრა.

16.6. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მყიდველი 01.06.2016წ. №131596/თ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან, 01.06.2016წ. №136980/თ საკრედიტო ხაზით უზრუნველყოფის და გირავნობის შესახებ ხელშეკრულებიდან და მის საფუძველზე 01.06.2016 წელს გაფორმებული №136980/თ სესხის ხელშეკრულებიდან და სესხის გადაცემის შესახებ შეთანხმებიდან მართლზომიერად გავიდა. შესაბამისად, მისი მოთხოვნა 01.06.2016წ. №131596/თ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან, 01.06.2016წ. №136980/თ საკრედიტო ხაზით უზრუნველყოფის და გირავნობის შესახებ ხელშეკრულებიდან, 01.06.2016წ. №136980/თ სესხის ხელშეკრულებიდან და 01.06.2016წ. №136980/თ სესხის გადაცემის შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე 2016 წლის 1 ივნისიდან გამსხვილებელი საწარმოს წინაშე ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობის დადგენის თაობაზე დასაბუთებულია.

16.7. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 327-ე, 477-ე, 487-ე, 488-ე, 490-ე მუხლებზე მიუთითა და მიიჩნია, რომ ხელშეკრულებით გამყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულების, რომლის ფარგლებშიც მან მყიდველისთვის ნასყიდობის საგნის საკუთრებაში გადაცემის ვალდებულება იკისრა, უფრო მეტიც, იმ უდავო გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ გამყიდველი ნივთის გაყიდვაზე უფლებამოსილ სუბიექტს წარმოადგენდა, ფაქტი, რომ ნივთი გამყიდველის სახელზე რეგისტრირებული არ ყოფილა ან/და გამყიდველმა ნივთი, როგორც მოგირავნემ ისე გაასხვისა ამ უკანასკნელის, როგორც გამყიდველის ვალდებულებაზე, მყიდველისთვის უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთის გადაცემის შესახებ გავლენას ვერ მოახდენდა.

16.8. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა გამყიდველი საწარმოს წარმომადგენლების განმარტებაზე, რომლის ფარგლებშიც მათ დაადასტურეს ავტომობილის, მისი ძირითადი ფუნქციური დანიშნულებით, გაყიდვის ფაქტი. მითითებული განმარტების ფარგლებში აპელანტი სა-

ნარმოს ნარმომადგენელმა ხაზი გაუსვა ფაქტს, რომ, მართალია, ცალკეულ შემთხვევებში სატრანსპორტო საშუალება ჯართის სახითაც გაუყიდათ, თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში გარიგება ჯართზე დადებული არ ყოფილა; ამდენად, 1. გამყიდველის კანონით (სსკ-ის 487-ე მუხლი) გათვალისწინებული ვალდებულების, რომლის მიხედვითაც მას მყიდველისთვის ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთის გადაცემის ვალდებულება ჰქონდა; 2. ასევე, იმ გარემოებების მხედველობაში მიღებით, რომ ნასყიდობის საგანს ავტოსატრანსპორტო საშუალება ნარმომადგენდა, რომელიც უდავოა, რომ გამყიდველმა მისი ძირითადი ფუნქციური დანიშნულებით (ჩვეულებრივი სარგებლობისთვის) გაყიდა, მეტიც, გარიგების გაფორმების დღეს გარიგების საგანზე გაუმართაობის გამოვლენის შემდეგ ნაკლის გამოსწორების მიზნით გამყიდველმა მყიდველს კომპენსაციის სახით 400 აშშ დოლარი გადასცა. სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ გარიგებაში არსებული დათქმა, რომ მყიდველმა შეთანხმებული ხარისხის ნივთი მიიღო, გარიგების დადების შემდეგ ნივთზე გამოვლენილ ნაკლთან დაკავშირებით, რომელიც უდავოა, რომ, მიუხედავად ნივთის შემოწმებისა, მხოლოდ ნივთის ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ გამოვლინდა და ამ ნივთით სარგებლობის შესაძლებლობას საერთოდ გამორიცხავდა, ნასყიდობის საგანზე გამოვლენილ ნაკლთან დაკავშირებით გამყიდველი სანარმოს პასუხისმგებლობას ვერ გამორიცხავდა.

16.9. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ნასყიდობის საგანს ჩვეულებრივი სარგებლობისთვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალება ნარმომადგენდა, რაც სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში გამყიდველს მყიდველისათვის ჩვეულებრივი სარგებლობისათვის ვარგის ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის ვალდებულებას აკისრებდა; სასამართლომ აღნიშნა, რომ მყიდველმა გარიგების გაფორმებამდე ნასყიდობის საგანი შეამოწმა, ნაკლი კი მხოლოდ ნივთის ექსპლუატაციის პროცესში გამოვლინდა;

16.10. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებით ნივთის ნაკლის გამო პასუხისმგებლობის გამორიცხვა (სსკ-ის 497-ე მუხლი) შეიძლება გავრცელდეს იმ ნაკლზე, რომელიც მყიდველს ჩვეულებრივი ყურადღების გამოჩენის შემთხვევაში შეეძლო და უნდა აღმოეჩინა. ამასთან, პასუხისმგებლობის გამორიცხვა მაშინ ჩაითვლება შეთანხმებულად, როდესაც მიუხედავად იმისა, რომ ამის თაობაზე პირდაპირ მითითებული არ არის, ეს სახელშეკრულებო პირობის შინაარსიდან გამომდინარეობს. მაგ: „ნაყიდა დათვალიერების შედეგად“; „შემოწმებულია“; ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობის გამორიცხვა უნდა გავრცელდეს მხოლოდ ისეთ ნაკლზე, რომელიც დათვალიერებისა თუ შემოწმების შედეგად თვალსაჩინო და შეცნობა-

დია (იხ. Gnos, Anspruchskonkurrenz im schweizerischen Produkthaftpflichtrecht, 1997, S. 43; ix. MüKo/ Westermann, BGB, 6. Aufl., 2012, § 444, Rn. 7);

16.11. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 491-ე, 352-ე, 405-ე მუხლებზე მიუთითა და აღნიშნა, რომ მყიდველის მოთხოვნას ნასყიდობის საგნის ჩანაცვლების ან ნაკლის გამოსწორებასთან დაკავშირებით, გარდა იმისა, რომ 30.06.2016წ. წერილით მყიდველმა ნივთის ნაკლთან დაკავშირებით პასუხისმგებლობის არარსებობაზე მიუთითა, სხვა რეაგირება არ მოჰყოლია. 01.08.2016წ. წერილით მყიდველმა გამსხვისებელ საწარმოს აცნობა, რომ გადიოდა ხელშეკრულებიდან. ამდენად, ნასყიდობის საგანზე გამოვლენილი ხარვეზის გათვალისწინებით მყიდველის მხრიდან ხელშეკრულებიდან გასვლამდე დასტურდება ნასყიდობის საგანზე გამოვლენილი გაუმართაობის აღმოსაფხვრელად მიმწოდებლისთვის დამატებითი ვადის მიცემის ფაქტი;

16.12. სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ მხარე 01.06.2016წ. N 131596/თ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან, 01.06.2016წ. N 136980/თ საკრედიტო ხაზით უზრუნველყოფისა და გირავნობის შესახებ ხელშეკრულებიდან და მის საფუძველზე 01.06.2016 წელს გაფორმებული N 136980/თ სესხის ხელშეკრულებიდან და სესხის გადაცემის შესახებ შეთანხმებიდან მართლზომიერად გავიდა;

16.13. მხარეებს შორის სესხისა და ნასყიდობის შესახებ გარიგებები ერთსა და იმავე დღეს – 01.06.2016 წელს გაფორმდა, უდავოა ასევე, რომ ნასყიდობის საგნის ღირებულება გარიგების დადებისთანავე 01.06.2016 წელს სრულად დაიფარა, მხარეებს სადავოდ არც ის გარემოება გაუხდიათ, რომ 01.06.2016 წელს სესხის ხელშეკრულების გაფორმების მიზანს იმავე დღეს მათ შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების დაფინანსება წარმოადგენდა, უფრო მეტიც, საქმეში წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება ფაქტი, რომ სესხის ხელშეკრულებაში მითითებული თანხა მსესხებელის მფლობელობაში გადავიდა და ამ უკანასკნელმა ნასყიდობის საფასური სესხის თანხის უშუალოდ მისთვის გადაცემის შემდეგ დაფარა. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სადავო გარიგებებში გამსესხებელ და გამსხვისებელ სუბიექტს ერთი და იგივე საწარმო წარმოადგენდა, ამასთან, უდავოა, რომ სესხის გაცემის მიზანს მხარეებს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების დაფინანსება წარმოადგენდა, ფაქტი იმის შესახებ, რომ სესხის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ სესხის თანხა მსესხებელს გადაეცა, რაც მას თანხის მისი შეხედულებისამებრ განკარგვის შესაძლებლობას ანიჭებდა გამსესხებელს უნდა დაემტკიცებინა;

16.14. სააპელაციო სასამართლომ მყიდველისა და სოლიდარულად

თავდები პირების სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 37-ე, 44-ე, 53-ე, 54-ე მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ აპელანტი სადავოდ არ ხდიდა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ გარემოებას, რომ მას სააპელაციო საჩივრით სადავოდ გამხდარი სასამართლოსგარეშე ხარჯების რეალურად გაწევის დამადასტურებელი მტკიცებულებები სასამართლოში არ წარუდგენია. ამ მიმართებით მხედველობაშია მისაღები, რომ სსსკ-ის 215-ე მუხლის პირველი ნაწილი, იმპერატიულად ადგენს შუამდგომლობის ავტორის ვალდებულებას, სასამართლოს დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართვასთან დაკავშირებით, თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოსარჩელის მიერ საქმეში წარდგენილია ექსპერტიზის ბიუროს 16.09.2016წ. დასკვნა, საიდანაც ირკვევა, რომ ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების საგანზე ექსპერტიზა მყიდველის მოთხოვნის საფუძველზე ჩაატარა. სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის ფაქტიც, რომ, მართალია, სსსკ-ის 102-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა არც სარჩელის, შესაგებლის წერილობითი განცხადებების, წერილობითი შუამდგომლობების მომზადებაზე დახარჯული ცელულოზის ქაღალდის ფურცლებისთვის გაწეული ხარჯის, მათი ასლების მომზადებისთვის გაღებული ხარჯის, ლითონის ამკინძვით შეკვრაზე გაღებული ხარჯის, გასაჩივრებულ ნაწილში საქმის მასალების სასამართლოში გადაგზავნისას საფოსტო კავშირისთვის გაღებული ხარჯის და სასამართლოში მოპასუხის გამოცხადების უზრუნველსაყოფად ტრანსპორტირებისთვის გაწეული ხარჯის გაწევის დამადასტურებელი მტკიცებულებები, თუმცა საქმეში წარმოდგენილი იყო სარჩელი, შესაგებელი, წერილობითი განცხადებები, რომლებიც, თავის მხრივ, აკინძულია ლითონის ამკინძავი საშუალებებით, საქმეში ასევე წარმოდგენილი იყო საფოსტო კონვერტები, რაც, თავის მხრივ, საფოსტო კავშირის გამოყენებაზე მიუთითებდა, სასამართლო სხდომის ოქმებიდან დგინდებოდა ასევე სხდომაზე სანარმოს სარჩელზე მოპასუხე მხარის (ა.ჯ-ა) გამოცხადების ფაქტი. აღნიშნული გარემოებები სააპელაციო სასამართლოს შეფასებით აპელანტების/შუამდგომლობის ავტორების სასარგებლოდ იძლევა პრეზუმფციის დაშვების საფუძველს, რომ მათი მხრიდან გაღებულია ექსპერტიზის დასკვნის მომზადებისა და საქმის განხილვის უზრუნველყოფის მიზნით გაწეული ხარჯი;

16. 15. სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ გაიზიარა აპელანტების არგუმენტი სასამართლოსგარეშე ხარჯების დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების უსწორობის თაობაზე და აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასა-

მართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა მოიხმო. ერთ-ერთ საქმეში, სადაც მხარეს წარმომადგენლის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტი არ ჰქონდა წარდგენილი, საკასაციო სასამართლომ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ არსებობდა მოგებული მხარისათვის სასამართლოსგარეშე ხარჯის ანაზღაურების წინაპირობები. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „როგორც წესი, მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან და სასამართლოსგარეშე ხარჯებთან... ამგვარი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე. ამგვარი მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლოს მხარის მოთხოვნის საფუძველზე თვითონაც შეუძლია გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ოდენობა, თუკი აშკარაა, რომ პირის უფლების დარღვევის აღკვეთის მიზნით ხარჯი გაღებულია (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „პინკოვა და პინკი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ“). სასამართლომ მხარეს ხარჯების ანაზღაურება უნდა დააკისროს მხოლოდ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ისინი რეალურად და საჭიროებისამებრ იქნა გაღებული იმ მიზნით, რომ აღკვეთილიყო სამოქალაქო უფლების დარღვევა (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ“).

16.16. ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს მყიდველის სააპელაციო საჩივარი და, მის სასარგებლოდ, გამსხვისებელ საწარმოს, ექსპერტიზის დასკვნის მომზადებისთვის გაწეული ხარჯის – 300 ლარის, ხოლო მყიდველისა და სოლიდარულად თავდები პირების სასარგებლოდ სარჩელის, შესაგებლის, წერილობითი განცხადებების, წერილობითი შუამდგომლობების მომზადებაზე დახარჯული ცელულოზის ქაღალდის ფურცლებისთვის გაწეული ხარჯის, მათი ასლების მომზადებაზე გაღებული ხარჯის, მათი აკინძვისთვის გაწეული ხარჯის, საფოსტო კავშირისთვის გაღებული ხარჯის, ასევე მოპასუხის სასამართლოში გამოცხადებისთვის (ტრანსპორტირებისათვის) გაწეული ხარჯის სახით, ჯამში – 150 ლარის გადახდა უნდა დაეკისროს.

16.17. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტების მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს გამსხვისებელი საწარმოს სარჩელის საწინააღმდეგოდ გაწეული იურიდიული დახმარებისთვის გაღებული ხარჯის და სასამართლო სხდომებზე წარმომადგენლის გამოცხადების უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯის მოპასუხისთვის დაკისრების ნა-

ნილში. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 22.12.2017წ. განჩინებით მოსარჩელე მხარის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და მყიდველის სარჩელი გამსხვისებელი საწარმოს წინააღმდეგ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის არარსებობის აღიარებისა და, თავის მხრივ, გამსხვისებელი საწარმოს სარჩელი მყიდველისათვის თანხის დაკისრების მოთხოვნით ერთ წარმოებად გაერთიანდა. შესაბამისად, მხარეთა სარჩელების განხილვა ერთი სასამართლო წარმოების ფარგლებში მოხდა, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია აპელანტების წარმომადგენლის რესურსის დაზოგვაზე. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობის აღიარების მოთხოვნით სარჩელის არსებობის პირობებში თანხის დაკისრების მოთხოვნით გამსხვისებელი საწარმოს სარჩელის უარყოფის მიზნით შესაგებლის შედგენა, სადაც პრაქტიკულად ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობის აღიარების მოთხოვნით აღძრულ სარჩელში აღნიშნული გარემოების მითითება მოხდა, წარმომადგენლის მხრიდან დროის და ინტელექტუალური რესურსის დიდ ხარჯვას აღარ მოითხოვდა. რაც შეეხება სასამართლო სხდომებზე წარმომადგენლის გამოცხადებისთვის განეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნას, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამგვარი ხარჯი, ადვოკატის დახმარებისთვის განეულ ხარჯებში შედის და ცალკე ანაზღაურებას არ ექვემდებარება. მხედველობაშია მისაღები, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ადვოკატის მომსახურებისთვის განეული ხარჯის მოთხოვნა 259,70 ლარის ნაწილში დაკმაყოფილდა;

16.18. აპელანტის მტკიცებაზე, რომ დავა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების არარსებობის აღიარებაა და შესაბამისად არაქონებრივი ხასიათის დავას წარმოადგენს, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ქონებრივ-სამართლებრივი დავების დროს, მიუხედავად იმისა, თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა უდევს მას საფუძვლად, საპროცესო მოთხოვნა მიმართულია ფულად თანხაზე, ფულადი ღირებულების მქონე ნივთებზე, ან ფულზეებზე. საპროცესო მოთხოვნა განხილულ უნდა იქნეს ქონებრივ-სამართლებრივად იმ შემთხვევებში, როცა მას საფუძვლად ქონებრივი ხასიათის სამართლებრივი ურთიერთობა უდევს, მიუხედავად იმისა, თუ რა სახის სარჩელი იქნა სასამართლოში წარდგენილი (აღიარებითი, მიკუთვნებითი თუ სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლისკენ მიმართული). ქონებრივ-სამართლებრივი ურთიერთობა არის ყველა ის ურთიერთობა, რომლის მიზანს წარმოადგენს მოგების მიღება ფულადი თანხით, ან ფულადი ღირებულების მქონე საგნების შენარჩუნება. არაქონებრივ-

სამართლებრივი დავების გამიჯვნა ქონებრივ-სამართლებრივი დავებისაგან ხდება გამორიცხვის მეთოდით და მოიცავს ყველა იმ შემთხვევას, რომელიც ქონებრივ-სამართლებრივ დავას არ წარმოადგენს. არა-ქონებრივ-სამართლებრივია ყველა დავა, როდესაც საქმე ეხება მხოლოდ პირად ან მის სოციალურ გარემოსთან დაკავშირებულ უფლებებს ყოველგვარი ეკონომიკური სარჩულის გარეშე. მოცემული განმარტება შესაბამისობაშია მსგავს საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ ერთგვაროვან პრაქტიკასთან (იხ. სუსგ-ები: №ას-1384-1306-2012; №ას-476-452-2013).

16.19. სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 23 თებერვლის განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა ექსპერტების დაკითხვის თაობაზე.

16.20. სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 215.1, 171.1 მუხლებზე მითითებით, საქმეში წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დადასტურებულად მიიჩნია, რომ ნასყიდობის საგანზე გამოვლენილი ნაკლის გათვალისწინებით (ძრავის გაუმართაობა) მისი არსებული სახით ექსპლუატაცია შეუძლებელია. ნიშანდობლივია აღინიშნოს ისიც, რომ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ნივთზე ნაკლის გამოვლენის და ამ საფუძველით მისი გამოყენების შეუძლებლობის ფაქტი სადავოდ არც მოპასუხე მხარეს გაუხდია, ეს უკანასკნელი სადავოდ იმ გარემოებას ხდიდა, რომ ნასყიდობის საგანზე გარიგების დადების შემდეგ გამოვლენილ ნაკლზე პასუხისმგებლობა მას არ უნდა დაჰკისრებოდა. სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნის შესახებ, საიდანაც დგინდება, რომ ნასყიდობის საგნის ძრავის გაუმართაობის გამო მისი გამოყენება შეუძლებელია, სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ მოცემულ საქმეში ამ დასკვნის შესახებ, მისი განმარტებისა და შევსების მიზნით, სასამართლო სხდომაზე ექსპერტის დაკითხვის საფუძველი არ არსებობდა;

16.21. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მყიდველისა და სოლიდარულად თავდები პირების მიერ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილია 150 ლარი. იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე გადაწყვეტილებით, დასახელებულ პირთა სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ, ექსპერტიზის ჩატარებისთვის განეული ხარჯის და საქმის განხილვის უზრუნველყოფის მიზნით განეული ხარჯის მოთხოვნის ნაწილში ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გამსხვისებულ საწარმოს მყიდველისა და სოლიდარულად თავდები პირების სასარგებლოდ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანგარიშში 60 (დაკმა-

ყოფილებული ნაწილის პროპორციულად) ლარის გადახდა უნდა დაეკისროს (სსსკ-ის 53.1 მუხლი).

16.22. სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტმა იშუამდგომლა ადვოკატის მომსახურებისთვის გაწეული ხარჯის 3000 ლარის და სასამართლოსგარეშე პროცესის ხარჯის სახით მოცემულ საქმეზე მინდობილობების, დავალების ხელშეკრულების, იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების, ადვოკატის სახელზე შედგენილი განცხადების და სხვა დოკუმენტების სანოტარო წესით დამოწმებისათვის გაღებული სანოტარო ხარჯი – 70 ლარის, სააპელაციო საჩივრის სასამართლოში წარდგენის, საქმის განხილვისას აპელანტებისა და მისი წარმომადგენლების სასამართლო სხდომაზე გამოცხადების უზრუნველსაყოფად, სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების მიზნით გადაადგილების გამო ტრანსპორტირებაზე გაღებული ხარჯის – 100 ლარის მოსარჩელისათვის ანაზღაურება; ასევე შუამდგომლობა ეხება მტკიცებულებათა მოძიება-მოპოვებაზე გაღებული ხარჯების ანაზღაურებას, რაც აუცილებელი გახდა წერილობითი და სხვაგვარი მტკიცებულებების მისაღებად – 20 ლარი, საქმის განხილვის უზრუნველსაყოფად მეორე ინსტანციის სასამართლოში სარჩელის, წერილობითი განცხადებების, წერილობითი შუამდგომლობების მომზადებაზე დახარჯული ცელულოზის ქაღალდის ფურცლებისათვის – 70 ლარის, სააპელაციო საჩივრისა და თანდართული დოკუმენტების, ასევე სხვა მტკიცებულებების ასლების მომზადებაზე გაღებული ხარჯებისათვის – 40 ლარის, მათ აკინძვაზე გახარჯული ლითონის ამკინძვით შეკვრაზე გაღებული ხარჯებისათვის – 0.10 ლარის, საქმის მასალების სასამართლოში გადაგზავნისას საფოსტო კავშირისათვის გაღებული დანახარჯის – 60 ლარის, საფოსტო კავშირისას მასალების საფოსტო კონვერტით შესაფუთად გაწეული დანახარჯის – 10 ლარის ანაზღაურებას; ასევე, მოთხოვნილია აპელანტების და მისი წარმომადგენლის სასამართლოში გამოცხადებისას, მათი გამოცხადების პერიოდში აუცილებელ კვებაზე გაწეული გაზრდილი დანახარჯების 100 ლარის ანაზღაურება, სასამართლოში მოცდენილი (დაკარგული) დროის ანაზღაურება, რაც 5 000 ლარს შეადგენს, საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების სააღსრულებო ორგანოში აღსრულების უზრუნველსაყოფად სააღსრულებო ხარჯის – 200 ლარის ანაზღაურება.

16.23. საქმეში წარმოდგენილია აპელანტების წერილობითი განცხადებები, სააპელაციო შესაგებელი აკინძული სახით, საქმის მასალებით ირკვევა ასევე საფოსტო კავშირის გამოყენების ფაქტი, ამასთან, საქმეში წარმოდგენილია მყიდველისა და ერთ-ერთი თავდები პირის – ა. ჯ-ას მიერ ი. პ-ის სახელზე სანოტარო წესით დამოწმებული რწმუნებულებები, საიდანაც ირკვევა, რომ თითოეული დოკუმენტის შედგენის-

თვის გადახდილია 13.80 ლარი, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტებს უნდა აუნაზღაურდეთ სანოტარო წესით დამოწმებული რწმუნებულების, დახარჯული ფურცლების, მათ ასაკინძად გაღებული ხარჯის, ასევე საფოსტო კონვერტის და მომსახურების საფასური 70 ლარი.

16.24. რაც შეეხება აპელანტების და მისი წარმომადგენლის სასამართლოში გამოცხადებისას, მათი გამოცხადების პერიოდში აუცილებელ კვებაზე გაწეულ ხარჯებს, სასამართლოში მოცდენილი (დაკარგული) დროის ანაზღაურებას, დავალების და იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების, ადვოკატის სახელზე შედგენილი განცხადების და სხვა დოკუმენტების სანოტარო წესით დამოწმებისათვის გაღებული სანოტარო ხარჯებს, ასევე სასამართლო გადანაცვეტილების ჩაბარების მიზნით გადაადგილების გამო ტრანსპორტირებაზე გაღებულ ხარჯს, მტკიცებულებათა მოძიება-მოპოვებაზე გაღებულ ხარჯს და გადანაცვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად გასანევ საალსრულებო ხარჯს, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულ ნაწილში მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, რადგან შუამდგომლობის ავტორის მიერ საქმეში სსსკ-ის 102-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით წარმოდგენილი არ ყოფილა ხარჯის განევის ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება. უფრო მეტიც, საქმის მასალებით არ დგინდებოდა აპელანტების სასამართლოში გამოცხადების დავალების და იურიდიული მომსახურების შესახებ წერილობითი დოკუმენტის, შედგენისა და მათი სანოტარო წესით დამოწმების ფაქტი, ადვოკატის სახელზე შედგენილი სხვა დოკუმენტების სანოტარო წესით დამოწმების ფაქტი, საქმეში ახალი მტკიცებულებების წარდგენის ფაქტი. რაც შეეხება წარმომადგენლის მიერ სასამართლოში გამოცხადების მიზნით გაღებულ ხარჯს (ტრანსპორტირება, კვება) და სასამართლოში მოცდენილი (დაკარგული) დროის ანაზღაურების მოთხოვნას, სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ხარჯი ადვოკატის დახმარებისთვის გაწეულ ხარჯებში შედის და ცალკე ანაზღაურებას არ ექვემდებარება. საგულისხმოა აღნიშნოს, რომ გასაჩივრებული გადანაცვეტილებით ადვოკატის მომსახურებისთვის გაწეული ხარჯის მოთხოვნა 259,70 ლარის ნაწილში, ხოლო წინამდებარე გადანაცვეტილებით 400 ლარის ნაწილში დაკმაყოფილდა.

17. საკასაციო საჩივრის საფუძვლები

17.1. მყიდველმა და სოლიდარულად თავდება პირებმა საკასაციო წესით გაასაჩივრეს სააპელაციო სასამართლოს გადანაცვეტილება და მოითხოვეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 6 მაისის შემაჯამებელი გადანაცვეტილება პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში სასამარ-

თლოსგარეშე პროცესის ხარჯების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და, საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადანყევტილების მიღებით, დაკმაყოფილდეს სარჩელითა და სააპელაციო საჩივრით (ასევე პროცესის ხარჯებზე სააპელაციო საჩივარსა და სააპელაციო შესაგებელში ჩამოყალიბებული შუამდგომლობებით) ამ ნაწილზე წარდგენილი მოთხოვნები; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 6 მაისის შემაჯამებელი გადაწყვეტილება, ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტის მოწვევაზე უარის თქმის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 23 თებერვლის საოქმო განჩინების ძალაში დატოვების შესახებ.

17.2. კასატორთა განმარტებით, წარმოდგენილ საქმეზე მყიდველმა თავდაპირველად აღიარებითი სარჩელი აღძრა და არ აღძრულა მიკუთვნებითი, აღსრულებითი სარჩელი. ნაცვლად ამისა, პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა არასწორად დაადგინეს აღიარებითი სარჩელის დროს სასამართლო და სასამართლოსგარეშე ხარჯების გაანგარიშების წესი და შედეგად არასწორად გამოთვალეს და გაანაწილეს მოდავე მხარეთა შორის პროცესის ხარჯების სახეობაში შემავალი სასამართლო და სასამართლოსგარეშე ხარჯები.

17.3. კასატორებს მიაჩნიათ, რომ სარჩელი არაქონებრივი დავიდან გამომდინარე და მოთხოვნილია ურთიერთობის არარსებობის აღიარება, რომლითაც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი ითხოვს სამართლებრივ განსაზღვრულობას, მისი კონკრეტული სამართლებრივი მდგომარეობის აღიარებას, სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობის აღიარებას, ხოლო მოგვიანებით აღძრული გამსხვისებელი საწარმოს სარჩელი ქონებრივი ხასიათის იყო, დავის ტიპის მიხედვით კი – მოთხოვნითი, რამეთუ მის მიერ მათ სარჩელზე მოპასუხეების (მყიდველისა და სოლიდარულად თავდები პირებისათვის) მიმართ წაყენებული იქნა ფულადი თანხის დაკისრებისა და სასამართლოს ძალით იძულებითი ამოღების მოთხოვნა. კასატორთა მტკიცებით, დაუშვებელი იყო ორივე ტიპის სარჩელზე ერთნაირად განხორციელებულიყო პროცესის ხარჯების – სასამართლო და სასამართლოსგარეშე პროცესის ხარჯების გამოთვლა რამაც სასამართლო ხარჯების გამოთვლის ნაწილში დააზარალა გამსხვისებელი საწარმო, ხოლო სასამართლოსგარეშე პროცესის ხარჯების ნაწილში – მყიდველი (მოსარჩელე). შეუძლებელია ამდაგვარი არაერთგვაროვანი ტიპის მოთხოვნები ერთი წესით გამოთვლილიყო პროცესის ხარჯების შეფასების დროს;

17.4. არასწორად იქნა გამოთვლილი მყიდველის სარჩელით აღძრული შუამდგომლობა ადვოკატის დახმარებაზე განეული ხარჯების ქონებრივი ტიპის დავიდან ანაზღაურებაზე და მოპასუხე საწარმოს, რო-

გორც მყიდველის სარჩელზე მოპასუხის და არა როგორც მოსარჩელის მიმართ არასწორად დადგინდა დამატებით სახელმწიფო ბაჟის დაკისრების საკითხი. ასევე, არასწორად დადგინდა გამსხვისებელი საწარმოს, როგორც მოსარჩელის, მიმართ სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი, რის გამოც გადანყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილებში უნდა გაუქმდეს და, საკასაციო სასამართლოში ახალი გადანყვეტილების მიღებით, სწორად უნდა განიხილდეს და გამოთვლილ იქნეს დასახელებული ხარჯები;

17.5. გასაჩივრებული გადანყვეტილებიდან დგინდება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ განიხილა მხოლოდ მ. ა-ას სარჩელით მოპასუხე საწარმოს წინააღმდეგ სარჩელით აღძრული შუამდგომლობა მყიდველის სარჩელზე ადვოკატის დახმარებაზე განეული ხარჯის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობა ნაწილობრივ დააკმაყოფილა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე და ფაქტების პრეზუმირებაზე მითითებით აღნიშნულზე რაიმე მტკიცებულების წარდგენის მიუხედავად, ვინაიდან მყიდველის სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა;

17.6. აღსანიშნავია, რომ მოპასუხე გამსხვისებელი საწარმოს სარჩელი სრულად უარყოფილია, ხოლო ამ სარჩელზე მოპასუხეების (მყიდველისა და სოლიდარულად თავდები პირების) მიერ სასამართლოში შუამდგომლობა ადვოკატის დახმარებაზე განეული ხარჯის ანაზღაურებასთან დაკავშირებით საერთოდ გადაუწყვეტელი დარჩა, მაშინ როდესაც ეს შუამდგომლობა წარდგენილი იქნა სასამართლოსათვის გამსხვისებელი საწარმოს სარჩელზე მოპასუხეთა მიერ აღძრული შუამდგომლობით;

17.7. კასატორი მოითხოვს, რომ საკასაციო სასამართლომ გააუქმოს სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 22 ივნისის შემაჯამებელი გადანყვეტილების ის უარყოფელი ნაწილი, რომლითაც საერთოდ არ იქნა განხილული საწარმოს სარჩელზე მოპასუხეების (მყიდველისა და სოლიდარულად თავდები პირების) შუამდგომლობა, საწარმოს მიერ მათ წინააღმდეგ დაყენებულ სარჩელზე კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის განევის გამო ადვოკატის დახმარებისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით და საკასაციო სასამართლომ ამ ნაწილის გაუქმებით უნდა მიიღოს გადანყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

17.8. მყიდველმა და სოლიდარულად თავდებმა პირებმა სარჩელითა და შესაგებლით მოითხოვეს, რომ მათ სასარგებლოდ, გამსხვისებელ საწარმოს დაჰკისრებოდა თითოეულისათვის, ინდივიდუალურად სასა-

მართლოსგარეშე პროცესის ხარჯის სახით საქმის განხილვის უზრუნველსაყოფად პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელის, შესაგებლის, წერილობითი განცხადებების, წერილობითი შუამდგომლობების მომზადებაზე დახარჯული ცელულოზის ქაღალდის ფურცლების ანაზღაურება, შესაგებლის, შუამდგომლობების და თანდართული დოკუმენტების, ასევე სხვა მტკიცებულებების ასლების მომზადებაზე გაღებული ხარჯების ანაზღაურება, მათ აკინძვაზე გახარჯული ლითონის ამკინძვით შეკვრაზე გაღებული ხარჯების ანაზღაურება, საქმის მასალების სასამართლოში გადაგზავნისას საფოსტო კავშირისათვის გაღებული დანახარჯის ანაზღაურება, საფოსტო კავშირისას მასალების საფოსტო კონვერტით შესაფუთად განეული დანახარჯის ანაზღაურება, სასამართლოში მოპასუხისა და მისი წარმომადგენლის სხდომებზე გამოცხადების უზრუნველსაყოფად ტრანსპორტირებისათვის განეული დანახარჯის ანაზღაურება, რაც სასამართლოს მიერ უარყოფილი იქნა;

17.9. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელებმა საქმის სანარმოებლად გასწიეს გარკვეული ხარჯები, რომლის გარეშეც საქმეში ვერ იქნებოდა წარმოდგენილი ფურცლები, ასლები, ფოსტით გამოგზავნილი საჩივრები, აკინძული მასალები და სხვა. ამდენად, მტკიცებულებათა შეფასების საქმიანობის პროცესში საქმეში დაცული უდავო მტკიცებულებების ერთობლივად შეფასების გზით უნდა გაირკვეს, სახეზე ხომ არ არის პრეზუმირებული ფაქტები, რითაც დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს გარკვეული ფაქტები და დამტკიცებულად არ უნდა იქნეს მიჩნეული მართოდენის ფაქტები, რომელთა შესახებ საქმეში წარმოდგენილია რაიმე სახის გამატერიალიზებული მტკიცებულება, გახარჯულ ნივთებზე და საქმეში მათ წარმოდგენაზე ფაქტი პრეზუმირებულია მოსარჩელის სასარგებლოდ;

17.11. იმის გათვალისწინებით, რომ მხარეს სურდა კანონით დადგენილი წესით შეემოწმებინა სასამართლო სხდომაზე ექსპერტიზის დასკვნა და კითხვები დაესვა მასთან დაკავშირებით, წარდგენილი იქნა შუამდგომლობა მისი მოწვევის თაობაზე, რაზედაც სასამართლომ უარი თქვა, იმ მოტივით, რომ წარმოდგენილი იყო ექსპერტიზის დასკვნა და საჭიროებას არ წარმოადგენდა ექსპერტის მოწვევა, რაც არასწორად მიაჩნიათ კასატორებს;

17.12. დაუსაბუთებელია სასამართლოს შეხედულება იმაზე, რომ ადვოკატისათვის გადახდილი საზღაური ასევე მოიცავს სასამართლოში ტრანსპორტირებაზე განეულ ხარჯებსაც. გაუგებარია სასამართლოს ამდაგვარი დასკვნა საიდან შეიძლება მიიღებოდეს, მაშინ როდესაც ეს მხოლოდ კლიენტსა და ადვოკატს შორის შეთანხმების საგანი შეიძლება იყოს; სასამართლოში ადვოკატის ტრანსპორტირებაზე განეული ხარჯი კლიენტის დანახარჯია, მის მიერ განეული უზრუნველყოფაა და ეს

ტვირთი კლიენტს აწვება, რის გამოც ყოვლად გაუმართლებელია სასამართლოში ადვოკატის ტრანსპორტირებაზე მხარის მიერ გაწეული ხარჯის ანაზღაურებაზე უარის თქმა, სამართლის ნორმის გარეშე და ალოგიკური მოსაზრებით;

17.13. კასატორები შუამდგომლობენ, მოწინააღმდეგე მხარეს, მათ სასარგებლოდ დამოუკიდებლად და ინდივიდუალურად დაეკისროს სასამართლოს გარეშე პროცესის ხარჯის ანაზღაურება საკასაციო ინსტანციის სასამართლოში ადვოკატის დახმარებისათვის 9 000 ლარი.

17.14. კასატორები შუამდგომლობენ, მოწინააღმდეგე მხარეს, მათ სასარგებლოდ ინდივიდუალურად დაეკისროს სასამართლოს გარეშე პროცესის ხარჯის სახით მოცემულ საქმეზე მინდობილობების, დავალების ხელშეკრულების, იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების, ადვოკატის სახელზე შედგენილი განცხადების და სხვა დოკუმენტების საწარმოო წესით დამოწმებისათვის გაღებული საწარმოო ხარჯი – 70 ლარი, საკასაციო საჩივრის სასამართლოში წარდგენის, საქმის განხილვისას აპელანტებისა და მისი წარმომადგენლების სასამართლო სხდომაზე გამოცხადების უზრუნველსაყოფად, სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების მიზნით გადაადგილების გამო ტრანსპორტირებაზე გაღებული ხარჯის – 100 ლარის მოსარჩელისათვის ანაზღაურება, მტკიცებულებათა მოძიება-მოპოვებაზე გაღებული ხარჯების ანაზღაურება, რაც აუცილებელი გახდა წერილობითი და სხვაგვარი მტკიცებულებების მისაღებად – 20 ლარი, საქმის განხილვის უზრუნველსაყოფად მე-3 ინსტანციის სასამართლოში საკასაციო საჩივრის, წერილობითი განცხადებების, წერილობითი შუამდგომლობების მომზადებაზე დახარჯული ცელულოზის ქაღალდის ფურცლებისათვის – 70 ლარის, საკასაციო საჩივრისა და თანდართული დოკუმენტების, ასევე სხვა მტკიცებულებების ასლების მომზადებაზე გაღებული ხარჯებისათვის – 40 ლარის, მათ აკინძვაზე გახარჯული ლითონის ამკინძვით შეკვრაზე გაღებული ხარჯებისათვის – 0.10 ლარის, საქმის მასალების სასამართლოში გადაგზავნისას საფოსტო კავშირისათვის გაღებული დანახარჯის – 60 ლარის, საფოსტო კავშირისას მასალების საფოსტო კონვერტით შესაფუთად გაწეული დანახარჯის – 10 ლარის, ასევე აპელანტების და მისი წარმომადგენლის სასამართლოში გამოცხადებისას, მათი გამოცხადების პერიოდში აუცილებელ კვებაზე გაწეული გაზრდილი დანახარჯების ანაზღაურება – 100 ლარის, სასამართლოში მოცდენილი (დაკარგული) დროის ანაზღაურება – 4 000 ლარის, საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების სააღსრულებო ორგანოში აღსრულების უზრუნველსაყოფად სააღსრულებო ხარჯის ანაზღაურება – 500 ლარის ოდენობით.

17.15. კასატორები შუამდგომლობენ, საკასაციო საჩივრისათვის სა-

ხელმწიფო ბაჟის გადახდისას საბანკო სერვისით მომსახურებაზე გა-
ნეული 1 ლარი დაეკისროს მონინალმდეგე მხარეს. შემაჯამებელი გა-
დანყვეტილების მიღებისას მონინალმდეგე მხარეს დაეკისროს სარ-
ჩელოზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სახით გაღებული პრო-
ცესის ხარჯი, სასამართლო ხარჯის სახით.

17.16. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გან-
ჩინებით სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების
საფუძველზე, საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი და მი-
ღებული არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაა-
ნალიზების, მხარეთა ახსნა-განმარტებების გამოკვლევისა და საკასა-
ციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითი განხილ-
ვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ წარმოდგენილი საკასაციო გა-
ნაცხადი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

18. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამარ-
თლო გადანყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში,
ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამარ-
თლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც
ასახულია სასამართლო გადანყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარ-
და ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-
ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები;
ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მი-
ერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდე-
ბულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის და-
საშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

19. საკასაციო სასამართლო, საკასაციო საჩივრის პრეტენზიების შე-
მონმებისას, უპირველეს ყოვლისა, იმას აღნიშნავს, რომ მხარეთა მიერ
საპროცესო უფლების განკარგვა მოიცავს, როგორც სარჩელის, ისე სა-
აპელაციო და საკასაციო საჩივრების აღძვრის შესაძლებლობას იმ მო-
ცულობითა და ფარგლებში, რაც საჩივრის ინიციატორ მხარეს ფაქტობ-
რივსამართლებრივი თვალსაზრისით დასაბუთებულად მიაჩნია. შესა-
ბამისად, თითოეულმა მხარემ თვითონ უნდა განსაზღვროს საპროცე-
სო უფლების განკარგვის საკითხი და შესადავებელი ფაქტობრივი და
სამართლებრივი გარემოებები.

20. „სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების
თავისებურება იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი ფასიანია, ე.ი. მხარეები
და მესამე პირები სახელმწიფოს სასარგებლოდ იხდიან ფულად თან-
ხებს ნებისმიერი იმ საპროცესო მოქმედების შესასრულებლად, რაც

სასამართლომ უნდა შეასრულოს“ (იხ. ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა / შევსებული და გადამუშავებული/, რედ. შენგელია რ., 2015, 230, გამომცემლობა „მერიდიანი“). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავი ეძღვნება პროცესის ხარჯებს. კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოსგარეშე ხარჯები. იმავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით განმარტებულია, თუ რას შეადგენს თითოეული მათგანი. კერძოდ, სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები, ხოლო სასამართლოსგარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის განეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად განეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები. სახელმწიფო ბაჟი წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტში სავალდებულო შესატანს. რაც შეეხება საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მათი ამომწურავი ჩამონათვალი მოცემულია საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლში, რომლის თანახმადაც, საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯებია: მოწმეების, სპეციალისტებისა და ექსპერტებისათვის მისაცემი თანხები; თარჯიმნად მოწვეული პირებისათვის მისაცემი თანხები; ადგილობრივ დათვალიერებებზე განეული ხარჯები; სასამართლოს დავალებით ფაქტების კონსტატაციაზე განეული ხარჯები; მოპასუხის მოძებნის ხარჯები; სასამართლო გადანაცვტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები; ადვოკატისათვის სახელმწიფო სალაროდან გადახდილი თანხები; სპეციალურ საექსპერტო დაწესებულებაში სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების ხარჯები. ამდენად, საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს იმ პირებისათვის ასანაზღაურებელ ხარჯებს, რომლებიც დახმარებას უწევენ სასამართლოს (მოწმეები, სპეციალისტები, ექსპერტები, თარჯიმნები და ა.შ.).

21. კასატორის ძირითადი პრეტენზია იმაში მდგომარეობს, რომ მოსარჩელემ აღიარებითი სარჩელი აღძრა და არა მიკუთვნებითი, სარჩელი არაქონებრივი დავიდან გამომდინარეობს და მოთხოვნილია ურთიერთობის არარსებობის აღიარება, რომლითაც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი ითხოვს სამართლებრივ განსაზღვრულობას, მისი კონკრეტული სამართლებრივი მდგომარეობის აღიარებას, სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობის აღიარებას; თავის მხრივ, გამსხვისებელი საწარმოს მიერ მოგვიანებით აღძრული სარჩელი ქონებრივი ხასიათის იყო, დავის ტიპის მიხედვით კი – მოთხოვნითი, კერძოდ გამსხვისებელი საწარმოს სარჩელზე მოპასუხეებისათვის (მყიდველისა და სოლიდარულად თავდები პირებისათვის) ნაყენებული იქნა ფულადი თანხის

დაკისრებისა და სასამართლოს ძალით იძულებითი ამოღების მოთხოვნა. კასატორის მტკიცებით, მცდარია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები, რომელთა საფუძველზე არასწორად გადანაწილდა მხარეთა შორის ხარჯები.

22. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ საქმეზე მოსარჩელემ (როგორც ავტომანქანის მყიდველმა) სარჩელი აღძრა ავტომანქანის გამსხვიებელი საწარმოს წინააღმდეგ და მოითხოვა, 2016 წლის 1 ივნისიდან აღიარებული იქნეს მყიდველსა და გამყიდველ საწარმოს შორის 2016 წლის 1 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან, საკრედიტო ხაზით უზრუნველყოფისა და გირავნობის შესახებ 2016 წლის პირველი ივნისის № 136980-თ ხელშეკრულებიდან, 2016 წლის პირველი ივნისის № 136980-თ სესხის ხელშეკრულებიდან, 2016 წლის პირველი ივნისის № 136980-თ სესხის გადაცემის შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობების არარსებობა. მხარეთა შორის არსებული ვალდებულებით სამართლებრივი მოთხოვნები ფულადი სახისაა და ქონებრივი ხასიათის, რაც იმას ნიშნავს, რომ მყიდველმა მის მიერ აღძრული სარჩელის საფუძველზე წარმატებულ სამართლებრივ შედეგს მიაღწია, ეს კი იმაში გამოიხატება, რომ მას არ დაეკისრება ფულადი მოთხოვნები, რომელიც გამსხვიებელთან მისი სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარეობდა. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელე მართლზომიერად გავიდა ხელშეკრულებიდან, რამაც გამოიწვია მისი მხრიდან ფულადი ვალდებულების შესრულება, რასაც საკასაციო სასამართლო სავსებით იზიარებს (იხ. წინამდებარე განჩინების 16.8 ქვეპუნქტი).

23. საკასაციო სასამართლო არაერთ გადანყვეტილებაში განმარტავს, რომ ქონებრივ-სამართლებრივი დავების დროს, მიუხედავად იმისა, თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა უდევს მას საფუძველად, საპროცესო მოთხოვნა მიმართულია ფულად თანხაზე, ფულადი ღირებულების მქონე ნივთებზე, ან უფლებებზე. საპროცესო მოთხოვნა განხილულ უნდა იქნეს ქონებრივ-სამართლებრივად იმ შემთხვევებში, როცა მას საფუძველად ქონებრივი ხასიათის სამართლებრივი ურთიერთობა უდევს, მიუხედავად იმისა, თუ რა სახის სარჩელი იქნა სასამართლოში წარდგენილი (აღიარებითი, მიკუთვნებითი თუ სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლისკენ მიმართული). ქონებრივ-სამართლებრივი ურთიერთობა არის ყველა ის ურთიერთობა, რომლის მიზანს წარმოადგენს მოგების მიღება ფულადი თანხით, ან ფულადი ღირებულების მქონე საგნების შენარჩუნება, ან შესაძლო ფულადი ვალდებულებისაგან გათავისუფლება. არაქონებრივ-სამართლებრივი დავების გამიჯვნა ქონებრივ-სამართლებრივი დავებისაგან ხდება გამოიწვევის მეთოდით და მოიცავს ყველა იმ შემთხვევას, რომელიც ქონებრივ-სამართლებ-

რივ დავას არ წარმოადგენს. არაქონებრივ-სამართლებრივია ყველა დავა, როდესაც საქმე ეხება მხოლოდ პირად ან მის სოციალურ გარემოსთან დაკავშირებულ უფლებებს ყოველგვარი ეკონომიკური სარჩულის გარეშე (იხ. სუსგ-ები: №ას-1155-1032-2010, 6.01.2011 წ.; №ას-1384-1306-2012, 26.11, 2012 წ.; №ას-1101-1050-2014, 6.02.2015წ.; №ას-148-140-2017, 18.01.2018წ.; №ას-322-322-2018მ 23.03.2020წ.; №ას-146-2020, 29.12.2020წ.).

24. საკასაციო სასამართლო ასევე სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მხარეთა სარჩელების განხილვა ერთი სასამართლო წარმოების ფარგლებში მოხდა, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია აპელანტების წარმომადგენლის რესურსის დაზოგვაზე და მიუთითებს წინამდებარე განჩინების 16.7 ქვეპუნქტში ასახულ დასაბუთებაზე. მართლმსაჯულების განხორციელების საპროცესო ეკონომიის პრინციპი ეფუძნება სამოქალაქო საპროცესო ნორმებს და განაპირობებს საქმის ეფექტურ განხილვას, რაც არა მხოლოდ სასამართლოს, არამედ მართლმსაჯულების მონაწილე პირთა (მხარეების, წარმომადგენლებისა და სხვათა) ინტელექტუალური და დროითი რესურსების დაზოგვას ემსახურება, ცხადია, მათივე ინტერესებისა და სამართალწარმოების ფუნდამენტური პრინციპების დაცვის სტანდარტით; ასევე უარყოფილია კასატორის პრეტენზია სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების იმ ნაწილში გაუქმების შესახებ, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 22 ივნისის შემაჯამებელი გადანყვეტილების, როგორც კასატორი უთითებს: „ის უარყოფელი ნაწილი, რომლითაც საერთოდ არ განხილულა საწარმოს სარჩელზე მოპასუხეების (მყიდველისა და სოლიდარულად თავდები პირების) შუამდგომლობა, საწარმოს მიერ მათ წინააღმდეგ დაყენებულ სარჩელზე კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის განწევის გამო ადვოკატის დახმარებისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით“ და კასატორის მოთხოვნა, რომ საკასაციო სასამართლომ ამ ნაწილის გაუქმებით უნდა მიიღოს გადანყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, უარყოფილია (შესაბამისად წინამდებარე განჩინების 17.6-17.8 ქვეპუნქტებში მითითებული საკასაციო პრეტენზიები უარყოფილია).

25. კასატორის პრეტენზიებთან დაკავშირებით, რომლებიც წინამდებარე განჩინების, შესაბამისად, 17.9.-17.10 და 17.3-17.7 ქვეპუნქტებშია ასახული, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან და სასამართლოს გარეშე ხარჯებთან. ადვოკატის დახმარებისათვის გაწეული ხარჯი წარმოადგენს სასამართლოს გარეშე ხარჯებს (სსსკ-ის 37-ე მუხლის მესამე ნაწილი). ამგვარი ხარჯების ოდენობა უნდა განი-

საზღვროს მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი ფაქტობრივად განეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე. ამგვარი მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლოს მხარის მოთხოვნის საფუძველზე თვითონაც შეუძლია გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობა, თუკი აშკარაა, რომ პირის უფლების დარღვევის აღკვეთის მიზნით ხარჯი გაღებულია (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „პინკოვა და პინკი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ“; შეად. სუსგ-ას №ას-792-1114-07, 11.01.2008). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, სასამართლომ მხარეს ხარჯების ანაზღაურება უნდა დააკისროს მხოლოდ იმ ოდენობით, როგორც ეს რეალურად და საჭიროებისამებრ იქნა გაღებული სამოქალაქო უფლების დარღვევის აღსაკვეთად (იხ. „ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ“). საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და დასკვნებს, რომლებიც 16.23-16.24 ქვეპუნქტებშია ასახული, ადვოკატის მომსახურებისთვის განეული ხარჯის მოთხოვნა პირველი ინსტანციის სასამართლომ 259,70 ლარის ნაწილში დააკმაყოფილა, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს მოთხოვნა 400 ლარის ნაწილში დაკმაყოფილდა. ცხადია, „ხარჯების ოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება რამდენიმე ინსტანციაში დავის მიმდინარეობის დროს და მისი ანაზღაურების ვალდებულება კი ეკისრება იმ მხარეს, რომლის მოქმედებამაც განაპირობა ამ ხარჯების არსებობა“, თუმცა, თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს, თუ რა რესურსია ფაქტობრივად დახარჯული ან რომელი გარემოებები იძლევიან მხარისათვის სასარგებლო პრეზუმფციის დაშვების შესაძლებლობას (იხ. სუსგ-ები: №ას-1771-1751-2012, 09.02.20126; №ას-148-140-2017, 18.01.20186.);

26. საკასაციო სასამართლო კასატორის ყურადღებას გაამახვილებს, რომ საქმისწარმოებასთან დაკავშირებით გარკვეული ხარჯების განევა პრეზუმირებულია, თუმცა, წარმატებული იურიდიული შედეგით დასრულებული საქმის მოწინააღმდეგე მხარეს ეკისრება არა ყოველგვარი ხარჯების ანაზღაურება, არამედ ის, რაც რეალურად არის განეული მხარის მიერ ან გონივრული შეფასების სტანდარტით ქმნის პრეზუმფციას, რომ დახარჯა მხარემ. კასატორის პრეტენზია, რომ სასამართლოში ადვოკატის ტრანსპორტირებაზე განეული ხარჯი კლიენტის დანახარჯია, მის მიერ განეული უზრუნველყოფა და ეს ტვირთი კლიენტს აწევა, რის გამოც ყოვლად გაუმართლებელია სასამართლოში ადვოკატის ტრანსპორტირებაზე მხარის მიერ განეული ხარჯის ანაზღაურებაზე უარის თქმა, სამართლის ნორმის გარეშე და ალოგიკური მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში არ არის გაზიარებული, რადგან მხარის

წარმომადგენელს (ადვოკატს) საკუთარი კლიენტის ინტერესების სა-
სარგებლოდ ევალება საქმისწარმოების მოსალოდნელი ხარჯების თა-
ობაზე კლიენტის ინფორმირება. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს
კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „ადვოკატი ვალდებუ-
ლია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარ-
ტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავში-
რებულია მისი საქმის წარმოებასთან“ (ასევე იხ. საქართველოს ადვო-
კატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ დამტკიცებული ადვოკატთა
პროფესიული ეთიკის კოდექსის (შემდეგში: აპეკ) 8.6 მუხლი). სსკ-ის
713-ე მუხლი ადგენს ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას, კერ-
ძოდ, „1. რწმუნებული მოვალეა მისცეს მარწმუნებელს აუცილებელი
ინფორმაცია, ხოლო მისი მოთხოვნით – მიაწოდოს ცნობები დავალების
შესრულების მიმდინარეობის შესახებ, შესრულების შემდეგ კი ჩააბა-
როს მას ანგარიში. 2. შეთანხმება, რომლითაც მომავალში შეიზღუდება
ან გამოირიცხება რწმუნებულის მოვალეობები ამ მუხლის პირველი ნა-
წილის მიხედვით, საჭიროებს წერილობით ფორმას“. „ერთ-ერთი მნიშ-
ვნელოვანი ვალდებულება, რომელიც ადვოკატს აკისრია კლიენტთან
ურთიერთობისას, არის მოსალოდნელი ხარჯების შესახებ კლიენტის
წინასწარი ინფორმირება. „მოსალოდნელი ხარჯები“ – ეს არის გამომუ-
შავებული ჰონორარის მიღმა არსებული ისეთი ტიპის ხარჯები, რომე-
ლიც უკავშირდება კლიენტის საქმის წარმოებას. მაგალითად, სახელ-
მწიფო ბაჟი, სანოტარო მომსახურების საფასური, ადმინისტრაციული
ორგანოებიდან დოკუმენტაციის გამოთხოვის/ქონების რეგისტრაციის
ან სხვა მომსახურებისათვის დადგენილი საფასური, ექსპერტიზის სა-
ფასური, დოკუმენტაციის გადათარგმნის საფასური, ტრანსპორტის სა-
ფასური, ფოსტის საფასური და სხვა დანარჩენი ხარჯი, რომელიც უკავ-
შირდება კლიენტის საქმის წარმოებას“ (იხ. იურიდიული ეთიკა, 2021წ.;
გვ. 372; რედ. ლორია ანა); ცხადია, საქმის წარმოებისათვის მოსალოდ-
ნელი ხარჯების ზუსტი გაანგარიშება ყოველთვის არ არის შესაძლებე-
ლი, მაგრამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის საფუძველზე საქმის
იურიდიული შედეგით წარმატებული მხარის უფლება, მოითხოვოს მო-
წინააღმდეგე მხარისათვის საქმეზე დახარჯული ფინანსური რესურ-
სების ანაზღაურება, არ გულისხმობს აბსტრაქტული და კონკრეტული
დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე მხარის მიერ მოთხოვნილი ნების-
მიერი თანხის, როგორც დახარჯულის, პრეზუმფციად მიჩნევას სასა-
მართლოს მხრიდან. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კო-
მისიის 2011 წლის 27 აგვისტოს გადანყვეტილებით დისციპლინურ საქ-
მეზე №034/11 განმარტებულია, რომ „ადვოკატის კანონისმიერი ვალ-
დებულებაა, კლიენტს განუმარტოს საქმისწარმოებასთან დაკავშირე-
ბული ყველა ფინანსური ვალდებულება, რაც იმას ნიშნავს, რომ კლიენ-

ტი წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული იმ ყველა შესაძლო ფინანსურ დანახარჯზე, რომლის გაღებაც მას შეიძლება მოუხდეს. ეს ვალდებულება ნიშნავს, რომ ადვოკატმა საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, დარწმუნებულიც რომ იყოს საქმის წარმატებულ შედეგში, უნდა განჭვრიტოს ყველა ის გარემოება, რომელიც შესაძლოა, გონივრული განსჯის შედეგად წინასწარ იქნეს შეფასებული როგორც რისკი“. აპეკის 8.12 მუხლის მიხედვით „ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით“. „ეს ნორმა აწესებს ადვოკატის ვალდებულებას, აწარმოოს ხარჯთაღრიცხვა, მიუხედავად იმისა, კლიენტი ითხოვს თუ არა ამას. მართალია, ანგარიშგების წარდგენის ვალდებულება ადვოკატს მხოლოდ კლიენტის მოთხოვნის შემდეგ წარმოეშობა, მაგრამ ეს არ ერცელდება ხარჯთაღრიცხვის წარმოების ვალდებულებაზე. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, ფიდუციური ვალდებულების დარღვევა დადგინა საქმეზე, სადაც ადვოკატმა არ აწარმოა ხარჯთაღრიცხვა კლიენტის საქმეზე, მიუხედავად იმისა, რომ კლიენტს წინასწარ არ მოუთხოვია ადვოკატისაგან აღნიშნული. ადვოკატის მიერ ხარჯთაღრიცხვის წარმოების შესახებ ვალდებულების შესრულება არ არის დაკავშირებული კლიენტის მოთხოვნასთან. მიუხედავად იმისა, კლიენტი მოითხოვს თუ არა ამას, ადვოკატს საწმისწარმოების პროცესში ევალეზა ხარჯთაღრიცხვის წარმოების ვალდებულების შესრულება. შესაბამისად, ადვოკატის მიერ საქმისწარმოების ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება წარმოიშობა არა კლიენტის მოთხოვნის მომენტიდან, არამედ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების მომენტიდან“ (იხ. იურიდიული ეთიკა, 2021წ.; გვ. 381-382; რედ. ლორია ანა).

27. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობიდან გამომდინარე ეთიკური ვალდებულებები, რაც დავალების ხელშეკრულების ფარგლებში უმნიშვნელოვანესია მარწმუნებლისა და რწმუნებულის შეთანხმებისათვის, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე კი საქმეზე განეული ფინანსური დანახარჯების ზედმინეწვით და მონესრიგებულად აღრიცხვა (განეული ხარჯების დოკუმენტაციის შეწახვა) შესაძლებლობას აძლევს მხარეს, დასაბუთებული შუამდგომლობა წარუდგინოს სასამართლოს კონკრეტული დოკუმენტაციის თანხლებით, რომელიც თითოეულ საქმეზე განეულ ფაქტობრივ ხარჯებს ასახავს მტკიცებულებების საფუძველზე და ასეთ ვითარებაში, სასამართლოს ეძლევა შესაძლებლობა, შეამოწმოს შუამდგომლობის ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთებულობა და გადაწყვეტილება მიიღოს არა მხოლოდ პრეზუმირებული გარემოებების, არამედ დადასტურებული დოკუმენტაციის საფუძველზე. ამდენად, კასატო-

რის წარმომადგენლის პრეტენზია, რომ თითქოსდა სააპელაციომ სასამართლოს ალოგიკური და სამართლებრივად დაუსაბუთებელი მსჯელობა აქვს განვითარებული მხარის მიერ წარდგენილ შუამდგომლობასთან დაკავშირებით, არ არის გაზიარებული.

28. საკასაციო სასამართლო ადვოკატის ჰონორართან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ განვითარებულ მსჯელობას სავესებით იზიარებს და ამ შემთხვევაშიც აპეკ-ის 8.8 მუხლზე გაამახვილებს ყურადღებას, რომლის მიხედვით ადვოკატის ანაზღაურების (ჰონორარის) გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის. ცხადია, ამ შემთხვევაში სასამართლო ჰონორარის გადაუხდელობის გამო დავას არ იხილავს, მაგრამ ჰონორარის მკაფიოდ და კლიენტისათვის მისაღები წესით განსაზღვრის ვალდებულების შესრულება, კლიენტის გარდა, თვით ადვოკატის ინტერესსაც ემსახურება, რადგან ასეთ ვითარებაში განსაზღვრულია კლიენტის მიერ გასანევი თუ განეული ხარჯი, რაც ადვოკატის ჰონორარს წარმოადგენს და წარმატებული სამართალწარმოების შედეგად მოწინააღმდეგე მხარისათვის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით კონკრეტული ჰონორარის დაკისრების მოთხოვნის ფაქტობრივ წინაპირობას ცხადად წარმოაჩენს სასამართლოს წინაშე (შეად. სუსგ-ებს: №ას-1161-1116-2016, 12.10.2017წ; №ას-1117-2020, 25.03.2021წ.).

29. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს საკასაციო პრეტენზიაზე, რომელიც სასამართლოში მოცდენილი (დაკარგული) დროის ანაზღაურებას ეხება და კასატორის წარმომადგენლის მიერ 4000 ლარად არის შეფასებული (იხ. წინამდებარე განჩინების 7.16 ქვეპუნქტი). საკასაციო სასამართლო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლს მოიხმობს, რომლის საფუძველზე განმარტებულია, რომ საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: „ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების განევა, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას“. ამასთან, ადვოკატის, როგორც თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლის, უფლებამოსილებას განეკუთვნება კონკრეტული საქმის წარმოებაზე დათანხმება/უარის თქმა, რაც თანხმობის შემთხვევაში ადვოკატ-კლიენტის შეთანხმებას (ზეპირ ან წერილობით ხელშეკრულებას) ეფუძნება და დავალების მომწესრიგე-

ბელი ნორმებით რეგულირდება. შესაბამისად, კასატორის წარმომადგენლის მოთხოვნა „სასამართლოში მოცდენილი (დაკარგული) დროის“ ფულადი ეკვივალენტით ანაზღაურებაზე ფაქტობრივად დაუსაბუთებელია, რადგან დავალების ფარგლებში განსახორციელებელი მოქმედებებისათვის გარკვეული დროითი რესურსის დახარჯვა (ზოგჯერ წინასწარ გაუთვლელი მოცულობითაც კი) ადვოკატის პროფესიული საქმიანობის ნაწილია და ვერ დაკვალიფიცირდება იძულებით (დაკარგულ) დროდ, მათ შორის ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც სასამართლოს მიერ განსაზღვრულ დღესა და საათზე ადვოკატი გამოცხადდება სასამართლო სხდომაზე, თუმცა, სხდომა გადაიდება სხვა ან განუსაზღვრელი დროისათვის. რაც შეეხება კლიენტის საქმეზე დახარჯული დროის ანაზღაურებას, ეს ადვოკატ-კლიენტის შეთანხმების ფარგლებში უნდა მოწესრიგდეს და საამისოდ არსებობს გამოთვლის სხვადასხვა სისტემა, რომელიც შესაძლოა ერთ შემთხვევაში საათობრივ ანაზღაურებას ემყარებოდეს, მეორე შემთხვევაში – ფიქსირებულ თანხას (რაც, თავის მხრივ, სამართალწარმოების პროცესუალური ეტაპებისა და სასამართლოს ინსტანციების, ასევე სხვადასხვა კომპონენტის მიხედვით შეიძლება დაიყოს, გადანაწილდეს, დაჯგუფდეს) და ა.შ. „პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ადვოკატი სამართლებრივი მომსახურების ხელშეკრულებაში უთითებს მის მიერ გასაწევი იურიდიული მომსახურებისათვის გათვალისწინებულ ჰონორარს, თუმცა არ აკონკრეტებს, რა ფარგლებში სთავაზობს კლიენტს მომსახურებას. მომსახურების ფარგლების განსაზღვრა ხშირად გამხდარა დავის საგანი ადვოკატ-კლიენტს შორის. ეთიკური სტანდარტებით, კლიენტისათვის წინასწარ უნდა იყოს ცნობილი, თუ რა მომსახურებას სთავაზობს ადვოკატი მას შეთავაზებულ ჰონორარში. აღნიშნული ინფორმაციის მიუწოდებლობა ჩაითვლება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ჰონორარის ოდენობისა და მისი გამოთვლის წესის შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულების (მუხლი 8.8) დარღვევად“ (იხ. იურიდიული ეთიკა, 2021 წ.; გვ. 364-372; რედ. ლორია ანა).

30. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში კლიენტის საქმეზე დახარჯული დრო, რომელიც სასამართლო სხდომაზე გამოცხადებას, პროცესის მსვლელობის დროს კლიენტის წარმომადგენლობის განევას ან სხდომის გადადებას უკავშირდება, ვერ დაკვალიფიცირდება იძულებით (დაკარგულ) დროდ. ადვოკატის პროფესიული კანონისმიერი და ეთიკური ვალდებულებათა, პროფესიული კომპეტენტურობით, კეთილსინდისიერად დაიცვას კლიენტის საუკეთესო ინტერესები და კლიენტის ინტერესებზე წინ ვერ დააყენებს ვერც პირად, ვერც პროფესიის ინტერესებს (იხ. აპეკ-ის მე-5 მუხლი). ამდენად, ამ ნაწილშიც დაუსაბუთებელია საკასაციო პრეტენზია.

31. კასატორი იმაზეც დავობს, რომ მას სურდა კანონით დადგენილი წესით შეემოწმებინა სასამართლო სხდომაზე ექსპერტიზის დასკვნა და კითხვები დაესვა ამასთან დაკავშირებით, რაზედაც წარდგენილი იქნა შუამდგომლობა ექსპერტის მოწვევის თაობაზე, თუმცა, სასამართლომ უარი თქვა, იმ მოტივით, რომ საქმეში წარმოდგენილი იყო ექსპერტიზის დასკვნა და ექსპერტის მოწვევის საჭიროება არ გამოვლინდა (იხ. წინამდებარე განჩინების 7.12. ქვეპუნქტი); ეს საკასაციო პრეტენზია (სასამართლოს 2018 წლის 23 თებერვლის საოქმო განჩინების შესახებ) სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების საკასაციო წესით სადავო ნაწილის იურიდიულ შედეგზე ვერ ახდენს გავლენას და ამ თვალსაზრისით მოცემულ საქმეზე სამართლებრივად უმნიშვნელოა, თუმცა, ასეც რომ არ იყოს, თითოეულ შუამდგომლობას ინდივიდუალურად იხილავს სასამართლო და მისი დაკმაყოფილების თუ უარყოფის შემთხვევაში კონკრეტულ ფაქტობრივ-სამართლებრივ მოტივაციას ემყარება, შესაბამისად, მარტოოდენ მხარის მოსაზრება, სურვილი სამართლებრივად არ არის საკმარისი საიმისოდ რომ უპირობოდ იქნეს გაზიარებული მხარის შუამდგომლობის არგუმენტაცია (იხ. სსსკ-ის 215-ე მუხლი).

32. საკასაციო სასამართლო საქმის არსებითად განხილვის შედეგადაც ვერ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კასატორს დასაბუთებული პრეტენზიები აქვს წარმოდგენილი და უარყოფილია საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილება, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების საფუძველს წარმოადგენს (საკასაციო საჩივრის დაუკმაყოფილებლობის გამო არ დაკმაყოფილდა სხვა სასამართლო და სასამართლოს გარეშე ხარჯების დაკმაყოფილების შესახებ წარმოდგენილი საკასაციო მოთხოვნაც).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. მ. ა-ას, ლ. კ-ის და ა. ჯ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. საპროცესო თანამონაწილეობა

თანამონაწილეობის საფუძვლები

ბანკინება საქართველოს სახალხო

№ას-231-2021

16 მარტი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ხელშეკრულებების ბათილად ცნობა, პირვანდელი
მდგომარეობის აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 04
სექტემბრის 4/4-709 დადგენილებით დარეგისტრირებული შეზღუდუ-
ლი პასუხიმგებლობის საზოგადოება „ე-ის“ დამფუძნებელ პარტნიო-
რებს წარმოადგენდნენ: ს.კ.კ-ი, ზ. ა-ძე, მ. ს-ი (შემდგომში – „მოსარჩე-
ლე“), დ. ზ-ი, ც. ხ-ი. შპს „ე-ი“ წარმოადგენს 1994 წლის 18 ოქტომბერს
№4-08/739 დადგენილებით რეგისტრირებული სავაჭრო ფირმა „ე-ის“
სამართალმემკვიდრეს.

2. შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოების სანესდებო კაპი-
ტალი შეადგენდა 90 600 ლარს, საიდანაც შპს „ე-ის“ სანესდებო ფონ-
დში კინემატოგრაფისტთა კავშირის შენატანად განისაზღვრა სავაჭ-
რო-საწარმოო ფირმა „ე-ის“ ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალე-
ბანი (შენობა და მოწყობილობები) არაფულადი შენატანის სახით, რო-
მელიც იყო შპს „ე-ის“ სანესდებო კაპიტალის 50%. საწარმოს განვითა-
რებისათვის საჭირო ინვესტიციების მოზიდვის, ასევე შპს „ე-ის“ შრო-
მითი კოლექტივის სამეურნეო აქტივობებისა და ინტერესების გაზრდის
მიზნით, შპს „ე-ის“ თანადაფუძნებლებად შეყვანილ იქნენ კოლექტი-
ვის წარმომადგენელი ფიზიკური პირები სანესდებო კაპიტალში საერ-
თო წილით – 50%.

3. შპს „ე-ის“ 1998 წლის 20 იანვრის №3 კრების ოქმით დადგინდა,
რომ შპს „ე-ის“ სანესდებო კაპიტალის ქონებით შევსება მოხდა მხო-
ლოდ ორი ფიზიკური პირის – ზ. ა-ძისა და მ. ს-ის მიერ, რაც დადასტურ-
და ც. ხ-ისა და დ. ზ-ის მიერ, რის შედეგად საზოგადოების პარტნიორე-

ბი ც. ხ-ლი და დ. ზ-ლი გავიდნენ საზოგადოებიდან და საწესდებო კაპიტალში (90 600 ლარი) შესაბამისი 13% და 12% გადასცეს მ. ს-შა და ზ. ა-ძეს, თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 02 მაისის დადგენილების თანახმად. აღნიშნულის შემდეგ საზოგადოების დამფუძნებელ პარტნიორებზე წილები განაწილდა შემდეგნაირად: ს.კ.კ-ი – საწესდებო კაპიტალის 50% – 45 300 ლარი, ზ. ა-ძე – საწესდებო კაპიტალის 25% – 22 650 ლარი, მ. ს-ი – საწესდებო კაპიტალის 25% – 22 650 ლარი. საზოგადოების დირექტორად დაინიშნა ზ. ა-ძე.

4. ს.კ.კ-ისა და შპს „ე-ის“ კუთვნილი ტერიტორიების გამიჯვნის აქტით (1999 წლის 12 თებერვალი) შპს „ე-ს“ კაპიტალის 50%-ის შევსებისათვის გადაეცა შემდეგი უძრავი ქონება: რესტორნის დარბაზები, სათავსო და ანტრესოლი, სამზარეულო, სარდაფები და თაღედი.

5. სასამართლოს 2001 წლის 02 აპრილის გადაწყვეტილების საფუძველზე, საჯარო რეესტრს დაევალა ქ. თბილისში, ... მდებარე არასაცხოვრებელი ფართის აღრიცხვა შპს „ე-ის“ სახელზე. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს მიწის მართვის დეპარტამენტმა ცვლილება შეიტანა საჯარო რეესტრის სააღრიცხვო ბარათში. 2011 წელს საჯარო რეესტრში შპს „ე-ის“ საკუთრების უფლება დარეგისტრირდა ქ. თბილისში ... №2-ში (ს.კ. ...) მდებარე შენობა-ნაგებობის სარდაფ-სართულზე, პირველ სართულსა და ანტრესოლზე, საერთო ფართობით 799,16 კვ.მ.

6. მ. ს-მა 2011 წლის 19 ოქტომბერს შპს „ე-ის“ 25%-იანი წილი გადასცა ს.კ.კ-ს.

7. ზ. ა-ძემ 2011 წლის 24 ოქტომბერს თავისი წილი ასევე გადასცა ს.კ.კ-ს. ამასთან, ზ. ა-ძე გათავისუფლდა დირექტორის თანამდებობიდან და შპს „ე-ის“ დირექტორად დაინიშნა ე. შ-ა.

8. შპს „ე-სა“ და ა(ა)იპ „ს.კ.შ.კ-ს“ შორის 2012 წლის 03 ივლისს დაიდო საზოგადოების კაპიტალში უძრავი ქონების სახით განხორციელებული შენატანის პარტნიორისათვის უკან დაბრუნების ხელშეკრულება, რომლის თანახმად, შპს „ე-ის“ უძრავი ქონება გადაეცა ა(ა)იპ „ს.კ.შ.კ-ს“.

9. ა(ა)იპ „ს.კ.შ.კ-ის“ 2015 წლის 25 სექტემბრის რიგგარეშე ყრილობის №4 სხდომის ოქმის შესაბამისად, საზოგადოებას შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა „ს. კ-ა“ (შემდგომში – „მოპასუხე“).

10. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა: ბათილად იქნეს ცნობილი 2011 წლის 19 ოქტომბრის კრების ოქმი/წილის დათმობის ხელშეკრულება და აღდგენილ იქნეს პირვანდელი მდგომარეობა (მოსარჩელის შპს „ე-ის“ 25%-იანი წილის მფლობელ პარტნიორად აღდგენა); ბათილად იქნეს ცნობილი 2012 წლის 03 ივლისის ხელშეკრულება საზოგადოების კაპიტალში უძრავი ქონების სახით განხორციელებული შენატანის პარტნიორისათვის უკან დაბრუნ-

ნების შესახებ და აღდგენილ იქნეს პირვანდელი მდგომარეობა (შპს „ე-ისათვის“ უძრავი ქონების – ს.კ. ... დაბრუნება).

11. სარჩელის თანახმად, 2011 წლის ოქტომბერში შპს „ე-ის“ 25%-იანი წილის მფლობელი და დირექტორი ზ. ა-ძე, ასევე 25%-იანი წილის მფლობელი მ. ს-ი დაიბარეს იმდროინდელი სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდ) შენობაში, სადაც მათზე განხორციელდა ფსიქოლოგიური ზეწოლა ოჯახის წევრების ფიზიკური ლიკვიდაციის, ორივე პირის დაპატიმრებისა და წამების, ასევე, ფიზიკური ლიკვიდაციის მუქარით. თითოეული პირის დაკითხვა მიმდინარეობდა რამდენიმე დღის განმავლობაში, მათ შეზღუდული ჰქონდათ ადვოკატის დახმარებით სარგებლობის უფლება. მათ განუმარტეს, რომ უნდა დაეთმოთ შპს „ე-ის“ წილები მოპასუხის სასარგებლოდ სრულიად უსასყიდლოდ, რადგან ეს „სახელმწიფო ინტერესს“ წარმოადგენდა, სხვა შემთხვევაში ისინი მუქარას აღასრულებდნენ. აღნიშნულ მოვლენებს წინ უსწრებდა მოსარჩელის უთანხმოება ე. შ-ასთან – კ. შ. კ. თ-ის თავმჯდომარესთან, რომელიც უკმაყოფილებას გამოთქვამდა შპს „ე-ის“ სახელზე მისი კაპიტალის შესავსებად გადაცემული ქონების რეგისტრაციის თაობაზე, რაც 2011 წლის ივლისში განხორციელდა. დაკითხვისას მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული დაბარება და დაკითხვა ინიცირებული იყო ე. შ-ას მიერ, რომელიც მაშინდელი ხელისუფლების წევრებთან დაახლოებულ პირს წარმოადგენდა და უძრავი ქონების სრულად დასაკუთრების მიზანი ამოძრავებდა. რამდენიმე დღიანი ზეწოლის შემდეგ, ჯერ მოსარჩელემ 2011 წლის 19 ოქტომბერს უსასყიდლოდ გადასცა თავისი 25%-იანი წილი მოპასუხეს, ხოლო შემდგომ ზ. ა-ძემ – 2011 წლის 24 ოქტომბერს დათმო დირექტორის პოზიცია და ასევე უსასყიდლოდ გადასცა მოპასუხეს თავისი 25%-იანი წილი.

12. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო. მან სხვა გარემოებებთან ერთად, ასევე, მიუთითა სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობაზე.

13. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი 2011 წლის 19 ოქტომბრის წილის დათმობის ხელშეკრულება და შპს „ე-ის“ 25%-იანი წილი დაუბრუნდა მოსარჩელეს; ბათილად იქნა ცნობილი 2012 წლის 03 ივლისის ხელშეკრულება შპს „ე-ის“ სანესდებო კაპიტალში შენატანის პარტნიორისათვის უკან დაბრუნების შესახებ და შპს „ე-ის“ დაუბრუნდა ქ. თბილისში, ... ქ. №2-ში მდებარე უძრავი ქონება (ფართობი – 799 კვ.მ, ს.კ. ...).

14. მოპასუხემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინა სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უა-

რის თქმა მოითხოვა.

15. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 15 სექტემბრის საოქმო განჩინებით მოპასუხის წარმომადგენლის შუამდგომლობა შპს „ე-ის“ თანამოპასუხედ ჩაბმის თაობაზე დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ წინამდებარე საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების შედეგი გავლენას ახდენს შპს „ე-ის“ უფლება-მოვალეობებზე, ვინაიდან ის არის 2012 წლის 03 ივლისის სადავო ხელშეკრულების მონაწილე სუბიექტი, რაც სავალდებულოს ხდის საქმეში მის თანამოპასუხედ ჩაბმას.

16. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 21 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწლობრივ; გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

17. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-9 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

18. სააპელაციო სასამართლომ თავდაპირველად ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 2020 წლის 15 სექტემბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე დაკმაყოფილდა შპს „ე-ის“ წარმომადგენლის შუამდგომლობა კომპანიის თანამოპასუხედ ჩაბმასთან დაკავშირებით, რაც, სასამართლოს მოსაზრებით, პროცესუალური თვალსაზრისით საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენს.

19. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3, 178.2 მუხლებით და განმარტა, რომ დასახელებული სამართლებრივი ნორმების მიხედვით, მხარე თავად წყვეტს სარჩელის აღძვრის საკითხს და განსაზღვრავს დავის საგანს, შესაბამისად, იგი ვალდებულია დაასახელოს თავის მოთხოვნაზე პასუხისმგებელი პირები ანუ მოპასუხეები. მოპასუხეთა წრე უნდა იყოს განსაზღვრული და იდენტიფიცირებადი. მართალია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, მოსარჩელე საკუთარი შეხედულებით განსაზღვრავს დავის საგანს და მისი მოთხოვნის ადრესატს, თუმცა აღნიშნული დათქმა არ შეიცავს აბსოლუტურ ხასიათს, რადგან შეზღუდულია საპროცესო სამართლებრივი წინაპირობებით. მოპასუხის პროცესუალურ სტატუსს განსაზღვრავს არამარტო მოსარჩელის სურვილი, არამედ მოთხოვნის ადრესატის დამოკიდებულება მოსარჩელის დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების მიმართ და ის თუ, რამდენად ახდენს გავლენას მოპასუხის ინტერესებზე სასამართლოს გადაწყვეტილება.

20. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელე ითხოვს:

2011 წლის 19 ოქტომბრის კრების ოქმის/წილის დათმობის ხელშეკრულების ბათილად ცნობასა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის გზით, შპს „ე-ის“ 25% წილის მესაკუთრედ ცნობას; ასევე, საზოგადოების კაპიტალში უძრავი ქონების სახით განხორციელებული შენატანის პარტნიორისათვის უკან დაბრუნების შესახებ 2012 წლის 03 ივლისის ხელშეკრულების ბათილად ცნობას და შპს „ე-ისათვის“ უძრავი ქონების (ს.კ. ...) საკუთრებაში დაბრუნებას. საგულისხმოა, რომ 2012 წლის 03 ივლისის ხელშეკრულების მონაწილე სუბიექტი არის შპს „ე-ი“, ამასთან სარჩელით მოსარჩელე ითხოვს ქონების შპს „ე-ის“ საკუთრებაში აღრიცხვას, თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, მოსარჩელეს ის მოპასუხედ არ მიუთითებია. მოსარჩელემ მოპასუხედ დაასახელა სადავო გარიგების მონაწილე მხოლოდ ერთი მხარე, ხოლო შპს „ე-ი“ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას საქმეში მხარედ არ ყოფილა ჩაბმული, რითაც კომპანიას წაერთვა შესაძლებლობა, განსახილველი დავის ფარგლებში ემოქმედა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე და პირველი ინსტანციის სასამართლოში წარედგინა შესაბამისი მოსაზრებანი და მტკიცებულებები.

21. სააპელაციო პალატამ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24.1, 25.4, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2.1, 44-ე მუხლებზე დაყრდნობით მნიშვნელოვნად მიიჩნია განემარტა შემდეგი: ნებისმიერი, როგორც სამენარმეო, ისე არასამენარმეო იურიდიული პირი დამოუკიდებელი უფლებაუნარიანობის მატარებელი სამართალსუბიექტია, რომელიც საკუთარი სახელით მონაწილეობს სამოქალაქო ბრუნვაში და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და ამ გარიგებების საფუძველზე აგებს პასუხს მესამე პირთან წინაშე. იურიდიული პირი არის დამოუკიდებელი წარმონაქმნი, რომელიც დამოუკიდებლად მონაწილეობს სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ შპს „ე-ის“ ყოფილმა პარტნიორმა, მოსარჩელემ სარჩელი წარადგინა იმავე კომპანიის მოქმედი პარტნიორის, მოპასუხის წინააღმდეგ, აღნიშნული არ ცვლის მოსარჩელის ვალდებულებას მოპასუხედ დაასახელოს შპს „ე-ი“, როგორც სადავო სამართალურთიერთობის მონაწილე, მით უფრო იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ საქმეზე დამდგარი შედეგი პირდაპირ გავლენას ახდენს კომპანიის უფლება-მოვალეობებზე.

22. სააპელაციო სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ შპს „ე-თან“ დაკავშირებული ნებისმიერი სამართლებრივი შედეგის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია მისი მონაწილეობა, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, სსსკ-ს 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სახეზე იქნება სამომავლოდ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

23. სააპელაციო პალატის მითითებით, შპს „ე-ის“ თანამოპასუხედ ჩაბმისა და საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების სასარგებლოდ მეტყველებს არა მხოლოდ საპროცესო ეკონომიის საფუძვლები, არამედ შემდგომი პროცესების თავიდან აცილება და მოთხოვნის გამორიცხვის რისკის შემცირებაც.

24. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ წარადგინა საკასაციო საჩივარი, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნება მოითხოვა.

25. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

25.1. გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებული საპროცესო გარემოებები არ წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველს. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლომ თავად ჩააბა საქმეში მხარედ შპს „ე-ი“ და ამ ეტაპიდან მას ჰქონდა შესაძლებლობა განეხორციელებინა მისი უფლება-მოვალეობები, თუმცა მან უარყო აღნიშნული და დაადასტურა, რომ მისთვის ცნობილი იყო ყველა გარემოება, ყველა მტკიცებულება და როგორც მხარეს, არ სჭირდებოდა დამატებითი დრო პროცესში მონაწილეობის მისაღებად. აღნიშნული დასტურდება საოქმო ჩანაწერებით;

25.2. მოსარჩელე დაეთანხმა შპს „ე-ის“ განცხადებას თანამოპასუხედ ჩართვის თაობაზე (რადგან დავის საგანი ეხება მის უფლება-მოვალეობებს ქონების მიკუთვნების ნაწილში) იმ რისკის თავიდან ასაცილებლად, რომ არ მომხდარიყო გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოება გაგრძელებულიყო, მიუხედავად იმისა, რომ შპს „ე-ისათვის“ და ასევე მისი დირექტორისათვის, ე. შ-ასთვის თავიდანვე ცნობილი იყო აღნიშნული დავის თაობაზე, იგი მოწმედაც იყო დაბარებული სასამართლოში და მისცა ჩვენება საქმის გარშემო;

25.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება უკანონოა. სხვა შემთხვევაში აზრს კარგავს სააპელაციო სასამართლოს მიერ შპს „ე-ის“ მხარედ ჩაბმა, რადგან ამ შემთხვევაში მას არ უნდა ჩაება იგი მოპასუხედ და გაუქმებინა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სწორედ ამ მოტივით. თუმცა, უკვე ჩართულზე საქმე უნდა გაგრძელებულიყო, შეეფასებინა აპელაციის კანონიერება, მიეცა სამართლებრივი შეფასება და გამოეტანა არსებითი გადაწყვეტილება საქმეზე;

25.4. კასატორის მოსაზრებით, პირველ ინსტანციის სასამართლოში საქმის უკან დაბრუნებით სრულიად დაუსაბუთებლად ხდება სასამართლოს მიერ საქმის გაჭიანურება.

26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 14 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

27. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელის პირველ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით – 2011 წლის 19 ოქტომბრის წილის დათმობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და შპს „ე-ის“ 25%-იანი წილის მოსარჩელი-სათვის დაბრუნების თაობაზე – გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას; ხოლო, დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელი.

28. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია თანამოპასუხის ჩაბმის მოტივით წინამდებარე საქმის ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების მართლზომიერება.

29. კასატორი დავობს, რომ საქმეში თანამოპასუხის ჩართვა არ წარმოადგენდა საქმის ხელახლა განსახილველად ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების საფუძველს, ვინაიდან თანამოპასუხისათვის ცნობილი იყო საქმის გარემოებებისა და მტკიცებულებების შესახებ და მან თავად განაცხადა, რომ არ სჭირდებოდა დამატებითი დრო პროცესში მონაწილეობის მისაღებად.

30. საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ იზიარებს კასატორის პრეტენზიას და მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი არსებობს მხოლოდ მეორე სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებით.

31. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად (სსსკ-ის 2.1 მუხლი). სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში განმტკიცებული დისპოზიციურობის პრინციპის მი-

ხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ (სსსკ-ის 3.1 მუხლი). მოცემული ნორმა ნების ავტონომიის საპროცესო გამოხატულებაა, რაც ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას, განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. დისპოზიციურობის პრინციპზე დაყრდნობით ყოველი პირი, რომელსაც მიაჩნია, რომ დაირღვა მისი უფლება, თავად წყვეტს ამ უფლების სასამართლო წესით დაცვის საკითხს საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, თავად განსაზღვრავს დავის საგანს და იმას, თუ რა ფაქტებსა და გარემოებებზე დაამყაროს მოთხოვნა.

32. დისპოზიციურობის პრინციპის გამოვლინებას წარმოადგენს არამართო მოსარჩელის უფლება, განსაზღვროს დავის საგანი, არამედ გადაწყვიტოს ისიც, თუ ვის მიმართ წარადგინოს მოთხოვნა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სარჩელში, სხვა რეკვიზიტებთან ერთად, სავალდებულოა ასევე მოპასუხის სახელის, გვარისა (სახელწოდება) და მისამართის აღნიშვნა.

33. ამდენად, დისპოზიციურობა ასევე გულისხმობს ყოველი პირის შესაძლებლობას, თავად გადაწყვიტოს, ვის მიმართ წარადგინოს პრეტენზია თავისი დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვის შესახებ (იხ. სუსგ საქმე №ას-1338-1258-2017, 29 ნოემბერი, 2017 წელი). სუბსუმცია, ანუ ფაქტობრივი გარემოებების მიმართ სამართლებრივი ნორმის შეფარდება მოიცავს პროცესს, რომლის ფარგლებში უნდა გაეცეს კითხვებს პასუხი: ვინ ითხოვს? რას? ვისგან? რის საფუძველზე? შესაბამისად, მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმება სწორედ დავის საგნის განსაზღვრითა და მოთხოვნაზე პასუხისმგებელი პირის დადგენით იწყება. თუ სასარჩელო მოთხოვნა აღნიშნულ მოთხოვნაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ არ იქნა წარდგენილი, სარჩელი არ დაკმაყოფილდება. (იხ. ქ. მესხიშვილი, ჰაგენლოხი / ალავიძე / ბაქაქური / ბერეკაშვილი / გასიტაშვილი / თოდუა / მესხიშვილი / ქათამაძე / ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (რჩეული მუხლები), GIZ, თბილისი, 2020, გვ. 58).

34. ერთადერთი გამონაკლისი, როდესაც სასამართლო მოპასუხეთა წრის შერჩევაში ერევა, სავალდებულო თანამოპასუხეობაა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთად რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, თუ: ა) სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება; ბ) სასარჩელო მოთხოვნა

ნები გამომდინარეობს ერთი და იმავე საფუძვლებიდან; გ) სასარჩელო მოთხოვნები ერთგვაროვანია, მიუხედავად იმისა, ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი და საგანი. ამასთან, აღნიშნული მუხლით რეგლამენტირებული საპროცესო თანამონაწილეობის საფუძველი (სავალდებულო თანამონაწილეობა) არ შეიძლება, განიმარტოს თანამონაწილეობის მატერიალური წინაპირობების გაუთვალისწინებლად. სავალდებულო თანამონაწილეობის შემთხვევაში, პირები ერთმანეთთან მატერიალურსამართლებრივი საფუძველით იმგვარად არიან დაკავშირებული, რომ სარჩელის საგანს საერთო უფლება წარმოადგენს, ხოლო, საპროცესოსამართლებრივი კუთხით, ერთ-ერთი მხარის გამოცხადება, გამორიცხავს მასთან სავალდებულოდ დაკავშირებული თანამონაწილის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას.

35. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის გარემოება, რომ თუ სავალდებულო თანამოპასუხის საქმეში ჩართვის საჭიროება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე გამოვლინდა, აღნიშნული გარემოება, როგორც წესი, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის პირველ ინსტანციაში დაბრუნების პროცესულურ წინაპირობას წარმოადგენს, რათა სავალდებულო თანამოპასუხედ ჩასართავ პირს სამინისტრაციური სასამართლო წარმოების შესაძლებლობა არ მოესპოს (იხ. ქ. მესხიშვილი, ჰაგენლოხი / ალავიძე / ბაქაქური / ბერეკაშვილი / გასიტაშვილი / თოდუა / მესხიშვილი / ქათამაძე / ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (რჩეული მუხლები), GIZ, თბილისი, 2020, გვ. 60).

36. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ა(ა)იპ „ს. კ-ის“ მიმართ. მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნებს წარმოადგენს: 2011 წლის 19 ოქტომბრის სხდომის ოქმის/წილის დათმობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა – მოსარჩელის შპს „ე-ის“ 25%-იანი წილის მესაკუთრეც ცნობა; ასევე, საზოგადოების კაპიტალში უძრავი ქონების სახით განხორციელებული შენატანის პარტნიორისათვის უკან დაბრუნების შესახებ ა(ა)იპ „ს.კ.შ.კ-სა“ (ამჟამად – ა(ა)იპ „ს. კ-ა“) და შპს „ე-ს“ შორის 2012 წლის 03 ივლისის დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა – უძრავი ქონების შპს „ე-ისათვის“ დაბრუნება. ამდენად, მეორე სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებით სახეზეა სავალდებულო თანამონაწილეობის შემთხვევა, ვინაიდან სადავო ხელშეკრულების მხარეს ა(ა)იპ „ს. კ-ასთან“ ერთად წარმოადგენს შპს „ე-ი“ და აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება გავლენას მოახდენს მის უფლება-მოვალეობებზე. შესაბამისად, შპს „ე-ის“ მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია მეორე სასარჩე-

ლო მოთხოვნის ნაწილში წინამდებარე საქმის განხილვა.

37. მიუხედავად აღნიშნულისა, სარჩელში შპს „ე-ი“ მოპასუხედ დასახელებული არ ყოფილა, იგი მხოლოდ სააპელაციო ინსტანციაში განხილვისას ჩაერთო საქმეში თანამოპასუხედ. შესაბამისად, მართებულია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ მას არ ჰქონია შესაძლებლობა, შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, სრულყოფილად ესარგებლა მისთვის მინიჭებული საპროცესო უფლებებით, რაც, ზემოაღნიშნული განმარტებებიდან გამომდინარე, მეორე სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების წინაპირობას წარმოადგენს.

38. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება მიმდინარეობს მხარეთა თანასწორობისა (სსსკ-ის მე-5 მუხლი) და შეჯიბრებითობის (სსსკ-ის მე-4 მუხლი) ფუნდამენტურ პრინციპებზე დაყრდნობით. სამოქალაქო პროცესში მხარეები ვალდებული არიან სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტურონ მათი პოზიციის გასამყარებლად მითითებული გარემოებების არსებობა (სსსკ-ის 102-ე მუხლი). მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. ამასთან, მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მხარეთა მიერ მათი მოთხოვნების დასასაბუთებლად და მითითებული ფაქტების დასამტკიცებლად საჭირო მტკიცებულებების წარდგენის საკმაოდ მკაცრად განერილ პროცედურას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მხარეები შეზღუდული არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული. გამოჩაკლის შემთხვევაში, კანონით დადგენილი წინაპირობების არსებობისას, დასაშვებია ახალი მტკიცებულების წარდგენა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოშიც (სსსკ-ის 380-ე მუხლი). ხოლო, საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარდგენა არ დაიშვება (სსსკ-ის 407.1 მუხლი).

39. ამდენად, სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვისას მხარეს შეზღუდული აქვს მისი მოთხოვნის დასასაბუთებლად თუ მეორე მხარის მოთხოვნის გასაქარწყლებლად საპროცესო კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა.

40. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასა-

მართლო მიიჩნევს, რომ მეორე სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განჩინება მართებულია და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი წინაპირობები.

41. რაც შეეხება პირველ სასარჩელო მოთხოვნას, სადავოა მ. ს-სა და ა(ა)იპ „ს.კ.შ.კ-ს“ შორის დადებული წილის დათმობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ამ უკანასკნელს გადაეცა მოსარჩელის კუთვნილი შპს „ე-ის“ 25%-იანი წილი. კერძოდ, მოსარჩელე ითხოვს აღნიშნული ხელშეკრულების ბათილად ცნობას და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას – შპს „ე-ის“ 25%-იანი წილის მესაკუთრედ ცნობას. შესაბამისად, ამ შემთხვევაში სახეზე არ არის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლით გათვალისწინებული საპროცესო თანამონაწილეობის საფუძველი (სავალდებულო თანამონაწილეობა), შპს „ე-ი“ არ არის სადავო გარიგების მხარე, ხოლო წინამდებარე დავაში თავიდანვე ხელშეკრულების ყველა მხარე იღებდა მონაწილეობას.

42. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პირველ სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებით სახეზე არ იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების წინაპირობა, სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა აღნიშნული მოთხოვნის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების მართებულობაზე და თავად მიეღო გადაწყვეტილება.

43. შესაბამისად, პირველ სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებით სახეზეა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძველი.

44. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. იმავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

45. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალა-

ტამიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს ნაწილობრივ და პირველი სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, ვინაიდან საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, თავად მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

46. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით.

47. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მ. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 21 სექტემბრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელის პირველ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება 2011 წლის 19 ოქტომბრის წილის დათმობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას და შპს „ე-ის“ 25%-იანი წილის მ. ს-ისათვის დაბრუნებას – გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს; ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 21 სექტემბრის განჩინება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი;
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. სარჩელის უზრუნველყოფა

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

განმარტება საქართველოს სახელით

№ას-450-2023

24 აპრილი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიჭაშვილი,
მ. ერემაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება, გადაწყვეტილებისა და ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი: სასარჩელო მოთხოვნა:

1. ა. ს-ვამ (შემდგომ – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ნ. ჯ-ის“ (შემდგომ – პირველი მოპასუხე), შპს „ს-ისა“ (შემდგომ – მეორე მოპასუხე) და შპს „შ-ის“ (შემდგომ – მესამე მოპასუხე) მიმართ და მოითხოვა: პირველი მოპასუხისათვის – 1 836 936.56 ლარის დაკისრება, ასევე, ძირითადი თანხის – 1 836 936.56 ლარის, პირგასამტეხლოს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.5%-ის (9184.68 ლარის) გადახდენება 2020 წლის პირველი ივლისიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაწყვეტილების აღსრულებამდე; მეორე მოპასუხის 2021 წლის 14 ივნისის №1 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა პირველი მოპასუხის კუთვნილი ქ. თბილისში, ... მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი №...) მეორე მოპასუხის კაპიტალში შეტანის შესახებ; პირველ და მესამე მოპასუხეებს შორის 2021 წლის 14 ივნისის ქ. თბილისში, ... მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი №...) ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, 2017-2020 წლის მაისამდე პირველი მოპასუხე შპს-ს მფლობელთან აკავშირებდა ახლო ურთიერთობა და გარკვეული პერიოდი მოსარჩელე იყო აღნიშნული კომპანიის ერთ-ერთი დირექტორი.

3. 2017 წლიდან პირველ მოპასუხეს შეექმნა ფინანსური პრობლემე-

ბი, რის გამოც მოსარჩელემ მას 2017 წლის პირველი იანვრიდან 2020 წლის 31 მაისამდე რამდენჯერმე ასესხა სულ 1 836 936.56 ლარი. 2019 წლის 31 დეკემბერს, მათ შორის შედგენილი შედარების აქტის თანახმად, მოსარჩელეს პირველი მოპასუხისათვის 2017 წლის პირველი იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე ნასესხები ჰქონდა 1 781 660.49 ლარი. 2020 წლის 31 მაისს შედგენილი მეორე შედარების აქტის მიხედვით, მოსარჩელეს 2017 წლის პირველი იანვრიდან 2020 წლის 31 მაისამდე პირველი მოპასუხისათვის ნასესხები ჰქონდა 1 836 936,56 ლარი.

4. მოსარჩელის მითითებით, საბანკო გადარიცხვების ქვითრების, მოსარჩელისა და სასამართლოს მიერ ბანკიდან გამოთხოვილი ინფორმაციების შესაბამისად ირკვევა, რომ სესხად აღიარებული თანხა ბანკმა მოსარჩელეს, როგორც პირველი მოპასუხის თავდებს 2018 წლის 30 აპრილიდან 2020 წლის 19 მაისამდე ჩამოაჭრა 1 051 403.84 ლარი, კრედიტის დასაფარად გადარიცხულია 55 589 ლარი, უშუალოდ პირველი მოპასუხის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხულ თანხაზე – 393 540 ლარზე, დანიშნულებად მითითებულია ნაშთის გატანა, თუმცა ამ გადარიცხვებით მოსარჩელეს თანხა ჩაერიცხა კომპანიის ანგარიშზე და არა გატანილად, 262 802 ლარის საბანკო გადარიცხვებზე მითითებულია ა. ს-ას ფინანსური დახმარება, თუმცა ამ შემთხვევაშიც, მოსარჩელის მიერ თანხა ჩარიცხულია კომპანიის საბანკო ანგარიშზე. მხარეთა შეთანხმებებით დანიშნულებაში არსებული უსწორობა გასწორებულია და ხსენებული თანხა, სხვა თანხებთან ერთად, აღიარებულია სესხად.

5. 2020 წლის 16 ივნისს მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის შედგა ვალის აღიარების შეთანხმება 2017 წლის პირველი იანვრიდან 2020 წლის 31 მაისამდე 1 836 936.56 ლარზე, 2020 წლის 30 ივნისის ჩათვლით გადახდის პირობით. 2020 წლის პირველი ივლისიდან პირველმა მოპასუხემ იკისრა ვალდებულება მოსარჩელისათვის პირგასამტეხლოს გადახდის თაობაზე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელო თანხის 0.5% სესხის სრულად დაფარვამდე. პირველი მოპასუხეს არსებული დავალიანება არ დაუფარავს.

6. მოსარჩელის განმარტებით, პირველმა მოპასუხემ, ვალდებულების შესრულებისაგან თავის არიდების მიზნით, თავისი უძრავი ქონებები ფიქტიურად, თვალთმაქცური გარიგებით გადააფორმა მეორე და მესამე მოპასუხეებზე, რაც ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

მოპასუხეების პოზიცია:

7. მოპასუხეებმა შესაგებლად სარჩელი არ ცნეს და მოითხოვეს მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლე-

გიის 2022 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

განმცხადებლის მოთხოვნა:

9. მოპასუხებმა შუამდგომლობით მიმართეს სააპელაციო სასამართლოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 18 აგვისტოს განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ და მოითხოვეს უზრუნველყოფის საშუალებად განისაზღვროს შემდეგი: 1. მეორე მოპასუხეს აეკრძალოს მის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების (მდებარე – ქ. თბილისი, ... №10ბ, უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: ...) გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა; 2. მესამე მოპასუხეს აეკრძალოს მის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების (მდებარე – ქ. თბილისი, ... №10გ, უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: ...) გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 17 მარტის განჩინებით მოპასუხეთა განცხადება დაკმაყოფილდა, ცვლილება შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 18 აგვისტოს განჩინებაში და განჩინების სარეზოლუციო ნაწილის 1.1. და 1.2. პუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: 1.1. მეორე მოპასუხეს აეკრძალოს მის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების (მდებარე – ქ. თბილისი, ... ქუჩა №10ბ, უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: ...) გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა; 1.2. მესამე მოპასუხეს აეკრძალოს მის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების (მდებარე – ქ. თბილისი, ... ქუჩა №10გ, უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: ...) გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

საჩივრის ავტორის მოთხოვნა:

11. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ წარადგინა საჩივარი შემდეგი საფუძვლებით:

12. საჩივრის ავტორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის გარემოებები და დაუსაბუთებლად მიიღო განჩინება გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ. სასარჩელო მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნილი ძირითადი თანხის ოდენობა შეადგენს 1 836 936,56 ლარს. თანხის მოცულობიდან გამომდინარე, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილება უზრუნველყოფის შეცვლის პირობებში ვერ აღსრულდება, რადგან მოცემულ უძრავ ქონებაზე არსებობს სხვა გარკვეული შეზღუდვებიც, რაც ასახულია მოპასუხე მხარის კუთვნილი უძრავი ქონების საჯარო რეესტრის ამონაწერებში. გარდა ამისა, მოპასუხე მხარე აპირებს უზრუნველყოფის ღონისძიებისა-

გან თავისუფალი ქონების დამატებით უფლებრივად დატვირთვას, რაც უფრო შეამცირებს ქონების საბაზრო ღირებულებას და შექმნის პრობლემებს სასამართლო გადანყევტილების აღსრულების პროცესში.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 5 აპრილის განჩინებით მოსარჩელის საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუსაბუთებლად და განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

14. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომ – სსსკ) 191-ე, 197¹-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება წარმოადგენს მოსარჩელისათვის მის სასარგებლოდ მიღებული გადანყევტილების აღსრულების გარანტიას, თუმცა, ამავდროს, ზღუდავს მოპასუხის კანონიერ უფლებას. შესაბამისად, ასეთი ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას, სასამართლომ უნდა დაიცვას მოდავე მხარეთა ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსი. შესაბამისად, დაუშვებელია მოპასუხის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა.

15. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 18 აგვისტოს განჩინებით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით გამოყენებულია სსსკ-ის 198-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიება – მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა, კერძოდ, მოპასუხეს აკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა.

16. სააპელაციო პალატამ დამატებით განმარტა, რომ გასაჩივრებულ განჩინებაში გამოყენებულ ტერმინს – „უფლებრივად დატვირთვა“ გააჩნია ფართო მნიშვნელობა და მოიცავს ყველა იმ უფლებას (სანივთო-სამართლებრივი და ვალდებულებით-სამართლებრივი), რომლითაც აღჭურვილია სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე სუბიექტი. პალატამ ასევე ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების სუბიექტები არიან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებული იურიდიული პირები, რომლებიც აქტიურად ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას, რაც მოიცავს სხვადასხვა ფორმით სამართლებრივ ურთიერთობებს კონკრეტულ სფეროში მოღვაწე სხვა იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებთან. სამეწარმეო საქმიანობის ეფექტურად განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია საწარმოს გააჩნდეს საკმარისი რესურსი აქტივების სახით (ფულადი სახსრები, ქონება და

სხვ.), ვინაიდან სამეწარმეო საქმიანობის მთავარ მიზანს წარმოადგენს მისი განმახორციელებელი სანარმოს მიერ მოგების მიღება. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც სანარმოს ქონებაზე რეგისტრირებულია სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, ფართო მოქმედების შეზღუდვა გასხვისებისა და უფლებრივად დატვირთვის აკრძალვის სახით, აღნიშნული იწვევს სამეწარმეო საქმიანობით დაკავებული პირის ფუნქციონირებისთვის არსებითად ხელის შეშლას, ვინაიდან მითითებული სახით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება სამართლებრივი შედეგებით უთანაბრდება ქონებაზე ყადაღის დადებას.

17. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხეთა განცხადების მოთხოვნა საფუძვლიანია და ემსახურება მოსარჩელისა და მოპასუხის ლეგიტიმური ინტერესების სამართლიან დაბალანსებას.

18. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებიდან გამომდინარე, სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს. „სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას დაცული უნდა იყოს სამართლიანი ბალანსი მოსარჩელის უფლებასა (უზრუნველყოს სასამართლო წესით სამომავლოდ დადასტურებული უფლების რეალიზაცია) და მოპასუხის ინტერესს (უზრუნველყოფის ღონისძიებამ გაუმართლებლად არ ხელყოს მისი, როგორც მოპასუხის უფლებები) შორის. უფლების დროებით შეზღუდვის დროს მნიშვნელოვანია გონივრული ბალანსის დაცვა დაცულ სიკეთესა და შეზღუდულ უფლებას შორის“ (შდრ. სუსგ 2015 წლის 6 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-114-107-2015).

19. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საჩივარი დაუსაბუთებელია და მისი დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

სამოტივაციო ნაწილი:

20. საკასაციო სასამართლო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებელი განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კი დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

21. სსსკ-ის 197¹-ე მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით. ამავდროულად კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინ-

ნებული წესების დაცვით.

22. საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს სააპელაციო პალატის განჩინების კანონშესაბამისობა იმ ნაწილში, რომლითაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ნაწილობრივ შეიცვალა.

23. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსსკ-ის 191-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე. უზრუნველყოფის ღონისძიების სახე კი შერჩეულ უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის გათვალისწინებით, რომლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, უზრუნველყოფის ერთ-ერთი ღონისძიებაა მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა.

24. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელეს, საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით, მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ამისათვის მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას რწმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის შესახებ. აღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია, რამდენადაც მსგავსი სახის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტს, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას, სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების

გარეშე შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულებდა საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება (მდრ: სუსგ №ას-258-2022, 17 მაისი, 2022; №ას-587-2019, 20 თებერვალი, 2020 წ.).

25. ამდენად, საკუთრების ნებისმიერი შეზღუდვის შემთხვევაში, შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხარის ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით. საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა იწვევდეს მესაკუთრის უფლებების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია; სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბ., 2004, 37.).

26. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მართლმსაჯულების სისტემის ეფექტურობა სამართლებრივი წესრიგის განმტკიცებასა და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნდამენტური ნიშანპირობაა. მართლმსაჯულების ეფექტურობა დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ, სამართლიან და დროულ სამართალწარმოებაში ჰპოვებს გამოხატულებას (იხ. შ.შმიტი, ჰ.რიჰტერი, მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2013, 3.). როგორი სწრაფიც არ უნდა იყოს მართლმსაჯულება, როგორი სამართლიანი და კანონიერიც არ უნდა იყოს სასამართლო გადაწყვეტილება, მართლმსაჯულების მიზნები და ამოცანები განუხორციელებელი რჩება, თუ არ მოხდება გადაწყვეტილების აღსრულება.

27. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დაცულია სამართლიანი სასამართლოს უფლება. ის განამტკიცებს კანონის უზენაესობის პრინციპს, რომელსაც ემყარება დემოკრატიული საზოგადოება და სასამართლოების უზენაესი როლი, განახორციელონ მართლმსაჯულება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში ხაზს უსვამს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მნიშვნელობას და განმარტავს, რომ „სასამართლოსათვის სარჩელის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება“ (იხ. „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, განაცხადი №40765/02; *Burdov v. Russia*, no. 59498/00, §34, ECHR 2002-III; *Hornsby v. Greece*, judgment of 19 March 1997, Reports of Judgments and Decisions 1997-II, p. 510, §40 Hornsby; *Mutishev and Others v. Bulgaria*, 18967/03, §129, 3 December 2009; *Antonetto v. Italy*, no. 15918/89,

§28, 20 July 2000).

28. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანს წარმოადგენს გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება, მოპასუხისათვის თავისი ქონების განკარგვის უფლების შეზღუდვის თუ კანონით გათვალისწინებული უზრუნველყოფის სხვა საშუალებების გამოყენების გზით“ (იხ. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი (მეორე გამოცემა), თბ., 2005, 299.). სასამართლო ამონებებს მხოლოდ, რამდენად შეუწყობს ხელს უზრუნველყოფის ღონისძიება მომავალი, მოსარჩელისათვის სავარაუდო გადაწყვეტილების დაცვას შესაძლო დაბრკოლებებისაგან აღსრულების ეტაპზე (შდრ: Beck'sche Kurz-Kommentare Band1, Zivilprozessordnung mit Gerichtsverfassungsgesetz und anderen Nebengesetzen. Begründet von Dr. Adolf Baumbach, Professor Dr. Wolfgang Lauterbach, Dr. Jan Albers, Dr. Dr. Peter Hartmann. Verlag C.H. Beck, München 2003, 2375.).

29. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან იმგვარი რეგულაციის შექმნის ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტურ აღსრულებას. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით „საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება... უნდა იყოს არა ილუზორული, არამედ ქმნიდეს პირის უფლებებში ჯეროვნად აღდგენის რეალურ შესაძლებლობას და წარმოადგენდეს უფლების დაცვის ეფექტურ საშუალებას“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/2/577 გადაწყვეტილება, II-30).

30. სსსკ-ის მე-2 მუხლის თანახმად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მან მოსარჩელის მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სამართლებრივი გარანტიები შექმნას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხი დგება, როცა საჭიროა კანონის ეფექტურობის უზრუნველყოფა.

31. „მიუხედავად სამართლიანი სასამართლოს უფლების უდიდესი მნიშვნელობისა, იგი არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და შეიძლება შეიზღუდოს გარკვეული პირობებით, რაც გამართლებული იქნება დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური საჯარო ინტერესით“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: №1/2/466.). „უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო

(ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია, ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №3/1/512).

32. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მაქსიმალურად გათვალისწინებული უნდა იქნეს ორივე მხარის კანონიერი ინტერესი. დავის საგნის დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე, რითაც ხდება მოსარჩელის კანონიერი ინტერესის რეალიზაცია და მისი სარჩელის უზრუნველყოფა, არ უნდა მოხდეს მოპასუხე მხარის კანონიერი ინტერესის უპირობო და ცალსახა შელახვა, არამედ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება უნდა განხორციელდეს მოპასუხე მხარის კანონიერი ინტერესის გონივრულ ფარგლებში შეზღუდვა-შევიწროებით და იმ ოდენობით, რაც აუცილებელია მოსარჩელის კანონიერი ინტერესის დაცულობისთვის. იმისათვის, რომ მოხდეს მხარეთა ინტერესების დაბალანსება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს არაადეკვატური, არათანაზომიერი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

33. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კანონი ყოველთვის არ იძლევა იმის საშუალებას, მოსამართლემ შეძლოს ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც დაცული იქნება ორივე მხარის, როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის ინტერესები [თანაზომიერების პრინციპი], მოსარჩელის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება ამ მოთხოვნის (სარჩელის საგნის) პროპორციული (ადეკვატური) უნდა იყოს და აშკარა შეუსაბამობა არ იკვეთებოდეს. „სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით საკუთრების შეზღუდვის გამართლება უნდა მოხდეს თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით – სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის საჯარო მიზნისა და საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული კერძო ინტერესების ურთიერთშეჯერების საფუძველზე (შდრ. სუსგ 2015 წლის 25 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-1165-1095-2015 წ.).“

34. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მართალია, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანია მოსარჩელის მატერიალური უფლების რეალური განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, თუმცა მხარეთა თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, დაცული უნდა იქნეს მოპასუხის ინტერესებიც. „სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას დაცული უნდა იყოს სამართლიანი

ბალანსი მოსარჩელის უფლებასა (უზრუნველყოს სასამართლო წესით სამომავლოდ დადასტურებული უფლების რეალიზაცია) და მოპასუხის ინტერესს (უზრუნველყოფის ღონისძიებამ გაუმართლებლად არ ხელყოს მისი, როგორც მოპასუხის უფლებები) შორის. უფლების დროებით შეზღუდვის დროს მნიშვნელოვანია გონივრული ბალანსის დაცვა დაცულ სიკეთესა და შეზღუდულ უფლებას შორის“ (შდრ. სუსგ 2015 წლის 6 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-114-107-2015; სუსგ №ას-1586-2018, 26 ოქტომბერი, 2018 წ.).

35. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას კანონმდებელი, ასევე, უკავშირებს სარჩელის სამართლებრივ პერსპექტიულობასაც და აფასებს, თუ რამდენად მოსალოდნელია სარჩელის დამაყოფილება. აღნიშნული საკითხი მით უფრო აქტუალურია, როდესაც საუბარია გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფაზე (იხ. სუსგ №ას-829-775-2017, 26 ივნისი, 2017; №ას-538-2022, 16 ივნისი, 2022 წ.), რადგან გადაწყვეტილების აღსრულებლობის საფრთხემ შესაძლოა მოგებული მხარისათვის აზრი დაუკარგოს დავას (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება № 1/2/411).

36. განსახილველი საჩივრის ფარგლებში საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას (იხ. წინამდებარე განჩინების პ.16), რომ მოპასუხე მხარე წარმოდგენილია სამენარმეო სუბიექტებით – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებით, რომელთა საქმიანობა მიმართულია მოგების მიღებისაკენ. შესაბამისად, მეტად მნიშვნელოვანია, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით, სასამართლომ არ მოახდინოს იურიდიული პირის ფუნქციონირების გაუმართლებელი პარალიზება და შესაძლებლობა მისცეს აღნიშნულ სუბიექტს, განაგრძოს სამენარმეო საქმიანობის შედეგად მოგების მიღება.

37. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ნაწილობრივ შეცვლით სამომავლოდ მოცემულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას საფრთხე არ ექმნება და მსგავსი საშიშროების არსებობა საჩივრის ავტორმა სარწმუნოდ ვერ დაადასტურა.

38. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საჩივარი დაუსაბუთებელია და არ არსებობს მისი დამაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 197¹.4, 264.3, 284-ე, 285-ე,

419-ე, 420-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. ა. ს-ვას საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 17 მარტისა და 5 აპრილის განჩინებები დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-403-2023

02 ივნისი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: გ. მიქაუტაძე (თავმჯდომარე),
რ. ნადარაია (მომხსენებელი),
თ. ზამბახიძე**

აღწერითი ნაწილი:

1. 2023 წლის 09 იანვარს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა შპს „ა-ს-ომ“ და მოითხოვა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, დავის საბოლოო გადაწყვეტამდე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში იმ ცვლილების განხორციელების აკრძალვა, რომელიც გულისხმობს შემდეგ კომპანიებში – შპს „გ. ს-ში“ (ს/ნ ...), შპს „მ-ში“ (ს/ნ ...), შპს „მ-ში“ (ს/კ ...), შპს „მ-ში“ (ს/ნ ...), შპს „მ-ში“ (ს/ნ ...), შპს „ი-ში“ (ს/ნ ...), შპს „მ-ში“ (ს/ნ ...), შპს „ი-ში“ (ს/ნ ...) წილის მმართველად შპს „ო. ა-ს-ოს“ (ს/ნ ...) რეგისტრირებული მონაცემის გაუქმებას.

1.1. განმცხადებლის განმარტებით, მოპასუხე ქ. ძ-მა და ე. ლ-იმ თეთრიწყაროს რაიონში, სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით სამეწარმეო საქმიანობის წარმოება დაიწყეს. აღნიშნული მიწის ნაკვეთები წარმოადგენდა ქ. ძ-ის მიერ ერთპიროვნულად დაფუძნებული შპს „გ. ს-ის“ (ს/

კ ...) საკუთრებას. ქ. ძ-თან შეთანხმებით, ე. ლ-იმ იკისრა ინვესტიციების განხორციელება იმ პირობით, რომ თვითონ უხელმძღვანელებდა ამ მნიშვნელოვან და მსხვილ სასოფლო-სამეურნეო ბიზნეს პროექტს. შეთანხმებულ ბიზნეს პროექტში მონაწილეობის და მართვის მიზნით, ე. ლ-მა ერთპიროვნულად დააფუძნა შპს „ლ-კა“ (ს/კ ...), რომელსაც მოგვიანებით შეეცვალა სახელი და დაერქვა შპს „ო. ა-ს-ო“. თავის მხრივ, ქ. ძ-მაც, ოჯახის წევრებისა და ნათესავების მეშვეობით დააფუძნა კიდევ 7 კომპანია, რათა აღნიშნული კომპანიების მეშვეობით ემოქმედა ე. ლ-თან შეთანხმებულ ბიზნეს პროექტში და ასეთი ოპერირების სქემით მიეღო მონაწილეობა სამეწარმეო საქმიანობაში. ქ. ძ-ის გადაწყვეტილებით, თითოეულ ახალ კომპანიას გადაეცა შპს „გ. ს-ის“ მიწის მასივებიდან გარკვეული მიწის ნაკვეთები.

1.2. 2017 წლის 06 მარტს, ქ. ძ-თან გაფორმებული ხელშეკრულებით, შპს „ლ-კას“ გადაეცა შპს „გ. ს-ის“ (ს/ნ ...) 100%-იანი წილის მართვის უფლება; ა. ძ-თან გაფორმებული ხელშეკრულებით, შპს „ლ-კას“ მიენიჭა შპს „მ-ში“ (ს/ნ ...) 100%-იანი წილის მართვის უფლებამოსილება; თ. ძ-თან გაფორმებული ხელშეკრულებით, შპს „ლ-კას“ მიენიჭა შპს „მ-ში“ (ს/ნ ...) 100%-იანი წილის მართვის უფლებამოსილება; ქ. ძ-თან გაფორმებული ხელშეკრულებით, შპს „ლ-კას“ მიენიჭა შპს „ი-ში“ (ს/ნ ...) 100%-იანი წილის მართვის უფლებამოსილება; დ. მ-ძესთან გაფორმებული ხელშეკრულებით, შპს „ლ-კას“ მიენიჭა შპს „მ-ში“ (ს/ნ ...) 100%-იანი წილის მართვის უფლებამოსილება; ს. მ-ძესთან გაფორმებული ხელშეკრულებით, შპს „ლ-კას“ მიენიჭა შპს „მ-ში“ (ს/ნ ...) 100%-იანი წილის მართვის უფლებამოსილება. შპს „ი-ის“ (ს/ნ ...) და შპს „მ-ის“ (ს/ნ ...) კორპორატიული უფლებების მართვასთან დაკავშირებით ხელშეკრულებები კი, 2017 წლის 27 მარტს დაიდო.

1.3. ყველა ხელშეკრულების შემთხვევაში, მხარეებმა გაითვალისწინეს ერთნაირი შინაარსის 5.2 პუნქტი. დასახელებული პუნქტის თანახმად, მხარეებმა ხელშეკრულების ამოქმედება დაუკავშირეს მინდობილი მართვის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციის ფაქტს. შპს „გ. ს-ში“ (ს/ნ ...), შპს „მ-ში“ (ს/ნ ...), შპს „მ-ში“ (ს/ნ ...) და შპს „მ-ში“ (ს/ნ ...) პარტნიორთა კორპორატიული უფლებების მართვის უფლებამოსილება შპს „ლ-კას“ დაურეგისტრირდა და შესაბამისად, ამ კომპანიებთან დაკავშირებული ხელშეკრულებები ამოქმედდა 2017 წლის 7 მარტიდან; შპს „ი-ში“ (ს/ნ ...) წილის მინდობით მართვა მარეგისტრირებელმა ორგანომ დაარეგისტრირა 2017 წლის 21 მარტს, შპს „მ-ის“ (ს/ნ ...) შემთხვევაში – 2017 წლის 23 მარტს, ხოლო, შპს „მ-ის“ (ს/ნ ...) და შპს „ი-ის“ (ს/ნ ...) შემთხვევებში – 2017 წლის 28 მარტს.

1.4. ყველა ხელშეკრულებაში, მხარეებმა გაითვალისწინეს ერთნაირი შინაარსის 5.1. პუნქტი, რომელიც ეხება ხელშეკრულების მოქმედების ვადას და მისი გაგრძელების შესაძლებლობის განმსაზღვრელ პირობებს. კერძოდ, ყველა სამართავ კომპანიასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების მოქმედების ვადა, გარდა შპს „ი-თან“ (ს/ნ ...) და შპს „მ-სთან“ (ს/ნ ...) დაკავშირებული მინდობილი მართვის ხელშეკრულებებისა, განისაზღვრა 2021 წლის 31 დეკემბრამდე, თუმცა, მხარეებმა იქვე განსაზღვრეს მისი გაგრძელების შესაძლებლობა; მხარეებმა 2022 წლის 31 დეკემბრამდე ხელშეკრულების ვადის გაგრძელება დაუკავშირეს კორპორაციული უფლებების მართვის პროგნოზირებად შედეგს, მისი ოდენობის ნახევარს. მაგ., თუ 2021 წლის 31 დეკემბრამდე მინდობილი მართვის შედეგად, შესაბამისი კომპანია მიიღებს 125000 აშშ დოლარის ექვივალენტის მოცულობის მოგებას, ხელშეკრულება გრძელდება 2022 წლის 31 დეკემბრამდე. ეს პირობა საერთოა ყველა კომპანიისათვის, გარდა შპს „გ. ს-ისა“, რომლის შემთხვევაშიც, განმასხვავებელი არის მხოლოდ ის, რომ 125000 აშშ დოლარის ნაცვლად 100000 აშშ დოლარის მოგების პირობა არის გათვალისწინებული; რაც შეეხება შპს „ი-თან“ (ს/ნ ...) და შპს „მ-სთან“ (ს/ნ ...) დაკავშირებულ მინდობილი მართვის ხელშეკრულებებს, ისინი მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრამდე, თუმცა, მსაგავსად სხვა ხელშეკრულებებისა, მხარეებმა განსაზღვრეს ურთიერთობის გაგრძელების შესაძლებლობა. კერძოდ, თუ 2022 წლის 31 დეკემბრამდე მინდობილი მართვის შედეგად, შპს „ი-ი“ (ს/ნ ...) და შპს „მ.“ (ს/ნ ...) მიიღებენ ცალ-ცალკე 142000 აშშ დოლარის მოცულობის მოგებას (მათ შორის აქტივების და/ან მათი ღირებულების ზრდას), ორივე კომპანიის მართვასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები გრძელდება 2023 წლის 31 დეკემბრამდე.

1.5. მხარეებმა, ასევე, გაითვალისწინეს ხელშეკრულებების მოქმედების ვადის კიდევ ერთხელ გაგრძელების შესაძლებლობაც, რაც ასახულია ყველა ხელშეკრულების 5.1 პუნქტში. კერძოდ, შპს „გ-ში“ (ს/ნ ...), შპს „მ-ში“ (ს/ნ ...), შპს „მ-ში“ (ს/ნ ...), შპს „ი-ში“ (ს/ნ...), შპს „მ-ში“ (ს/ნ...), შპს „მ-ში“ (ს/ნ ...) - 100%-იანი წილის მინდობილი მართვის ხელშეკრულებები გაგრძელდებოდა 2023 წლის 31 დეკემბრამდე, თუ 2022 წლის 31 დეკემბრამდე მინდობილი მართვის შედეგად, შესაბამისი კომპანია (გარდა შპს „გ. ს-ისა“) მიიღებს 187000 აშშ დოლარის ექვივალენტის მოცულობის მოგებას (მათ შორის აქტივების და/ან მათი ღირებულების ზრდას); რაც შეეხება შპს „გ. ს-თან“ დაკავშირებულ ხელშეკრულებას, განმასხვავებელი არის მხოლოდ ის, რომ 187000 აშშ დოლარის ნაცვლად 150000 აშშ დოლარის მოგების პირობა არის გათვალისწინებული. შპს „ი-ის“ (ს/ნ ...) და შპს „მ-ის“ (ს/ნ ...) მართვის ხელშეკრულებების შემთხვევებში კი, დამატებით, კიდევ ერთხელ ურთიერთობის გაგრძელე-

ბა შესაძლებელია 2024 წლის 31 დეკემბრამდე იმ პირობით, თუ თითოეული ეს კომპანია 2023 წლის 31 დეკემბრამდე მიიღებს 213000 აშშ დოლარის მოცულობის მოგებას.

1.6. მოსარჩელესა და მოპასუხეებს შორის დადებული უკლებლივ ყველა მინდობილი მართვის ხელშეკრულება შეიცავს ერთი და იგივე შინაარსის მქონე 2.3 პუნქტს, რომელიც ცხადყოფს ამ ხელშეკრულებებით წარმოშობილ ურთიერთობებში შპს „ო. ა. საქართველოს“ ინტერესს – მისთვის მომტან ეკონომიკურ სარგებელს. დასახელებული პუნქტის თანახმად, კორპორაციული უფლებების მინდობილი მართვის სამუშაოების შესრულებისათვის, მინდობილი მართვის ხელშეკრულებების მიზანთა მიღწევისას, მინდობილი მმართველი (შპს „ო. ა. საქართველო“) იღებს მართვის დამფუძნებლებისაგან (მოპასუხეებისაგან) ანაზღაურებას შპს „გ. ს-ის“ (ს/ნ ...), შპს „მ-ის“ (ს/ნ ...), შპს „მ-ის“ (ს/ნ ...), შპს „მ-ის“ (ს/ნ ...), შპს „მ-ის“ (ს/ნ ...), შპს „მ-ის“ (ს/ნ ...), შპს „ი-ის“ (ს/ნ ...) და შპს „მ-ის“ (ს/ნ ...) კორპორაციული უფლებების 60-60 პროცენტის ოდენობით. ეს წილები, თითოეული კომპანიის მიმართ მართვის დამფუძნებლებმა (მოპასუხეებმა), მინდობილ მმართველს (მოსარჩელეს) უნდა გადასცენ მინდობილი მართვის მიზნის მიღწევის შესახებ წლიური ანგარიშის განხილვიდან ერთ კვირიან ვადაში.

1.7. რაც შეეხება საკუთრივ მინდობილი მართვის მიზანს, ის განსაზღვრულია თითოეული მინდობილი მართვის ხელშეკრულების 1.2 პუნქტში. კერძოდ, ყველა სამართავი კომპანიის შემთხვევაში, გარდა შპს „გ. ს-ის“, შპს „ი-ის“ (ს/ნ ...) და შპს „მ-ისა“ (ს/ნ ...), მინდობილი მართვის მიზნად, კორპორაციული უფლებების პროგნოზირებად შედეგად დასახულია მოგების მიღება (გადასახადების გადახდამდე) 250000 აშშ დოლარის ექვივალენტური მოცულობით, ხოლო, რაც შეეხება შპს „გ. ს-ს“, კორპორაციული უფლებების პროგნოზირებადი შედეგი დაკავშირებულია 200000 აშშ დოლარის ექვივალენტური მოცულობით გადასახადების გადახდამდე მოგების მიღებასთან; შპს „ი-ის“ (ს/ნ ...) და შპს „მ-ის“ (ს/ნ ...) შემთხვევაში კი, იგივე მიზნად დასახულია 284000 აშშ დოლარის მოცულობით გადასახადების გადახდამდე მოგების მიღება.

1.8. უკლებლივ ყველა მინდობილი მართვის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ერთი და იგივე შინაარსის მქონე მე-3 პუნქტი, რომლითაც განისაზღვრა მართვის დამფუძნებლების (მოპასუხეების) უფლებებთან ერთად ვალდებულებებიც. კერძოდ, მოპასუხეები ვალდებული არიან: ა) ხელი შეუწყონ მინდობილ მმართველს (შპს „ო. ა. საქართველოს“) მინდობილი მართვის ხელშეკრულებებით განსაზღვრული მიზნის მიღწევაში, რისთვისაც მონაწილეობენ ყველა იმ დოკუმენტის მომზადებაში, რომელიც საჭიროა ხელშეკრულებით დასახული პროექტის ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში კრედიტების მოპოვებისათ-

ვის, მისი დაბრუნების სანივთო უზრუნველყოფისათვის (იპოთეკა/გი-რავნობა) და საჭიროების შემთხვევაში ხელს აწერენ შესაბამის დოკუ-მენტებს; ბ) მინდობილ მმართველს აღმოუჩინონ დახმარება ლიცენზი-ის, ნებართვების და მინდობილი მმართველის მიერ წინამდებარე ხელ-შეკრულებით განსაზღვრული სამეურნეო საქმიანობის წარმოებაზე დაშვებების მიღებაში; გ) დაეხმარონ მინდობილ მმართველს ელექტრო ენერგიის, გაზის, წყლის მიერთებაში, კომპენტენტური ორგანიზაციე-ბიდან საჭირო შეთანხმებების და ნებართვების მიღებაში და ა.შ.; დ) აღმოუჩინონ დახმარება მინდობილ მმართველს ადგილობრივი მოსახ-ლეობიდან კადრების შერჩევაში; ე) მინდობილ მმართველის თხოვნით გაუწიონ დახმარება მას სხვა საკითხების გადაწყვეტაში; ვ) არ შეუქ-მნან მინდობილ მმართველს წინააღმდეგობანი მინდობილი მართვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის შესრულებისას, მო-ახდინონ მინდობილი მმართველის დაუყოვნებელი ინფორმირება ხელ-შეკრულების შესრულების ყველა საფრთხის თაობაზე; ზ) გადასცენ მინ-დობილ მმართველს მინდობილი მართვის ამოცანების ამოხსნის ვარი-ანტები (3.1. ქ/პუნქტი).

1.9. მოსარჩელესა და მოპასუხეებს შორის დადებული უკლებლივ ყველა მინდობილი მართვის ხელშეკრულება შეიცავს ერთი და იგივე შინაარსის მქონე მე-4 პუნქტს, რომლითაც განისაზღვრა მხარეთა პა-სუხისმგებლობისა და დავების გადაჭრის წესები. კერძოდ, მართვის დამფუძნებელთა (მოპასუხეთა) მხრიდან, მინდობილი მმართველის წი-ნაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გარანტირებულია გირავ-ნობით და გირავნობის საგანს წარმოადგენს თითოეულ სამართავ კომ-პანიაში თითოეული მართვის დამფუძნებლის (მოპასუხის) კორპორა-ციული უფლებების (წილის) 60% (4.1. ქ/პუნქტი); მართვის დამფუძნებ-ლები (მოპასუხეები) პასუხისმგებელნი არიან იმ ზიანზე, რომელიც მა-თი ქმედებით მიადგება მინდობილ მმართველის ინტერესებს და/ან ქო-ნებას და ასეთი ზიანის ანაზღაურებისათვის მხარეებმა განსაზღვრეს სპეციალური წესი და ზიანის ანაზღაურების მოცულობა (ფარგლები) (4.2. ქ/პუნქტი); მინდობილ მმართველს უფლება აქვს ზემოთ დასახე-ლებული ზიანის ანაზღაურებაზე. ის მოიცავს გაშვებულ სარგებელს, მათ შორის, იმასაც, რაც შეიძლება მინდობილ მმართველს მიეღო მინ-დობილი მართვის ხელშეკრულებების სრულყოფილად შესრულების შემთხვევაში (აქ იგულისხმება სამართავი კომპანიების სანესდებო კა-პიტალიდან მმართველისათვის გადასაცემი წილი 60%-ის ოდენობით) იმ სარგებლის ჩათვლით, რაც დაკავშირებულია სამართავ კომპანიებში კორპორაციული უფლებების (წილების) ფლობასთან. თუმცა, მხარეებ-მა იქვე გააკეთეს დათქმა, რომ ზიანის ანაზღაურების ფარგლები მხო-ლოდ დასახელებული საფუძვლებით არ შემოიფარგლება (4.3. ქ/პუნ-

ქტი); ზარალის ანაზღაურება წარმოებს პირველ რიგში მინდობილი მმართველისათვის ჩადებული სამართავი კომპანიების კორპორაციული უფლებების ხარჯზე, ხოლო ზარალის სრულად ანაზღაურებისათვის მათი არასაკმარისობის შემთხვევაში, სამართავ კომპანიებში მართვის დამფუძნებელთა (მოპასუხეთა) დარჩენილი კორპორაციული უფლებების ხარჯზე. მართვის დამფუძნებელთა (მოპასუხეთა) სხვა ქონებებზე გადახდევინების მიქცევა დაუშვებელია (4.4. ქ/პუნქტი).

1.10. შპს „ო.ა – ს-სა“ და რვავე სამართავი კომპანიის დამფუძნებელბთან ურთიერთობები პრაქტიკულად ერთი ბიზნეს პროექტის განხორციელებას ისახავს მიზნად, რომელიც გულისხმობს ნუშის პლანტაციის გაშენებას ნუშის გადამამუშავებელი ქარხნის გახსნის პერსპექტივით. ასეთი პროექტი რენტაბელურია და ეკონომიკური ეფექტიანობით გამოირჩევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნუშის პლანტაციების გასაშენებლად გამოყენებული იქნება 500 ჰექტარი მიწის ნაკვეთი მაინც. მას შემდეგ, რაც ქ. დ-მა შპს „გ. ს-ის“ (ს/ნ ...) კუთვნილი მიწების მასიდან გამოყო და სხვა, ახლად დაფუძნებულ კომპანიებს გადაუნაწილა ნაკვეთები, ვერცერთი მინდობილ მართვაში გადაცემული კომპანია დამოუკიდებლად ვერ აკმაყოფილებს ხსენებული პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელ მინიმალურ ქონებრივ სტანდარტს. საგულისხმოა ისიც, რომ ყველა ის მიწის ნაკვეთი, რომელიც დღეისათვის აღრიცხულია 8 (რვა) სხვადასხვა იურიდიული პირის საკუთრებად ტექნიკურადაც ერთმანეთთან დაკავშირებულია ისე, რომ ქმნიან ერთიან მეურნეობას. ამას მოწმობს ისიც, რომ მიწის ნაკვეთთა უამრავლესობას აქვთ ერთიანი სარწყავი სისტემა. ნიშანდობლივია ისიც, რომ რვავე კომპანიასთან მიმართებით მხოლოდ ქ. დ-ია გადანყვეტილებების მიმღები პირი და მიუხედავად იმისა, რომ ის რეგისტრირებულია და ოფიციალურად მხოლოდ შპს „გ. ს-ის“ (ს/ნ ...) დამფუძნებელს წარმოადგენს, დანარჩენ შვიდ კომპანიასაც ის განაგებს. ქ. დ-ისაგან, შპს „გ. ს-ის“ (ს/ნ ...) გარდა, სხვა დანარჩენი 7 (შვიდი) კომპანია, მხოლოდ ფორმალურად არის განცალკევებული და მათ ქ. დ-ი იყენებს მხოლოდ საკუთარი ინტერესებისათვის. რაც შეეხება ფორმალურ (რეგისტრირებულ) დამფუძნებლებს (ქ. დ-ს, ა. დ-ს, თ. დ-ს (პ/ნ ...), თ. დ-ს (პ/ნ...), ს. მ-ძეს, დ. მ-ძეს და ი. თ-ს), მათი ყველა ქმედება განპირობებულია ქ. დ-ის ნებით.

1.11. შპს „ო. ა – საქართველომ“ (ყოფილი შპს „ლ-კა“) მინდობის მართვის ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით განახორციელა სათანადო მართვა – მოიზიდა ფულადი სახსრები, თავად განა ინვესტიცია, დაირგა ნუშის ხეები, მოეწყო სათანადო სარწყავი სისტემა და სხვა. ყველა სამართავი კომპანიის აქტივებმა განიცადა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და შესაბამისად, გაიზარდა მათი ღირებულებაც. მხოლოდ შპს „გ. ს-ის“ შემთხვევაში, კომ-

პანიის აქტივების ღირებულება 2017 წლის თებერვლის მდგომარეობით შეადგენდა 734400 ლარს, რაც გაიზარდა და 2021 წლის აგვისტოს მდგომარეობით შეადგენს 1 637 000 ლარს. მსგავსი შედეგები მოიტანა ყველა სამართავი კომპანიისათვის შპს „ო. ა – საქართველოს“ მმართველობამ.

1.12. მოპასუხე ქ. დ-ისათვის ცხადი გახდა, რომ რეალური იყო პროექტის წარმატებით განხორციელება, რაც სამომავლოდ განაპირობებდა ყველა სამართავი კომპანიიდან შპს „ო.ა - საქართველოსთვის“ 60%-იანი წილების დათმობას. ამ შედეგის დადგომა კი, ქ. დ-ს არ სურდა. უშუალოდ მან და მისი კარნახით უკლებლივ ყველა დანარჩენმა მოპასუხემ, ყველაფერი გააკეთეს, რომ წილის მმართველს არ მიეღწია წარმატებისათვის. მოპასუხეები სისტემატიურად ხელს უშლიდნენ წილის მმართველს და მის მიერ დანიშნულ დირექტორს ბიზნეს პროექტის განხორციელებაში. კერძოდ, ა) მიუხედავად შეთანხმებისა, მოპასუხეებმა უარი განაცხადეს იმ ვალდებულების შესრულებაზე, რომელიც გულისხმობდა ნუშის წარმოების პროექტისათვის დამხმარე ფინანსური სახსრების მოზიდვის მიზნით კრედიტის აღებაზე და ამისთვის შესაბამისი ქონების იპოთეკით დატვირთვაზე დათანხმებას, რამაც შეაფერხა პროექტის განხორციელება და მიმდებარე მმართველს მოუწია გაუთვალისწინებელი ხარჯების გაღება; ბ) ქ. დ-მა თავის თავზე გადაიფორმა მოსარჩელე კომპანიის კუთვნილი ტრაქტორები, რომლებიც წილის მიმდებარე მართვის საფუძველზე ახალმა მენეჯმენტმა შეაკეთა (გაარემონტა) და უმოქმედო მდგომარეობიდან სრულყოფილ (მუშა) ტექნიკად აქცია. ტრაქტორების ფიზიკურად მოძიება დღემდე ვეღარ ხერხდება და არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ისინი საქართველოს ფარგლებს გარეთაა გაყვანილი; გ) ქ. დ-მა და მისი ნების შესაბამისად, დანარჩენმა მოპასუხეებმა სამართავი კომპანიებიდან გააძევეს მთელი პერსონალი, რითაც შეწყდა პროფესიონალთა მხრიდან ბალების მოვლა-პატრონობის პროცესი. წილის მიმდებარე მმართველის მენეჯმენტის მოსარჩელე კომპანიაში დაბრუნებისას აღმოჩნდა, რომ ნუშის წარგაყვების (ხეების) 70% გამხმარა, ძვირადღირებული გასაფილტრი სადგური ბოლომდე იყო გამოყვანილი მდგომარეობიდან, მოსარჩელე კომპანიისთვის ღირებული ქონება (ინვენტარი) გატანილი იყო საწყობიდან და 2019 წლის მთლიანი მოსავალი დაუტაცნიათ; დ) ქ. დ-მა არაერთხელ, წლის ყველაზე ცხელ დროს მოშალა, შპს ა-ს-ოს“ სახსრებით გაკეთებული, მაღალი წნევის წყალგამტარი მაგისტრალური მილი (მან მიღები მოშალა ტრაქტორის მეშვეობით და დაამტვრია ძვირადღირებული სარქველები) შპს „ო.ა-ს-ოს“ დირექტორის ე. ლ-ის მიმართვის შემდეგ პოლიციამ ქ. დ-ს აუკრძალა მასთან და ნუშის ბალებთან 500 მეტრზე ნაკლები მანძილით მიახლოება; ე) ქ. დ-მა მოახდინა ადგი-

ლობრივი მოსახლეობის მხრიდან ნუშის ბაღების დაკავება/განადგურების პროვოცირება, რომ თითქოს შპს „ო.ა - საქართველო“ წამლავდა სასმელ წყალს, რომელიც სოფელ მ-ას ნუშის ბაღების ტერიტორიის გავლით მიენოდებოდა. არეულობა პოლიციამ შეაჩერა, დააკავა წამქეზებელი, რომელიც ქ. დ-ის ნათესავი აღმოჩნდა; ვ) ქ. დ-ი თავს დაესხა მოსარჩელე კომპანიის დირექტორს – ე. ლ-ის და მას მიაყენა სხეულის დაზიანება. ამ ქმედებისთვის თეთრინყაროს რაიონული სასამართლომ ქ. დ-ი სცნო დამნაშავედ. განაჩენი სრულად დატოვა ძალაში თბილისის სააპელაციო სასამართლომ.

1.13. ზემოაღნიშნული დამაზიანებელი ქმედებების შედეგად, მოსარჩელეს მიადგა კოლოსალური ზიანი. შესაბამისად, შპს „ო.ა - საქართველო“ იძულებული გახდა დაენყო საარბიტრაჟო წარმოება და საარბიტრაჟო სარჩელით მართვის დამფუძნებლებისაგან მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება. მისი ოდენობა აღემატება სამართავ კომპანიებში მოპასუხეთა კორპორაციული უფლებების ფულად გამოხატულებას, თუმცა იმის გამო, რომ მხარეთა შორის დადებული მინდობილი მართვის ხელშეკრულებების 4.4. ქვეპუნქტით განისაზღვრა ზიანის მხოლოდ წილების გადაცემით ანაზღაურების წესი, შპს „ო.ა - საქართველო“ ითხოვს თითოეულ სამართავ კომპანიაში აღნიშნულ წილებზე საკუთრების უფლების გადაცემას.

1.14. მოპასუხე ქ. დ-ი და მისი მხრიდან დამფუძნებლებად და დირექტორებად მართვაში გადაცემულ კომპანიებში ნომინირებული დანარჩენი მოპასუხეები, ქ. დ-ის მითითების არსებობის პირობებში, მზად არიან იმისთვისაც კი, რომ გააკოტრონ, ფორმალურად, მაგრამ მაინც მათივე მონაწილეობით დაფუძნებული კომპანიები, ოღონდ შეუძლებელი გახადონ მინდობილი მართვის ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში, მინდობილი მმართველისათვის სამართავი კომპანიების სანესდებო კაპიტალიდან წილის საკუთრებაში გადაცემა. ამ მართლსაწინააღმდეგო მიზნის მიღწევის გზაზე, მოპასუხეებმა უკვე განახორციელეს ისეთი მოქმედებები, რომლებიც ცხადყოფენ მოსავლის, ქონების დატაცებას, მისი სამეურნეო აქტივების დაზიანებას და სხვა.

1.15. აღწერილი ვითარების პირობებში, მნიშვნელოვანია სასამართლომ მოთხოვნილი სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების შესახებ განცხადების განხილვისას, ყურადღება მიაქციოს მინდობილი მართვის ხელშეკრულებების ფარგლებში დასახულ, რეალურად ერთი ბიზნეს პროექტის მიმართ ქ. დ-ის დამოკიდებულებას, რაც მიმართულია პროექტის ჩაშლისაკენ და რისთვისაც ქ. დ-ი არ ერიდება მისივე კონტროლირებადი კომპანიებისადმი ზიანის მიყენებას. დანარჩენი ფორმალური დამფუძნებლები (დანარჩენი მოპასუხეები) კი, ვერ გრძნობენ

პასუხისმგებლობას იმის გამო, რომ ისინი ნომინალურად და ქ. ძ-ის ნებით იკავებენ დამფუძნებლის პოზიციებს; მათთვის სულერთია მართვაში გადაცემულ კომპანიათა და მინდობილი მართვის ხელშეკრულებებით დაგეგმილი ბიზნეს პროექტის განხორციელების ბედი.

1.16. ქ. ძ-ის დამოკიდებულება ორიენტირებულია ზიანის მიყენებაზე და ამას, დავის საგნის აღწერისას მოხმობილი გარემოებების გარდა, ასევე ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ქ. ძ-მა იმ დროის მონაკვეთში, როდესაც სამენარმო რეესტრის შეცდომაში შეყვანის შედეგად ხუთ თვემდე ვადით რეგისტრირებული იყო შპს „გ. ს-ის“ (ს/ნ ...) დირექტორად, მოჩვენებითი (თვალთმაქცური) გარიგებების საფუძველზე, ყოველგვარი ნასყიდობის საფასურის გადახდის გარეშე, შპს „გ. ს-ის“ (ს/ნ ...) კუთვნილი 4 499 708 კვ.მ საერთო ფართის მქონე 3 მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდები: ...; ...; ...) და 4125 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით (საკ. კოდი ...) აღრიცხა სხვა, იდენტური სახელწოდების მქონე კომპანიის – შპს „გ. ს-ის“ (ს/ნ ...) სახელზე. საგულისხმოა, რომ ეს კომპანიაც მხოლოდ ქ. ძ-ის დაფუძნებულია და მხოლოდ მისი დირექტორობით იმართება. ეს ფიქტიური გარიგებები ქ. ძ-მა გამყიდველ შპს „გ. ს-ის“ (ს/ნ ...) და მყიდველ შპს „გ. ს-ის“ (ს/ნ ...) სახელით (ორივე მხარეს ხელმომწერი პირი ქ. ძ-ია) გააფორმა 2019 წლის 16 აპრილს და იმავე წლის 6 დეკემბერს ოთხივე უძრავი ნივთი მოჩვენებითი ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე, „კეთილსინდისიერი შემძენის“ საბურველში შემძენის გახვევის მიზნით, აღირიცხა ქ. ძ-თან ნათესაურ კავშირში მყოფ გ. მ-ძე. ამ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, აღძრულია სარჩელი და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია იხილავს დავას დასახელებული გარიგებების ბათილად ცნობისა და ბათილი გარიგებებით გასხვისებული ოთხივე უძრავი ნივთის შპს „გ. ს-ისათვის“ (ს/ნ ...) დაბრუნების თაობაზე. მოსარჩელე კომპანიის ამჟამინდელ დირექტორ ე. ლ-ისთან კომუნიკაციისას, ქ. ძ-ი დაიმუქრა, რომ ის 2022 წლის 31 დეკემბრიდან შეწყვეტს მინდობილი მართვის ხელშეკრულებებს და წილის მმართველ შპს „ო. ა – საქართველოს“, მის მიერ დანიშნულ ხელმძღვანელობას ჩამოაშორებს მართვაში გადაცემული კომპანიებიდან. აღნიშნული თარიღი შპს „მ-სთან“ (ს/ნ ...) და შპს „ი-თან“ (ს/ნ ...) მიმართებით დაკავშირებულია მინდობილი მართვის ხელშეკრულებების მოქმედების ვადის ამოწურვასთან, თუმცა, ის იგივე ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების თანახმად, შპს „ო. ა საქართველოს“ მმართველობითი საქმიანობის შედეგების გათვალისწინებით, 2023 წლის 31 დეკემბრამდე გაგრძელებას ექვემდებარება. ქ. ძ-მა კარგად იცის, რომ შეუთანხმებლობის შემთხვევაში, წილის მინდობილ მმართველს სხვა გზა არ აქვს, თუ არა იდავოს არბიტრაჟში და მას აღიარებინოს ხელშეკრულე-

ბის მოქმედების ვადის გაგრძელება. ეს კი დროში გაწელილი პროცესია. მის დასრულებამდე, ქ. ძ-ი მინდობილი მართვის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის გარემოებაზე აპელირებით, შეეცდება წილის მინდობილი მართვის გაუქმებას და შპს „მ-ისა“ (ს/ნ ...) და შპს „ი-ის“ (ს/ნ ...) დღევანდელი ხელმძღვანელობის ჩამოშორებას. ამ ყველაფერს მოპასუხე შეეცდება სამენარმო რეესტრში არსებული რეგისტრირებული მონაცემების ცვლილებით, ხოლო, რაც შეეხებათ დანარჩენ მართვაში გადაცემულ კომპანიებს, დღეისათვის ამ კომპანიებში მართვის უფლებამოსილებას ინარჩუნებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 28 დეკემბრის №2/35218-2 განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების საფუძველზე. ეს უზრუნველყოფის ღონისძიება სასამართლომ გამოიყენა იმ სარჩელის უზრუნველსაყოფად, რომლითაც შესაბამის სახელშეკრულებო საფუძველთა არსებობის გამო, მოთხოვნილია მინდობილი მართვის ხელშეკრულებათა ვადების გაგრძელება, თუმცა, მხოლოდ იმის გამო, რომ ასეთი დავის წარმოება ექვემდებარება საარბიტრაჟო განხილვას, სასამართლომ 2022 წლის 22 აგვისტოს განჩინებით დააკმაყოფილა მოწინააღმდეგე მხარეთა შუამდგომლობა, შეწყვიტა საქმის წარმოება და გააუქმა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება. ეს განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2022 წლის 26 დეკემბრის №2ბ/5582-22 განჩინებით საქმის წარმოების შეწყვეტისა და უზრუნველყოფის ღონისძიებათა გაუქმების ნაწილში დატოვა ძალაში.

1.17. დღემდე არსებული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ქ. ძ-ი, მისი მხრიდან კონტროლის პირობებში, კვლავაც შეეცდება მართვაში გადაცემული კომპანიების პარალიზებას, ამ კომპანიების ქონებების გადამალვას, გასხვისებას და დაზიანებას, რაც მინდობილი მმართველისათვის გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს. მინდობილ მართვაში გადაცემული კომპანიები, ქ. ძ-ის კარნახით ხელმძღვანელობის პირობებში, პრაქტიკულად აღმოჩნდებიან გაკოტრების საფრთხის წინაშე. ქ. ძ-ი და მისი კარნახით უკლებლივ ყველა მოპასუხე, მართვაში გადაცემული კომპანიებიდან გაიტანენ სამეურნეო საქმიანობისათვის უმნიშვნელოვანეს აქტივებს, მათ შორის, შპს „ო.ა - საქართველოს“ მხრიდან დღემდე განხორციელებული მართვის ფარგლებში გაწეული ინვესტირების პირობებში მნიშვნელოვნად გაუფჯობესებულ ქონებას; თვალთმაქცური გარიგებების საფუძველზე ეს აქტივი აღმოჩნდება ვითომ კეთილსინდისიერ შემძენთა ხელში და მივიღებთ შედეგს, რომლითაც ქონების რეალური მოსარგებლე კვლავ ქ. ძ-ი იქნება, ხოლო შპს „ო.ა - საქართველოს“ ხელში შერჩება გაკოტრების ზღვარზე მყოფი კომპანიები და გაუფასურებული ნივთები მათ კაპიტალში.

1.18. შპს „ო.ა - საქართველო“ მოპასუხეებთან ურთიერთობებში არსებული პრობლემების გადაჭრას ეცადა საქართველოს სასამართლოებში, რაც შესაძლებელი იყო მოპასუხე მხარის საქართველოს საერთო სასამართლოების იურისდიქციაზე დათანხმების შემთხვევაში, თუმცა, მოპასუხე არ მოისურვა დავის საქართველოს საერთო სასამართლოებში გადანაცვლა და შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოება შენცდა. ამ ვითარებაში, შპს „ო.ა - საქართველო“ იძულებული იყო მიემართა სტოკჰოლმის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოსთვის (სტოკჰოლმის არბიტრაჟი).

1.19. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახე, რომელიც მოცემულ შემთხვევაში დავის საგნის ადეკვატურია და მოახდენს მოსარჩელისათვის დამატებითი ზიანის მიყენების პრევენციას, უნდა უზღუდავდეს მოპასუხეებს მინდობილ მართვაში გადაცემულ კომპანიებზე კონტროლის, მართვისა და ხელძღვანელობის/წარმომადგენლობის შესაძლებლობას. ასეთი შეზღუდვის არსებობა შეუძლებელს გახდის მოპასუხეებისათვის განკარგონ მინდობილ მართვაში გადაცემული კომპანიების აქტივები და ქონება, რაც განაპირობებს ამ კომპანიათა კაპიტალის დაცვასა და სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობისათვის ქმედითუნარიანობას. მოპასუხეებს არც სურვილი და არც შესაძლებლობა არ აქვთ განავითარონ მინდობილ მართვაში გადაცემული კომპანიები; მათი ერთადერთი მიზანია როგორმე დაეუფლონ უკვე განხორციელებული ინვესტიციების ხარჯზე გაუმჯობესებულ აქტივებს ისე, რომ არ შეასრულონ შპს „ო.ა - საქართველოს“ წინაშე ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო, თუ მოპასუხეები განახორციელებენ კონტროლს მინდობილ მართვაში გადაცემულ კომპანიებზე, ისინი აღმოჩნდებიან გაკოტრების საფრთხის წინაშე. შესაბამისად, კომპანიებიდან წილების მიღების გზით უკვე განცდილი ზიანის ანაზღაურება დაკარგავს მოსარჩელისათვის ინტერესს. თუ არ იქნება გამოყენებული მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიება, აზრს დაკარგავს არბიტრაჟში სარჩელის განხილვა: გაკოტრების პირას მყოფ, ფაქტიურად არაფრის მქონე კომპანიებში წილების მიღება არ და ვერ იქნება ის ინტერესი რომლისათვის შეიძლება აზრი ჰქონდეს საერთაშორისო არბიტრაჟში სარჩელის განხილვას, განსაკუთრებით საარბიტრაჟო ხარჯების, არბიტრებისა და უცხოელი ადვოკატების ჰონორარების გათვალისწინებით. ამასთან, მოთხოვნილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენება უზრუნველყოფს მოდავე მხარეთა უფლებებს შორის ბალანსის დაცვას. შპს „ო.ა - საქართველოს“ ინტერესია ზიანის ანაზღაურება, რომელიც მიღწეული იქნება მხოლოდ გამართულ, ქმედითუნარიან კომპანიებში წილების საკუთრებაში მიღებით. აღნიშნული კი მიიღწევა მინდობილ მართვაში გადაცემული კომპანიების კვალიფიციური მართვისა და სა-

თანადო ფინანსური მხარდაჭერის პირობებში. ამით, ასევე, უზრუნველყოფილი იქნება მინდობილი მართვის ფარგლებში დაგეგმილი სამეურნეო საქმიანობის წარმატებით განხორციელება.

1.20. ამდენად, მოთხოვნილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება სრულად უზრუნველყოფს მხარეთა შორის ბალანსის შენარჩუნებას: დაცული იქნება როგორც მოსარჩელის (აზრი ჰქონდეს საარბიტრაჟო პროცედურების წარმოებას), ასევე მოპასუხეთა ინტერესები (თუ მოსარჩელე ვერ მიაღწევს წარმატებას საერთაშორისო არბიტრაჟში, კიდევ უფრო მომგებიანი ქმედითი და უკეთესი აქტივების მქონე კომპანიებს მიიღებს, ვიდრე ისინი დღეის მდგომარეობით არსებობენ); ხოლო, თუ არ იქნება გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, მაშინ აზრს დაკარგავს საარბიტრაჟო პროცედურების წარმოება, საფუძველი გამოეცლება ზიანის ანაზღაურების თეორიულ მიღწევადობასაც კი, ხოლო, მოპასუხეებს მიეცემათ სრული შესაძლებლობა არაკეთილსინდისიერად, სხვის ხარჯზე, სხვისთვის ზიანის მიყენებით, მიიღონ უპირატესობა და ქონებრივი სარგებელი.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 09 იანვრის განჩინებით, შპს „ო.ა – საქართველოს“ განცხადება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა; საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, დავის საბოლოო გადაწყვეტამდე, აიკრძალა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში იმ ცვლილების განხორციელება, რომელიც გულისხმობს შემდეგ კომპანიებში – შპს „გ. ს-ში“ (ს/ნ ...), შპს „მ-ში“ (ს/ნ ...), შპს „მ-ში“ (ს/კ ...), შპს „მ-ში“ (ს/ნ ...), შპს „მ-ში“ (ს/ნ ...), შპს „ი-ში“ (ს/ნ ...), შპს „მ-ში“ (ს/ნ ...), შპს „ი-ში“ (ს/ნ ...), ნილის მმართველად შპს „ო.ა-ს-ოს“ (ს/ნ ...) რეგისტრირებული მონაცემის გაუქმებას; განემარტა განმცხადებელს, რომ თუ უზრუნველყოფის ღონისძიება გაუმართლებელი გამოდგება, მაშინ ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც განხორციელდა უზრუნველყოფა, ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზარალი, რომელიც მას მიადგა სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიების შედეგად.

2.1. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საქმის მასალებიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა გონივრული ვარაუდი, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობა გააძნელებდა ან შეუძლებელს გახდიდა შემდგომი გადაწყვეტილების აღსრულებას, გამოიწვევდა გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნებოდა მოპასუხეთათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. შესაბამისად, გადწყვეტილების რეალურად აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განცხა-

დება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე, სააპელაციო პალატის მიერ დაკმაყოფილდა.

3. ზემოაღნიშნულ განჩინებაზე საჩივარი წარადგინეს შპს „გ. ს-ის“ (ს/კ ...) 100%-იანი წილის მფლობელმა – ქ. ძ-მა, შპს „მ-ის“ (ს/კ ...) 100%-იანი წილის მფლობელმა – ს. მ-ძემ, შპს „მ-ის“ (ს/კ ...) 100%-იანი წილის მფლობელმა – დ. მ-ძემ, შპს „ი-ის“ (ს/კ ...) 100%-იანი წილის მფლობელმა – ქ. ძ-მა, შპს „ი-ის“ (ს/კ ...) 100%-იანი წილის მფლობელმა – თ. ძ-მა, შპს „მ-ის“ (ს/კ ...) 100%-იანი წილის მფლობელმა – ა. ძ-მა, შპს „მ-ის“ (ს/კ ...) 100%-იანი წილის მფლობელმა – თ. ძ-მა და შპს „მ-ის“ (ს/კ ...) 100%-იანი წილის მფლობელმა ი. თ-მა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საჩივრის დაკმაყოფილება.

4. საჩივარი ეფუძნება შემდეგ ძირითად ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძვლებს:

4.1. მოსარჩელემ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა შეცდომაში შეიყვანა და დაუმალა საქმის რეალური გარემოებები და პალატა განჩინების გამოტანისას დაეყრდნო მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ცრუ გარემოებებს. საქმის რეალური გარემოებები კი მდგომარეობს შემდეგში:

4.1.1. 2017 წლის 06 მარტს გაფორმდა მინდობილი მართვის იდენტური ხელშეკრულებები ერთი მხრივ, შპს „მ-ის“ (ს/კ ...) 100%-იანი წილის მფლობელ ა. ძ-ს, შპს „მ-ის“ (ს/კ ...) 100%-იანი წილის მფლობელ ი. თ-ს, შპს „მ-ის“ (ს/კ ...) 100%-იანი წილის მფლობელ დ. მ-ძეს, შპს „მ-ის“ (ს/კ ...) 100%-იანი წილის მფლობელ ს. მ-ძეს, შპს „მ-ის“ (ს/კ ...) 100%-იანი წილის მფლობელ თ. ძ-ს, შპს „გ. ს-ის“ (ს/კ ...) 100%-იანი წილის მფლობელ ქ. ძ-ს, შპს „ი-ის“ (ს/კ ...) 100%-იანი წილის მფლობელ ქ. ძ-ს, შპს „ი-ის“ (ს/კ ...) 100%-იანი წილის მფლობელ თ. ძ-ს და მეორე მხრივ, შპს „ლ-კას“ სამართალმემკვიდრე შპს „ო.ა – საქართველოს“ დირექტორ და ერთპიროვნულ დამფუძნებელ – ე. ლ-ის შორის. აღნიშნული ხელშეკრულების პუნქტი 1.1 თანახმად, ნუშის პლანტაციისა და ნუშის გადამუშავების წარმოების შექმნის მიზნით, მართვის დამფუძნებელი გადასცემს მინდობილ მმართველს შპს „გ. ს-ში“ კორპორაციული უფლების 100%-ს, ხოლო მინდობილი მმართველი ვალდებულია განახორციელოს ამ უფლების მართვა მართვის დამფუძნებლის ინტერესებში. 1.2. პუნქტის თანახმად, შპს „გ. ს-ის“ კორპორაციული უფლებების მართვის პროგნოზირებად შედგეს წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში შპს „გ. ს-ის“ მიერ მოგების მიღება 200 000 აშშ დოლარის ეკვივალენტური მოცულობით. ხელშეკრულების თანახმად, რვავე კომპანიაში მოგების თანხა ჯამში შეადგენს 1 950 000 აშშ დოლარს. მოსარჩელე შპს „ო.ა – საქართველოს“ დირექტორს ე. ლ-ის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები არ შეუსრულებია და მოქ-

მედებდა მართვის დამფუძნებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ. მოსარჩელემ ნუშის ნერგების საფასურები შეგნებულად არ გადაიხადა, ნერგები გაახმო, ნუშის ბალი და გადამამუშავებელი საწარმო არ შექმნა, რაც დაფიქსირებულია ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლებისა და ექსპერტების კომისიის მიერ. მოსარჩელეს განეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები ან მოგება – ზარალის უწყისები, დღემდე არ წარმოდგენია და არც სასამართლოსთვის მიუწოდებია. შპს „გ. ს-ს“ მინდობილი მმართველის, შპს „ო.ა – საქართველოს“ მართვის პერიოდში, არათუ 200000 აშშ დოლარის მოგება, არამედ მხოლოდ ზარალი და ხელოვნურად შექმნილი საფინანსო ვალდებულებები უფიქსირდება. მოსარჩელემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი რაიმე საფინანსო დოკუმენტი ან მის მიერ მართული შპს „გ. ს-ის“ ან კომპანიების საბანკო ანგარიშებიდან ამონაწერი, რომელიც რაიმე მოგებას დაადასტურებდა, სასამართლოსთვის არ წარმოდგენია. მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა აუდიტორული კომპანია „კ-ის“ 2021 წლის 10 სექტემბრის დასკვნა, სადაც აღნიშნულია, რომ კომპანია „კ-მა“ განახორციელა შპს „ო.ა – საქართველოს“ მიერ წარმოდგენილი უძრავი ქონების აქტივების გადაფასების შედეგად, მოგების ოდენობის დადგენა 2017 წლის თებერვლისა და 2021 წლის აგვისტოს მდგომარეობით აქტივების საბაზრო ღირებულებიდან გამომდინარე“. ირკვევა, რომ კომპანია „კ-მა“ აქტივებს, რომელიც არ ეკუთვნის „ო.ა – საქართველოს“ შეფასება გაუკეთა საბაზრო ღირებულებიდან გამომდინარე, ანუ რა ფასი ქონდა აქტივებს მინდობილი მართვის ხელშეკრულების დადების დროს, 2017 წლიდან 2021 წლის აგვისტოს ჩათვლით. დასკვნაში მითითებული არ არის თუ რა თანხა ჩადო „ო.ა – საქართველომ“ და არც ამის დამადასტურებელი დოკუმენტები არ არის დართული. როგორც ჩანს აუდიტორი ადგილზე არ გასულა და არ შეუსწავლია საქმის რეალური მდგომარეობა. 17 026 ძირი ნუშის ნერგი, რაც დასკვნაში წერია, ჩამოტანილი ნერგების 7%-ს შეადგენს, ხოლო სარწყავი სისტემის შეფასებისას ღირებულების საფასურს მოსარჩელე არ მიუთითებს. შემოტანილი ნერგების საფასური მოსარჩელეს არ გადაუხდია და შეგნებულად გაბერილი ვალებით ვალდებულება დაკისრებული აქვს ყველა კომპანიას, მათ შორის შპს „გ-ს“. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება მოსარჩელეს არ შეუსრულებია. კომპანია „კ-მა“ წარმოადგინა, მხოლოდ კომპანიებზე, მათ შორის შპს „გ. ს-ძე“ რიცხული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება, რაც 2017 წლის თებერვლიდან 2021 წლის აგვისტოსთვის, საქართველოში უძრავ ქონებაზე საბაზრო ფასის საერთო ზრდამ გამოიწვია, მათ შორის თეთრიწყაროს რაიონის მ. კ-ის ზონაში, სადაც მდებარეობს საჩივრის ავტორების კომპანიების საკუთრებაში

მყოფი უძრავი ქონება. 1 245 861.1 აშშ დოლარის მოგებას, რომელსაც აფიქსირებს კომპანია „კ-ი“, წარმოშობილია უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების ზრდით და არანაირი კავშირი არ აქვს მოსარჩელის მხრიდან მინდობილი მართვის ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან. კომპანიების მიწის ნაკვეთების ღირებულება დაფიქსირებულია 2017 წლის თებერვალ-მარტში გაფორმებულ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებებში. ეს ის მიწის ნაკვეთებია, რომლებიც მოსარჩელემ მინდობილი მართვის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შპს „გ. ს-ის“ კუთვნილი 150 ჰექტარი დაანაწევრა და გადასცა კომპანიებს, ორივე მხრიდან კომპანიებში მოსარჩელეს მიერ დანიშნული დირექტორი ი. ა-ი აწერს ხელს. ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, შპს „გ. ს-ის“ მიერ, შპს „ი-ძე“ (ს/კ ...) გადაცემული 64 294 კვ.მ მიწის ნაკვეთი 130 000 ლარად არის დაფიქსირებული, ხოლო იგივე უძრავი ქონება კომპანია „კ-ის“ დასკვნაში 2017 წლის თებერვლის მდგომარეობით შეფასებულია 85 600 ლარად, ანუ ფასი შეგნებულად შემცირებულია, რომ 2021 წლის აგვისტოს ფასთან უფრო დიდი სხვაობა გამოვიდეს. ასეა ყველა კომპანიასთან მიმართებით. ასევე, მაგალითისთვის, 2022 წლის 17 ივნისის დასკვნით, აუდიტორულმა კომპანიამ „ქ-მ“, შპს „მ-ის“ (ს/კ ...) კუთვნილი უძრავი ქონება 169 865 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 888 000 ლარად შეაფასა. იგივე ქონების საფასურმა კომპანია „კ-ის“ დასკვნაში 2021 წლის აგვისტოს მდგომარეობით, 785 000 ლარი შეადგინა, ანუ, 1 წლის განმავლობაში ხსენებული მიწის ნაკვეთის საფასური 103 000 ლარით გაიზარდა. ასეთივე მონაცემებია სხვა კომპანიებსა და შპს „გ. ს-თან“ მიმართებაშიც; კ-იტს 2021 წელს აგვისტოს მდგომარეობით უძრავი ქონება შეფასებული აქვს 789 000 ლარად, ხოლო კომპანია „ქ-მ“ 2022 წლის 20 ივნისის იგივე ქონება 858 000 ლარად შეაფასა, ანუ წლის განმავლობაში უძრავი ქონების საბაზრო ფასი 69 000 ლარით გაიზარდა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ უძრავ ქონებაზე საბაზრო ფასი გაიზარდა, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს მინდობილი მართველის მიერ შექმნილ მოგებად. მსგავსი მაგალითების მოყვანა შეიძლება ყველა კომპანიასთან მიმართებით. შპს „ო.ა – საქართველოს“ ხელშეკრულების პირობები რომ შეესრულებინა, წარმოადგენდა ყველა კომპანიის, მათ შორის შპს „გ.ს-ის“ მიერ მიღებული მოგების დამადასტურებელ საფინასო დოკუმენტაციას, რასაც აუდიტი ასახავდა თავის დასკვნაში. ყველა სხვა შემთხვევა სასამართლოს შეცდომაში შეყვანის მცდელობაა, რადგანაც ქვეყანაში საერთო ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდამ, რამაც გამოიწვია ქონებაზე საბაზრო ფასის გაზრდა, შპს „ო.ა – საქართველოს“ ცდილობს თვის მიღწევად დაგვანახოს. ხელშეკრულების თანახმად მოსარჩელეს, მოგება კომპანიების ანგარიშზე მიღებული თანხებით უნდა დაეფიქსირებინა და სა-

ქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, კომპანიების ეკონომიკური საქმიანობის-საბუღალტრო ბალანსებში უნდა აღერიცხა როგორც მოგება. მინდობილი მართვის ხელშეკრულებების თანახმად მოსარჩელეს, თავისივე მიერ მართული კომპანიებისთვის ჯამში 1950000 აშშ დოლარი მოგება უნდა მოეთანა, მათ შორის 200 000 აშშ დოლარი შპს „გ. ს-ისთვის“. მოსარჩელეს ეს მანიპულაციები ეწინააღმდეგება მინდობილი მართვის ხელშეკრულების შინაარსს და მიზნებს. მოსარჩელემ შპს „ო.ა – საქართველომ“ სასამართლოს წარუდგინა ყალბი გარემოებები, რის გამოც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის გამოყენება არამართებულია. სასამართლოს მიერ მინდობილი მართვის ხელშეკრულების 2.3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების გამოყენება სარჩელის უზრუნველყოფისთვის არ შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს. დასახელებული პუნქტის თანახმად, მინდობილი მმართველი ხელშეკრულების მიზნის მიღწევისას და 1.2 პუნქტის შესრულების შემთხვევაში, რომელიც ითვალისწინებს მართვის დამფუძნებლის შპს „გ. ს-ისთვის“ მოგების მიღებას, სანაცვლოდ უნდა გადაეცეს შპს „გ.ს-ის“ კორპორაციული მართვის 60%, მინდობილი მმართველის მხრიდან წლიური ანგარიშის თანახმად, რომელიც ადასტურებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების შესრულებას. მინდობილ მართველს – შპს „ო.ა – საქართველოს“ და მის წინამორბედ შპს „ლ-კას“ ხელშეკრულების პუნქტი 2.2 და 2.3-ით გათვალისწინებული მოთხოვნა მასზედ, რომ მინდობილ მმართველს წარმოედგინა საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში, ერთხელაც არ შესრულებულა და რაიმე დამადასტურებელი საბუთი ან სასამართლო გადაწყვეტილება ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე მათთვის, როგორც მართვის დამფუძნებლისთვის არ წარმოუდგენია და არც ამჟამად სასამართლოსთვის არ მიუწოდებია. ამრიგად, სარჩელის უზრუნველყოფისთვის ხელშეკრულების პუნქტი 2.3-ს მოშველიება არამართებულია.

4.1.2. მოსარჩელემ შეცდომაში შეიყვანა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა და სარჩელის უზრუნველყოფის ნაწილში დავის საბოლოო გადაწყვეტამდე მოითხოვა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა იმ ცვლილებების განხორციელების აკრძალვა, რომელიც გულისხმობს კომპანიებში წილის მართველად შპს „ო.ა – საქართველოს“ რეგისტრირებული მონაცემების გაუქმებას, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა. სამართლებრივად სარჩელის უზრუნველყოფის სახით კომპანიების, მათ შორის შ.პ.ს. „გ. ს-ი“-ს მონაცემებში ცვლილებების აკრძალვა ეწინააღმდეგება მხარეთა შორის 06.03.2017 წელს დადებულ მინდობილი მართვის ხელშეკრულებას. აღნიშნული ხელშეკრუ-

ლების თანახმად, ხელშეკრულების პირობების შესრულების შემთხვევაში, პუნქტი 2.3. მინდობილ მართველს მართვის დამფუძნებლისგან უნდა გადაეცეს კომპანიის კორპორაციული მართვის 60%, ანუ შპს „გ. ს-ის“ 60%. ხელშეკრულებაში არსად არ არის მითითებული რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებებზე აკრძალვის დანერგვა. თბილისის სამოქალაქო საქმეთა პალატამ განჩინების მიღებისას იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლი 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც კანონსაწინააღმდეგოა, ვინაიდან 198-ე მუხლში და საერთოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის არც ერთ მუხლში არ არსებობს ჩანაწერი, რომ სარჩელის უზრუნველყოფა შეიძლება გავრცელდეს რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების აკრძალვაზე. კანონის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ზომად შეიძლება გამოყენებული იქნეს ის ვალდებულებები და ქონებრივი პასუხისმგებლობა რომელიც განსაზღვრულია მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებაში. მიუხედავად იმისა, რომ მინდობილმა მმართველმა ხელშეკრულების პირობები არ შეასრულა და ეს დავა გადავიდა სტოკჰოლმის საერთაშორისო არბიტრაჟის კომპეტენციაში, სარჩელის უზრუნველყოფა შეიძლება გავრცელდეს იყო ხელშეკრულებით განსაზღვრული მატერიალური უზრუნველყოფისთვის წილის მხოლოდ 60%-ის გასხვისების აკრძალვაზე ან ყადაღის დადებაზე, რაც თანხვედრაში იქნებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლი 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. სასამართლო დაეყრდნო მოსარჩელის მცდარ ინფორმაციას, არ გაითვალისწინა 09.01.2023 წლის განცხადება, არ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე და 196¹-ე მუხლებით სარჩელის უზრუნველყოფის შეცვლასთან დაკავშირებით და მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მცდარ გარემოებებზე დაყრდნობით მიიღო განჩინება.

4.1.3. მოსარჩელე ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს სასამართლო და სარჩელის უზრუნველყოფა კანონთან შეუსაბამო – შპს „გ. ს-ის“ რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების აკრძალვის სახით მიიღოს. საჩივრის ავტორებმა ვერ შეამჩნიეს მოსარჩელე ე. ლ-ის მაქინაციები, მიენდნენ მის დანაპირებებს, რომ გააშენებდა ნუშის ბაღს, გადამამუშავებელ საწარმოს და სოლიდურ მოგებას მოუტანდა კომპანიებს. მაქსიმალური უფლებები მისცეს და მოცემული პირობის შესრულების მიზნით, მინდობილი მართვის ხელშეკრულებით 100% კორპორაციული უფლებები დაუთმეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით და ვადით. მან თავისი გეგმის მიხედვით, შპს „გ. ს-ის“ კუთვნილი მიწები, რომლის 100% წილის მფლობელი ქ. ძ-ია, ვითომდა თანხების მოზიდვის მიზნით დააყოფინა რვა კომპანიად, სადაც წილების მართვა გადაეცა ე. ლ-ის და მის მიერ შექმნილ შპს „ლ-კას“. მოსარჩელეს 06.03.2017 დადე-

ბულ მინდობილი მართვის ხელშეკრულებების თანახმად, აღებული ქონ- და ვალდებულება უზრუნველყო თითოეული კომპანიის აღმავლობა, განვითარება და მოგების მიღება, რომლის დამადასტურებელი საფი- ნანსო დოკუმენტაცია ხელშეკრულების პუნქტი 2.2 თანახმად, ყოველ- წლიურად უნდა წარმოედგინა კომპანიების დამფუძნებლებისათვის, წლიური შედეგების დასამტკიცებლად. ამის სანაცვლოდ მიიღეს კომ- პანიების მიზანმიმართული დაქსაქსვა, დასუსტება, გადახდისუნა- როდ ქცევა, კონტრაგენტების მიმართ ვალეების შეგნებული წარმოშო- ბა და სხვა. ე. ლ-ის დავალებით, ნუშის ნერგების შესყიდვაზე ხელშეკ- რულებები გაფორმდა ესტონური კომპანიასთან „მ. ტ-თან“ (M.T.O., კოდ: 1420...). ესპანური ნუშის ნერგებზე ფასები საბაზროსთან შედარებით შეგნებულად გაბერილი იყო. ე. ლ-იმ ხელშეკრულებით გათვალისწინე- ბული ნერგების საფასური არ გადაუხადა ესტონურ კომპანიას, უღია- რა მას ვალი და თანხის გადახდის უზრუნველსაყოფად, გირაოს სახით კომპანიის კუთვნილი მიწის ნაკვეთები გამოიყენა, მათ შორის შპს „გ. ს- ის“ კუთვნილი უძრავი ქონება. როგორც მინდობილ მმართველს – ლ-ის, ხელშეკრულების 1.5 და 2.1 პუნქტებით, არ ჰქონდა უფლება გაესხვი- სებინა ან გირავნობით დაეტვირთა კომპანიების კუთვნილი ქონება. გა- ირკვეა, რომ ლ-იმ სპეციალურად მოიფიქრა ფინანსური მაქინაცია, ვი- ნაიდან ესტონური კომპანიის უკან მისი აფილირებული პირები დგანან და უკრაინიდან არალეგალური გზებით მოპოვებული თანხების გათეთ- რება დაიწყო, რათა შეექმნა წინაპირობა ქართული მიწის თაღლითური გზით მისაკუთრებისა. რეალურად მან არ გაააშენა ნუშის ბალი და გადა- სამუშავებელი სანარმო; 150 ჰექტარზე მხოლოდ 7% არის გახარებუ- ლი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მას ვალდებულების შესრულება კი არა, მიწის მისაკუთრება ჰქონდა მიზნად დასახული. ე. ლ-ი დონბასი- დან, ქალაქ ლუგანსკიდან გამოქცეული უკრაინელი ჩინოვნიკია, რო- მელმაც რუსეთში მიიღო ისრაელის მოქალაქეობა. ინტერნეტ ქსელში მრავალი ფაქტია იმასა, თუ რა მაქინაციებით და რეიდერული გზებით აკოტრებდა ე. ლ-ი ადგილობრივ კომპანიებს და ეპატრონებოდა მათ. უკრაინაში პასუხისმგებლობას რომ გაქცეოდა, თანხები გადაიტანა ბალტიისპირეთში შექმნილ კომპანიებში, მათ შორის „მ. ტ-ში“. როგორც საჩივრის ავტორების კომპანიების მინდობილმა მმართველმა, შეგნე- ბულად შექმნა გაბერილი ვალეები, თანხა „მ. ტ-ს“ არ გადაუხადა და წარ- მოშვა პირობა აუქციონის გზით მათი კუთვნილი მიწების ნაკვეთების ხელში ჩაგდებისა. ამ გარემოებას ადასტურებს ისიც, რომ ე. ლ-ის ერ- თხელაჯ არ წარმოუდგენია 100%-იანი წილის მფლობელებისთვის ფი- ნანსური ანგარიშები, დანიშნულ პარტნიორთა კრებებზე არ ცხადდე- ბა, არ აძლევს წვდომას ჩაატარონ ფინანსური აუდიტი, ვინაიდან რო- გორც დღევანდელი დირექტორი, არ აძლევს არანაირ დოკუმენტაციას

და მისი მოპოვების საშუალებას. ე. ლ-ის დანაშაულებრივ საქმიანობას და მაქინაციას ასევე ადასტურებს ის გარემოებაც, რომ მან მმართველ კომპანიებში შპს „ლ-კას“ ბუღალტრად აიყვანა ფ. ქ-ი, რომელსაც შეაქმნევინა შპს „მ.“ (ს/კ ...), მას გადაუფორმა და მიყიდა 100% წილის მფლობელი ქ. ძ-ის შპს „ი-დე“ რიცხული მინის ნაკვეთი 64295 კვ.მ (საკადასტრო კოდი ...), მაშინ როცა მინის გასხვისება ხელშეკრულებით აკრძალული აქვს. ნიშანდობლივია ისიც, რომ ფ. ქ-ი ლ-ის დანიშნული ყავს „მ.ტ – ს-ოს“ წარმომადგენლად და მისი მეშვეობით ორგანიზებას უკეთებს კომპანიების კუთვნილი ქონების ფარული გზით დაპატრონებას. ამასთან, ე. ლ-ის თაღლითურ ქმედებებთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში.

4.1.4. მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების ამონურვის საფუძველზე მისი განთავისუფლებისა, ლ-ი წილების მართვის უფლების გაგრძელებას ცდილობს ყველანაირი მეთოდით. გარიგებაში მყოფი პირების მეშვეობით ორგანიზებას უკეთებს საჩივრის ავტორების უფლებების შეზღუდვას, ყველა გზებით ცდილობს საშუალება არ მისცეს ცვლილება შეიტანონ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებში, რათა მაქსიმალურად გაიხანგრძლივოს მართველობის უფლება და მოასწროს რაც შეიძლება მეტი ქონების გასხვისება კომპანიების ბალანსიდან, მის მიერ შექმნილ ცრუ-მაგიერ კომპანიებზე.

4.1.5. განჩინება რომელიც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2023 წლის 09 იანვარს (საქმე №28/02-23) გამოიტანა და დააკმაყოფილა შპს „ო.ა – საქართველოს“ დირექტორის ე. ლ-ის მოთხოვნა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, იდენტურია იმ განჩინებისა, რომელიც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიღო (28/5582-22, 26.12.2022) და ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება (№2/35218-21, 02.08.2022). განჩინებების შინაარსი კოლიზიურ გაუგებრობას ქმნის და შინაარსით ერთი და იგივე საკითხზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ, ორი განჩინებაა მიღებული. ამის გათვალისწინებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას უარი უნდა ეთქვას სარჩელის მიღებაზე. ამასთან, საჩივრის ავტორების მოსაზრებით არსებობს საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი, რადგან საქმის განხილვა საარბიტრაჟო სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმებასთან დაკავშირებით არსებობს კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება (2/5582-22, 26.12.2022) და თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება (№2/35218-21, 02.08.2022).

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 09 მარტის განჩინებით, ქ. ძ-ის, ს. მ-ძის, დ. მ-ძის, ქ. ძ-ის, თ. ძ-ის, ა. ძ-ის, თ. ძ-ის და ი. თ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 09 იანვრის განჩინება და საჩივარი დაუსაბუთებლობის გამო, საქმის მასალებთან ერთად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

5.1. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დგინდებოდა მათ მიერ საარბიტრაჟო შეთანხმების ფაქტი, რომლის თანახმად წარმოშობილი დავა უნდა განეხილა ქ. სტოკჰოლმის სავაჭრო პალატას. თავის მხრივ, მითითებული არბიტრაჟის წესების 37-ე მუხლი ითვალისწინებდა საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ დროებითი ზომების გამოყენების შესაძლებლობას, თუმცა ამავე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილად მიიჩნია, რომ: „მხარის მიერ სასამართლო ორგანოს მიმართ დროებითი ზომების შესახებ მოთხოვნა არ არის შეუთავსებელი საარბიტრაჟო შეთანხმებასთან ან ამ წესებთან.“ ამდენად, თავად მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული არბიტრაჟის დებულების წესების თანახმად, თბილისის სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო განეხილა მხარის განცხადება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, რაც თავის მხრივ გამორიცხავდა საქმის წარმოების შეწყვეტის სამართლებრივ საფუძვლებს.

5.2. ამასთან, სააპელაციო პალატის განმარტებით, ის გარემოება, ეწინააღმდეგებოდა თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობებს, ასევე შეასრულა თუ არა მოსარჩელემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, არ შეიძლებოდა კვლევის საგანი გამხდარიყო, რადგან სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების თაობაზე მოთხოვნის მართებულობის კვლევისას სასამართლო არ აფასებს მტკიცებულებებს და არ იკვლევს, თუ რამდენად დგინდება სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, რამდენადაც მითითებული, შესაძლოა განხორციელებულიყო არბიტრაჟის მიერ საქმის არსებითი განხილვისას.

სამოტივაციო ნაწილი:

6. საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 09 მარტის განჩინება ქ. ძ-ის, ს. მ-ძის, დ. მ-ძის, ქ. ძ-ის, თ. ძ-ის, ა. ძ-ის, თ. ძ-ის და ი. თ-ის საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და

საქმე ქ. ძ-ის, ს. მ-ძის, დ. მ-ძის, ქ. ძ-ის, თ. ძ-ის, ა. ძ-ის, თ. ძ-ის და ი. თ-ის საჩივრის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოს უნდა დაუბრუნდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

7. საჩივრის ავტორების მოთხოვნების არსებით განხილვამდე, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მიზნად ისახავს საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ, საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ საარბიტრაჟო ინსტიტუტში (სტოკჰოლმის არბიტრაჟში) წარდგენილი სარჩელის უზრუნველყოფას.

8. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, ექვემდებარება თუ არა საქმე სასამართლოს უწყებრივად და აქვს თუ არა მას მოცემულ საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია.

9. საქმის მასალების მიხედვით დადგენილია, რომ სტოკჰოლმის საარბიტრაჟო ინსტიტუტში წარდგენილია საარბიტრაჟო მოსარჩელის სარჩელი თითოეულ სამართავ კომპანიაში არსებულ 100%-იან წილებზე საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნით; დგინდება ისიც, რომ სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში საარბიტრაჟო ინსტიტუტის მიერ და შესაბამისი შეტყობინება გაეგზავნათ საარბიტრაჟო მოპასუხეებს. სააპელაციო პალატის მიერ, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, დადგენილია მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის ფაქტი, რომლის თანახმად, წარმოშობილი დავა უნდა განიხილოს ქ. სტოკჰოლმის სავაჭრო პალატამ. თავის მხრივ, მითითებული არბიტრაჟის წესების 37-ე მუხლი ითვალისწინებდა საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ დროებითი ზომების გამოყენების შესაძლებლობას, თუმცა ამავე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარის მიერ სასამართლო ორგანოს მიმართ დროებითი ზომების შესახებ მოთხოვნა არ არის შეუთავსებელი საარბიტრაჟო შეთანხმებასთან ან ამ წესებთან.

10. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის თანახმად, მხარეს შეუძლია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებში, მიუხედავად საარბიტრაჟო განხილვის ადგილისა, სასამართლოს აქვს იგივე უფლებამოსილებანი, რაც სამართალწარმოებაში სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით. სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესები, გარდა 198-ე მუხლის მე-2 ნა-

ნილის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა, საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით.

11. ზემოაღნიშნულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხში უფლებამოსილი სასამართლოს (თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს) მიერ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის დებულებები გამოიყენება არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საარბიტრაჟო განხილვის ადგილი არის საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ იმ შემთხვევაშიც, როცა საარბიტრაჟო განხილვა საქართველოს ფარგლებს გარეთ მიმდინარეობს. ამასთან, ორივე შემთხვევაში, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესები, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ქვეყნის სამართალი ან სამართლებრივი სისტემა აირჩიეს მხარეებმა მათ შორის წარმოშობილი დავის მოსაწესრიგებლად (სუსგ №ას-538-511-2013; 3 ივლისი, 2013 წელი).

12. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოში საჩივარი წარმოდგენილია სწორედ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად და განხილვის საგანია სააპელაციო სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების კანონიერება.

13. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით. ამავე კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისთვის გათვალისწინებული წესების დაცვით, ხოლო, 411-ე მუხლით დადგენილია, რომ საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

14. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუ-

ხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. ეს განცხადება ასევე უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. რომელიმე ზემოაღნიშნული გარემოების არსებობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება სასამართლოს ვარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს. სასამართლოს მსჯელობა სარჩელის მატერიალურ და საპროცესო წინაპირობებზე გავლენას არ ახდენს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

15. ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს მოთხოვნა, სასამართლოს, განმცხადებლის მითითების საფუძველზე უნდა შეექმნას მყარი შინაგანი რწმენა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების გამოყენებლობა შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების შემდგომ აღსრულებას. თავის მხრივ, სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს საქართველოს სახელით გამოტანილ მართლმსაჯულების აქტს, რომელიც მოდავე მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად აწესრიგებს და მიმართულია (კანონიერ ძალაში შესვლის დროისათვის) დაცული და აღიარებული უფლების რეალიზებისაკენ; წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების აღსრულების დროისათვის აღმოჩნდება, რომ შეუძლებელია სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი შედეგის განხორციელება, მართლმსაჯულება რეალურ მიზანს დაკარგავს.

16. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, კანონმდებელი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის მტკიცების ტვირთს განმცხადებელს აკისრებს, თუმცა ადგენს, რომ სასამართლოს სწორედ საქმის მასალებისა და მხარის არგუმენტების ანალიზის საფუძველზე უნდა შეექმნას დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ უზრუნველყოფილ იქნას სარჩელი. რაც შეეხება მტკიცების სტანდარტს, დასახელებული ნორმა განსაზღვრავს, რომ მხარემ უნდა მიუთითოს იმ სავარაუდო და მოსალოდნელ გარემოებაზე, რაც რეალურად გადაწყვეტილების აღსრულების შეფერხებისა თუ შეუძლებლობის წინაპირობა გახდება. ამასთან, აღნიშნულის სწორად გადაწყვეტის წინაპირობა, სწორედ უზრუნველყოფის ღონისძიების მართებულობის, მხარეთა ინტერესების შესაძლო შელაპარაკებისა და მოთხოვნის საფუძვლიანობის წინაპირობების ურთიერთშეჯერება და ერთობლივად განხილვა-გადაწყვეტაა.

17. იმავდროულად, ზემოაღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია, რამდენადაც მსგავსი სახის უზრუნველ-

ყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტს, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელის უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას, სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე, ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულებება საქმეზე განპირობებული იურიდიული შედეგის – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

18. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინამძღვრები გადაწყვეტილების აღსრულებლობის, ან მისი აღსრულების გაძნელების დასაბუთებაში უნდა მდგომარეობდეს. სარჩელის უზრუნველყოფის არსიდან გამომდინარე, სასამართლო არჩევს უზრუნველყოფის ღონისძიებას სასარჩელო მოთხოვნის ხასიათიდან და მოცულობიდან გამომდინარე.

19. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას, სასამართლომ პირველ რიგში უნდა განსაზღვროს, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობა რეალურად იქონიებს თუ არა გავლენას გადაწყვეტილების აღსრულებაზე, ანუ, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიება კავშირში უნდა იყოს განმცხადებლის მოთხოვნასთან და უნდა უზრუნველყოფდეს მას; ესე იგი გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების შემთხვევაში, უნდა იწვევდეს მოსარჩელის დარღვეული უფლებების სრულ და რეალურ აღდგენას.

20. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა ჩამონათვალს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დასახელებული ნორმის პირველი ნაწილის მიხედვით, საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისათვის. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დაშვებულ იქნეს სარჩელის უზრუნველყოფის რამდენიმე სახე (ძალადაკარგულია მე-3 ნაწილის პირველი წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას ითვალისწინებს იმ პირობებში, როდესაც ამ ღონისძიების შედეგად დაცული სიკეთე არ აღემატება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად მოწინააღმდეგე

მხარისთვის მიყენებულ ზიანს) (ძალადაკარგულია მე-3 ნაწილის პირველი წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს დროებითი მმართველისთვის მასობრივი ინფორმაციის საშუალების სარედაქციო პოლიტიკის განსაზღვრის უფლებამოსილებების მინიჭებას).

21. ამდენად, მართალია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიებების გარდა, სასამართლოს უფლება აქვს გამოიყენოს სხვა სახის ღონისძიებებიც და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ჩამონათვალთან მიმართებით არ მოქმედებს „Numerus clausus“ პრინციპი, მაგრამ ხსენებული საპროცესო დანაწესი უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ სასამართლო უზრუნველყოფის კრიტიკული აუცილებლობისა და მხარეთა ინტერესების დაბალანსების გზითაა ვალდებული განსაზღვროს, თუ რომელი ზომა უნდა იქნეს გამოყენებული კონკრეტულ შემთხვევაში.

22. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მაქსიმალურად გათვალისწინებული უნდა იქნეს ორივე მხარის კანონიერი ინტერესი. დავის საგნის დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე, რითაც ხდება მოსარჩელის კანონიერი ინტერესის რეალიზაცია და მისი სარჩელის უზრუნველყოფა, არ უნდა მოხდეს მოპასუხე მხარის კანონიერი ინტერესის უპირობო და ცალსახა შელახვა, არამედ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება უნდა განხორციელდეს მოპასუხე მხარის კანონიერი ინტერესის გონივრულ ფარგლებში შეზღუდვა-შევიწროებით და იმ ოდენობით, რაც აუცილებელია მოსარჩელის კანონიერი ინტერესის დაცულობისთვის. იმისათვის, რომ მოხდეს მხარეთა ინტერესების დაბალანსება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს არაადეკვატური, არათანაზომიერი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

23. კერძოსამართლებრივი დავების განხილვისას და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საკანონმდებლო ნორმების ინტერპრეტირებისას სამართალშემფარდებელმა უნდა გაითვალისწინოს ის შედეგი, რომელიც გადაწყვეტილებამ შეიძლება იქონიოს კონსტიტუციური უფლებების რეალიზებაზე და არ უნდა დაუშვას სამართალწარმოების ერთი მხარისთვის სარგებლის მინიჭება სხვა პირთა კონსტიტუციური უფლების, გაუმართლებელი შეზღუდვის ხარჯზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675.681 გადამწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუნწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-82). უფლების შეზღუდვის საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწე-

ვის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისალწვეი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს მხარის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონკისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60).

24. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას, სასამართლომ პირველ რიგში უნდა განსაზღვროს, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობა რეალურად იქონიებს თუ არა გავლენას გადაწყვეტილების აღსრულებაზე, ანუ, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიება კავშირში უნდა იყოს განმცხადებლის მოთხოვნასთან და უნდა უზრუნველყოფდეს მას; ესე იგი გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების შემთხვევაში, უნდა იწვევდეს მოსარჩელის დარღვეული უფლებების სრულ და რეალურ აღდგენას.

25. მოცემულ შემთხვევაში, შუამდგომლობის ავტორი მიუთითებს და საჩივრის ავტორებიც სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ სტოკ-ჰოლმის საარბიტრაჟო ინსტიტუტში წარდგენილი საარბიტრაჟო სარჩელის მოთხოვნებს წარმოადგენს მოსარჩელე შპს „ო.ა - საქართველოს“ (ს/ნ ...) საკუთრებაში აღირიცხოს: ა) შპს „გ. ს-ის“ (ს/ნ ...) საწესდებო კაპიტალში ქ. ძ-ის (პ/ნ ...) საკუთრებად რეგისტრირებული 100%-იანი წილი; ბ) შპს „მ-ის“ (ს/ნ ...) საწესდებო კაპიტალში თ. ძ-ის (პ/ნ ...) საკუთრებად რეგისტრირებული 100%-იანი წილი; გ) შპს „მ-ის“ (ს/ნ ...) საწესდებო კაპიტალში – დ. მ-ძის (პ/ნ ...) საკუთრებად რეგისტრირებული 100%-იანი წილი; დ) შპს „მ-ის“ (ს/ნ ...) საწესდებო კაპიტალში ა. ძ-ის (პ/ნ ...) საკუთრებად რეგისტრირებული 100%-იანი წილი; ე) შპს „მ-ის“ (ს/ნ ...) საწესდებო კაპიტალში ს. მ-ძის (პ/ნ ...) საკუთრებად რეგისტრირებული 100%-იანი წილი; ვ) შპს „ი-ის“ (ს/ნ ...) საწესდებო კაპიტალში ქ. ძ-ის (პ/ნ ...) საკუთრებად რეგისტრირებული 100%-იანი წილი; ზ) შპს „ი-ის“ (ს/ნ ...) საწესდებო კაპიტალში თ. ძ-ის (პ/ნ ...) საკუთრებად რეგისტრირებული 100%-იანი წილი; თ) შპს „მ-ის“ (ს/ნ ...) საწესდებო კაპიტალში ი. თ-ის (პ/ნ ...) საკუთრებად რეგისტრირებული 100%-იანი წილი, ხოლო, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით განმცხადებელი ითხოვს დავის საბოლოო გადაწყვეტამდე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში იმ ცვლილების განხორციელების აკრძალვას, რომელიც გულისხმობს შპს „გ. ს-ში“ (ს/ნ ...), შპს „მ-ში“ (ს/ნ ...), შპს „მ-ში“ (ს/კ ...), შპს „მ-ში“ (ს/ნ ...), შპს „მ-ში“ (ს/ნ ...), შპს „ი-ში“ (ს/ნ ...), შპს „მ-ში“ (ს/ნ ...), შპს „ი-ში“ (ს/ნ ...) წილის მმართველად შპს „ო.ა -

საქართველოს“ (ს/ნ ...) რეგისტრირებული მონაცემის გაუქმებას.

26. ზემოაღნიშნული შუამდგომლობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 09 იანვრის განჩინებით დაკმაყოფილდა, რაც მოწინააღმდეგე მხარეთა საჩივრის განხილვის ფარგლებშიც, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 09 მარტის განჩინებით.

27. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის თაობაზე მოსარჩელის მოტივაცია ძირითადად აგებულია და ემყარება იმ გარემოებას, რომ უშუალოდ ქ. ძ-ი და ასევე, დანარჩენი მოპასუხეები ქ. ძ-ის კარნახით ხელმძღვანელობისა და კონტროლის პირობებში, შეეცდებიან მართვაში გადაცემული კომპანიების პარალიზებას, ამ კომპანიების ქონებების გადამალვას, გასხვისებას და დაზიანებას, რაც მინდობილი მმართველისათვის გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს. მითითებულ დასაბუთებასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა პირველ რიგში განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლში მოხსენიებული „გამოუსწორებელი და პირდაპირი ზიანი“, რომლის არსებობის ან წარმოშობის საფრთხეც უნდა შეაფასოს სასამართლომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობაზე მსჯელობისას, უნდა უკავშირდებოდეს სასამართლოს მიერ კონკრეტულ დავაზე მისაღები გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლო ხელშეშლას და შეფასდეს მხოლოდ ამ თვალსაზრისით. პალატა აღნიშნავს, რომ აქ არ იგულისხმება ზოგადად ყველა პოტენციური ზიანი, რომელიც შეიძლება მოდავე მხარეებს მიადგეთ მათი ურთიერთობიდან (ანალოგიურ განმარტებას შეიცავს სუსგ საქმეზე №ას-1016-2021, 25/05/2022 წ.), არამედ, მოსარჩელე უნდა ადასტურებდეს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გამოიწვევს გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეშლას იმგვარად, რომ მოსარჩელეს მიადგება გამოუსწორებელი და პირდაპირი ზიანი ან ისეთი ზიანი, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით.

28. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის მოტივაცია უმთავრესად მდგომარეობს მართვაში გადაცემული კომპანიების სახელზე რიცხული ქონებების გადამალვის, გასხვისებისა და დაზიანების საფუძველზე, მ-ში ამ კომპანიების პარალიზების, მათი ფუნქციონირების გართულების თავიდან აცილებაში და არა წინამდებარე საქმეზე მისაღები გადაწყვეტილების აღსრულების ხელისშემშლელი რისკების განეიტრალებაში. საყურადღებოა ისიც, შუამდგომლობის ავტორის მსგავსად, საჩივრის ავტორებიც, საარბიტრა-

ყო მოსარჩელის მხრიდან სამართავად გადაცემული კომპანიებისათვის ხელოვნურად ზიანის (სამართავად გადაცემული კომპანიებისათვის მხოლოდ ზარალის მოტანა, ხელოვნური საფინანსო ვალდებულებების შექმნა; მათ მიერ შექმნილ ცრუმაგიერ კომპანიებზე სამართავად გადაცემული კომპანიების ქონებების გასხვისება) მიყენებაზე აპელირებენ იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება ამ სახით იქნება შენარჩუნებული. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მართალია, რომელიმე მხარის მხრიდან კომპანიებისათვის ზიანის მიყენების ფაქტი საქმის არსებითი განხილვის შედეგად გადასაწყვეტ საკითხთა წრეს მიეკუთვნება, რაც საქმეში წარდგენილ მტკიცებულებათა სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის შედეგად გადაწყდება, თუმცა, როდესაც ორივე მხარე ასეთი რისკების არსებობაზე მიუთითებდნენ, სააპელაციო პალატას უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხი, სამართლებრივი უსაფრთხოების, უზრუნველყოფის კრიტიკული აუცილებლობის, მხარეთა ინტერესების დაბალანსებისა და ინტერესთა ოპტიმალური დაკმაყოფილების პრინციპების მხედველობაში მიღებით, უნდა შეეფასებინა.

29. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მართალია, სარჩელის უზრუნველყოფის ინტიტუტის მიზანია მოსარჩელის მატერიალური უფლების რეალური განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, თუმცა მხარეთა თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, დაცული უნდა იქნეს მოპასუხის ინტერესებიც. „სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას დაცული უნდა იყოს სამართლიანი ბალანსი მოსარჩელის უფლებასა (უზრუნველყოფის სასამართლო წესით დადასტურებული უფლების რეალიზაცია) და მოპასუხის ინტერესს (უზრუნველყოფის ღონისძიებამ გაუმართლებლად არ ხელყოს მისი, როგორც მოპასუხის უფლებები) შორის. უფლების დროებით შეზღუდვის დროს მნიშვნელოვანია გონივრული ბალანსის დაცვა დაცულ სიკეთესა და შეზღუდულ უფლებას შორის“ (შდრ. სუსგ 2015 წლის 6 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-114-107-2015; სუსგ №ას-1586-2018, 26 ოქტომბერი, 2018 წ.).

30. ამ მიმართებით, საკასაციო პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ 2017 წლის 06 მარტსა და 2017 წლის 27 მარტს, რვავე კომპანიის კორპორატიული უფლებების მართვასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებებით, მხარეებმა გაითვალისწინეს ერთნაირი შინაარსის პუნქტები, რომელიც შეეხება ხელშეკრულებების მოქმედების ვადას და მისი გაგრძელების პირობებს. კერძოდ, ხელშეკრულებების მიხედვით, მხარეებმა ვადის გაგრძელების შესაძლებლობა დაუკავშირეს კორპორატიული უფლებების მართვის პროგნოზირებად შედეგს; შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მოთხოვნილია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში იმ ცვლილების განხორციელების აკრძალვა, რომელიც გულისხმობს რვავე კომპანიაში შპს „ო.ა - საქართველოს“ (ს/ნ ...) რეგისტრირებული მონაცემის გაუქმებას, ხოლო, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად, იმთავითვე განსაზღვრული იყო, რომ მმართველობის უფლების გაგრძელება დამოკიდებულია მართვის პროგნოზირებად შედეგებთან, სააპელაციო პალატას უნდა შეეფასებინა, მითითებული სახით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, ხომ არ გამოიწვევდა მოპასუხეთა ინტერესების გაუმართლებელ, არაპროპორციულ შეზღუდვას.

31. ამასთან, საარბიტრაჟო სასარჩელო მოთხოვნისა (თითოეულ სამართავ კომპანიაში არსებულ 100%-იან წილებზე საკუთრების უფლების გადაცემა) და უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველად მითითებული მოტივაციის (კომპანიების სახელზე რიცხული ქონებების გადამალვის, გასხვისებისა და დაზიანების თავიდან არიდება) მხედველობაში მიღებით, შეფასებას ექვემდებარებოდა საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ, მითითებული სახით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, იყო თუ არა უალტერნატივო იმ სიკეთის დასაცავად, რომლის დაცვის მიზნითაც იქნა უზრუნველყოფა გამოყენებული; ანუ, სააპელაციო პალატას უნდა განესაზღვრა, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიება იყო თუ არა კავშირში განმცხადებლის მოთხოვნასთან, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, უალტერნატივოდ უზრუნველყოფდა თუ არა გადანყვეტილების აღსრულებას მაშინ, როდესაც რვავე კომპანიის საკუთრებაში ირიცხება სხვადასხვა უძრავი ქონება (რომელთა გადამალვის, გასხვისების და დაზიანების თავიდან არიდებასაც ემსახურებოდა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობის წარდგენა შუამდგომლობის ავტორის განმარტებით) და გადანყვეტილების იძულებითი აღსრულების შემთხვევაში, გამოიწვევდა თუ არა მოსარჩელის დარღვეული უფლებების სრულ და რეალურ აღდგენას, რაც სააპელაციო პალატას არ განუხორციელებია.

32. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის განჩინება არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას სტოკჰოლმის საარბიტრაჟო ინსტიტუტში წარდგენილი საარბიტრაჟო სარჩელის სასარჩელო მოთხოვნების პირობებში, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება იმ სახით, რა სახითაც ამას მოსარჩელე მოითხოვს, უზრუნველყოფს თუ არა მხარეთა ინტერესების ოპტიმალურ დაკმაყოფილებას, ხომ არ გამოიწვევს მოპასუხეთა ინტერესების გაუმართლებელ, არაპროპორციულ შეზღუდვას; ასევე, წარმოადგენს თუ არა კონკრეტულად

ამ საქმეზე მოსარჩელის მიზნის მიღწევის აუცილებელ საშუალებას და სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მისი აღსრულება რატომ იქნება შეუძლებელი მითითებული სახით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე, ანუ მითითებული სახით უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, არის თუ არა უალტერნატივო იმ სიკეთის დასაცავად, რომლის დაცვის მიზნითაც იქნა გამოყენებული.

33. შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ შპს „გ. ს-ის“ (ს/კ ...) 100%-იანი წილის მფლობელის – ქ. ძ-ის, შპს „მ-ის“ (ს/კ ...) 100%-იანი წილის მფლობელის – ს. მ-ძის, შპს „ი-ის“ (ს/კ ...) 100%-იანი წილის მფლობელის – ქ. ძ-ის, შპს „ი-ის“ (ს/კ ...) 100%-იანი წილის მფლობელის – თ. ძ-ის, შპს „მ-ის“ (ს/კ ...) 100%-იანი წილის მფლობელის – ა. ძ-ის, შპს „მ-ის“ (ს/კ ...) 100%-იანი წილის მფლობელის – თ. ძ-ის და შპს „მ-ის“ (ს/კ ...) 100%-იანი წილის მფლობელის ი. თ-ის საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 09 მარტის განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და საქმე საჩივრის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოს უნდა დაუბრუნდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 399-ე, 372-ე მუხლებით, 197¹-ე მუხლის მე-4 ნაწილით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

1. ქ. ძ-ის, ს. მ-ძის, დ. მ-ძის, ქ. ძ-ის, თ. ძ-ის, ა. ძ-ის, თ. ძ-ის და ი. თ-ის საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 9 მარტის განჩინება ქ. ძ-ის, ს. მ-ძის, დ. მ-ძის, ქ. ძ-ის, თ. ძ-ის, ა. ძ-ის, თ. ძ-ის და ი. თ-ის საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას დაუბრუნდეს საქმე ქ. ძ-ის, ს. მ-ძის, დ. მ-ძის, ქ. ძ-ის, თ. ძ-ის, ა. ძ-ის, თ. ძ-ის და ი. თ-ის საჩივრის ხელახლა განსახილველად.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფით გამონაკლისი ზარალის ანაზღაურება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-186-2020

22 დეკემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: თ. ზამბახიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
რ. ნადარაია

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა:

შპს „ბ-მა“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოსარჩელე“, „პირველი კასატორი“, „კომპანია“ ან „საწარმო“) სარჩელი აღძრა სასამართლოში ჯ. ჰ. გ-კის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოპასუხე“, „პირველი პარტნიორი“ ან „მეორე კასატორი“) მიმართ და ზიანის ანაზღაურების სახით მოითხოვა: 443 292.66 აშშ დოლარის (შპს „ვ.ბ.კ-თვის“ გადასახდელი თანხა); 205 537 ლარის (შპს „ი. ს-თვის“ გადასახდელი თანხა); 386 449.71 აშშ დოლარის (შპს „გ. პ-თვის“ გადასახდელი თანხა); 25.05.2015 წლიდან 16.02.2017 წლამდე 16 000 000 აშშ დოლარის წლიური 12%-ის, ასევე, 30.05.2015 წლიდან 16.02.2017 წლამდე 7 500 000 აშშ დოლარის წლიური 12%-ის, ჯამურად – 4 631 013 აშშ დოლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

2. სარჩელის საფუძვლები:

2.1. კომპანიის 89% წილის მფლობელი პარტნიორია რ. ვ-ნი (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მეორე პარტნიორი“ ან „დირექტორი“), 11% წილის მფლობელი პარტნიორი კი – მოპასუხე. ამ უკანასკნელს საწარმოს საქმიანობაში მონაწილეობა არასდროს მიუღია, არ განუხორციელებია კომპანიაში ინვესტირება და არ დაინტერესებულა მისი საქმიანობით, განსხვავებით მეორე პარტნიორისაგან.

2.2. მოპასუხემ 05.03.2015 წელს განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მოითხოვა. 06.03.2015 წლის განჩინებით აღნიშნული განცხადება დაკმაყოფილდა და მოსარჩელეს აეკრძალა საკუთრებაში არსებული უძ-

რავი ქონების გასხვისება, ხოლო მეორე პარტნიორს, კომპანიაში წესდებით გათვალისწინებული 89%-ის მფლობელი პარტნიორის უფლებამოსილების განხორციელება საერთო კრებებზე, ამავე საწარმოს 11% წილის მესაკუთრის – პირველი პარტნიორის მონაწილეობის გარეშე.

2.3. მოპასუხემ სასამართლოში წარდგენილი სარჩელით მოითხოვა პარტნიორთა შორის არსებული ხელშეკრულებიდან (წესდება) გასვლა და წილის კომპენსაცია. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 25.11.2016 წლის კანონიერ ძალაში შესული განჩინებით მოპასუხის სარჩელზე შეწყდა საქმისწარმოება. შესაბამისად, გაუქმდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაც. საქმისწარმოება შეწყდა იმ საფუძველით, რომ საწარმოს პარტნიორებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებით პარტნიორთა შორის დავა ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობით განიხილება და ის ამერიკული არბიტრაჟების ასოციაციის არბიტრაჟის განსჯადია. აღნიშნულის შესახებ თავიდანვე იყო ცნობილი მოპასუხისთვის, მაგრამ მან მაინც მიმართა სასამართლოს, რათა დაეყადაღებინა საწარმოს ქონება, რითაც მნიშვნელოვნად დააზარალა იგი.

2.4. მოსარჩელის ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობა უძრავი ქონების გასხვისებაა. კომპანიამ 25.02.2015 წელს ხელი მოაწერა განზრახულობათა წერილს, რომლის საფუძველზეც, გარკვეული სამუშაოების შემდგომ, არაუგვიანეს 30.05.2015 წლისა, საწარმოს კუთვნილი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა გაყიდულიყო უცხოელ ინვესტორზე, დანარჩენი მიწის ნაკვეთების გასხვისების მიზნით მოსარჩელემ კუთვნილი ქონების გაყიდვის ორგანიზებისათვის 05.03.2015 წელს გააფორმა ხელშეკრულებები შპს „გ.ბ.კ-შა“ და შპს „ი. ს-თან“, ხოლო რამდენიმე თვით ადრე, 09.12.2014 წელს, შპს „გ. პ-თან“, რომელიც ამზადებდა კომპანიის კუთვნილი ტერიტორიის ურბანული დაგეგმარებისა და მიწის ნაკვეთების გამიჯვნის პროექტებს.

2.5. ქონების გასხვისებაზე სასამართლოს მიერ მიღებული აკრძალვის პირობებში კომპანიამ ვერ მოახერხა ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და მოუწია კონტრაქტებისათვის თანხის ანაზღაურება ისე, რომ შესაბამისი შედეგი ვერ მიიღო. კომპანიამ ვერ განხორციელა თავისი ძირითადი საქმიანობა – ვერ გაყიდა კუთვნილი უძრავი ქონება. კომპანიის დაფუძნების მიზანი სწორედ ე.წ. „კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის“ შექმნა, ამ ტერიტორიის განვითარება და შემდგომ ნაკვეთების გაყიდვა იყო. მოსარჩელეს ხელშეკრულებების საფუძველზე გადასახდელი აქვს თანხები.

2.6. საწარმომ 22.07.2015 წელს ერთ-ერთი კონტრაქტისგან, შპს „ი. ს-გან“ მიიღო წერილობითი შეტყობინება, რომლითაც ირკვევა, რომ უძრავი ქონების აუქციონზე გასაყიდი მოსალოდნელი მინიმალური ფა-

სი შეადგენდა 16 000 000 აშშ დოლარს. შპს „გ.ბ.კ-მა“ და შპს „ი. ს-ომ“ სამუშაო განიეს იმისთვის, რომ ქონების გასაყიდი აუქციონი მოეწყობა 25.05.2015 წელს. ბაზრის შესწავლის, პოტენციურ ინვესტორებთან გატარებული სამუშაოების და მათი ინტერესიდან გამომდინარე, აღნიშნულ პერიოდში არსებობდა მაღალი ალბათობა იმისა, რომ უძრავი ქონება გაიყიდებოდა არანაკლებ 16 000 000 აშშ დოლარად, რაც საწარმოს თანხის საბანკო დანესებულებაში სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსების შედეგად დამატებითი შემოსავლის მიღების შესაძლებლობას მისცემდა. საწარმოს მიღებული აქვს შეთავაზება სს „ლ. ბ-გან“, რომლის მიხედვით, იგი თანხის დეპოზიტზე განთავსების შედეგად მიიღებდა სარგებელს წლიური 12%-ის ოდენობით. ამ შეთავაზების გათვალისწინებით, საწარმო თუ განათავსებდა 16 000 000 აშშ დოლარს და 7 500 000 აშშ დოლარს დეპოზიტზე, მისი წლიური სარგებელი იქნებოდა 2 820 000 აშშ დოლარი. აღნიშნული შეუძლებელი გახდა მოპასუხის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გამო, რაც ამჟამად გაუქმებულია.

2.7. მოპასუხემ ბოროტად გამოიყენა თავისი უფლება, კერძოდ, კომპანიის მიერ მიწოდებული კონფიდენციალური ინფორმაცია და დოკუმენტები გადასცა მესამე პირს, რომელმაც ამ ინფორმაციის გამოყენებით სარჩელი აღძრა ნიუ იორკის სასამართლოში მოსარჩელის მიმართ.

3. მოპასუხის პოზიცია:

3.1. მოპასუხემ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ არასწორია მოსარჩელის მითითება, თითქოს მოპასუხეს საწარმოში ინვესტირება არ განუხორციელებია და არ დაინტერესებულა მისი საქმიანობით. მოპასუხემ მეორე პარტნიორს 50%-დან 39% წილი იმისთვის დაუთმო, რომ მას მოეზიდა ინვესტორები. იმ დროისათვის მოპასუხის მიერ კომპანიის სანესდებო კაპიტალში შეტანილი თანხა იყო 1 000 000 აშშ დოლარი. მოპასუხე ყოველთვის ინტერესდებოდა კომპანიის საქმიანობით, თუმცა დირექტორი არ აწვდიდა საზოგადოების საქმიანობის ამსახველ დოკუმენტაციას, რის გამოც მოპასუხე 2013 წლიდან დავობდა სასამართლოში.

3.2. არასწორია მსჯელობა, რომ კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობა უძრავი ქონების გასხვისებაა. წესდების 2.1 პუნქტის შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის საგანია ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული კანონმდებლობით, ხოლო 2005 წლის პარტნიორთა საოპერაციო ხელშეკრულების 1.1. პუნქტის მიხედვით, ბიზნესის მართვა ნიშნავს ქონების შეძენას, მართვასა და ყველა სხვა ბიზნესს, რომელსაც დროდადრო განსაზღვრავენ მხარეები. 28.06.2006 წლის პარტნიორთა რიგგარეშე კრების ოქმი მიღებულია ცალმხრივად, კრებაზე მოპასუხე არ ყოფილა მინვეული.

3.3. მცდარია მოსაზრება, თითქოს საწარმომ სასამართლოს მიერ მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიების გამო ვერ მოახერხა კონტრაქტებთან დადებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და მოუწია მათთვის სოლიდური თანხების გადახდა შედეგის გარეშე. მოსარჩელის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები შპს „ვ.ბ.კ-თან“, შპს „ი.ს.“ და შპს „გ. პ-თან“ არის დირექტორის მიერ უფლებამოსილების გადამეტებით დადებული გარიგებები მისი შინაარსისა და აღსრულების ფორმებიდან გამომდინარე და მასზე მითითება წინამდებარე საარჩელის მოთხოვნის დასაბუთებულობის თვალსაზრისით საფუძველს მოკლებულია. შპს „ვ.ბ.კ-თან“ ხელშეკრულება გაფორმებულია 05.03.2015 წელს, ხოლო უზრუნველყოფის თაობაზე განჩინება მიღებულია 06.03.2015 წელს, რაც ცხადყოფს, რომ ქონების გასხვისების აკრძალვამდე ფაქტობრივად არ იყო დაწყებული ხელშეკრულების პირობების შესრულება და კომპანიის ხელმძღვანელობას ყოველგვარი ზიანის გარეშე შეეძლო ხელშეკრულების შეწყვეტა ან შესრულების გადავადება. ხელშეკრულების 3.2 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების ხელმოწერიდან ხუთ დღეში უნდა გადარიცხულიყო მხოლოდ 35 000 აშშ დოლარი. ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა მისი შეწყვეტის სპეციალურ პირობებს, შესაბამისად, მისი შეწყვეტა შესაძლებელი იყო სამოქალაქო კოდექსის ნორმათა შესაბამისად. თანხის (ნასყიდობის ფასის პროცენტის სახით) გადახდა უკავშირდებოდა გაყიდვის ფაქტს და, რადგან ეს არ მომხდარა, მისი ოდენობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს რეალურ ზიანად.

3.4. ასევე მნიშვნელოვანია, რომ არ არის წარმოდგენილი ხელშეკრულება შპს „ი. ს-თან“, წარმოდგენილია მხოლოდ დანართი C-1, რომლის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 დღის ვადაში უნდა გადახდილიყო მხოლოდ 40000 აშშ დოლარი, ხოლო დანარჩენი თანხა მე-3 და მე-4 ფაზების დასრულების შემდეგ. ამდენად, კონტრაქტის ინფორმირების შემთხვევაში ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ ხელშეკრულება ვერ შესრულდებოდა, რის თაობაზეც საწარმოს უნდა ეცნობებინა მისთვის. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ზიანის არარსებობის ფაქტორის შესახებ. მოსარჩელე ვერ ადასტურებს, რომ გარიგება ვერ შედგა რომელიმე დაინტერესებულ პირთან და ამით დაიკარგა რაიმე მნიშვნელოვანი ინტერესი. ქონების გამოცხადებული ფასი არ ნიშნავს მის გასხვისებას ამ ფასად. ამისათვის საჭიროა რეალური მყიდველის არსებობა და სამომავლო ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმება.

3.5. საარჩელი იურიდიულად დაუსაბუთებელია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) 199-ე მუხლის შესაბამისად, რომლის მე-3 ნაწილი შესაძლებლობას აძლევს მხარეს, იმ შემ-

თხვევაში მიმართოს სასამართლოს გაუმართლებელი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გამო, თუკი მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე. განსახილველ შემთხვევაში, საქმისწარმოება შეწყდა არბიტრაჟის განსჯადობის გამო, ანუ გადაწყვეტილება არსებითი განხილვის შედეგად კი არ იქნა მიღებული, არამედ საპროცესო წესებიდან გამომდინარე შეწყდა საქმისწარმოება სასამართლოში, რაც არ არის სსსკ-ის 199.3 მუხლით განსაზღვრული შემთხვევა. საგადახდო დავალებებით გაურკვეველია, რა მომსახურებისთვის ან რომელი კონტრაქტის ხელშეკრულების პირობების შესრულების შესაბამისად გადაიხდა კომპანიამ თანხა. ამასთან, გადახდილი საფასურის სანაცვლოდ მოსარჩელემ მიიღო მომსახურება, მათ შორის – ურბანული დაგეგმარება და მიწის ნაკვეთების გამიჯვნის პროექტის მომზადება. მიღებული მომსახურებით კომპანიას შეუძლია ისარგებლოს დღესაც, მათ შორის – ე.წ. პოტენციურ მყიდველთა მონაცემთა ბაზის გამოყენებით. მოსარჩელეს უნდა შეენიჭებინა ან შეეჩერებინა კონტრაქტებთან მიმდინარე მოლაპარაკების პროცესი.

3.6. საბანკო პროცენტის დარიცხვაზე მსჯელობა და ამით ზიანის ფორმულირება მოკლებულია დასაბუთებულობას და ამ თვალსაზრისით შეუძლებელია სარჩელის საფუძვლიანობის შემოწმება.

3.7. უსაფუძვლოა მოსარჩელის მითითება მოპასუხის მიერ უფლების ბოროტად გამოყენებასა და კონფიდენციალურობის დარღვევაზეც.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და საფუძვლები:

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 13.04.2018 წლის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

4.1. მოსარჩელე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი და რეგისტრირებული იურიდიული პირია, რომლის 89%-იანი წილის მესაკუთრე და დირექტორი – მეორე პარტნიორი, ხოლო 11% წილის მფლობელი მოპასუხეა. კომპანიის საქმიანობის საგანი ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობაა, რაც არ იკრძალება კანონით.

4.2. 28.02.2006 წელს კომპანიის პარტნიორთა რიგგარეშე კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, რომელსაც ესწრებოდა მხოლოდ 89%-იანი წილის მქონე პარტნიორი, კომპანიის დირექტორს განუსაზღვრელი ვადით მიენიჭა შემდეგი უფლებამოსილებები:

– განეკარგა კომპანიის უძრავი ქონება;

– დაეფუძნებინა ახალი კომერციული იურიდიული პირები კომპანიის სრული ან ნაწილობრივი მონაწილეობით ნებისმიერ იურისდიქციაში შეზღუდვის გარეშე, საქართველოს ჩათვლით და განესაზღვრა ამგვარი ორგანიზაციების სამართლებრივი ფორმები. შეეტანა კომპანიის ქო-

ნება ახალი იურიდიული პირების სანესდებო კაპიტალში. ამასთან, წარმოედგინა კომპანია, როგორც პარტნიორი/აქციონერი ამგვარ ახალ კომერციულ იურიდიულ პირებში;

– აელო სესხები, საკრედიტო რესურსები კომერციული ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტებისაგან და გაეცა უზრუნველყოფები კომპანიის ქონებაზე იპოთეკის ან გირავნობის დადგენის ან გარანტიების გაცემის გზით.

4.3. მოპასუხემ სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით მიმართა სასამართლოს. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 06.03.2015 წლის განჩინებით აღნიშნული განცხადება დაკმაყოფილდა და კომპანიას აეკრძალა საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების გასხვისება.

4.4. მოპასუხემ სასამართლოში სარჩელის წარდგენის გზით დავა დაიწყო კომპანიისა და მეორე პარტნიორის მიმართ საზოგადოებიდან გასვლისა და კუთვნილი 11%-იანი წილის კომპენსაციის მოთხოვნით.

4.5. მოპასუხის სარჩელთან დაკავშირებით მიმდინარე სამართალწარმოება სსსკ-ის 272¹-ე მუხლის საფუძველზე შეწყდა სასამართლოს 25.11.2016 წლის განჩინებით, რომელიც გასაჩივრების მიუხედავად, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 16.02.2017 წლის განჩინებით. საქმისწარმოების შეწყვეტის გამო გაუქმდა ამ საქმეზე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება. საქმისწარმოების შეწყვეტას საფუძვლად დაედო დავის არბიტრაჟის გზით მოგვარების თაობაზე მხარეთა შეთანხმება.

4.6. სასამართლომ დადასტურებულად არ მიიჩნია ფაქტობრივი გარემოებები, რომ მოპასუხე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მიზნად ისახავდა კომპანიისათვის ზიანის მიყენებას და, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით საწარმოს მიადგა ზიანი.

4.7. წარმოდგენილი მტკიცებულებებით არც ზიანის მიყენების ფაქტი და არც მისი ოდენობა არ დგინდება. ხელშეკრულებების შესაბამისად, მოსარჩელეს რიგ შემთხვევებში თანხის გადახდის ვალდებულება წარმოეშობოდა ქონების გასხვისების შემდგომ. ამასთან, პროექტის მიღების შესაძლებლობა კომპანიას არ შეზღუდვია და მისი მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სიკეთე მიღებულია.

4.8. კონტრაქტორი კომპანიის შპს „გ.ბ.კ-ის“ თანამშრომლის, მოწმე გ. ჯ-ის მითითებით, ხელშეკრულების საფუძველზე მათ ევალუბოდათ ქონების გაყიდვის მიზნით ინვესტორების მოძიება, შესაბამისი პრეზენტაციების ჩატარება სხვადასხვა ქვეყანაში და საბოლოოდ, აუქციონის მოწყობის გზით, ქონების გასხვისება. მოწმის განმარტებით, მათ აუქციონი არ ჩატარებიათ, რაც განპირობებული იყო რამდენიმე გა-

რემოებით, კერძოდ: ა) ქონების მიმართ ინვესტორებს დაინტერესება არ გამოუჩენიათ; ბ) საწარმოს ჰქონდა დავალიანება, რის გამოც კონტრაქტორებს შორის გაუარესდა ურთიერთობა. ამასთან, მეორე პარტნიორი უკმაყოფილო იყო იმ ფაქტით, რომ ორი თვის ვადაში ვერ მოხერხდა ქონების გასხვისება და ბოლოს – გ) ქონებაზე ყადაღის არსებობის პირობებში შეუძლებელი იყო მისი აუქციონის გზით გასხვისება. მოწმის განმარტებით, მხარეთა შორის შეწყდა ხელშეკრულება და დაახლოებით 35 000 აშშ დოლარის ანაზღაურება, კომპანიას აღარ მოუთხოვია, რამდენადაც შეუძლებელი იყო ხელშეკრულების მიზნის განხორციელება. კომპანიის რეპუტაციიდან გამომდინარე, მათ ინტერესს ეწინააღმდეგებოდა, ინვესტორებისათვის შეეთავაზებინათ იმგვარი ქონება, რომლის რეალიზებაც შეუძლებელი იყო. მომსახურების ფარგლებში, მოწმის განმარტებით, მათ შეადგინეს კრწანისის რეზიდენციის ტერიტორიაზე ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს პროექტის ბიზნესგეგმა, რომელიც დღეის მდგომარეობითაც გარკვეული ღირებულების მქონეა და შესაძლებელია დანიშნულებისამებრ გამოყენება. ამდენად, კონკრეტული ხელშეკრულებიდან გამომდინარე საწარმოს მიღებული აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებელი. ამასთან, მოწმის ჩვენებით დასტურდება, რომ, გარდა ყადაღის არსებობისა, აუქციონის ჩატარებლობა განაპირობა თავად ინვესტორთა მხრიდან შესაბამისი ინტერესის არგამოჩენამაც და ქონების გასხვისება მხოლოდ უზრუნველყოფის ღონისძიებას არ დაუბრკოლებია. სასამართლოს შეფასებით, საინტერესოა, აღნიშნული გარემოების შეფასება მიზეზობრივი კავშირის დადგენის თვალსაზრისით, რაც ზიანის ანაზღაურების წინაპირობაა. ვინაიდან ქონების რეალური მყიდველი არ დგინდება, უზრუნველყოფის საფუძველით ქონების გასხვისების შეუძლებლობაზე მსჯელობა საფუძველს მოკლებულია, რამდენადაც აუქციონზე ქონების გასხვისება უპირველესად დაკავშირებულია მყიდველის არსებობასთან, ხოლო მისი არარსებობის პირობებში, უზრუნველყოფის ღონისძიება დამოუკიდებლად ზიანის გამომწვევი ვერ იქნება.

4.9. სარჩელის ფარგლებში საწარმო ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ჭრილში განიხილავს არა მხოლოდ ხელშეკრულების საფუძველზე უკვე გაღებულ თანხებს, არამედ სამომავლოდ გადასახდელსაც, რომელთან მიმართებითაც არსებულ ვითარებაში კონტრაჰენტების მხრიდან მოთხოვნა დაყენებული არ არის. მოსარჩელე ასანაზღაურებელ თანხებთან, მათ შორის – შპს „გ.ბ.კ-ის“ თანამშრომლის მიერ მიცემულ ჩვენებასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ მათი ვალდებულება ხელშეკრულების საფუძველზე არის რეალური, ვიდრე წერილობით არ გაფორმდება ვალის პატიების დოკუმენტი. კრედიტორი ნებისმიერ დროს არის უფლებამოსილი, მოითხოვოს ვალდებულების შესრულება

და გარემოება, რომ ამ დრომდე მოთხოვნა არ არის დაყენებული არ გამორიცხავს აღნიშნულ ნაწილში ზიანის არსებობას. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია და მიიჩნია, რომ ის თანხები, რომლებთან დაკავშირებითაც ხელშეკრულებათა შეწყვეტის შემდგომ კონტრაქტორებს მოთხოვნა არ დაუყენებიათ, არსებული მდგომარეობით ვერ მიიჩნეოდა ფაქტობრივად დამდგარ ზიანად, რამდენადაც, სამომავლოდ მოითხოვს თუ არა შესაბამისი კომპანია თანხის ანაზღაურებას და გაიღებს თუ არა მოსარჩელე აღნიშნულ თანხას, სავარაუდოა, და მოთხოვნის არარსებობის პირობებში, მისმა ანაზღაურებამ შესაძლოა, გამოიწვიოს კომპანიის უსაფუძვლო გამდიდრებაც კი, რაც ცვლინდება იმ ხარჯების ანაზღაურებით, რომელიც კომპანიას რეალურად არ გაუღია.

4.10. ზიანის ანაზღაურების წინაპირობების დასადასტურებლად, მოსარჩელე, გარდა ხელშეკრულებებისა, მოიხმობს საგადახდო დავალებებს და მიიჩნევს, რომ მათ საფუძველზე დგინდება მოსარჩელის მიერ გარკვეული თანხების გაღების ფაქტი ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების მიღების სანაცვლოდ. სასამართლოს მითითებით, ზიანის ანაზღაურების წინაპირობებზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია, შეფასდეს ზიანის დასადასტურებლად მოხმობილი ხელშეკრულებების საგანი, რომლის ფარგლებშიც გადახდილია თანხები. ხელშეკრულებები გაფორმებულია გარკვეული მომსახურების გაწევის მიზნით, რაც მოსარჩელის მიერ მიღებულია, შესაბამისად, მიღებული მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი თანხები ზიანად ვერ მიიჩნევა, ხოლო ის ფაქტი, რომ უზრუნველყოფის პირობებში უშუალოდ ვერ გამოიყენეს მომსახურება მიზნობრივად, არ ცვლის თავად მიღებული მომსახურების საფუძველზე არსებულ სარგებელს, რომელიც გამორიცხავს ზიანის – როგორც ფაქტის არსებობას.

4.11. სასამართლოს განმარტებით, არ დგინდება ის გარემოება, რომ მოსარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოსარჩელემ განიცადა ზიანი მიუღებელი შემოსავლის სახით ჯამურად – 4 631 013 აშშ დოლარი. სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელემ ვერც აღნიშნულთან მიმართებით ვერ დაასაბუთა ზიანის რეალურობა და მხოლოდ ვარაუდებს დააფუძნა სასარჩელო მოთხოვნა. მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას მიუღებელი შემოსავლის ნაწილში უკავშირებს ქონების გასხვისებით მიღებული თანხის განთავსებას სს „ლ. ბ.“ სადეპოზიტო ანგარიშზე, რასაც დაერიცხებოდა წლიური 12%, თუმცა, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მოსარჩელეს ქონება არ გაუსხვისებია და არც შესაბამისი მყიდველი არ არსებობდა, რომელიც მზად იყო, მითითებული თანხა გადაეხადა. შესაბამისად, ვერ დგინდება თავად ქონების გასხვისების რეალურობა, მით უფრო კონკრეტულ (დასახელებულ) თანხად. ამრიგად,

მიუღებელ შემოსავალზე მსჯელობა, რომელიც ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე თანხის მიღებას უკავშირდება, მოკლებულია გონივრულ მოლოდინს. აღნიშნულ გარემოებას კიდევ უფრო ეჭვქვეშ აყენებს მოწმის ჩვენება, რომელმაც განმარტა, რომ აუქციონის ჩატარებლობის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ინვესტორის არარსებობა იყო. შესაბამისად, ამ ნაწილში მოთხოვნა არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას. რაც შეეხება უძრავი ქონების შესყიდვის შესახებ მიზნობრიობის წერილს, რომლითაც ვინმე ი. ბ. ჯ-ი გამოხატავდა სურვილს, შეეძინა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მითითებული განზრახულობათა წერილის შესაბამისად განსაზღვრული იყო კონკრეტული ვადა, რომელიც შემდგომ გახანგრძლივდა. არ დგინდება არც გარემოება, რომ მიღებულ თანხას მოსარჩელე განათავსებდა დეპოზიტზე და, რაც მთავარია – არც ზიანის ანაზღაურების წინაპირობის არსებობა.

4.12. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვს იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც, მისი მტკიცებით, წარმოიშვა სამოქალაქო დავაზე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით. ამდენად, ვალდებულების წარმოშობის საფუძველია კანონით, კერძოდ, სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული შემთხვევა, რომლის თანახმად, თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება გაუმართლებელი გამოდგა იმის გამო, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, ანდა იმის გამო, რომ სასამართლომ სსსკ-ის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, მაშინ ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც მოხდა უზრუნველყოფა, ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზარალი, რომელიც მას მიადგა სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიების შედეგად. ამ ნორმის სამართლებრივი ანალიზი საფუძველია დასკვნისათვის, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით განცდილი ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება: სარჩელზე უარის თქმის საფუძველით უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებისას და სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას, საპროცესო კოდექსით დადგენილ (10-დღიან) ვადაში სარჩელის სასამართლოში წარუდგენლობის საფუძველით უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებისას. ამდენად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას კანონმდებელი უკავშირებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე დაინტერესებული სუბიექტის არაკეთილსინდისიერებასა და ბრალეულობას, რითაც ერთგვარად პრევენციას ახდენს, რომ საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლება მხარემ ბოროტად, რეალური საფუძვლის გარეშე არ გამოიყენოს იმ განზრახვით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. ამას-

თან, მსგავს შემთხვევაში, პასუხისმგებლობის ერთადერთი საფუძველია გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით ზიანის ფაქტის არსებობა.

4.13. სარჩელის საფუძვლიანობისა და პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობების კვლევისას უნდა შეფასდეს ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისობა ნორმით განსაზღვრულ შემადგენლობასთან. სადავო შემთხვევაში, დადგენილია, რომ სასამართლო წარმოებაში იყო პირველი პარტნიორის სარჩელი სანარმოთა და მისი დირექტორის მიმართ, რომლის ფარგლებშიც გამოყენებული იყო უზრუნველყოფის ღონისძიება. სასარჩელო წარმოების დასრულება განაპირობა საქმისწარმოების შეწყვეტამ, კერძოდ, მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე დავის განხილვა არ ექვემდებარებოდა სასამართლო კომპეტენციას და იგი უნდა გადაწყვეტილიყო საარბიტრაჟო განხილვის გზით, რაც დადგენილია კანონიერ ძალაში შესული განჩინებით. კონკრეტულ შემთხვევაზე სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილი ვერ გავრცელდება, რამდენადაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება არც სარჩელზე უარის თქმასა და არც სარჩელის დადგენილ ვადაში სასამართლოში წარუდგენლობას არ გამოუწვევია. საქმისწარმოების შეწყვეტით უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება ვერ ექცევა ამ ნორმით დადგენილ ქცევის წესში, ანუ არ არსებობს სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობები, რაც გამორიცხავს სარჩელის დაკმაყოფილებას.

4.14. სასამართლო სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილს ვერ განმარტავს ფართოდ და, ნორმის მიზნიდან გამომდინარე, ვერ გაავრცელებს საქმისწარმოების შეწყვეტასა თუ სარჩელის განუხილველობის საფუძველით საქმისწარმოების დამთავრების შემთხვევებზე. აღნიშნული არც ნორმიდან არ გამომდინარეობს და არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზოგად პრინციპებს არ შეესაბამება. მსგავსი პრაქტიკის დაწერგვა გამოიწვევს მოსარჩელის უფლების არაღივიტიმურ შეზღუდვას სარჩელის აღძვრისას ან აღძვრამდე მომართოს სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით, რამდენადაც მუდამ იარსებებს საფრთხე, რომ წარმოიშვას დამოუკიდებელი დავა გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის. საქმისწარმოების შეწყვეტის საფუძვლები მოცემულია სსსკ-ის 272-ე-272'-ე მუხლებში, რომლებიც არბიტრაჟისადმი დავის დაქვემდებარებულობის გარდა აერთიანებს წარმოების შეწყვეტის ისეთ საფუძვლებს, როგორიცაა: მხარეთა მორიგება, დავის საგნის არარსებობა, პროცესის მონაწილე მხარის გარდაცვალებისას უფლებამონაცვლეობის დაუდგენლობა და ნორმით განსაზღვრული სხვა შემთხვევები. გასათვალისწინებელია სარჩელის განუხილველობის საფუძვლებიც, რაც განსაზღვრულია

სსსკ-ის 275-ე მუხლით. შესაბამისად, ამ ვითარებაში თუ მივიჩნევთ, რომ წარმოების შეწყვეტაზე უნდა გავრცელდეს სსსკ-ის 199.3 მუხლი, შეიქმნება იმგვარი სამართლებრივი რეალობა, როდესაც ზემოაღნიშნული საფუძვლებით საქმისწარმოების შეწყვეტა წარმოშობს დავას უზრუნველყოფის ღონისძიების საფუძველზე ზიანის ანაზღაურებასთან მიმართებით, რაც ამკარად შეზღუდავს პირის სასამართლო წესით დაცვას და ხელყოფს სამართლიანი სასამართლოს უფლებას. ნორმის ამგვარი (ფართო) ინტერპრეტაცია სამომავლოდ დააბრკოლებს საქმისწარმოების დამთავრებას მორიგებით, მოსარჩელე მხარე თავს შეიკავებს სარჩელზე უარის თქმისა ან მისი გამოხმობისგან, გაითვალისწინებს რა აღნიშნული საფუძველით დავის წარმოშობის შესაძლებლობას, რაც ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიზანსა და პრინციპებს. ამასთან, სასამართლომ გარკვეულწილად გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმ ნაწილში, რომ სადავო საკითხთან მიმართებით არსებობს ორი ურთიერთდაპირისპირებული ლეგიტიმური ინტერესი, რომელთაგან კანონმდებელმა უპირატესობა მიანიჭა უფრო მაღალი ღირებულების სიკეთეს, რათა მოსარჩელე მხარისთვის დავის წამოწყებისას და, შესაბამისად, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას, ცალსახად განჭვრეტადი იყოს იმ შემთხვევების ამომწურავი ჩამონათვალი, რამაც შესაძლოა, წარმოშვას მისი ვალდებულება სსსკ-ის 199.3 მუხლის საფუძველზე. აღნიშნული არის მხოლოდ სარჩელის არსებითი განხილვის გზით არ დაკმაყოფილება და მოსარჩელის მიერ კანონით განსაზღვრულ ვადაში სარჩელის წარუდგენლობა. რაც შეეხება საქმისწარმოების დამთავრების სხვა შემთხვევებს, როდესაც სასამართლო არ იხილავს საქმეს არსებითი განხილვის გზით, რეალურად წარმოება სრულდება იმგვარად, რომ არ დგინდება სარჩელის საფუძვლიანობა ანუ დავა სრულდება ე.წ. „გამარჯვებული“ მხარის არსებობის გარეშე, რომელიც მიიჩნევა სსსკ-ის 199.3 მუხლით განსაზღვრულ უფლებამოსილ სუბიექტად. ნორმით რეგულირებული მეორე შემთხვევა ეფუძნება სსსკ-ის 192-ე მუხლს, როდესაც დგინდება, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შემდგომ მხარე სარჩელის აღძვრის გზით არ მიმართავს სასამართლოს, რაც გამორიცხავს საქმეზე გადანყვეტილების გამოტანას, რისი აღსრულების უზრუნველყოფაც მოითხოვს მხარემ და რაც გარკვეულწილად მეტყველებს მხარის არაკეთილსინდისიერ ქმედებასა და უფლების ბოროტად გამოყენებაზე, რაც ყველაზე მთავარია, ის 10-დღიანი ვადით არის შეზღუდული, რომელიც იმდენად მცირეა, რომ შეუძლებელია მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევი გახდეს.

4.15. საგულისხმოა ის გარემოება, რომ სსსკ-ის 186-ე მუხლი, რომელშიც რეგლამენტირებულია სარჩელის წარმოებაში მიღების სამარ-

თლებრივი საფუძვლები, აღარ ადგენს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველს – საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის გამო. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დავაზე საქმისწარმოება შეწყდა არბიტრაჟისადმი დავის ქვემდებარეობის საფუძვლით. შესაბამისად, მოსარჩელის მტკიცება, რომ სასამართლო იმთავითვე ვერ მიიჩნეოდა უფლებამოსილ ორგანოდ, განეხილა დავა, მცდარია და ეწინააღმდეგება როგორც სსსკ-ით, ასევე – „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ წესს. სსსკ-ის 272¹-ე მუხლის თანახმად, თუ მხარეებს დადებული აქვთ ხელშეკრულება ან არსებობს მხარეთა შეთანხმება, რომ მათ შორის დავა გადასაწყვეტად არბიტრაჟს გადაეცეს, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ერთ-ერთი მხარის განცხადების საფუძველზე. აღნიშნული განცხადება შესაგებლის წარდგენის ვადის გასვლამდე უნდა გაკეთდეს. მსგავს დანაწესს შეიცავს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლიც, რომლის თანახმად, სასამართლო, რომელშიც შეტანილია სარჩელი იმ დავის არსებით საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანია, ვალდებულია, მხარის განცხადების საფუძველზე, რომელიც შესაგებლის წარდგენის ვადის გასვლამდე უნდა გაკეთდეს, შეწყვიტოს წარმოება და მიუთითოს მხარეებს არბიტრაჟზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო დაადგენს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია, ძალადაკარგულია ან მისი შესრულება შეუძლებელია. ამრიგად, თუ მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით ან შეთანხმებით გათვალისწინებულია დავის არბიტრაჟის მეშვეობით განხილვა, სასამართლომ უნდა შეწყვიტოს წარმოება საქმეზე ერთ-ერთი მხარის განცხადების საფუძველზე, რაც ინიცირებული უნდა იყოს შესაგებლის წარდგენის ვადის გასვლამდე. ამდენად, დამოუკიდებლად არბიტრაჟის თაობაზე შეთანხმება არ განაპირობებს უწყებრივი ქვემდებარეობის თვალსაზრისით მის სასამართლო განხილვისადმი დაუქვემდებარებლობას. არბიტრაჟის განსჯადობის საკითხი დაკავშირებულია მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლების რეალიზებასთან, რომელიც უნდა განხორციელდეს შესაგებლის წარდგენის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო მიიჩნევა უფლებამოსილ ორგანოდ, განიხილოს არსებული დავა, ანუ საარბიტრაჟო შეთანხმება ერთმნიშვნელოვნად არ გამოორიცხავს სასარჩელო წესით წარმოების შესაძლებლობას, შესაბამისად, არც უკრძალავდა მოპასუხეს, გამოეყენებინა უზრუნველყოფის ღონისძიება, რამდენადაც დავის უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხის სადავოობა შესაძლოა გამოეწვიოს მხოლოდ მოპასუხეს შესაგებლის წარდგენის ვადაში. შეიძლება ითქვას, რომ, თუ მოქმედი კანონმდებლობა, საარბიტრაჟო შეთანხმების მიუხედავად, პირს ანიჭებს უფლებას, აღძრას სარჩელი, ბუნებრივია, მას

ენიჭება უფლება, მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაც მოპასუხის პოზიციის წარმოდგენამდე. რაიმე სახის აკრძალვა, ამ საპროცესო ინსტიტუტის გამოყენებისა, კანონში არ გვხვდება, მით უფრო საპროცესო ნორმები მოპასუხის პოზიციის წარმოდგენამდე, მოსარჩელეს არ უზღუდავს უფლებას, გამოიყენოს მოპასუხის შემზღუდავი ღონისძიებები სარჩელის დავის საგნის დასაცავად. შესაბამისად, სხვაგვარი მიდგომის დაშვება ცალსახად ხელყოფს პირის უფლებას, საკუთარი ინტერესებისა თუ დარღვეული უფლების დასაცავად მიმართოს სასამართლოს. ამდენად, ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით მოსარჩელის მოთხოვნა არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

4.16. სასამართლომ შეაფასა მოსარჩელის დასაბუთება მოთხოვნის დელიქტურ ვალდებულებაზე დაფუძნებასთან მიმართებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ) 992-ე მუხლის შესაბამისად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. სასამართლოს მითითებით, დელიქტური ვალდებულება არასახელშეკრულებო (კანონისმიერ) ვალდებულებათა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც ზიანის მიყენების შედეგად წარმოიშობა. დელიქტიდან გამომდინარე საფუძვლით სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა – ზიანის ანაზღაურების ვალდებულება პირს დაეკისრება ერთდროულად რამდენიმე პირობის არსებობის შემთხვევაში: 1) უნდა არსებობდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედება; 2) დამდგარი ზიანი; 3) მიზეზობრივი კავშირი დამდგარ შედეგსა (ზიანს) და მართლსაწინააღმდეგო ქმედებას შორის; 4) ზიანის მიმყენებელს უნდა მიუძღოდეს ბრალი. სსკ-ის 992-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება ნებისმიერი ზიანი, მიყენებული მოქალაქის პიროვნების ან ქონებისთვის, ასევე – ზიანი მიყენებული იურიდიული პირის ქონებისთვის. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა ზიანის ფაქტი და მისი მოცულობა, რაც გამორიცხავს სარჩელის დაკმაყოფილებას. ამასთან, არ არსებობს სსკ-ის 411-ე მუხლის შემადგენლობაც, რაც სარჩელის სრულად უარყოფის საფუძველია. ამდენად, მოპასუხის პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის არ დგინდება შესაბამისი წინაპირობების არსებობა, როგორც ფაქტობრივად დამდგარი ზიანის, ასევე – მიუღებელი შემოსავლის სახით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის, რაც აღნიშნული საფუძვლითაც გამორიცხავს სარჩელის დაკმაყოფილებას.

5. გადანყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება, ახალი გადანყვეტილებით – სარჩელის დაკმაყოფილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და საფუძვლები:

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 15.11.2019 წლის განჩინებით, მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, განჩინება ეფუძნება შემდეგს:

6.1. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება დელიქტური ვალდებულების სპეციალურ სახეს წარმოადგენს და იგი არა ზიანის ანაზღაურების ზოგადი წესებით, არამედ სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილით წესრიგდება, რაც იმას ნიშნავს, რომ: უნდა იყოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება; ეს ღონისძიება უნდა იყოს გაუმართლებელი; უზრუნველყოფის ღონისძიების შედეგად უნდა არსებობდეს ზიანი და მიზეზშედეგობრივი კავშირი. ამ ფაქტების მითითება და მტკიცება, სსსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად, ეკისრება მოსარჩელეს. იმ ვითარებაში, როდესაც მოპასუხის სარჩელზე არ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და სსსკ-ის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოცემულობა, ამ საქმეზე სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგიც ვერ გავრცელდება.

6.2. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მიყენებული ზიანის თავიდან აცილების ერთ-ერთ საპროცესო სამართლებრივ საშუალებას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე დასაბუთებული განცხადების წარდგენის ვალდებულება წარმოადგენს. თუმცა, მიუხედავად ადეკვატური სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისა, გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება ზიანს აყენებდეს მოპასუხეს. ზიანის ცნება, რა თქმა უნდა, უფლების დროებით შეზღუდვას არ გულისხმობს, ვინაიდან უზრუნველყოფის ღონისძიების დანიშნულებაც სწორედ უფლების დროებით შეზღუდვაა (გასხვისების აკრძალვა, ქმედების განხორციელების აკრძალვა, ნივთობრივი უფლებით დატვირთვის აკრძალვა და ა.შ.). სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით ზიანის მიყენება გულისხმობს უფლების დაუშვებელ ხელყოფას, როგორიცაა, მაგალითად, ფაქტობრივი ზიანის დადგომა ან შემოსავლის დაკარგვა. ასეთ შემთხვევაში მოპასუხე უფლებამოსილია, მოითხოვოს მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფა, ანუ ე.წ. უზრუნველყოფის შებრუნება.

6.3. პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება, რომ არ დასტურდება ფაქტობრივი გარემოება, რომ მოპასუხის განცხადების საფუძველზე სასამართლოს მიერ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით საწარმოს მიადგა მატერიალური ზიანი და მითუმეტეს ფაქტი, რომ მიყენებული ზიანი 829 741.66 აშშ

დოლარისა და 205 537 ლარის ეკვივალენტია.

6.4. სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 361.2, 411-ე, 412-ე, 992-ე მუხლებით. პალატის მითითებით, სსკ-ის 412-ე მუხლი ზიანის ანაზღაურებას უკავშირებს მხოლოდ ისეთ ქმედებებს, რომლებიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგია. შესაბამისად, ის ზიანი, რომელიც ისეთი ქმედების შედეგად დადგა, რომელიც მხარეს არ შეეძლო წინასწარ განეჭვრიტა, ანაზღაურებას არ ექვემდებარება. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას მიუღებელი შემოსავლის ნაწილში უკავშირებს ქონების გასხვისებით მიღებული თანხის განთავსებას სს „ლ. ბ.“ სადეპოზიტო ანგარიშზე, რასაც დაერიცხებოდა 12%. სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ მოსარჩელის ქონება არ იყო გასხვისებული და არც შესაბამისი მყიდველი არ არსებობდა, შესაბამისად, მონინალმდევე მხარისათვის წინასწარ განჭვრეტადი ვერ იქნებოდა მოსარჩელისთვის ზიანის მიყენების ფაქტი. ამრიგად, ივარაუდება, რომ არსებობს ზიანის ანაზღაურების გამომრიცხველი გარემოება. სსკ-ის 992-ე მუხლის განმარტებასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ზიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით უნდა იყოს მიყენებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც წესი, ზიანის ანაზღაურების საკითხი არ დადგება. მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს, სამართლის ნორმათა მოთხოვნებს. მართლწინააღმდეგობა ობიექტური ნიშანია სამართალდარღვევისა და მისი არსებობა არაა დამოკიდებული მოვალის ცნობიერების ხასიათზე, ანუ აცნობიერებდა თუ არა მოვალე თავისი ქმედების სამართლებრივ ხასიათს. მთავარია, რომ მოვალის ქმედება არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. მართლწინააღმდეგობა მოიცავს როგორც კანონით დადგენილი წესების, ისე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევას. განსახილველ შემთხვევაში, მონინალმდევე მხარე სარგებლობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილებით, შესაბამისად, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენება შეუძლებელია, ჩაითვალოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებად.

6.5. პალატამ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ზოგიერთი ღონისძიების გამოყენება მართლაც უკავშირდება მოპასუხის მნიშვნელოვან კონსტიტუციურ უფლებას, კერძოდ, საკუთრების უფლებას. უძრავი ქონების გასხვისებისა და სანივთსამართლებრივი უფლებით დატვირთვის აკრძალვის დაწესება წარმოადგენს კანონმდებლის ჩარევას ადამიანის ძირითადი უფლების კონსტიტუციით დაცულ სფეროში, ხოლო ამგვარი ჩარევა (შეზღუდვის) უნდა გამართლდეს თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით სარჩელის უზრუნველყოფის ინსტი-

ტუტის საჯარო მიზნისა და საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული კერძო ინტერესის ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ყადაღის/აკრძალვის დანესებით, კანონმდებელმა აუცილებელ საჭიროებად მიიჩნია მოსარჩელის მატერიალურ უფლებათა რეალური განხორციელების უზრუნველყოფა სასამართლო პროცესის დასრულებამდე, რაც სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და სასამართლო გადაწყვეტილებათა ეფექტური და დაუბრკოლებელი აღსრულების საჯარო ინტერესის დაცვის მიზანს ემსახურება. ეს კი, უდავოდ მნიშვნელოვანია სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის და დემოკრატიული ინსტიტუტების ქმედითობას უწყობს ხელს, შესაბამისად, უძრავი ქონების გასხვისების/სანივთო უფლებით დატვირთვის აკრძალვის დანესება, ამგვარი მიზნის ლეგიტიმურია.

6.6. განსახილველ შემთხვევაში, სარჩელის ფარგლებში საწარმო ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ჭრილში განიხილავს არა მხოლოდ ხელშეკრულების საფუძველზე უკვე გაღებულ თანხებს, არამედ სამომავლოდ გადასახდელ თანხებსაც, რომლებთან მიმართებითაც არსებულ ვითარებაში კონტრაჰენტების მხრიდან მოთხოვნა დაყენებული არ არის. ზიანის ანაზღაურების წინაპირობების დასადასტურებლად, მოსარჩელე, გარდა ხელშეკრულებებისა, მოიხმობს საგადახდო დავალებებს, რომელთა საფუძველზეც დგინდება საწარმოს მიერ გარკვეული თანხების გაღების ფაქტი ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების მიღების სანაცვლოდ. პალატის მითითებით, მოსარჩელის მიერ მიღებული მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი თანხები ზიანად ვერ მიიჩნევა.

სააპელაციო სასამართლოს დამატებითი განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და საფუძველები:

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 22.11.2019 წლის დამატებითი განჩინებით, წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე მოპასუხის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო. პალატის მითითებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განჩინება გამოაცხადა 15.11.2019 წელს. განჩინების მიღებისას პალატას არ გადაუწყვეტია ადვოკატის დახმარების გამო გაწეული ხარჯის განაწილების საკითხი. სსსკ-ის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის უფლებამოსილება აქვს, თუ სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი. მოცემულ შემთხვევაში, მონინალმდევე მხარემ (მოპასუხემ) სააპელაციო შესაგებელში მხოლოდ მიუთითა, რომ ადვოკატისათვის გაწეული ხარჯების ოდენობის ამსახველ დოკუმენტაციას სასამართლოს მიაწვდიდა მოგვიანებით. აღნიშნული დოკუმენტაცია მო-

პასუხემ განჩინების გამოცხადების შემდეგ, კერძოდ, 19.11.2019 წელს წარადგინა (მიღება-ჩაბარების აქტი და საგადახდო დავალებები). მოპასუხე უფლებამოსილი იყო, წარმოედგინა ადვოკატისათვის განეული ხარჯების ოდენობის ამსახველი დოკუმენტაცია განჩინების გამოცხადებამდე, კერძოდ, 15.11.2019 წლამდე, რა დროსაც პალატა, განჩინების გამოცხადებამდე იმსჯელებდა მათ შინაარსზე და გადაწყვეტდა ხარჯების საკითხს. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე მონინალმდევე მხარის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო დაუსაბუთებლობის გამო.

8. სააპელაციო სასამართლოს 15.11.2019 წლის განჩინებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, ამავე სასამართლოს 22.11.2019 წლის დამატებით განჩინებაზე კი – მოპასუხემ.

8.1. პირველი საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები:

მოსარჩელე/პირველი კასატორი ითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელის დაკმაყოფილებას შემდეგი საფუძვლებით:

8.1.1. განსახილველ შემთხვევაში, არსებობს სსსკ-ის 199.3 მუხლის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები. სიტყვასიტყვითი განმარტების შემთხვევაშიც, ცხადია, რომ კანონმდებელი სარჩელზე უარის თქმას ფართო მნიშვნელობას ანიჭებს. სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ უარის თქმა შემოსაზღვრულია კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით, თუმცა მოიცავს როგორც საქმისწარმოების შეწყვეტას, ასევე – სარჩელის განუხილველად დატოვებას (სსსკ-ის 187.2 მუხლი). ორივე შემთხვევაში მოსამართლე უარს ეუბნება მოსარჩელეს, თუმცა საფუძვლის გათვალისწინებით განსხვავებულია სარჩელზე უარის თქმის შედეგი. დავის საარბიტრაჟო განსჯადობისთვის დაქვემდებარება ისეთი საფუძველია, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს საქმის წარმოებაში მიღების შემდეგ და ასევე დამოკიდებულია მოპასუხის პოზიციაზე, რაც სარჩელის წარმოებაში მიღებისას უცნობია სასამართლოსთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, სსსკ-ის 199.3 მუხლის მიზნის გათვალისწინებით, „სარჩელზე უარის თქმა“ შესაძლებელია, განიმარტოს ფართოდ და მასში მოექცეს ისეთი საქმეებიც, რომელთა განხილვაც შეწყდა არბიტრაჟის განსჯადობის ქვემდებარეობის გამო.

8.1.2. შესაძლებელია სსსკ-ის 199.3 მუხლის გამოყენება ანალოგიის საფუძველზეც, სსსკ-ის 7.2 მუხლის შესაბამისად. სსსკ-ის 199.3 მუხლის ვიწრო განმარტება არ გამომდინარეობს კანონის მიზნიდან და არღვევს ამ მუხლით განმტკიცებულ უფლებას – მოპასუხემ მიიღოს ზიანის ანაზღაურება იმ შემთხვევაში, თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება გაუმართლებელი გამოდგა, იმის შედეგად,

რომ მოსარჩელის მოთხოვნა იყო კანონსაწინააღმდეგო. მნიშვნელობა არ აქვს, მოსარჩელე ცდებოდა მოთხოვნის საფუძველში, თუ ის მოქმედებდა განზრახ, მოპასუხისათვის ზიანის მიყენების მიზნით. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას, რისკი, რომ ეს ღონისძიება არ აღმოჩნდეს გაუმართლებელი, მთლიანად ეკისრება მოსარჩელეს.

8.1.3. განსახილველ შემთხვევაში, ზიანი წარმოიშვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სწორედ არამართლზომიერი და მეორე მხარისთვის ზიანის მიყენების მიზნით გამოყენების გამო. მოსარჩელე საარბიტრაჟო ხელშეკრულების დარღვევით სასამართლოსთვის მიმართვისას, წევს რისკს, რომ სასამართლო შეწყვეტს წარმოებას, როდესაც მოპასუხე მიუთითებს არბიტრაჟის განსჯადობაზე. თუ მოსარჩელე მაინც აგრძელებს დავას უზრუნველყოფის არსებობის პირობებში, ის არის პასუხისმგებელი ამ უპერსპექტივო დავის უარყოფით შედეგზე.

8.1.4. რამდენადაც პირველი პარტნიორი მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად და მის მიერ საპროცესო სარჩელის უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენებას ჰქონდა მხოლოდ საწარმოსთვის ზიანის მიყენების მიზანი, რამდენადაც მან სარჩელის არაგანსჯად სასამართლოში შეტანისას განზრახ განია რისკი და, მიუხედავად სასამართლოს განსჯადობაზე მითითებისა, მაინც განაგრძო დავა, მასვე უნდა დაეკისროს ამ დავისგან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება სსსკ-ის 199.3 მუხლის საფუძველზე.

8.1.5. სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ არ დასტურდებოდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით კომპანიისათვის ზიანის მიყენების თაობაზე ფაქტობრივი გარემოება. სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივად არ იმსჯელა ზიანის ოდენობაზე და დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიციას.

8.1.6. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადასტურებულად არის მიჩნეული მოსარჩელის მიერ მომსახურების სანაცვლოდ გარკვეული თანხების გადახდის ფაქტი, თუმცა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომსახურების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სიკეთე მიღებული აქვს კომპანიას. აღნიშნული დასკვნა სასამართლომ გამოიტანა მხოლოდ და მხოლოდ ერთი მოწმის ჩვენების საფუძველზე. საყურადღებოა, რომ მოწმე – გ. ჯ-ძე არ არის შპს „ვ.ბ.კ-ის“ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი და ის არ იყო ერთადერთი თანამშრომელი ხსენებული კომპანიისა, ვისთანაც მოსარჩელეს ჰქონდა ურთიერთობა. ამ პირთან კავშირი ფრაგმენტული ხასიათისაა, ის არ მონაწილეობდა ყველა მიმონერასა და ყველა ღონისძიებაში, რაც შპს „ვ.ბ.კ-მა“ განახორციელა კომპანიასთან არსებული ხელშეკრულების ფარგლებში. წინა-

აღმდეგობრივია როგორც მონმის ჩვენება, ასევე – ამ ჩვენებაზე დამყარებული სასამართლოს განმარტება.

8.1.7. ის გარემოება, კომპანიას ჰქონდა თუ არა დავალიანება შპს „ვ.ბ.კ-ის“ მიმართ, ვერ განიხილება იმის სამტკიცებლად, გაიყიდებოდა თუ არა ქონება ღია აუქციონზე. მონმის მიერ მითითებული ბიზნესგეგმის არსებობა არ დასტურდება რაიმე მტკიცებულებით და გაურკვეველია, რის საფუძველზე დაადგინა სასამართლომ, რომ ის დღესაც გარკვეული ღირებულების მქონეა.

8.1.8. სასამართლომ არ შეაფასა შპს „ი. ს-თან“ და შპს „გ. პ-თან“ დადებული ხელშეკრულებებიც და მათთვის გადახდილი თანხები. შპს „ი. ს-თან“ და შპს „ვ.ბ.კ-თან“ დადებული ხელშეკრულებების შინაარსიდან ცხადია, რომ მომსახურების მიზანს წარმოადგენდა აუქციონის ჩატარება პოტენციურ ინვესტორთან მაქსიმალური ინფორმირების შემდგომ, რათა უძრავი ქონება გაყიდულიყო. ამკარაა, რომ ეს მიზანი ვერ შესრულდა.

8.1.9. სასამართლომ არ იმსჯელა მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების ნაწილზეც. სასამართლოში წარდგენილ იქნა მტკიცებულებად მიმონერა სს „ლ. ბ-თან“ და კომპანიის მიმართ თანხის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსების თაობაზე მისი სპეციალური შეთავაზება. ეს მიმონერა ცხადყოფს მოსარჩელის განზრახვას თანხის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებასთან დაკავშირებით. ქონების გასხვისების შედეგად კომპანია შეძლებდა დამატებითი სარგებლის მიღებას საბანკო ანგარიშზე განთავსებული თანხის სარგებლის სახით, მაშინ, როდესაც ცარიელი მიწის ნაკვეთის შენახვა მხოლოდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამდენად, ლოგიკურია, რომ ქონების გასხვისება და თანხის ანგარიშზე განთავსების შედეგად სარგებლის მიღება, ქონების მეპატრონის ლეგიტიმურ ბიზნესინტერესს წარმოადგენდა.

8.2. მეორე საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები:

მოპასუხე/მეორე კასატორი ითხოვს გასაჩივრებული დამატებითი განჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით – წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებას შემდეგი საფუძვლებით:

8.2.1. სასამართლომ გადაწყვეტილება გამოაცხადა 15.11.2019 წელს, ხოლო 19.11.2019 წელს მოპასუხემ წარადგინა დოკუმენტაცია, რომელიც წარმოადგენდა ამ უკანასკნელის მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების მტკიცებულებას. დოკუმენტაციაში დეტალურად იყო გაწერილი ასანაზღაურებელი ხარჯების ოდენობა. ფულადი გადარიცხვებით ხდებოდა იმის იდენტიფიცირება, რომ ფულადი ანაზღაურება წარმომადგენლებზე ნამდვილად მოცემულ საქმესთან დაკავშირებით მოხდა.

8.2.2. სსსკ-ის 261-ე მუხლი დეტალურად განმარტავს დამატებითი გადაწყვეტილების მიღების საფუძვლებს და სასამართლოს მიერ განსახორციელებელ პროცესულ მოქმედებებს განსაზღვრავს. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს სხდომის მიმდინარეობის პროცესში არ უმსჯელია საპროცესო ხარჯების საკითხზე. მოპასუხემ სასამართლოს წარუდგინა ყველა მტკიცებულება, რომელიც დეტალურად განსაზღვრავდა ასანაზღაურებელი თანხების ოდენობას, რაც, თავის მხრივ, გახდა დამატებითი განჩინების გამოტანის მიზეზი, თუმცა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოთხოვნა დაუსაბუთებლობის გამო. მოპასუხისათვის ხარჯების ანაზღაურების საკითხი მნიშვნელოვანია, რადგან მან უფლების დაცვის მიზნით გაიღო საკმაოდ დიდი ოდენობის ხარჯი. ვინაიდან ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა დაადგინეს, რომ სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხის მიმართ იყო უსაფუძვლო, შესაბამისად, მოპასუხეს წარმოეშვა პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის მოთხოვნის უფლება.

8.2.3. მტკიცებულებები, რომლებიც მოპასუხემ წარუდგინა სააპელაციო სასამართლოს, უტყუარად ადასტურებდა წარმომადგენლებისთვის გაწეული ხარჯების ოდენობას. შესაბამისად, სასამართლო ვალდებული იყო, ემოქმედა კანონის დანაწესის შესაბამისად და დაეკმაყოფილებინა მოპასუხის მოთხოვნა სრულად.

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

1. მსჯელობა პირველ საკასაციო საჩივარზე

საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

10. სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს პირველ საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება შედეგობრივად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ იგი ზოგიერთ ნაწილში არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას, რაც გასაჩივრებული განჩინების ძალაში დატოვებისა და პირველი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ფაქტობრივსამართლებრივი საფუძველია.

11. მოცემულ დავაში სარჩელის საგანია საპროცესო უზრუნველყოფის ღონისძიებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, როცა საქმისწარმოება დამთავრდა გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე (სარჩელზე წარმოება შეწყდა). შესაბამისად, დავის გადასაწყვეტად განხილულ უნდა იქნეს ისეთი საკითხები, როგორიცაა: სარჩელის უზრუნველყოფის მიმართება სამოქალაქო მართლმსაჯულების პრინციპებთან; სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის ნორმების განმარტება და პროპორციულობის ტესტი; სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, როგორც მხარეთა საპროცესო თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხის ინტერესების დამცავი მექანიზმი.

სარჩელის უზრუნველყოფის მიმართება სამოქალაქო მართლმსაჯულების პრინციპებთან

12. სამართლიანი სასამართლოს უფლება ორგანულ კავშირშია კონსტიტუციით განსაზღვრული სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებთან და ამ უფლების სრულყოფილ რეალიზაციას ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 17 ივნისის №1/3/1377 გადაწყვეტილება საქმეზე „დიმიტრი ღონღაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3). სასამართლოსათვის სარჩელის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინსაც იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება (საბოლოო გახდა 28/02/2007), საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი №40765/02), 54). ამდენად, სამართლიანი სასამართლოს უფლება, როგორც ინსტრუმენტული უფლება, მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოსადმი ფორმალურად მიმართვას, არამედ სასამართლოს შესაძლებლობას, უფლების დარღვევის ფაქტზე მოახდინოს ეფექტიანი რეაგირება. აღნიშნული გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან იმგვარი რეგულაციის შექმნის ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტიან აღსრულებას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1 დეკემბრის №2/6/746 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6).

13. საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. საპროცესო უზრუნველყოფა სამოქალაქო მართლმსაჯულების მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც, თა-

ვის მხრივ, საპროცესო სამართლის პრინციპებს ეფუძნება. შეჯიბრებითობის პრინციპი, მხარეთა თანასწორობის პრინციპთან ერთად, ნამდვილად წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, საქართველოს კონსტიტუციისა და სსსკ-ით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო უფლების მნიშვნელოვან კომპონენტს. ხაზგასასმელია, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება მიმდინარეობს სწორედ შეჯიბრებითობის საფუძველზე, რაც ნიშნავს იმას, რომ პროცესის მიმდინარეობა, მხარეთა არგუმენტების წარმოდგენა, მათი დასაბუთება და შესაბამის მტკიცებულებებზე მითითება სრულად შეჯიბრებითია, თუმცა მხარეები არიან თანასწორი მათ უფლება-მოვალეობებში პროცესუალურსამართლებრივი მექანიზმებით აღჭურვის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, იმ პირობებში, როდესაც სახეზეა მხარის [მოსარჩელის] უფლება, გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, მოპასუხეს, ბუნებრივია, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა – თავი დაიცვას ზიანის მომტანი უზრუნველყოფის ღონისძიებისგან (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 17 ივნისის № 1/3/1377 გადაწყვეტილება საქმეზე „დიმიტრი ღონლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-22,23).

14. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია. ეს ნორმა ქმნის სამართლიანი სასამართლოს კონსტიტუციურსამართლებრივ გარანტიას და მოიაზრებს ყველა სამართლებრივ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სასამართლო წესით სრულყოფილი და ეფექტური დაცვის შესაძლებლობას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის № 3/3/601 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-9). სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის არსი ისაა, რომ მან პირის მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერ ინტერესების რეალური განხორციელების სამართლებრივი გარანტიები შექმნას (კაჟაშვილი გულიკო, „საპროცესო უზრუნველყოფა, როგორც აღსრულებადი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობა.“ დისერტაცია. თბილისი, 2018, გვ. 60).

15. სარჩელის საპროცესო უზრუნველყოფა გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, როდესაც იგი გამართლებულია. ასეთ დროს სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომ მოვალის ქონებაზე აკრძალვის დანესება გა-

დანყვეტილების ეფექტური და დაუბრკოლებელი აღსრულების აუცილებელი და ერთადერთი საშუალებაა (სუსგ №ას-1477-2018, 31.01.2019წ.).

16. მხარის უფლებას, გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, უპირისპირდება მოპასუხის ინტერესი – თავი დაიცვას ზიანის მომტანი უზრუნველყოფის ღონისძიებისაგან. მოცემულ შემთხვევაში, ერთმანეთს უპირისპირდება მოსარჩელისა და მოპასუხის ლეგიტიმური ინტერესები, რომელთა გონივრული დაბალანსებაც კანონმდებლისადმი წაყენებული უპირველესი კონსტიტუციური მოთხოვნაა. დადგენილი შეზღუდვა უნდა ითვალისწინებდეს პროცესის მონაწილე ორივე მხარის ინტერესებს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1 დეკემბრის №2/6/746 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, I-23). შეჯიბრებითობის პრინციპი ეფუძნება მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას, აღიჭურვონ სათანადო საპროცესო ინსტრუმენტებით და გამოიყენონ ისინი საიმისოდ, რათა წარადგინონ მათი პოზიციების სასარგებლო არგუმენტები. იმავდროულად, ამ პრინციპის უმთავრესი მიზანი არის სწორი გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობა და ამ მიზნისთვის ეს პრინციპი ეყრდნობა ორივე მხარის მიერ არგუმენტების თავისუფლად წარდგენის შესაძლებლობას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/8/594 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-28).

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის ნორმების განმარტება და პროპორციულობის ტესტი

17. კერძოსამართლებრივი დავების განხილვისას და სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საკანონმდებლო ნორმების ინტერპრეტირებისას სამართალშემფარდებელმა უნდა გაითვალისწინოს ის შედეგი, რომელიც გადაწყვეტილებამ შეიძლება იქონიოს კონსტიტუციური უფლებების რეალიზებაზე და არ უნდა დაუშვას სამართალწარმოების ერთი მხარისთვის სარგებლის მინიჭება სხვა პირთა კონსტიტუციური უფლების, გაუმართლებელი შეზღუდვის ხარჯზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-82).

18. საკუთრების უფლების შეზღუდვის გამართლების შეფასების სტანდარტი პროპორციულობის ტესტია. აღნიშნული ტესტის თანახმად, საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული

საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს მხარის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60). ამდენად, საკუთრების ნებისმიერი შეზღუდვის შემთხვევაში, შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხარეთა ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით. საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა იწვევდეს მესაკუთრის უფლებების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად (სუსგ №ას-1586-2018, 26.10.2018წ.).

19. საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე, სადაც სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების დროს უზრუნველყოფით გამონვეული ზიანის ოდენობაზე მსჯელობდა, მიუთითა, რომ სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსი უნდა განიმარტოს არა მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით, არამედ კანონის განმარტების ლოგიკური და განვრცობითი მეთოდის გამოყენებით (სუსგ №ას-115-2020, 11.02.2021წ.).

20. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მაქსიმალურად გათვალისწინებული უნდა იქნეს ორივე მხარის კანონიერი ინტერესი. დავის საგნის დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე, რითაც ხდება მოსარჩელის კანონიერი ინტერესის რეალიზაცია და მისი სარჩელის უზრუნველყოფა, არ უნდა შეილახოს მოპასუხე მხარის კანონიერი ინტერესი უპირობოდ და ცალსახად, არამედ უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული მოპასუხე მხარის კანონიერი ინტერესის გონივრულ ფარგლებში შეზღუდვა-შევიწროებით და იმ ოდენობით, რაც აუცილებელია მოსარჩელის კანონიერი ინტერესის დაცულობისთვის. იმისათვის, რომ მხარეთა ინტერესები დაბალანსდეს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს არაადეკვატური, არათანაზომიერი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

სარჩელის უზრუნველყოფით გამონვეული ზიანის ანაზღაურება, როგორც მხარეთა საპროცესო თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხის ინტერესების დამცავი მექანიზმი

21. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოსარჩელის ინტერესების დაცვამ შეიძლება გამოიწვიოს მოპასუხისათვის ქონებრივი ზარალის მიყენება, შესაბამისად, გარკვეულ შემთხვევებ-

ში შეიძლება წარმოიშვას მოპასუხის ინტერესების დაცვისათვის საჭირო მექანიზმების შექმნის აუცილებლობა. მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება წარმოადგენს ხსენებული ინტერესების გონივრულად დაბალანსების მექანიზმს და ემსახურება მოპასუხის უფლებების დაცვას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1 დეკემბრის №2/6/746 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „ჯორჯიან მანგანუმი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-18-19).

22. სსსკ-ის 199-ე მუხლი ადგენს ქცევის შემდეგ წესს: 1. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიაღგეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. უზრუნველყოფის გარანტია სასამართლომ შეიძლება ასევე გამოიყენოს მონიშნულ შემთხვევაში მხარის განცხადების საფუძველზე; 2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირი, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, ვალდებულია უზრუნველყოს მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურება სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო დაუყოვნებლივ გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ, რომელიც ექვემდებარება საჩივრის ფორმით გასაჩივრებას. განჩინების გასაჩივრების ვადა 5 დღეა. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია; 3. თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება გაუმართლებელი გამოდგა იმის გამო, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, ანდა იმის გამო, რომ სასამართლომ ამ კოდექსის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის ან 363³⁰-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, მაშინ ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც მოხდა უზრუნველყოფა, ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზარალი, რომელიც მას მიაღგა სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიების შედეგად (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველი პარტნიორის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მომენტში მოქმედი რედაქციით სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილი არ ითვალისწინებდა ზიანის ანაზღაურების ისეთ საფუძველს, როგორიცაა 363³⁰-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება).

ამდენად, მითითებული მუხლით რეგლამენტირებულია როგორც მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყო-

ფის წესი, ისე სარჩელის უზრუნველყოფით გამონვეული ზიანის ანაზღაურების საფუძვლები. ზიანი შეიძლება ანაზღაურდეს, თუ: ა) სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება გაუმართლებელი გამოდგა იმის გამო, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში; ბ) უზრუნველყოფის ღონისძიება გამოყენებულ იქნა სარჩელის შეტანამდე, შემდეგ კი გაუქმდა იმ საფუძვლით, რომ დადგენილ ვადაში სარჩელი არ იქნა წარდგენილი; გ) თუ უზრუნველყოფის ღონისძიება გამოყენებულ იქნა სასამართლო მედიაციის ან კერძო მედიაციის დაწყებამდე ან/და მედიაციის პროცესში სამედიაციო მორიგების უზრუნველყოფის მიზნით, შემდეგ კი გაუქმდა იმ საფუძვლით, რომ დადგენილ ვადაში განმცხადებელმა არ მიმართა სასამართლო მედიაციას ან კერძო მედიაციას ან, თუ მედიაციის დასრულებიდან დადგენილ ვადაში არ წარადგინა სარჩელი/არ მიმართა საქმისწარმოების განახლების მოთხოვნით. კანონის აღნიშნული დანაწესი ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისაგან მოპასუხის თავდასაცავ მექანიზმს ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის ამა თუ იმ სახის ღონისძიების გამოყენების შედეგი მოპასუხისათვის ზიანის მომტანია. ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის: გამოყენებული უნდა იყოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება; ეს ღონისძიება უნდა იყოს გაუმართლებელი; უზრუნველყოფის ღონისძიების შედეგად უნდა არსებობდეს ზიანი და მიზეზშედეგობრივი კავშირი (სუსგ №ას-259-259-2018, 30.06.2020წ; №ას-1216-1136-2017, 18.05.2018წ.). ასეთ დროს, ზიანში მოიაზრება მაგალითად, ფაქტობრივი ზიანის დადგომა ან შემოსავლის დაკარგვა. ზიანი არ გულისხმობს უფლების დროებით შეზღუდვას, რადგან უზრუნველყოფის ღონისძიების დანიშნულება სწორედ უფლების დროებით შეზღუდვაა (გასხვისების აკრძალვა, ქმედების განხორციელების აკრძალვა, ნივთობრივი უფლებით დატვირთვის აკრძალვა და სხვა), (სუსგ №ას-115-2020, 11.02.2021წ.). ამასთან, მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, უზრუნველყოფის ღონისძიების გაუმართლებლობა გულისხმობს თუ არა მხოლოდ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევებს.

23. წინამდებარე დავის ფარგლებში საკასაციო პალატის მიზანია:

– სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილის განმარტება, კერძოდ, ეს ნორმა უნდა განიმარტოს ვიწროდ, როდესაც ზიანის ანაზღაურება დამოკიდებული იქნება მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით სარჩელის უარყოფაზე, თუ მოპასუხეს შეუძლია, ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს მაშინაც, როცა არ არსებობს მის წინააღმდეგ სარჩელის უარყოფის შესახებ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, სარჩელზე წარმოება დამთავრდა გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე და უზრუნ-

ველყოფის ღონისძიება გამოდგა გაუმართლებელი? ამ ნორმის ვიწრო განმარტებით, მოპასუხე (ანუ წინამდებარე დავის მოსარჩელი), რომელიც აპელირებს მისთვის ზიანის მიყენებაზე, ვერ მოითხოვს ანაზღაურებას, რადგან სარჩელი მის წინააღმდეგ არსებითად არ განხილულა. ამდენად, სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილის მართებული გამოყენებისთვის აუცილებელია, განიმარტოს, რას გულისხმობს ფრაზა, თუ უზრუნველყოფის ღონისძიება „აღმოჩნდება გაუმართლებელი“.

– დადგინდეს, აქვს თუ არა მოპასუხეს გაუმართლებელი უზრუნველყოფის ღონისძიების შედეგად წარმოშობილი ზიანის დელიქტური სარჩელით საერთო საფუძველზე ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

– განისაზღვროს, მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი (ანუ სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე წარდგენილ მოთხოვნაზე უარი), წარმოადგენს თუ არა სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების დამაბრკოლებელ გარემოებას.

– გადაწყდეს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხი.

24. ზიანის ანაზღაურების რეგულაცია გამომდინარეობს იმ ძირითადი დაშვებიდან, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება არის გადახვევა სასარჩელო წარმოებისაგან, რომლის დასრულებას მოსდევს საბოლოოდ გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება. ამ დროს ჯერ დგინდება მოთხოვნის არსებობა, მისი განხორციელებადობა და მხოლოდ მისი დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ იწყება მოპასუხის წინააღმდეგ იძულებითი აღსრულება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება კი ცვლის ამ თანმიმდევრობას იმგვარად, რომ მოპასუხის უფლებები იზღუდება იქამდე, ვიდრე გაირკვევა მის წინააღმდეგ წარდგენილი სარჩელის საფუძველიანობა.

25. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ფორმალური პროცესია, რომლის ფარგლებშიც საქმის გარემოებებთან დაკავშირებით სრული მტკიცებულებები არ შეისწავლება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება სასამართლოს ვარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს. სასამართლოს მსჯელობა სარჩელის მატერიალურ და საპროცესო წინაპირობებზე გავლენას არ ახდენს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე. მოგვიანებით შეიძლება ვარაუდი არ გამართლდეს. შესაბამისად, მოპასუხეს, მიუხედავად მოსარჩელის ბრალეულობისა, უნდა ჰქონდეს გაუმართლებელი უზრუნველყოფის ღონისძიებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

26. საკასაციო პალატა იზიარებს პირველი კასატორის პოზიციას მას-

ზე, რომ სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნა არ უნდა იყოს დამოკიდებული მხოლოდ იმაზე, გადანყევტილებით სარჩელი არსებითად დაკმაყოფილდა თუ არა. პალატას მიაჩნია, რომ ეს ნორმა უნდა განიმარტოს ფართოდ. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა უნდა არსებობდეს ყოველთვის, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არ იყო გამართლებული. სხვაგვარი განმარტებით, არ იარსებებს მხარეთა საპროცესო თანასწორუფლებიანობის დამცავი მექანიზმი და მათი ინტერესები ვერ იქნება დაბალანსებული.

რაც შეეხება იმის გარკვევას, რამდენად იყო გამართლებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, უნდა გადანყდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობების გათვალისწინებით. ასე მაგალითად: სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარს უნდა გაუთანაბრდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც მოსარჩელე სარჩელზე ამბობს უარს, ანუ ის დისპოზიციურობის პრინციპის შესაბამისად განკარგავს თავის საპროცესო სამართლებრივ თუ მატერიალურ სამართლებრივ უფლებებს და შეუქცევადად უარს ამბობს მათ განხორციელებაზე. ამასთან, უზრუნველყოფის გაუმართლებლობის წინაპირობა არ იარსებებს მაშინ, როცა მოსარჩელე მხარს არ დაუჭერს თავის მოთხოვნას იმის გამო, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა იგი სარჩელის აღძვრის შემდეგ. ასეთ დროს მხარეთა საპროცესო უფლებების დაბალანსების მიზნით სსსკ-ის 54-ე მუხლის პირველი ნაწილი მოსარჩელეს ანიჭებს მის მიერ განეული ხარჯებისა და ადვოკატის დახმარების გამო განეული ხარჯების ანაზღაურების უფლებასაც კი, რაც სარჩელის დაკმაყოფილების დროსაა შესაძლებელი.

27. ასევე, როცა სარჩელი განუხილველად იქნება დატოვებული მოსარჩელის მიერ სარჩელის გამოხმობის გამო, მოპასუხეს უნდა ჰქონდეს სარჩელის უზრუნველყოფით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება. მოსარჩელე სარჩელის გამოხმობით ფაქტობრივად აღიარებს, რომ ამ ეტაპზე აღარ სურს მისი განხილვა, რაც გულისხმობს გამოყენებული უზრუნველყოფის გაუმართლებლობასაც. ეს საფუძველი შეიძლება შევადაროთ შემთხვევას, როცა პირი ითხოვს სარჩელის აღძვრამდე მის უზრუნველყოფას, განცხადება კმაყოფილდება, მაგრამ კანონით განსაზღვრულ ვადაში სარჩელი არ იქნება წარდგენილი. როგორც უკვე აღინიშნა, სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილი ასეთ შემთხვევას აკვალიფიცირებს გაუმართლებელ უზრუნველყოფად და უშვებს ზიანის ანაზღაურებას.

28. რაც შეეხება მხარეთა შეთანხმებას მათ შორის დავის გადასაწყვეტად არბიტრაჟისათვის გადაცემის შესახებ, პალატა აღნიშნავს, რომ პირველი პარტნიორის მიერ სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყო-

ფის თაობაზე განცხადების (ანუ 05.03.2015 წელს) და სარჩელის (ანუ 16.03.2015 წელს) წარდგენის მომენტში მოქმედი რედაქციით: სსსკ-ის 272-ე მუხლი ითვალისწინებდა სასამართლოს მიერ, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, საქმის წარმოების შეწყვეტის ისეთ საფუძველს, როგორცაა მხარეთა შორის შეთანხმება დავის გადასაწყვეტად არბიტრაჟისათვის გადაცემის შესახებ; სსსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი კი ადგენდა ასეთ დროს სარჩელის მიღებაზე უარის თქმას. შესაბამისად, ასეთი სარჩელის უზრუნველყოფა გამართლებელი იყო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სსსკ-ში 18.03.2015 წელს შეტანილი ცვლილებებით (გამოქვეყნდა 26.03.2015) აღნიშნული საკითხი ახლებურად დარეგულირდა სსსკ-ის 272¹-ე მუხლის საფუძველზე, კერძოდ, თუ მხარეებს დადებული აქვთ ხელშეკრულება, ან არსებობს მხარეთა შეთანხმება, რომ მათ შორის დავა გადასაწყვეტად არბიტრაჟს გადაეცეს, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ერთ-ერთი მხარის განცხადების საფუძველზე. ნორმა ასევე ადგენს განცხადების გაკეთების დროს – იგი შესაგებლის წარდგენის ვადის გასვლამდე უნდა გაკეთდეს. შესაბამისად, ამჟამად საქმის წარმოების შეწყვეტის სავალდებულო წინაპირობაა კანონით განსაზღვრულ ვადაში მოპასუხის მიერ გამოვლენილი ნება.

29. მხარეთა შორის წარმოშობილი დავა ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით მოწესრიგებას და უცხო ქვეყნის საკანონმდებლო რეგულაციას, თუ პრაქტიკას მოცემულ საქმეზე პირდაპირი მოქმედება ვერ ექნება, თუმცა, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოსათვის, როგორც რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნისათვის, ყურადსაღებია განსახილველ სადავო საკითხზე გერმანიის საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომა. სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილის მსგავსი რეგულაციაა გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §945 (უღრის ჰაგენლოხი, სსსკ-ის კომენტარი (რჩეული მუხლები), თბილისი, 2020, 191-ე და მომდევნო მუხლები, გვ.679). ნორმა ადგენს ქცევის შემდეგ წესს: თუ აღმოჩნდება, რომ ყადაღა ან დროებითი განკარგულება იმთავითვე დაუსაბუთებელი იყო, ან თუ გაუქმდება გამოყენებული ღონისძიება § 926.2 ან §942.3-ის საფუძველზე, მხარე, რომელმაც ამ განკარგულების მიღება გამოიწვია, ვალდებულია აუნაზღაუროს მოწინააღმდეგეს ზიანი, რომელიც ამ უკანასკნელს აღნიშნული განკარგულების აღსრულებით მიადგა, ან – იმით, რომ ის უზრუნველყოფს აღსრულების თავიდან აცილებას ან განკარგულების გაუქმებას (დანვრილებით იხ. G. Vollkommer in: Zöller, Zivilprozessordnung, 30. Auflage 2014, §945, Rn.1-15). გერმანიაში არსებობს დროებითი სამართლებრივი დაცვის ორი საშუალება, კერძოდ, ყადაღა

(Arrest §§ 916 ff.) და წინასწარი/დროებითი განკარგვა (Einstweilige Verfügung §§ 935 ff.). საქმე ეხება დამოუკიდებელ პროცესს, რა შემთხვევაშიც ყადაღა ყველაზე ახლოსაა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან. ყადაღისა და დროებითი განკარგვის პროცესის მარეგულირებელი ნორმები თითქმის იდენტურია. ყადაღა შესაძლებელია დაწესდეს მაშინ, როდესაც საქმე ეხება ფულად მოთხოვნას, ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება დროებითი განკარგვა. დროებითი განკარგვით შესაძლებელია არა მხოლოდ მოთხოვნის უზრუნველყოფა, არამედ სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი რეგულირება (ჰაინრიჰ შნიტგერი, გაუმართლებელი უზრუნველყოფის ღონისძიების შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, GIZ, № 10 (2020), გვ. 5-6). გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 945, ზიანის ანაზღაურების ჩანაწერში გვაძლევს ორ რეგულაციას. ერთი ალტერნატივა წმინდა ფორმალური ხასიათისაა. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არსებობს, თუკი მოპასუხე დადგენილ ვადაში არ აღძრავს სარჩელს. მეორე ალტერნატივა იმგვარადაა ფორმულირებული, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არსებობს, თუკი ყადაღის/დროებითი განკარგვის დაწესება იმთავითვე გაუმართლებელი აღმოჩნდება. თუმცა, ქართული რეგულაციისგან განსხვავებით, ღიად ტოვებს საკითხს, თუ რა შემთხვევებს გულისხმობს ეს. ნებისმიერი მიზეზი, რომლითაც უზრუნველყოფა გაუმართლებელი აღმოჩნდება, საკმარისია (ჰაინრიჰ შნიტგერი, გაუმართლებელი უზრუნველყოფის ღონისძიების შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, GIZ, № 10 (2020), გვ. 6-7).

30. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კითხვასთან მიმართებით, თუ მხარეთაგან რომელი ატარებს გაუმართლებელი უზრუნველყოფით ზიანის მიყენების რისკს, გერმანიაში უკვე დიდი ხანია არსებობს დამკვიდრებული ტრადიცია, რომ ეს მოსარჩელეა, ანუ პირი, რომელმაც დააყენა ყადაღის/წინასწარი განკარგვის მოთხოვნა. გერმანიის უზენაესმა სასამართლომ ჯერ კიდევ 06.06.1904 წლის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ § 945-ით გათვალისწინებული ნორმა ემყარება იმ სამართლებრივ მოსაზრებას, რომ კრედიტორმა, რომელიც „წესების წინააღმდეგ“ იყენებს დაუყოვნებლივი აღსრულების შესაძლებლობას, საკუთარ თავზე უნდა აიღოს რისკი და აქედან გამომდინარე, მისი ბრალეულობის მიუხედავად, მოვალეს უნდა აუნაზღაუროს ზიანი, თუკი აღმოჩნდება, რომ დაუყოვნებლივი აღსრულება გაუმართლებელია (Urteil des VI. Zivilsenats des Reichsgerichts vom 6. Juni 1904 – Aktenzeichen Rep. VI. 444/03 in RGZ 58, 236). ის ვერ გაიმართლებს თავს იმით, რომ ყადაღის მოთხოვნა დაშვებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით და მან ბრალეუ-

ლობის გარეშე ივარაუდა აღსრულებას დაქვემდებარებული მოთხოვნის ქონა (ჰაინრიჰ შნიტგერი, გაუმართლებელი უზრუნველყოფის დონისძიების შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, GIZ, № 10 (2020), გვ. 9). ამდენად, საქმის არსებითი განხილვის გარეშე მიღებული დაუყოვნებლივ აღსრულებას დაქვემდებარებული აქტი კრედიტორის რისკის ფასად ხორციელდება (BGH, Urteil vom 04.12.1973 _ VI ZR 213/71 _ BGHZ 62, 7; BGH, Urteil vom 23.05.1985 _ IX ZR 132/84 _ BGHZ 95, 14; BGH, Beschluss vom 22.01.2009 _ I ZB 115/07 _ BGHZ 180, 72; BGH NJW 2017, 1600) (იხ. ულრიხ ჰაგენლოხი, სსსკ-ის კომენტარი (რჩეული მუხლები), თბილისი, 2020, 191-ე და მომდევნო მუხლები, გვ.679). გაუმართლებელი უზრუნველყოფით მიყენებული ზიანის ანაზღაურების წინაპირობა არ არის პირის ბრალეულობა (დანვრილებით იხ. G. Vollkommer in: Zöller, Zivilprozessordnung, 30. Auflage 2014, §945, Rn.13).

31. საკასაციო პალატა ასევე მსჯელობს დელიქტის საფუძველზე მოთხოვნის წაყენების შესაძლებლობაზე. სსკ-ის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. შესაბამისად, დელიქტური პასუხისმგებლობის სავალდებულო წინაპირობაა ქმედების მართლწინააღმდეგობა. ბრალეულობის დადასტურება რთულია სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გამოყენებისას (შდრ. BGH, Beschluss vom 15.07.2005 _ GSZ 1/04 _ BGHZ 164, 1; BGH, Urteil vom 21.12.2005 _ X ZR 72/04 _ BGHZ 165, 311) (იხ. ულრიხ ჰაგენლოხი, სსსკ-ის კომენტარი (რჩეული მუხლები), თბილისი, 2020, 191-ე და მომდევნო მუხლები, გვ.680).

სასამართლოსთვის სარჩელით ან განცხადებით მიმართვა კონსტიტუციით დაცულ უფლებას წარმოადგენს და არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კანონსაწინააღმდეგოდ. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ე.წ. „პროცესუალური კეთილსინდისიერების“ პრინციპის განმარტება. მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს პირი, რომელიც სუბიექტური კეთილსინდისიერების პირობებში წარადგენს უსაფუძვლო სარჩელს, რომლითაც მოპასუხეს აყენებს ზიანს. ამდენად, მართლწინააღმდეგობად ვერ შეფასდება პირის ქცევა, როცა იგი დაუდევრობით სარჩელის სამართლებრივ პერსპექტივას ვერ აფასებს სწორად. სასამართლოსათვის მიმართვის კონსტიტუციით დაცული უფლების შეზღუდვა დაუშვებელია. ამის შედეგია ის, რომ მხოლოდ ამგვარი (უსაფუძვლო) განცხადება ან სარჩელი არ შეიძლება იქნეს მიჩნეული კანონსაწინააღმდეგოდ. ეს უფლება იცავს კეთილსინდისიერ პირს და ანიჭებს მას იმის უფლებას, რომ სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით დაუშვას შეცდომა. არ არსებობს ასეთ დროს სსკ-ის 992-ე მუხლის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიჩნევის წინაპირობა. ამასთან, სარჩელის უზრუნველ-

ყოფის ღონისძიების გამოყენება უნდა შეფასდეს მართლსაწინააღმდეგოდ, თუ მოსარჩელის ერთადერთ მიზანს ამით მოპასუხისათვის ზიანის მიყენება წარმოადგენს ან, როცა სასამართლოს განზრახ წარუდგენს არასწორ ინფორმაციას, მცდარ მტკიცებულებებს. ამდენად, იმ გამონაკლის შემთხვევებში, როცა დასტურდება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მოპასუხისათვის ზიანის მიყენების მიზნით, ამ უკანასკნელს დელიქტური სარჩელით საერთო საფუძველზე შეუძლია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. ყველა სხვა შემთხვევაში კი, გაუმართლებელი უზრუნველყოფით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძველია სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

32. რაც შეეხება საკითხს, მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი (ანუ სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე წარდგენილ მოთხოვნაზე უარი), წარმოადგენს თუ არა სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების დამაბრკოლებელ გარემოებას, საკასაციო პალატა განმარტავს შემდეგს: როგორც უკვე აღინიშნა (იხ. წინამდებარე განჩინების პ.22), სსსკ-ის 199-ე მუხლი ითვალისწინებს მოპასუხის ინტერესების დაცვის ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ სამართლებრივ საშუალებას: ა) მოსარჩელის მიერ იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მიადგა მოპასუხეს სარჩელის უზრუნველყოფით; ბ) მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, თუ მოსარჩელე მოითხოვს სარჩელის უზრუნველყოფას, მოპასუხეს შეუძლია მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფით მისთვის მოსალოდნელი ზარალის არა ანაზღაურება, არამედ ანაზღაურების უზრუნველყოფა (იხ. ზ. ძლიერიშვილი, „სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფა“, „სამართლის ჟურნალი“ №1, 2018წ., გვ. 10).

33. მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმა, თავისთავად, არ ართმევს მოპასუხეს უფლებას, სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზიანის დადგომის შემთხვევაში, საერთო წესის დაცვით, მოახდინოს მისი დარღვეული უფლების რეალიზება (იხ. ზ. ძლიერიშვილი, „სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფა“, „სამართლის ჟურნალი“ №1, 2018წ., გვ. 18.).

34. სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების სასარჩელო წარმოებისას მოსარჩელეს ეკისრება მტკიცების ტვირთი, რომ მან ზიანი განიცადა გაუმართლებელი უზრუნველყოფის შედეგად, მოპასუხემ კი უნდა დაამტკიცოს, რომ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება გამართლებული იყო.

35. ყოველივე აღნიშნულზე დაყრდნობით საკასაციო პალატა ას-

კენის, რომ:

მხარეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სასამართლო წესით სრულყოფილი და ეფექტიანი დაცვის შესაძლებლობისა და იმ შედეგის მხედველობაში მიღებით, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილებამ შეიძლება იქონიოს კონსტიტუციური უფლებების რეალიზებაზე, სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილი ფართოდ უნდა განიმარტოს. სარჩელის უზრუნველყოფა, როგორც საქმის განხილვის დასრულებამდე გამოყენებული დაუყოვნებლივ აღსრულებას დაქვემდებარებული ღონისძიება, წარმოადგენს ზოგადი წესიდან გამონაკლისის მოსარჩელის სასარგებლოდ და თუ უზრუნველყოფა შემდგომში გაუმართლებელი აღმოჩნდება, მან, მიუხედავად ბრალეულობისა, მოპასუხეს უნდა აუნაზღაუროს ზიანი.

36. რაც შეეხება მოცემულ შემთხვევას:

36.1. მოსარჩელე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი და რეგისტრირებული იურიდიული პირია, რომლის 89%-იანი წილის მესაკუთრე და დირექტორი – მეორე პარტნიორი, ხოლო 11% წილის მფლობელი მოპასუხეა. კომპანიის საქმიანობის საგანი ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობაა, რაც არ იკრძალება კანონით;

36.2. პირველმა პარტნიორმა 05.03.2015 წელს სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით მიმართა სასამართლოს. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 06.03.2015 წლის განჩინებით აღნიშნული განცხადება დაკმაყოფილდა და საწარმოს აეკრძალა მის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების გასხვისება, მდებარე, ქ. თბილისი, ... ქუჩა (ყოფილი სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორია, რომელიც დაყოფილია სხვადასხვა მიწის ნაკვეთებად); მეორე პარტნიორს აეკრძალა საწარმოში წესდებით გათვალისწინებული 89% პარტნიორის უფლებამოსილების განხორციელება საერთო კრებებზე, ამავე საზოგადოების 11% წილის მესაკუთრე პირველი პარტნიორის მონაწილეობის გარეშე;

36.3. პირველმა პარტნიორმა სასამართლოში სარჩელის წარდგენის გზით დავა დაიწყო კომპანიისა და მეორე პარტნიორის მიმართ საზოგადოებიდან გასვლისა და კუთვნილი 11%-იანი წილის კომპენსაციის მოთხოვნით;

36.4. წინამდებარე დავის მოსარჩელემ და მეორე პარტნიორმა (ანუ პირველი პარტნიორის სარჩელზე მოპასუხეებმა) შესაგებელში მიუთითეს, რომ არსებული შეთანხმებისამებრ დავა გადასაწყვეტად არბიტრაჟს უნდა გადასცემოდა;

36.5. ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 06.03.2015 წლის განჩინებაზე საჩივარი წარადგინეს სა-

წარმომ და მეორე პარტნიორმა. თბილისის საქალაქო სასამართლომ საჩივარი დაუსაბუთებლობის საფუძველით გადააგზავნა სააპელაციო სასამართლოში. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 24.06.2015 წლის განჩინებით საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 06.03.2015 წლის განჩინების 1.2. პუნქტით (განჩინების ის ნაწილი, რომლითაც მეორე პარტნიორს აეკრძალა საწარმოში წესდებით გათვალისწინებული 89% პარტნიორის უფლებამოსილების განხორციელება საერთო კრებებზე, ამავე საზოგადოების 11% წილის მესაკუთრე პირველი პარტნიორის მონაწილეობის გარეშე) გამოყენებული სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება; დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 06.03.2015 წლის განჩინება დარჩა უცვლელად;

36.6. პირველი პარტნიორის სარჩელზე წარმოების საქმეში საბოლოოდ არ დაკმაყოფილდა საწარმოს განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით გამოწვეული მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ;

36.7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 25.11.2016 წლის განჩინებით პირველი პარტნიორის სარჩელთან დაკავშირებით მიმდინარე სამართალწარმოება შეწყდა სსსკ-ის 272¹-ე მუხლის საფუძველზე. საქმისწარმოების შეწყვეტის გამო გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 06.03.2015 წლის განჩინებით გამოყენებული სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. საქმისწარმოების შეწყვეტას საფუძვლად დაედო მხარეთა შეთანხმება დავის არბიტრაჟის გზით მოგვარების თაობაზე. საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ 25.11.2016 წლის განჩინება უცვლელად დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომ.

37. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილია და საკასაციო საჩივრით დასაბუთებულად შედავებული არ არის, რომ მოპასუხის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნის მიზანი არ ყოფილა მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება. შესაბამისად, წინამდებარე საქმეში სარჩელის სამართლებრივი საფუძველია სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილი. მოსარჩელეს ეკისრება მტკიცების ტვირთი, რომ მან ზიანი განიცადა გაუმართლებელი უზრუნველყოფის შედეგად.

38. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ დავაში არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, რამეთუ მოსარჩელემ ვერ შეძლო დაედასტურებინა მისთვის ზიანის მიყენება, კერძოდ, სსსკ-

ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

39. მოსარჩელის მითითებით, ზიანს წარმოადგენს, ერთი მხრივ, შპს „ვ.ბ.კ-თან“, შპს „ი. ს-თან“ და შპს „გ. პ-თან“ დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე გადახდილი და გადასახდელი თანხები, რადგან ამ კომპანიებთან საწარმოო ხელშეკრულებები გააფორმა ქონების გაყიდვის ორგანიზებისათვის, თუმცა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გამო შესაბამისი შედეგი ვერ მიიღო და, მეორე მხრივ, მიუღებელი შემოსავალი, რომელსაც საწარმო მიიღებდა უძრავი ქონების გასხვისებით მიღებული თანხის (16 000 000 აშშ დოლარისა და 7 500 000 აშშ დოლარის) საბანკო დანესხვებულბაში სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსების გზით. ქონების მითითებულ ფასად გაყიდვის დადასტურების მიზნით მოსარჩელე უთითებს შპს „ი.ს.“ 22.07.2015 წლის წერილს.

40. საქმეზე დადგენილია და დასაბუთებული პრეტენზია არ არის წარმოდგენილი, რომ არც ზიანის მიყენების ფაქტი და არც მისი ოდენობა არ დგინდება, კერძოდ: არ დადგინდა გარემოება მასზე, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების არარსებობის პირობებში მითითებულ პერიოდში უძრავი ქონება გასხვისდებოდა და თან, სარჩელში აღნიშნულ ფასად (მოსარჩელის მიერ მითითებული წერილი ვერ შეფასდება ასეთ მტკიცებულებად) (ზიანის ანაზღაურების დავებში მოსარჩელეს (კრედიტორს) ეკისრება როგორც ზიანის მიყენების ფაქტის, ისე განცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი (სუსგ №ას-917-2021, 27.10.2021წ.)); მოწმის ჩვენებით დადასტურდა, რომ უძრავი ქონების მიმართ მაშინ ინვესტიორები ინტერესს არ იჩენდნენ (აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, თავად მოსარჩელის განმარტებით, „თვეების განმავლობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ქონების გაყიდვის მიზნით“); უკვე ანაზღაურებული თანხების ფარგლებში შესრულებული სამუშაოს გარკვეული შედეგი მიღებულია, რომელსაც უზრუნველყოფის გაუქმების პერიოდისათვის ღირებულება არ ჰქონდა დაკარგული; რაც შეეხება ე.წ. გადასახდელ თანხებს, კონტრაპენტების მხრიდან ეს მოთ-

ხოვნები დაყენებული არ ყოფილა (მოპასუხეს შედავებული აქვს მათი გადახდის ვალდებულების არსებობის ფაქტი. მხედველობაშია მისაღები ხელშეკრულების შეწყვეტიდან განვლილი დროც), რის გამოც ამჟამად ისინი ვერ შეფასდება დამდგარ ზიანად; შესაბამისად, არარელევანტურია მიუღებელ შემოსავალზე (სუსგ №ას-154-2021, 01.04.2022წ; №ას-929-869-2017, 27.12.2017წ; №ას-459-438-2015, 07.10.2015წ; №ას-307-291-2011, 24.10.2011წ.) მსჯელობა, მითითებულ ფასად რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხის დეპოზიტზე განთავსებით, რა პროცენტი დაერიცხებოდა მას.

41. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპზე. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. დასახელებული ნორმების თანახმად, სამოქალაქო პროცესში მხარეები ვალდებული არიან, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტურონ თავიანთი პოზიციის გასამყარებლად მითითებული გარემოებების არსებობა. კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, რომელიც ადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციფიკურ წესს, მოსარჩელეს ევალება სასარჩელო განცხადებაში ასახული ფაქტების მტკიცება, ხოლო მოპასუხე მოვალეა, სარჩელისაგან თავდაცვის მიზნით, ქმედითად უარყოს მოსარჩელის არგუმენტები, წარადგინოს იმგვარი მტკიცებულებები, რომლებიც გააქარწყლებს მოსარჩელის მიერ დასახელებულ ფაქტებს. სსსკ-ის 105-ე მუხლი ადგენს სასამართლოს მხრიდან მხარეთა მიერ მითითებული გარემოებების შეფასების პირობებს, კერძოდ, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას

გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძველად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში. ამდენად, სადავო გარემოებების დადგენისას, სასამართლო იმსჯელებს საქმეში წარმოდგენილ მხარეთა განმარტებებზე, წერილობით დოკუმენტებსა და სხვა მტკიცებულებებზე ერთობლივად, რომლის ურთიერთშეჯერებით გადაწყვეტს, სარწმუნოდ მიიჩნიოს თუ არა ამა თუ იმ ფაქტის არსებობა (სუსგ №ას-584-543-2017, 06.06.2017წ; №ას-484-2019, 30.10.2020წ.). მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, რომ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით მას ზიანი მიაღდა.

II. მსჯელობა მეორე საკასაციო საჩივარზე

42. მეორე საკასაციო საჩივრის ფარგლებში საკასაციო პალატის მსჯელობის საგანია სააპელაციო სასამართლოს დამატებითი განჩინების კანონიერება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე მოპასუხის შუამდგომლობა.

43. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადებით, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით.

44. პალატა მიუთითებს, რომ, როგორც წესი, მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებსა და სასამართლოსგარეშე ხარჯებთან. გადახდილი სახელმწიფო ბაჟის მხარეთა შორის განაწილება, ასევე სახელმწიფოსათვის სასამართლო ხარჯების ანაზღაურება წარმოებს სასამართლოს ინიციატივით, ხოლო, ყველა სხვა შემთხვევაში, პროცესის ხარჯები მხარეთა შორის გადანაწილდება დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე (სუსგ №ას-1706-1600-2012, 18.02.2014წ; №ას-1758-2019, 09.03.2020წ., პ.2.1.). ამგვარი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე. ამგვარი მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლოს მხარის მოთხოვნის საფუძველზე თვითონაც შეუძლია გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ოდენობა, თუკი აშკარაა, რომ პირის უფლების დარღვევის აღკვეთის მიზნით ხარჯი გაღებულია (აღამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „პინკო-

ვა და პინკი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ“). სასამართლომ მხარეს ხარჯების ანაზღაურება უნდა დააკისროს მხოლოდ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ისინი რეალურად და საჭიროებისამებრ იქნა გაღებული იმ მიზნით, რომ აღკვეთილიყო სამოქალაქო უფლების დარღვევა (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „ასანოიძე საქართველოს წინააღმდეგ“). აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს შეხედულებით ხარჯების ოდენობის განსაზღვრისას, დავის საგნის ღირებულებიდან გამომდინარე, პროცენტული ცენზის დადგენა გამორიცხავს ხარჯების ხელოვნურად გაზრდას და უზრუნველყოფს იმ მხარის ინტერესების დაცვას, რომელსაც ხარჯების გადახდა უნდა დაეკისროს (სუსგ №ას-330-315-2015, 29.06.2015წ; №ას-316-316-2018, 07.05.2018წ.). მოპასუხეს სააპელაციო შესაგებლით არ მოუთხოვია წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობის სასამართლოს მიერ გონივრულ ფარგლებში განსაზღვრა.

45. სააპელაციო სასამართლოს შემაჯამებელი განჩინება წინამდებარე საქმეზე მიღებულია 15.11.2019 წელს. მოპასუხემ სააპელაციო სასამართლოს 19.11.2019 წელს მიმართა განცხადებით და მოითხოვა წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის მოსარჩელისთვის დაკისრება და წარადგინა შესაბამისი მტკიცებულებები. საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული დამატებითი განჩინების დასკვნას, რომ სააპელაციო პალატა ამ დოკუმენტაციაზე (მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადახდო დავალებების შინაარსზე) იმ შემთხვევაში იმსჯელებდა, თუ იგი განჩინების გამოცხადებამდე, 15.11.2019 წლამდე წარედგინებოდა. განჩინების გამოტანის შემდეგ წარდგენილ დოკუმენტებს სასამართლო ვეღარ შეაფასებს. როგორც საკასაციო სასამართლო თავის არაერთ განჩინებაში განმარტავს, სამოქალაქო საპროცესო ნორმები, როგორც ფორმალურ წესთა ერთობლიობა, იმ სავალდებულო მოთხოვნებს ადგენს, რომელთა შეცვლა არც სასამართლოს და არც მხარეთა მიხედულებაზე არაა დამოკიდებული (იხ. სუსგ-ები: №ას-1033-2018, 30.10.2018წ; №ას-851-817-2016, 04.11.2016წ.).

46. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს დამატებითი განჩინებით წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე მოპასუხის შუამდგომლობა მართებულად არ დაკმაყოფილდა. სასამართლოს გასაჩივრებულ დამატებით განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

პასუხი მოპასუხის შუამდგომლობაზე

47. რაც შეეხება საქმეზე მტკიცებულებების დართვის თაობაზე მოპასუხის შუამდგომლობას, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მტკიც-

ცებულებების წარდგენის საკმაოდ მკაცრად გაწერილ პროცედურას და საქმის საკასაციო სასამართლოში განხილვისას, განსხვავებით პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებისაგან, კანონმდებლობით მხარე ასეთ შესაძლებლობას მოკლებულია – საკასაციო სასამართლო არ წარმოადგენს ფაქტების დამდგენ სასამართლოს (სუსგ №ას-48-2020, 17.09.2020წ; №ას-27-2019, 15.11.2019წ.). შესაბამისად, არ არსებობს შუამდგომლობის საკასაციო სასამართლოს მიერ დაკმაყოფილების საფუძველი და მტკიცებულებები უნდა დაუბრუნდეს შუამდგომლობის ავტორს.

სახელმწიფო ბაჟის საკითხის გადაწყვეტა

48. რადგან საკასაციო საჩივრები არ კმაყოფილდება, არ არსებობს კასატორების მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟების მონინალმდეგე მხარეებისათვის სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დაკისრების საფუძველი. სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხები უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 399-ე, 264.3, 410-ე მუხლებით და

დ ა ა ზ ბ ი ნ ა:

1. შპს „ბ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 15.11.2019 წლის განჩინება.
3. ჯ. ჰ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
4. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 22.11.2019 წლის დამატებითი განჩინება.
5. ჯ. ჰ. გ-ის 13.12.2022 წლის შუამდგომლობა (განცხადების №ა-6629-22) საქმეზე მტკიცებულებების დართვის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს და მტკიცებულებები დაუბრუნდეს შუამდგომლობის ავტორს.
6. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. დაუსრაველი გადაწყვეტილება

მოპასუხის გამომუცხადებლობა

განჩინება საქართველოს სახელმით

№ას-44-2021

31 მაისი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, საშვებულებო თანხის, ზეგანაკვეთურად შესრულებული სამუშაოს და ნებისმიერი ანაზღაურებისა და ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0.07%-ის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მ. გ-მა (შემდეგში: მოსარჩელე ან საჩივრის ავტორი ან კასატორი) სარჩელი აღძრა შპს „ნ-ის“ მიმართ (შემდეგში: მოპასუხე კომპანია ან აპელანტი ან მოწინააღმდეგე მხარე), რომლითაც მოითხოვა: 1.1. ბათილად იქნეს ცნობილი მოპასუხე კომპანიის დირექტორის 2018 წლის 14 მაისის № 14/05 ბრძანება მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ; 1.2. მოპასუხეს დაევალოს მოსარჩელის აღდგენა მოპასუხე კომპანიის ბუღალტრის პოზიციაზე; 1.3. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ, 2018 წლის 14 მაისიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე, დაეკისროს იძულებითი განაცდურის ანაზღაურება; 1.4. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს 2018 წლის გამოუყენებელი 24 დღის ფასიანი საშვებულებო თანხის 300 ლარის (ხელზე ასაღები) ოდენობით ანაზღაურება; 1.5. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს მოსარჩელის მიერ სამსახურში დანიშვნის დღიდან (09.09.2017წ) მოსარჩელეთა სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე (14.05.2018წ) ყოველ სამუშაო კვირის განმავლობაში ზეგანაკვეთურად შესრულებული 14 საათის სამუშაოსათვის თითოეული ნამუშევარ კვირაზე – 52.5 ლარის (ხელზე ასაღები) გადახდა (ყოველთვიური ხელფასი 300 ლარი, თვის განმავლობაში არსებული $160 = 1.875X$ გაზრდილ სამუშაო ტარიფზე $2 = 3.75$ ლარს X ყოველი სამუშაო კვირის გან-

მავლობაში შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაოს 14 საათზე = 52.5 ლარს); 1.6. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს ნებისმიერი ანაზღაურების და ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტის ანაზღაურება, ანაზღაურების დაყოვნების დღიდან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებამდე (დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნა).

2. მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად მიუთითა, რომ მხარეთა შორის 09.09.2017 წელს დაიდო შრომითი ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოსარჩელე დაინიშნა ამავე ორგანიზაციის ბუღალტრის პოზიციაზე 4 თვის ვადით, ხოლო შემდგომში, 2018 წლის 09 იანვრიდან გაგრძელდა შრომითი ხელშეკრულება იმავე პოზიციაზე და იმავე პირობებით 1 წლის ვადით. 2018 წლის 14 მაისს მოპასუხე კომპანიის დირექტორის ბრძანებით მოსარჩელე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, საქართველოს შრომის კოდექსის (შემდგომში: სშკ-ის) 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის (დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანესით დაკისრებული ვალდებულებების უხეში დარღვევა) საფუძველზე, 2018 წლის 15 მაისს მოსარჩელემ მიმართა მოპასუხე კომპანიის დირექტორს და სშკ-ის 38-ე მუხლის მეოთხე პუნქტით დადგენილი წესით მოითხოვა ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობითი დასაბუთება. 2018 წლის 18 მაისს წერილის თანახმად, დასაქმებული სამსახურიდან გათავისუფლდა იმაზე მითითებით, რომ მან უხეშად დაარღვია შრომითი ხელშეკრულება და შინაგანანესი, კერძოდ, დამსაქმებელი მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელემ არაერთხელ დაარღვია შინაგანანესით დადგენილი სამუშაო დრო, ასევე, სამუშაო საათებში სარგებლობდა სოციალური ქსელებით. მოსარჩელის მითითებით, „დარღვევებს“, რაზედაც მიუთითებდა დამსაქმებელი, ადგილი არ ჰქონია, შესაბამისად სრულად გაუგებარია, თუ რატომ გათავისუფლდა თანამდებობიდან მოსარჩელე აღნიშნული საფუძვლებით. რადგან იგი ყოველთვის ზედმინევნიტ და დროულად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. ერთადერთი, რასაც შეიძლება უკავშირდებოდეს მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლება, გახლავთ ის, რომ 2018 წლის მაისის თვეში, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ბრძანების გამოცემამდე მოპასუხე კომპანიის დირექტორმა მოსთხოვა, რომ საკუთარი ინიციატივით დაეტოვებინა თანამდებობა, რადგან მას აღარ სჭირდებოდა ბუღალტერი, რაზედაც მოსარჩელემ განუმარტა, რომ თუ რაიმე ორგანიზაციული ცვლილებები იგეგმებოდა და ამის გამო, უნდა წასულიყო სამსახურიდან, დირექტორს უნდა დაენერა შესაბამისი ბრძანება შესაბამისი საფუძვლებით, რად-

გან ასეთ დროს შრომის კოდექსი შესაბამის კომპენსაციას ითვალისწინებს. იმის გამო, რომ მოპასუხე კომპანიას მოუწევდა მოსარჩელისათვის კომპენსაციის გადახდა, რაც დირექტორს არ უნდოდა. დირექტორი დაემუქრა მოსარჩელეს, რომ მას სამსახურიდან გაუშვებდა „უხეში დარღვევის“ საფუძველზე. ამ საუბრიდან რამოდენიმე დღეში მოსარჩელეს ჩაჰპარდა ბრძანება, რომლის მიხედვითაც იგი სამსახურიდან გათავისუფლდა უხეში დარღვევის გამო. მოპასუხე კომპანიის მითითებით მოსარჩელის მიმართ არაერთხელ იყო გამოყენებული სიტყვიერი შენიშვნა, აღნიშნულს მოსარჩელე უარყოფს. ამასთან, მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მის მიერ წარმოდგენილია, რეკომენდაციები საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციიდან, ასევე ფ. ბ. საქართველოდან, რომლის თანახმად მოსარჩელე ხასიათდება შრომისმოყვარე, პასუხისმგებლობიან პროფესიონალად, რეკომენდაციების თანახმად, იგი ყოველთვის პირნათლად და დროულად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

3. მოპასუხემ წერილობით წარმოდგენილი შესაგებლით და სასამართლო სხდომაზე მიცემული ახსნა-განმარტებით სარჩელი არ სცნო და განმარტა, რომ მოპასუხე კომპანია არის კერძო სამართლის იურიდიული პირი და ორიენტირებულია მოგებაზე. მოსარჩელე არაერთხელ იქნა გაფრთხილებული უშუალო ხელმძღვანელისა და მთავარი ბუღალტერის მიერ, რომ სამუშაო საათებში დაკავებულიყო მისთვის განსაზღვრული სამუშაოს შესრულებით. მიუხედავად არაერთი სიტყვიერი შენიშვნა-გაფრთხილებებისა, მოსარჩელის მხრიდან დარღვევები არ აღიკვეთა. მოპასუხის მითითებით, კომპანიას დღემდე უწევს მოსარჩელის მხრიდან მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების შედეგად გამოწვეული პრობლემების მოგვარება, რაც დროულად არ გამოვლენის შემთხვევაში, მოპასუხე მხარეს მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს მიაყენებდა. მოპასუხე განმარტავს, რომ მოსარჩელისათვის მიუღებელი აღმოჩნდა მისთვის დადგენილი სამუშაო გრაფიკი და რეჟიმი, სამსახურში დროული გამოუცხადებლობა, დადგენილი შესვენებისა და სამუშაო დროის განაკვეთებიც, რის გამოც, მისი დამოკიდებულება დაკისრებული მოვალეობებისადმი იყო სრულიად უპასუხისმგებლო. მოსარჩელე უშუალო ხელმძღვანელის მიერ უკვე ნინასწარ იყო ინფორმირებული, რომ თუ არ შეცვლიდა დამოკიდებულებას სამსახურის მიმართ მოპასუხე კომპანია იზრუნებდა სხვა კომპეტენტური დასაქმებულის მოძებნისათვის, რასაც მოსარჩელე თურმე მუქარად მიიჩნევდა. მოსარჩელეს კანონით გათვალისწინებული წესით ჩაჰპარდა გათავისუფლების შესახებ ბრძანება და ბრძანების წერილობითი დასაბუთება.

4. თელავის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 12 ივლისის გადწყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნების დაკ-

მაყოფილებაზე. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა მოსარჩელემ, რომელმაც მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

5. მოსარჩელის მიერ წარდგენილ სააპელაციო საჩივარზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 16 სექტემბერს მიღებული იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხე კომპანიის დირექტორის 2018 წლის 14 მაისის №14/05 ბრძანება მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, ჯამში – 2400 (ხელზე ასაღები) ლარის ოდენობით; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა, 2018 წლის გამოუყენებელი შვებულების – 16 დღის ანაზღაურება, ჯამში – 200 (ხელზე ასაღები) ლარის ოდენობით; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა, 2018 წლის გამოუყენებელი შვებულების – 16 დღის ანაზღაურება, ჯამში – 200 (ხელზე ასაღები) ლარის ოდენობით; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზეგანაკვეთურად ნამუშევარი დროის ანაზღაურება, ჯამში – 1680 (ხელზე ასაღები) ლარის ოდენობით; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზეგანაკვეთურად ნამუშევარი აუნაზღაურებელი თანხის 1680 ლარის – 0.07% პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, 22.05.2018 წლიდან – გადაწყვეტილების აღსრულებამდე; დანარჩენ ნაწილში, აპელანტს/მოსარჩელეს უარი ეთქვა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 16 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ 2020 წლის 16 სექტემბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვისას, სასამართლოს სხდომაზე გამოცხადდა მხოლოდ აპელანტის წარმომადგენელი, ხოლო მონინაალმდეგე მხარის – მოპასუხე კომპანია წარმომადგენელი სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულა და არც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის თაობაზე უცნობებია სასამართლოსთვის. სასამართლო სხდომაზე აპელანტის წარმომადგენელმა, მონინაალმდეგე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო, იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა და სააპელაციო საჩივრის სრულად დაკმაყოფილება.

7. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ფარგლებში სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია სარჩელში/სააპელაციო საჩივარში მითითებული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

8. მხარეთა შორის 2017 წლის 9 სექტემბერს დაიდო შრომის ხელშეკრულება №147, რომლის საფუძველზეც მოსარჩელე დასაქმდა მოპასუხე კომპანიაში ბუღალტრის პოზიციაზე 4 თვის ვადით. დასაქმებუ-

ლის სახელფასო ანაზღაურება განისაზღვრა ყოველთვიურად – 300 ლარის ოდენობით. შრომითი ხელშეკრულებით, სამუშაო დრო განისაზღვრა 6-დღიანი სამუშაო კვირის მიხედვით, ხოლო სამუშაო დღის ხანგრძლივობა მოიცავდა 9-საათიან სამუშაო პერიოდს, დღის განმავლობაში 45 წთ-ის შესვენებით. ხელშეკრულების 3.5 პუნქტის თანახმად, სამუშაო დღის ანდა სამუშაო საათების არასაპატიო მიზეზით გაცდენის გამო დამსაქმებელი უფლებამოსილი იყო დასაქმებულისათვის დაეკავებინა ხელფასი გაცდენილი დროის შესაბამისად, ასევე შეეჩერებინა ნახალისება.

9. მოსარჩელის სამუშაო საათების ხანგრძლივობა აღემატებოდა შრომითი კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობას და კვირაში ნაცვლად 40 საათისა შეადგენდა 54 საათს, შესაბამისად, მოსარჩელე შრომითი ხელშეკრულების მოქმედების დროს ყოველკვირეულად მუშაობდა ზეგანაკვეთურად 14 საათს, რაც ექვემდებარება გაზრდილი ოდენობით ანაზღაურებას.

10. შრომითი ხელშეკრულებით ასევე განისაზღვრა მხარეთა უფლება-მოვალეობები, კერძოდ, დასაქმებულს ევალებოდა კეთილსინდისიერად შეესრულებინა მასზე დაკისრებული შრომითი მოვალეობები, რომელიც განსაზღვრული იყო შრომის კანონმდებლობით, ხელშეკრულებითა და შრომის შინაგანანუსით. ხელშეკრულების 4.4 პუნქტის თანახმად, დასაქმებულის მიერ თავისი მოვალეობების არაჯეროვნად შესრულებისას დამსაქმებელი უფლებამოსილი იყო დასაქმებულის მიმართ გამოეყენებინა შრომის კანონმდებლობით დადგენილი დისციპლინური ღონისძიებები (გაფრთხილება/რეკომენდაცია, საყვედური, ფულადი ჯარიმა ხელფასიდან დაკავებით, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა და ა.შ.). ამავე ხელშეკრულების 9.3 პუნქტის შესაბამისად დამსაქმებელს მიენიჭა უფლება ცალმხრივად შეენეციტა ხელშეკრულება დასაქმებულის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა და შრომითი პირობების დარღვევის შემთხვევაში.

11. შრომითი ხელშეკრულებით, ასევე, განისაზღვრა, რომ შრომის შინაგანანუსი მიიჩნეოდა ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ხელშეკრულების 9.2 პუნქტის შესაბამისად, 4-თვიანი ვადის ამოწურვის შემდგომ – 2018 წლის 9 იანვარს მხარეთა შორის მოქმედი ხელშეკრულება გაგრძელდა 1 წლის ვადით. საქმეში წარმოდგენილია 2018 წლის მოპასუხე კომპანიის შრომის შინაგანანუსი, რომელზეც არ არის მითითებული კონკრეტული თარიღი. აღნიშნული შინაგანანუსის მე-10 მუხლით განისაზღვრა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები, რომლის „ა“ პუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს სამსახურეობრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება, ხოლო „გ“ პუნქტის შესაბამისად

დისციპლინური გადაცდომაა სამუშაო საათების პერიოდში სოციალურ ქსელებში ნებისმიერი კომუნიკაციის ან/და დაკისრებული მოვალეობების ზერელე და დაუდევარი დამოკიდებულების გამოვლენა. ამავე შინაგანაწესის მე-11 მუხლით განისაზღვრა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, კერძოდ: ა) შენიშვნა; ბ) საყვედური; გ) სასტიკი საყვედური; დ) ხელფასის დაკავება; ე) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან ჩამოშორება ან/და უფრო დაბალი რანგის თანამდებობაზე გადაყვანა; ვ) სამსახურიდან გათავისუფლება. მოხმობილი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომპანიის დირექტორი. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი შეძლება გახდეს სამსახურებრივი შემონმების შედეგები. სამსახურებრივი შემონმების დაწყების საფუძველი შეიძლება გახდეს მოხსენებითი ბარათი, დისციპლინური გადაცდომის შესახებ განცხადება, მონიტორინგის შედეგები და კომპანიის დირექტორის გადაწყვეტილება. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება აღინიშნება პირად საქმეში შეტანით.

12. 2018 წლის 14 მაისს მოპასუხე კომპანიის დირექტორმა გამოსცა ბრძანება № 14/05, რომლის საფუძველზე მოსარჩელე გათავისუფლდა დაკავებული პიზიციიდან, ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების უხეში დარღვევის გამო. დამსაქმებელმა გათავისუფლების საფუძვლის წერილობით დასაბუთებაში, მოსარჩელეს განუმარტა, რომ მისი მხრიდან ვალდებულების უხეში დარღვევა გამოიხატა შრომის ხელშეკრულების და შინაგანაწესის არაერთხელ უხეშ დარღვევაში, კერძოდ, სოციალური ქსელებით სარგებლობა სამუშაო საათებში, ანუ არასამუშაო თემებით მოცდენა, რასთან მიმართებითაც არაერთხელ იქნა მიცემული სიტყვიერი შენიშვნა და გაფრთხილება.

13. მოსარჩელის მიმართ რაიმე სახის დისციპლინური სახდელი გათავისუფლებამდე გამოყენებული არ ყოფილა.

14. არც დასაქმებულის მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების უხეში დარღვევა დასტურდებოდა, რასაც შეეძლო გაემართლებინა დისციპლინური სახდელის უკიდურესი ღონისძიება – შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა.

15. ასევე, დამსაქმებელმა ვერ უზრუნველყო დაედასტურებინა მისი მხრიდან სიტყვიერი ფორმით შენიშვნისა, თუ საყვედურის გამოცხადების ფაქტი.

16. მოსარჩელეს არ აქვს გამოყენებული და არც ანაზღაურებული 2018 წლის კუთვნილი ფასიანი შვებულების დღეები.

17. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეზე დადგენილად მიჩ-

ნეული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ნაწილობრივ ამართლებდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას, შემდეგ მოსაზრებათა გამო:

18. სშკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილის (სშკ-ის ამჟამინდელი რედაქციით 48.8 მუხლი) შესაბამისად, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი სადავოობისას, დასაქმებული უფლებამოსილია: 1) მოითხოვოს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბრძანების (გადაწყვეტილების) ბათილად ცნობა და პირვანდელ ან ტოლფას სამუშაო ადგილზე აღდგენა (ამ შემთხვევაში, მოსარჩელეს ასევე შეუძლია მოითხოვოს იძულებითი განაცდურის ანაზღაურება); 2) ან ბრძანების ბათილად ცნობასთან ერთად, აღდგენის ნაცვლად, მოითხოვოს კომპენსაცია. სამუშაოზე აღდგენა, ისევე, როგორც იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, წარმოადგენს მოპასუხის არამართლზომიერი ქმედების (უკანონოდ გათავისუფლების) შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახეს – მუშაკის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის გზით.

19. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, რომ არ მომხდარიყო შრომითი ხელშეკრულების უსაფუძვლო შეწყვეტა, მისი მოქმედება გაგრძელდებოდა, რის გამოც, სარჩელის აღძვრის ეტაპზე, ერთ წლიანი ხელშეკრულების მოქმედების პირობებში, გამართლებული იყო მოთხოვნა სამსახურში აღდგენასთან მიმართებით. თუმცა, იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ ხელშეკრულება მოქმედებდა 09.01.2019 წლამდე, დღევანდელი მოცემულობით ხელშეკრულების მოქმედების ვადა გასულია და შესაბამისად, ვერ განხორციელდება დასაქმებულის სამუშაოზე აღდგენა. ასეთ შემთხვევაში, დასაქმებულს უნდა მიეკუთვნოს ის იძულებითი განაცდური, რასაც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიიღებდა ხელფასის სახით. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სშკ-ის 44-ე მუხლით (სშკ-ის ამჟამინდელი რედაქციით 58-ე მუხლი), რომლის თანახმად, შრომითი ურთიერთობისას, მხარის მიერ მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

20. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე და 411-ე მუხლებზე და მიიჩნია, შრომითი ურთიერთობის უკანონო შეწყვეტით, დამსაქმებელმა მოუსპო შესაძლებლობა დასაქმებულს, განეხორციელებინა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისი სამსახურებრივი მოვალეობა და მიეღო ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომითი ანაზღაურება, მისი ყოველთვიური ხელფასის ოდენობით.

21. დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ შრომითი ურთიერთობის შენ-

ყვეტამდე მოსარჩელის შრომის ანაზღაურება (ხელფასი) შეადგენდა თვეში 300 ლარს (ხელზე ასაღები). შესაბამისად, მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე, კერძოდ, მოსარჩელისათვის გათავისუფლებიდან – 14.05.2018 წლიდან – 09.01.2019 წლამდე (ხელშეკრულების მოქმედების ვადა), ყოვეთვიურად 300 ლარის მიკუთვნება, რაც ჯამში – 8 თვეზე შეადგენდა 2400 ლარს (ხელზე ასაღები), საფუძვლიანად იქნა მიჩნეული.

22. რაც შეეხება მოთხოვნას საშვებულებო თანხის ანაზღაურებასთან მიმართებით, აღნიშნული მოთხოვნა მხოლოდ ნაწილობრივ გამართლებულად იქნა მიჩნეული, კერძოდ სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს საშვებულებო თანხა მხოლოდ მის მიერ ნამუშევარი პერიოდის პროპორციულად. კერძოდ, საქართველოს შრომის კოდექსის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით (სშკ-ის ამჟამინდელი რედაქციით 34-ე მუხლი), შვებულების მოთხოვნის უფლების წარმოშობის გამოსათვლელ ვადაში ითვლება დასაქმებულის მიერ ფაქტობრივად ნამუშევარი, აგრეთვე დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დრო, ხოლო სშკ-ის 26-ე მუხლის (სშკ-ის ამჟამინდელი რედაქციით 36-ე მუხლი) თანახმად, დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრება შვებულების წინა 3 თვის საშუალო ანაზღაურებიდან, თუ მუშაობის დაწყებიდან ან უკანასკნელი შვებულების შემდეგ ნამუშევარი დრო 3 თვეზე ნაკლებია – ნამუშევარი თვეების საშუალო ანაზღაურებიდან, ხოლო ყოველთვიური ფიქსირებული ანაზღაურების შემთხვევაში – ბოლო თვის ანაზღაურების მიხედვით.

23. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილი იქნა, რომ მოსარჩელე მოპასუხე კომპანიაში დასაქმებული იყო და დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს ახორციელებდა 09.09.2017 წლიდან – 14.05.2018 წლამდე (8 თვე), შესაბამისად, გამართლებული იყო მისთვის ანაზღაურებულიყო მის მიერ ნამუშევარი პერიოდის პროპორციულად გამოუყენებელი შვებულების თანხა, რაც შეადგენს 16 დღეს (8 თვე X 2) და ყოველდღიური სახელფასო განაკვეთის შესაბამისად, რომელიც შეადგენდა 12.5 ლარს (300/24 დღეზე), გამოუყენებელი შვებულებისათვის, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს 200 ლარი (12.5 ლარი X 16 დღეზე).

24. სშკ-ის 31-ე მუხლის (სშკ-ის ამჟამინდელი რედაქციით 41-ე მუხლი) შესაბამისად, შრომის ანაზღაურების ფორმა და ოდენობა განისაზღვრება შრომის ხელშეკრულებით. ამავე კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დასაქმებულის მიერ განსაზღვრული სამუშაო დროის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ასრულებს სამუშაოს, არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს, ხოლო

სპეციფიური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოში, სადაც წარმოების შრომითი პროცესი ითვალისწინებს 8 საათზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტ რეჟიმს – 48 საათს. სშკ-ის მე-17 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად (სშკ-ის ამჟამინდელი რედაქციით 27-ე მუხლი), ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით. ამ ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

25. სარჩელის მოთხოვნას ასევე წარმოადგენდა მოსარჩელის მიერ ზეგანაკვეთურად ნამუშევარი დროის ანაზღაურება, ყოველი ზედმეტად ნამუშევარი საათისათვის, ტარიფით 3.75 ლარი, (ჯამში მოთხოვნილია – 1680 ლარის ანაზღაურება).

26. დადგენილია, რომ მოსარჩელე კვირაში 40 საათის ნაცვლად მუშაობდა 54 საათს, შესაბამისად, მოსარჩელეს ყოველკვირეულად უწევდა ზეგანაკვეთური შრომა 14 საათის ოდენობით, რაც თითოეულ ნამუშევარ კვირაზე წარმოუშობდა ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას 52.5 ლარის ოდენობით ($3.75 \text{ ლარი} \times 14 \text{ საათზე}$).

27. სააპელაციო პალატამ გაიზიარა მოსარჩელის გაანგარიშება, ზეგანაკვეთურად ნამუშევარი დროის ანაზღაურებასთან მიმართებით და დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის ყოველთვიური ხელფასი განისაზღვრებოდა 300 ლარის ოდენობით, თვეში არსებული სამუშაო საათების შესაბამისად – 160 საათი, თითოეული შესრულებული სამუშაო საათი ანაზღაურდებოდა 1.875 ლარით, რადგანაც ზეგანაკვეთური სამუშაო უნდა ანაზღაურდეს გაზრდილი განაკვეთით, მოსარჩელე მოითხოვდა ანაზღაურებას, თითოეული ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათისათვის 2-ჯერ გაზრდილი ღირებულებით, რაც შეადგენს 3.75 ლარს. შესაბამისად, თითოეული ნამუშევარი კვირისათვის აღნიშნული შეადგენს – 52.5 ლარს ($3.75 \text{ ლარი} \times 14 \text{ საათზე}$), რაც ყოველი თვისთვის განისაზღვრება 210 ლარის ოდენობით ($52.5 \text{ ლარი} \times 4 \text{ თვეზე}$), ჯამში კი ნამუშევარი 8 თვის შესაბამისად, მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს – 1680 ლარი ($210 \text{ ლარი} \times 8 \text{ თვეზე}$).

28. სშკ-ის 31.3 მუხლის (სშკ-ის ამჟამინდელი რედაქციით 41.3 მუხლი) თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია ნებისმიერი ანაზღაურების თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის გადაუხადოს დასაქმებულს დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტი. პირგასამტეხლოს მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველს მხარეთა შორის არსებული ფულადი ვალდებულება წარმოადგენს, ანუ გადახდის ვალდებულების არსებობა სახეზეა საბოლოო ანგარიშსწორების გადაუხდელობის დროს, რაც შრომითი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გასაცემ თანხას წარმოადგენს. აუნაზღაურებელი ზეგანაკვეთური სამუშაოს პირობებში, მოსარჩელე წარმოადგენდა შრომის ანაზღაურების

(ანგარიშსწორების) მოცდენის სუბიექტს. აღნიშნული კი, განაპირობებდა დამსაქმებლისთვის პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველს. კერძოდ მოპასუხე კომპანიას მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა ზეგანაკვეთურად ნამუშევარი დროის შესაბამისად გადაუხდელი 1680 ლარის 0.07% ანაზღაურება, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს დარიცხვა უნდა დაწყებულიყო შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან (14.05.2018) ერთი კვირის შემდგომ – 22.05.2018 წლიდან – გადანაცვეტილების აღსრულებამდე.

29. რაც შეეხება, მოთხოვნას აუნაზღაურებელი საშვებულებო თანხასთან მიმართებით პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ, სააპელაციო პალატამ აღნიშნულ ნაწილში იურიდიულად გაუმართლებლად მიიჩნია მოთხოვნა, რადგანაც მოსარჩელის მხრიდან შრომითი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ ყოფილა მოთხოვნილი არც შვებულების გამოყენება და არც თანხის ანაზღაურება, შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც არ არის წარმოშობილი ფულადი ვალდებულება გაუმართლებელი იყო აღნიშნულ ნაწილში დაყოვნებაზე მითითებით პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნა.

30. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილებულიყო ნაწილობრივ, კერძოდ იმ ნაწილში, რომლითაც საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად გამართულს ხდიდნენ მოთხოვნას, ხოლო დანარჩენ ნაწილში მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, მისი სამართლებრივად გაუმართლებლობის საფუძველზე.

31. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 16 სექტემბრის დაუსწრებელ გადანაცვეტილებაზე საჩივარი წარადგინა მოპასუხემ (მონინალმდევე მხარე) რომელმაც მოითხოვა დაუსწრებელი გადანაცვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

32. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 11 ნოემბრის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 16 სექტემბრის დაუსწრებელი გადანაცვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

33. დადგენილი იქნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში 2020 წლის 16 სექტემბერს, 12:00 საათზე დანიშნულ სასამართლოს სხდომაზე, არ გამოცხადდა მონინალმდევე მხარის წარმომადგენელი, რომელსაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ეცნობა სასამართლო სხდომის ჩატარების დროისა და ადგილის თაობაზე. მონინალმდევე მხარის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის გა-

მო, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2020 წლის 16 სექტემბრს მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც აპელანტის წარმომადგენლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. გაუქმდა თელავის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება და დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების გზით დაზუსტებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

34. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 241-ე მუხლით, რომლის შინაარსიდან გამომდინარე, მხარის გამოუცხადებლობის გამო, გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამონეწეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

35. სსსკ-ის 233.1. მუხლის თანახმად, მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ: ა) გამოუცხადებელი მხარე მონეწეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით; ბ) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; დ) არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები.

36. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ამ მუხლის ჩამონათვალი არაა ამომწურავი. გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია მიუთითოს სხვა გარემოებებზეც, რაც სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზი გახდა და რომლის შესახებაც მას არ შეეძლო დროულად ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამასთან, კანონმდებელი ავალდებულებს მხარეს წინასწარ აცნობოს სასამართლოს სხდომაზე მისი გამოცხადების შეუძლებლობის და მიზეზის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი შეტყობინება სხდომამდე შეუძლებელია. იმ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი, რომლებზეც მიუთითებს მხარე თავის საჩივარში, როგორც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე, ეკისრება მომჩივანს, ხოლო მომჩივნის მიერ მითითებული გარემოებების შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად საპატიოა მხარის გამოუცხადებლობა, სასამართლოს უფლებამოსილებაა.

37. ამასთან, იმ გარემოებათა ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს სასამართლო პროცესზე მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად, განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო საპრო-

ცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილი, რომელიც ადგენს, რომ ასეთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარმოდგენის შეუძლებლობა, რაც გამონვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დანესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

38. გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, საპატიო მიზეზად შეუძლია მიუთითოს „სხვა გარემოებებზე“, რაც სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზი გახდა და რომლის შესახებაც მას არ შეეძლო დროულად ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამდენად, იმისათვის, რომ სასამართლომ იმსჯელოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მიზანშეწონილობაზე, ეს ორი წინაპირობა კუმულაციურად უნდა არსებობდეს.

39. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვდა იმ საფუძველით, რომ მის მიერ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა გამონვეული იყო საპატიო მიზეზით – იმ ობიექტური გარემოებით, რომ სასამართლო სხდომის დღეს, მისი მცირეწლოვანი შვილი გახდა შეუძლოდ და შესაბამისად, შეიქმნა აუცილებლობა ბავშვი სასწრაფოდ გადაეყვანათ სტაციონარში, რის გამოც, წარმომადგენელმა ვერ მოახერხა სასამართლო სხდომაზე გამოცხადება. ამასთან, ნერვიულობის ფონზე, მან ვერ მოახერხა სასამართლოს დროული ინფორმირება სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობასთან მიმართებით. საჩივრის ავტორმა, მისი მძიმე ემოციური მდგომარეობის, სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობისა და სასამართლოს ინფორმირების შეუძლებლობის დამატებით საფუძველად მიუთითა ახლო ნათესავის, კერძოდ, ბიძაშვილის გარდაცვალებაზე, რომელიც სასამართლო სხდომის გამართვამდე 6 დღით ადრე – 2020 წლის 10 სექტემბერს გარდაიცვალა.

40. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საჩივრის ავტორმა ვერ უზრუნველყო სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენის გზით დაესაბუთებინა სასამართლო სხდომაზე გამოცხადების ობიექტური შეუძლებლობა და ამავდროულად, გამოუცხადებლობის თაობაზე სასამართლოს ინფორმირების შეუძლებლობა.

41. საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ პასუხობდა სსსკ-ს 215.3 მუხლით დადგენილ სტანდარტს და შესაბამი-

სად, ვერ მიიჩნეოდა ავადმყოფობის დადასტურებისათვის ვარგის მტკიცებულებად. კერძოდ, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტი, რომელიც არ არის შევსებული კანონით დადგენილი ფორმით, ასევე, სსსკ-ის 215.3 მუხლის შესაბამისად არ არის ხელმოწერილი სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი პირის მიერ და ამავდროულად, მასში ასახული ინფორმაციით არ დასტურდება გარემოება, რომ საჩივრის ავტორის წარმომადგენელი ობიექტურად მოკლებული იყო შესაძლებლობას გამოცხადებულიყო სასამართლო სხდომაზე ან/და ეცნობებინა სასამართლოსათვის სატელეფონო კავშირის მეშვეობით მისი გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე.

42. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა ისიც, რომ მოწინააღმდეგე მხარეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შემდგომაც – მომდევნო დღეებში არ მოუმართავს სასამართლოსათვის და არ უცნობებია არსებული მოცემულობისა და სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის თაობაზე.

43. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, წარმოდგენილი სამედიცინო ცნობა არ აკმაყოფილებს 215.3 მუხლის მოთხოვნებს, რამეთუ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა შედგენილი უნდა იყოს კანონით დადგენილი წესით და მას ხელს უნდა აწერდეს არა მკურნალი ექიმი, არამედ სამკურნალო დაწესებულების ხელმძღვანელი. საჩივრის ავტორის ზეპირი მითითება, რომ ხელმოწერი პირი არის სამკურნალო დაწესებულების ხელმძღვანელი არ იქნა გაზიარებული, რადგანაც წარმოდგენილი ცნობა მსგავს მონაცემს არ შეიცავდა და შესაბამისად მხოლოდ ზეპირი განმარტება ვერ მიიჩნევა ფაქტის გაზიარებისათვის საკმარის საფუძვლად. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცნობის შინაარსით არ დგინდება, თუ როდის მიმართა საჩივრის ავტორმა სამკურნალო დაწესებულებას და რა ობიექტურმა გარემოებამ დააბრკოლა სასამართლოსთვის სატელეფონო კავშირის მეშვეობით ცნობება პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობასთან მიმართებით. ამასთანავე, წარმოდგენილი ცნობა არ შეიცავს არც იმ მონაცემს, რომ 16.09.2020 წელს 12:00 საათზე მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელს არ შეეძლო გამოცხადებულიყო სასამართლო სხდომაზე.

44. ამასთან სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია მცირეწლოვანი შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება დედისათვის შესაძლოა წარმოადგენდეს იმგვარ ობიექტურ მოცემულობას, რომ შეუძლებელი გახდეს სასამართლო სხდომაზე გამოცხადება, თუმცა, წარმომადგენელს ჰქონდა შესაძლებლობა შექმნილი მდგომარეობის შესახებ ეცნობებინა მისი მარწმუნებლისათვის ან/და სასამართლოსათვის. ამასთან, წარმომადგენელი ვალდებული იყო წარ-

მოედგინა იმგვარი ცნობა, რომლითაც დადასტურდებოდა უშუალოდ საავადმყოფოსთვის მიმართვის დრო და არსებული მდგომარეობის სიმძიმე, რომელიც პალატის მხრიდან შესაძლოა შეფასებულიყო საპატიო გარემოებად სსსკ-ს 215.3 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე.

45. სააპელაციო პალატამ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო გარემოებად არ მიიჩნია არც მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის ბიძაშვილის გარდაცვალების ფაქტი, რადგანაც ხსენებული პირი გარდაიცვალა პროცესის გამართვამდე ერთი კვირით ადრე და ამავდროულად, წარმოდგენილი მტკიცებულებით არ დასტურდება გარდაცვლილი პირის ნათესაური კავშირი მოსარჩელესთან.

46. ამასთან, იმ ვითარებაშიც კი, თუ გაზიარებული იქნებოდა საჩივრის ავტორის მითითება პირთან ნათესაური კავშირის არსებობასთან მიმართებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე ბიძაშვილი ვერ მიიჩნევა ახლო ნათესავად და აღნიშნული ვერ მოექცევა სსსკ-ს 215.3 მუხლით განსაზღვრულ საპატიო გარემოებაში.

47. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოწინააღმდეგე მხარე არის იურიდიული პირი/მენარმე სუბიექტი, რომლისთვისაც ცნობილი იყო სასამართლო წარმოების თაობაზე და შესაბამისად, დავის სააპელაციო განხილვის ეტაპზე მოპასუხეს ევალებოდა უზრუნველყო საკუთარი წარმომადგენლის დასწრება სასამართლო სხდომაზე.

48. უარყოფილი იქნა საჩივრის ავტორის მითითება, რომ მისი მხრიდან არ მომხდარა მარწმუნებლის ინფორმირება სასამართლო სხდომის თაობაზე, რამეთუ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70.1 მუხლის შესაბამისად, უწყების წარმომადგენლისათვის ჩაბარება ნიშნავს უწყების მხარისათვის ჩაბარებას. ამდენად, ხსენებული ნორმით დადგენილია პრეზუმცია, რომლის შესაბამისადაც უწყების ჩაბარება წარმომადგენლისათვის, მოიაზრებს უწყების მხარისათვის ჩაბარებასაც, რაც გამორიცხავს საჩივრის ავტორის მტკიცებას, მოწინააღმდეგე მხარის არაინფორმირებულობასთან მიმართებით.

49. წარმომადგენლის ვალდებულებას წარმოადგენდა ეცნობებინა მისი მარწმუნებლისათვის სასამართლო სხდომის თაობაზე და ამავდროულად შეეტყობინებინა მისი გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ, რის შემდგომაც, კომპანიას ექნებოდა შესაძლებლობა წარმოედგინა სხვა წარმომადგენელი და ამგვარად მოეხდინა საპროცესო უფლებამოვალეობების რეალიზება.

50. აღნიშნული ვალდებულების წარმომადგენლის მხრიდან შეუსრულებლობა, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვერ გახდება დავის მონაწილე მერე მხარის ინტერესების შეზღუდვის საფუძველი, რამეთუ ორივე მხარისათვის კანონით დადგენილი წესით ცნობილი იყო სასამართლო სხდომის გამართვის დრო და ადგილი.

51. შესაბამისად, რომელიმე მათგანის გამოუცხადებლობა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მიზეზით ვერ გახდება მეორე მხარისათვის კანონით მინიჭებული უფლების შეზღუდვის საფუძველი. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხოლოდ ზეპირი მითითება, რომ მარწმუნებლისათვის ცნობილი არ იყო სასამართლო სხდომის თაობაზე ვერ მიიჩნევა სარწმუნო მტკიცებულებად და შესაბამისად, სსსკ-ს 70.1 მუხლით დადგენილი პრეზუმციის შესაბამისად ვერ იქნება გაზიარებული პალატის მხრიდან.

52. ამასთან, სააპელაციო პალატამ მიიჩნია რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დადგენილია საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტები და ამავდროულად, სამართლებრივად შეფასებულია სასარჩელო მოთხოვნა, რის შესაბამისად, პალატამ არა სრულად, არამედ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი, იმ ნაწილში, რომელიც იურიდიულად ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნას. საჩივარში მითითებული საფუძველები კი, პალატის შეფასებით არ წარმოადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისათვის საკმარის ნიშანს.

53. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 11 ნოემბრის განჩინებაზე მოწინააღმდეგე მხარემ (მოპასუხე) წარადგინა საკასაციო საჩივარი.

54. კასატორმა მიუთითა, რომ სასამართლო სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის გამოუცხადებლობა გამონეწეული იყო საპატიო გარემოებებით, რაც ასახულია დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში წარდგენილ საჩივარში, კერძოდ, მითითებულია მოპასუხის წარმომადგენლის შვილის ავადმყოფობასა და ახლო ნათესავის გარდაცვალებაზე. კასატორი აღნიშნავს, რომ სხდომის დღეს მისი მცირეწლოვანი შვილი საავადმყოფოში გადაიყვანეს და მას არ შეძლო ბავშვის ასაკიდან გამომდინარე, მისი სხვა ნათესავის მეთვალყურეობის ქვეშ დატოვება.

55. ამასთან, არც სასამართლოს აპარატიდან არ დაფიქსირებულა მასთან ზარი სხდომაზე გამოუცხადებლობის ან დაგვიანების შესახებ, რაც მისცემდა კასატორს შესაძლებლობას, რომ დაეფიქსირებინა მოსაზრება საკუთარი პრობლემის შესახებ.

56. კასატორმა საპატიო გარემოების ამასახველი – სამედიცინო ცნობა – წარადგინა სასამართლოში, რომელიც დამოწმებულია სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის და მკურნალი ექიმის ხელმოწერით, ასევე, დაწესებულების ბეჭდით.

57. კასატორი მიუთითებს მოსარჩელის მხრიდან შრომითი მოვალეობების სისტემატიურ დარღვევაზე და აღნიშნავს, რომ სადავო ბრძანება მართლზომიერ საფუძველზეა გამოცემული. კასატორი აღნიშნავს,

რომ დასაქმებული სამსახურიდან გათავისუფლდა იმ საფუძველით, რომ მან უხეშად დაარღვია შრომითი ხელშეკრულება და შინაგანანესი, მოსარჩელემ არაერთხელ დაარღვია შინაგანანესით დადგენილი სამუშაო დრო, ასევე, სამუშაო საათებში სარგებლობდა სოციალური ქსელებით. ეს გარემოება მოსარჩელემ პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე უარყო. მოსარჩელე არაერთხელ იქნა გაფრთხილებული უშუალო ხელმძღვანელის მიერ, რომ სამუშაო საათებში დაკავებულიყო მისთვის განსზღვრული სამუშაოს შესრულებით, რაც მიუხედავად არაერთი სიტყვიერი გაფრთხილებისა, მოსარჩელის მიერ არ აღიკვეთა.

58. კასატორი აღნიშნავს, რომ შინაგანანესის მიხედვით დისციპლინური პასუხისმგებლობის უმკაცრესი ზომაა სამსახურიდან გათავისუფლება, რაც კონკრეტულ შემთხვევაში, არის პროპორციული და შესაბამისი მოსარჩელის მიერ ჩადენილი დარღვევების მიხედვით.

59. კასატორი მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დადგენილ გარემოებებზე – პპ: 9.10-9-22 და განჩინების პპ: 4.1-4.6, 4.13-4.14. შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო 6-დღიანი სამუშაო გრაფიკი, სამუშაო დღის ხანგრძლივობა 9 სთ. 45 წთ. შესვენებით, რაც აღემატებოდა კვირაში 40 სთ-ს და შედგენდა 54სთ-ს. მოსარჩელე კვირაში 40 საათის ნაცვლად მუშაობდა 54 საათს. რეალურად ხელშეკრულება მორგებული იყო ცვლაში მუშაობის კატეგორიის დასაქმებულებზე და ხელშეკრულების თანახმად მისი განუყოფელი ნაწილი იყო მოპასუხე კომპანიის შინაგანანესი, რომლითაც განსხვავებული გრაფიკი დგინდება კომპანიის ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის, რასაც, კასატორის მითითებით, სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია.

60. ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებასთან მიმართებით კასატორი აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს არ წარმოუდგენია არც სამუშაოს შესრულების და არც ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების და მისი გაანგარიშების ამსახველი დოკუმენტი. ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებს გარეშე, არ არსებობს მისი ანაზღაურების საფუძველი.

61. მოსარჩელე არ ასრულებდა ყოველდღიურ დავალებას და თვითნებური რეჟიმით, შინაგანანესის ნორმების უგულვებელყოფით ცდილობდა უშუალო ხელმძღვანელის პროვოცირებას, რის შედეგადაც მან პირველი ინსტანციის სასამართლოში ვერ წარმოადგინა შესრულებული სამუშაოს ამსახველი რაიმე დოკუმენტი.

62. კასატორი აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს არ ჰქონდა დასაქმებულთან ნამუშევარი 11 თვე და არც შვებულების 11 თვემდე მიცემის შესახებ არ ყოფილა დამსაქმებელთან შეთანხმება.

63. რაც შეეხება ანგარიშსწორების დაყოვნებისათვის პირაგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებას, კასატორი აღნიშნავს, რომ ამისათ-

ვის უნდა არსებობდეს მისაღები შრომის ანაზღაურების, ანგარიშსწორების, გადახდის დაყოვნება, რაც განსახილველ შემთხვევაში არ გამოვლენილა.

64. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 18 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2021 წლის 22 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

65. საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხის (მონინალმდეგ მხარე) საკასაციო განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

66. განსახილველ შემთხვევაში, სადავოა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 16 სექტემბერს მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერება, რომლითაც გაუქმდა თელავის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება და დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების გზით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ბათილად იქნეს ცნობილი მოპასუხე კომპანიის დირექტორის 2018 წლის 14 მაისის № 14/05 ბრძანება მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, ჯამში – 2400 (ხელზე ასაღები) ლარის ოდენობით; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა, 2018 წლის გამოუყენებელი შვებულების – 16 დღის ანაზღაურება, ჯამში – 200 (ხელზე ასაღები) ლარის ოდენობით; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მოსარჩელის მიერ ზეგანაკვეთურად ნამუშევარი დროის ანაზღაურება, ჯამში – 1680 (ხელზე ასაღები) ლარის ოდენობით; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზეგანაკვეთურად ნამუშევარი აუნაზღაურებელი თანხის 1680 ლარის – 0.07% პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, 22.05.2018 წლიდან – გადაწყვეტილების აღსრულებამდე; დანარჩენ ნაწილში, აპელანტს/მოსარჩელეს უარი ეთქვა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

67. სსსკ-ის 410-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა ან გ) სააპელაციო

სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

68. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

69. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია ყველა ის ფაქტობრივი წანამძღვარი, რომელიც სსსკ-ის 387-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის განმაპირობებელია:

70. დადგენილი იქნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში 2020 წლის 16 სექტემბერს, 12:00 საათზე დანიშნულ სასამართლოს სხდომაზე, არ გამოცხადდა მონინალმდეგე მხარის (დამსაქმებელი) წარმომადგენელი, რომელსაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ეცნობა სასამართლო სხდომის ჩატარების დროისა და ადგილის თაობაზე. მოპასუხე კომპანიის წარმომადგენელს სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის თაობაზე არ უცნობებია სასამართლოსთვის. სასამართლო სხდომაზე აპელანტის წარმომადგენელმა, მონინალმდეგე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო, იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა.

71. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია სარჩელში/სააპელაციო საჩივარში მითითებული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

72. მხარეთა შორის 2017 წლის 9 სექტემბერს დაიდო შრომის ხელშეკრულება № 147, რომლის საფუძველზეც მოსარჩელე დასაქმდა მოპასუხე კომპანიაში ბუღალტრის პოზიციაზე 4 თვის ვადით. დასაქმებულის სახელფასო ანაზღაურება განისაზღვრა ყოველთვიურად – 300 ლარის ოდენობით. შრომითი ხელშეკრულებით, სამუშაო დრო განისაზღვრა 6-დღიანი სამუშაო კვირის მიხედვით, ხოლო სამუშაო დღის ხანგრძლივობა მოიცავდა 9 საათიან სამუშაო პერიოდს, დღის განმავლობაში 45 წთ-ის შესვენებით. ხელშეკრულების 3.5 პუნქტის თანახმად, სამუშაო დღის ანდა სამუშაო საათების არასაპატიო მიზეზით გაცდე-

ნის გამო დამსაქმებელი უფლებამოსილი იყო დასაქმებულისათვის დაეკავებინა ხელფასი გაცდენილი დროის შესაბამისად, ასევე შეეჩერებინა წახალისება.

73. მოსარჩელის სამუშაო საათების ხანგრძლივობა აღემატებოდა შრომითი კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობას და კვირაში ნაცვლად 40 საათისა შეადგენდა 54 საათს, შესაბამისად, მოსარჩელე შრომითი ხელშეკრულების მოქმედების დროს ყოველკვირეულად მუშაობდა ზეგანაკვეთურად 14 საათს, რაც ექვემდებარება გაზრდილი ოდენობით ანაზღაურებას.

74. შრომითი ხელშეკრულებით ასევე განისაზღვრა მხარეთა უფლება-მოვალეობები, კერძოდ, დასაქმებულს ევალებოდა კეთილსინდისიერად შეესრულებინა მასზე დაკისრებული შრომითი მოვალეობები, რომელიც განსაზღვრული იყო შრომის კანონმდებლობით, ხელშეკრულებითა და შრომის შინაგანანგისით. ხელშეკრულების 4.4 პუნქტის თანახმად, დასაქმებულის მიერ თავისი მოვალეობების არაჯეროვნად შესრულებისას დამსაქმებელი უფლებამოსილი იყო დასაქმებულის მიმართ გამოეყენებინა შრომის კანონმდებლობით დადგენილი დისციპლინური ღონისძიებები (გაფრთხილება/რეკომენდაცია, საყვედური, ფულადი ჯარიმა ხელფასიდან დაკავებით, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა და ა.შ.). ამავე ხელშეკრულების 9.3 პუნქტის შესაბამისად დამსაქმებელს მიენიჭა უფლება ცალმხრივად შეენიჭებინა ხელშეკრულება დასაქმებულის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა და შრომითი პირობების დარღვევის შემთხვევაში.

75. შრომითი ხელშეკრულებით, ასევე, განისაზღვრა, რომ შრომის შინაგანანგის მიიჩნეოდა ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ხელშეკრულების 9.2 პუნქტის შესაბამისად, 4 თვიანი ვადის ამონურვის შემდგომ – 2018 წლის 9 იანვარს მხარეთა შორის მოქმედი ხელშეკრულება გაგრძელდა 1 წლის ვადით. საქმეში წარმოდგენილია 2018 წლის მოპასუხე კომპანიის შრომის შინაგანანგისი, რომელზეც არ არის მითითებული კონკრეტული თარიღი. აღნიშნული შინაგანანგისის მე-10 მუხლით განისაზღვრა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები, რომლის „ა“ პუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს სამსახურეობრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება, ხოლო „გ“ პუნქტის შესაბამისად დისციპლინური გადაცდომაა სამუშაო საათების პერიოდში სოციალურ ქსელებში ნებისმიერი კომუნიკაციის ან/და დაკისრებული მოვალეობების ზერელე და დაუდევარი დამოკიდებულების გამოვლენა. ამავე შინაგანანგისის მე-11 მუხლით განისაზღვრა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, კერძოდ: ა) შენიშვნა; ბ) საყვედური; გ) სასტიკი საყვედური; დ) ხელფასის დაკავება; ე) სამსახურეობრივი მოვალეობის

შესრულებისაგან ჩამოშორება ან/და უფრო დაბალი რანგის თანამდებობაზე გადაყვანა; ე) სამსახურიდან გათავისუფლება. მოხმობილი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომპანიის დირექტორი. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი შეიძლება გახდეს სამსახურებრივი შემოწმების შედეგები. სამსახურებრივი შემოწმების დანყების საფუძველი შეიძლება გახდეს მოხსენებითი ბარათი, დისციპლინური გადაცდომის შესახებ განცხადება, მონიტორინგის შედეგები და კომპანიის დირექტორის გადაწყვეტილება. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება აღინიშნება პირად საქმეში შეტანით.

76. 2018 წლის 14 მაისს მოპასუხე კომპანიის დირექტორმა გამოსცა ბრძანება № 14/05, რომლის საფუძველზე მოსარჩელე გათავისუფლდა დაკავებული პიზიციიდან, ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების უხეში დარღვევის გამო. დამსაქმებელმა გათავისუფლების საფუძვლის წერილობით დასაბუთებაში, მოსარჩელეს განუმარტა, რომ მისი მხრიდან ვალდებულების უხეში დარღვევა გამოიხატა შრომის ხელშეკრულების და შინაგანაწესის არაერთხელ უხეშ დარღვევაში, კერძოდ, სოციალური ქსელებით სარგებლობა სამუშაო საათებში, ანუ არასამუშაო თემებით მოცდენა, რასთან მიმართებითაც არაერთხელ იქნა მიცემული სიტყვიერი შენიშვნა და გაფრთხილება.

77. მოსარჩელის მიმართ რაიმე სახის დისციპლინური სახდელი გათავისუფლებამდე გამოყენებული არ ყოფილა.

78. დასაქმებულის მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების უხეში დარღვევა არ დასტურდებოდა, რასაც შეეძლო გაემართლებინა დისციპლინური სახდელის უკიდურესი ღონისძიება – შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა.

79. მოსარჩელეს არ აქვს გამოყენებული და არც ანაზღაურებული 2018 წლის კუთვნილი ფასიანი შვებულების დღეები.

80. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეზე დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ნაწილობრივ ამართლებდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას, შემდეგ მოსაზრებათა გამო:

81. სპკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილის (სპკ-ის ამჟამინდელი რედაქციით 48.8 მუხლი) შესაბამისად, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი სადავოობისას, დასაქმებული უფლებამოსილია: 1) მოითხოვოს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბრძანების (გადაწყვეტილების) ბათილად ცნობა და პირვანდელ ან ტოლფას სამუშაო ადგილზე აღდგენა (ამ შემთხვევაში, მოსარჩელეს ასევე შეუძლია

მოითხოვოს იძულებითი განაცდურის ანაზღაურება); 2) ან ბრძანების ბათილად ცნობასთან ერთად, აღდგენის ნაცვლად, მოითხოვოს კომპენსაცია. სამუშაოზე აღდგენა, ისევე, როგორც იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, წარმოადგენს მოპასუხის არამართლზომიერი ქმედების (უკანონოდ გათავისუფლების) შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახეს – მუშაკის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის გზით.

82. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, რომ არ მომხდარიყო შრომითი ხელშეკრულების უსაფუძვლო შეწყვეტა, მისი მოქმედება გაგრძელდებოდა, რის გამოც, სარჩელის აღძვრის ეტაპზე, ერთ წლიანი ხელშეკრულების მოქმედების პირობებში, გამართლებული იყო მოთხოვნა სამსახურში აღდგენასთან მიმართებით. თუმცა, იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ ხელშეკრულება მოქმედებდა 09.01.2019 წლამდე, დღევანდელი მოცემულობით ხელშეკრულების მოქმედების ვადა გასულია და შესაბამისად, ვერ განხორციელდება დასაქმებულის სამუშაოზე აღდგენა. ასეთ შემთხვევაში, დასაქმებულს უნდა მიეკუთვნოს ის იძულებითი განაცდური, რასაც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიიღებდა ხელფასის სახით. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სშკ-ის 44-ე მუხლით (სშკ-ის ამჟამინდელი რედაქციით 58-ე მუხლი), რომლის თანახმად, შრომითი ურთიერთობისას, მხარის მიერ მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

83. დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტამდე მოსარჩელის შრომის ანაზღაურება (ხელფასი) შეადგენდა თვეში 300 ლარს (ხელზე ასაღები). შესაბამისად, მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე, კერძოდ, მოსარჩელისათვის გათავისუფლებიდან – 14.05.2018 წლიდან – 09.01.2019 წლამდე (ხელშეკრულების მოქმედების ვადა), ყოვეთვიურად 300 ლარის მიკუთვნება, რაც ჯამში – 8 თვეზე შეადგენდა 2400 ლარს (ხელზე ასაღები), საფუძვლიანად იქნა მიჩნეული.

84. რაც შეეხება მოთხოვნას საშვებულებო თანხის ანაზღაურებასთან მიმართებით, აღნიშნული მოთხოვნა მხოლოდ ნაწილობრივ გამართლებულად იქნა მიჩნეული, კერძოდ სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს საშვებულებო თანხა მხოლოდ მის მიერ ნამუშევარი პერიოდის პროპორციულად. კერძოდ, საქართველოს შრომის კოდექსის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით (სშკ-ის ამჟამინდელი რედაქციით 34-ე მუხლი), შვებულების მოთხოვნის უფლების წარმოშობის გამოსათვლელ ვადაში ითვლება დასაქმებულის მიერ ფაქტობრივად ნამუშევარი, აგრეთვე დამსაქმებლის ბრალით გა-

მონვეული იძულებითი მოცდენის დრო, ხოლო სშკ-ის 26-ე მუხლის (სშკ-ის ამჟამინდელი რედაქციით 36-ე მუხლი) თანახმად, დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრება შვებულების წინა 3 თვის საშუალო ანაზღაურებიდან, თუ მუშაობის დაწყებიდან ან უკანასკნელი შვებულების შემდეგ ნამუშევარი დრო 3 თვეზე ნაკლებია – ნამუშევარი თვეების საშუალო ანაზღაურებიდან, ხოლო ყოველთვიური ფიქსირებული ანაზღაურების შემთხვევაში – ბოლო თვის ანაზღაურების მიხედვით.

85. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილი იქნა, რომ მოსარჩელე მოპასუხე კომპანიაში დასაქმებული იყო და დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს ახორციელებდა 09.09.2017 წლიდან – 14.05.2018 წლამდე (8 თვე), შესაბამისად, გამართლებული იყო მისთვის ანაზღაურებულიყო მის მიერ ნამუშევარი პერიოდის პროპორციულად გამოუყენებელი შვებულების თანხა, რაც შეადგენს 16 დღეს (8 თვე X 2) და ყოველდღიური სახელფასო განაკვეთის შესაბამისად, რომელიც შეადგენდა 12.5 ლარს (300/24 დღეზე), გამოუყენებელი შვებულებისათვის, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს 200 ლარი (12.5 ლარი X 16 დღეზე).

86. სშკ-ის 31-ე მუხლის (სშკ-ის ამჟამინდელი რედაქციით 41-ე მუხლი) შესაბამისად, შრომის ანაზღაურების ფორმა და ოდენობა განისაზღვრება შრომის ხელშეკრულებით. ამავე კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დასაქმებულის მიერ განსაზღვრული სამუშაო დროის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ასრულებს სამუშაოს, არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს, ხოლო სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოში, სადაც წარმოების შრომითი პროცესი ითვალისწინებს 8 საათზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტ რეჟიმს – 48 საათს. სშკ-ის მე-17 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად (სშკ-ის ამჟამინდელი რედაქციით 27-ე მუხლი), ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით. ამ ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

87. სარჩელის მოთხოვნას ასევე წარმოადგენდა მოსარჩელის მიერ ზეგანაკვეთურად ნამუშევარი დროის ანაზღაურება, ყოველი ზედმეტად ნამუშევარი საათისათვის, ტარიფით 3.75 ლარი, (ჯამში მოთხოვნილია – 1680 ლარის ანაზღაურება).

88. დადგენილია, რომ მოსარჩელე კვირაში 40 საათის ნაცვლად მუშაობდა 54 საათს, შესაბამისად, მოსარჩელეს ყოველკვირეულად უნებდა ზეგანაკვეთური შრომა 14 საათის ოდენობით, რაც თითოეულ ნამუშევარ კვირაზე წარმოუშობდა ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას 52.5 ლარის ოდენობით (3.75 ლარი X 14 საათზე).

89. სააპელაციო პალატამ გაიზიარა მოსარჩელის გაანგარიშება, ზეგანაკვეთურად ნამუშევარი დროის ანაზღაურებასთან მიმართებით და დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის ყოველთვიური ხელფასი განისაზღვრებოდა 300 ლარის ოდენობით, თვეში არსებული სამუშაო საათების შესაბამისად – 160 საათი, თითოეული შესრულებული სამუშაო საათი ანაზღაურდებოდა 1.875 ლარით, რადგანაც ზეგანაკვეთური სამუშაო უნდა ანაზღაურდეს გაზრდილი განაკვეთით, მოსარჩელე მოითხოვდა ანაზღაურებას, თითოეული ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათისათვის 2-ჯერ გაზრდილი ღირებულებით, რაც შეადგენს 3.75 ლარს. შესაბამისად, თითოეული ნამუშევარი კვირისათვის აღნიშნული შეადგენს – 52.5 ლარს ($3.75 \text{ ლარი} \times 14 \text{ საათზე}$), რაც ყოველი თვისთვის განისაზღვრება 210 ლარის ოდენობით ($52.5 \text{ ლარი} \times 4 \text{ თვეზე}$), ჯამში კი ნამუშევარი 8 თვის შესაბამისად, მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს – 1680 ლარი ($210 \text{ ლარი} \times 8 \text{ თვეზე}$).

90. სშკ-ის 31.3 მუხლის (სშკ-ის ამჟამინდელი რედაქციით 41.3 მუხლი) თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია ნებისმიერი ანაზღაურების თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის გადაუხადოს დასაქმებულს დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტი. პირგასამტეხლოს მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველს მხარეთა შორის არსებული ფულადი ვალდებულება წარმოადგენს, ანუ გადახდის ვალდებულების არსებობა სახეზეა საბოლოო ანგარიშსწორების გადაუხდელობის დროს, რაც შრომითი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გასაცემ თანხას წარმოადგენს. აუნაზღაურებელი ზეგანაკვეთური სამუშაოს პირობებში, მოსარჩელე წარმოადგენდა შრომის ანაზღაურების (ანგარიშსწორების) მოცდენის სუბიექტს. აღნიშნული კი, განაპირობებდა დამსაქმებლისთვის პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველს. კერძოდ მოპასუხე კომპანიას მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა ზეგანაკვეთურად ნამუშევარი დროის შესაბამისად გადაუხდელი 1680 ლარის 0.07% ანაზღაურება, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს დარიცხვა უნდა დაწყებულიყო შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან (14.05.2018წ) ერთი კვირის შემდგომ – 22.05.2018 წლიდან – გადანაყვეტილების აღსრულებამდე.

91. რაც შეეხება, მოთხოვნას აუნაზღაურებელი საშვებულებო თანხასთან მიმართებით პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ, სააპელაციო პალატამ აღნიშნულ ნაწილში იურიდიულად გაუმართლებლად მიიჩნია მოთხოვნა, რადგანაც მოსარჩელის მხრიდან შრომითი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ ყოფილა მოთხოვნილი არც შვებულების გამოყენება და არც თანხის ანაზღაურება, შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც არ არის წარმოშობილი ფულადი ვალდებულება გაუმართლებელი იყო აღნიშნულ ნაწილში დაყოვნებაზე მითითებით პირ-

გასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნა.

92. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილებულიყო ნაწილობრივ, კერძოდ იმ ნაწილში, რომლითაც საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად გამართულს ხდიდნენ მოთხოვნას, ხოლო დანარჩენ ნაწილში მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე, მისი სამართლებრივად გაუმართლებლობის საფუძველით.

93. განსახილველ შემთხვევაში, სადავოა რა დაუსწრებელი გადანყევტილების გამოტანის მართლზომიერება, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს კასატორის იმ პრეტენზიებზე, რომელიც სასამართლო სხდომაზე კასატორის წარმომადგენლის გამოუცხადებლობის საპატიოობას, აგრეთვე სარჩელის იურიდიულად გამართულობას შეეხება.

94. კასატორი მიუთითებს, რომ სასამართლო სხდომაზე მისი წარმომადგენლის გამოუცხადებლობა გამონვეული იყო საპატიო გარემოებებით, რაც ასახულია დაუსწრებელ გადანყევტილებაზე წარდგენილ საჩივარში, კერძოდ, მასში მითითებულია მოპასუხის წარმომადგენლის შვილის ავადმყოფობასა და ახლო ნათესავის გარდაცვალებაზე. სხდომის დღეს დამსაქმებლის წარმომადგენლის მცირეწლოვანი შვილი საავადმყოფოში გადაიყვანეს და მას არ შეძლო ბავშვის ასაკიდან გამომდინარე, მისი სხვა ნათესავის მეთვალყურეობის ქვეშ დატოვება. კასატორი აღნიშნავს, რომ საპატიო გარემოების ამსახველი – სამედიცინო ცნობა – წარმოდგენილია საქმეში.

95. საკასაციო პალატა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით განმარტავს, რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რომელიც სამართლიანი სასამართლოს ფართო კონცეფციის ერთ-ერთი ელემენტია, მოითხოვს თითოეული მხარისაგან ჰქონდეს გონივრული შესაძლებლობა წარმოადგინოს საკუთარი საქმე ისეთ პირობებში, რომელიც არ ჩააყენებს მას მნიშვნელოვნად არახელსაყრელ მდგომარეობაში მის მოწინააღმდეგე მხარესთან მიმართებით (იხილეთ *Nideröst-Huber v Switzerland*, 18/02/1997, § 23; *Kress v France* (didi palata), no.39594/98, § 72, ECHR 2001-VI; *Yvon v France*, no 44962/98, § 31, ECHR 2003-V; *Gorraiz Lizarraga and Others v Spain*, no. 62543/00, § 56, ECHR 2004-III. „სამართლიანი სასამართლოს უფლების ზოგადი კონცეფცია“ მოიცავს შეჯიბრებითი სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპს (იხ. *Ruiz-Mateos V Spain*, 23/06/1993, § 63, ECHR, Series A, no.262; *Lobo Machado v Portugal*, 20/02/1996, § 31, 1996-I. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ „სამართლიანი სასამართლო განხილვის“ მოთხოვნების დაცვა თითოეულ ინდივიდუალურ საქმეში (იხილეთ *Dombo Beheer B.V. v. the Netherlands*, 27.10.1993, § 33, seria A no. 274). აღნიშ-

ნული პრინციპი იმასაც გულისხმობს, რომ პირი ინფორმირებული უნდა იყოს მის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოების შესახებ (იხ. *Dilipak and Karakaya v Turkey*, no. 7942/05 da 24838/05, 04/03/2014, §77). თუ სასამართლო დოკუმენტები, მათ შორის სასამართლო სხდომის უწყებები მხარეს არ ჩაბარდა, მაშინ მას შეიძლება ხელი შეეშალოს სამართალწარმოების პროცესში საკუთარი თავის დაცვის განხორციელებაში (იხ. *Ozgur-Karaduman v Germany*, no. 4769/02, 26/06/2007; *Weber v Germany*, no. 30203/03, 02/10/2007; *Zavodnik v Slovenia*, no.53723/13, 21/05.2015, §70).

96. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს და საშუალებას აძლევს მონაწილე სახელმწიფოებს, მოაწიონ მათი სამართლებრივი სისტემები იმგვარად, რომ ხელი შეეწყოს სწრაფ და ეფექტურ სამართალწარმოებას, მათ შორის, დაუსწრებელი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობის კუთხით. (იხილეთ: *Aždajić v. Slovenia*, no. 71872/12, 08/10/2015, § 49; *Gankin and Oters v Russia*, no. 12938/12. 31/05/2016, § 26.) თუმცა აღნიშნული არ შეიძლება განხორციელდეს სხვა პროცედურული გარანტიების, განსაკუთრებით კი მხარეთა თანასწორობის პრინციპის ხარჯზე.

97. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასარჩელო სამართალწარმოებაში ყოველთვის მონაწილეობს ორი ურთიერთდაპირისპირებული ინტერესის მქონე მხარე – მოსარჩელე და მოპასუხე. ამ ორი მხარის აქტიური მონაწილეობა საქმის განხილვაში უზრუნველყოფილია მათი ინტერესით: მოსარჩელის ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლომ დააკმაყოფილოს სარჩელი, გამოიტანოს მისთვის სასურველი გადაწყვეტილება, ხოლო მოპასუხის ინტერესი – ესაა მოსარჩელისათვის სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. ამ ინტერესების რეალიზაციისათვის მხარეებს მინიჭებული აქვთ შესაბამისი საპროცესო უფლებები. სამოქალაქო პროცესის ერთ-ერთი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ საპროცესო უფლებების გამოყენებლობას შეიძლება მოჰყვეს არახელსაყრელი შედეგი იმ მხარისათვის, რომელმაც ეს უფლება არ გამოიყენა. მხარის ერთ-ერთი საპროცესო უფლებაა მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში. ამ უფლებას შეესაბამება სასამართლოს მოვალეობა შეატყობინოს მხარეს საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ სსსკ 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. საქმის განხილვა და გადაწყვეტა მხარის შეუტყობინებლად უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც საქმის განხილვა მხარის მონაწილეობის გარეშე, მის დაუსწრებლად, რაც გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი (სსკ 394-ე მუხლი), ასევე საქმის წარმოების განახლების საფუძველია (სსსკ-ის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი).

98. ორივე მხარის მონაწილეობას პროცესში აქვს მრავალმხრივი

მნიშვნელობა, მათ შორის იმ თვალსაზრისითაც, რომ სასამართლოს სა-
შუალებას აძლევს შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით, დაადგინოს
საქმის ფაქტობრივი გარემოებები. მაგრამ, რა უნდა მოიმოქმედოს სა-
სამართლომ, როცა საქმის განხილვაზე არ ცხადდება ერთ-ერთი მხარე
(რომელსაც კანონით დადგენილი წესით ეცნობა საქმის განხილვის დრო-
ისა და ადგილის შესახებ) და არც არაფერი აცნობა სასამართლოს გამო-
უცხადებლობის მიზეზების შესახებ? საქმის განხილვა და ამ საქმეზე
მართლმსაჯულების განხორციელება არ შეიძლება დამოკიდებული იყოს
ერთ-ერთი მხარის ნება-სურვილზე. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში საქმე
განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნეს გამოუცხადებელი მხარის
მონაწილეობის გარეშე.

99. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტი-
ლება – ესაა სასამართლო სხდომაზე (როგორც მოსამზადებელ სხდო-
მაზე, ასევე მთავარ სხდომაზე) გამოუცხადებელი მხარის წინააღმდეგ
გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელიც ემყარება მხოლოდ გამოუც-
ხადებლობას და არა საქმის მასალებს. დაუსწრებელი გადაწყვეტილე-
ბის გამოტანას საფუძვლად უდევს ვარაუდი იმის შესახებ, რომ გამო-
უცხადებელი მხარე უარს ამბობს თავის მოთხოვნაზე მონაწილეობის
მხარის მიმართ (როცა მოსარჩელე არ გამოცხადდა) ან აღიარებს (ცნობს)
ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს სასარჩელო
მოთხოვნას (როცა არ ცხადდება მოპასუხე).

100. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დაუსწრებელი გადაწყვე-
ტილების გამოტანა, როგორც წესი, დაკავშირებულია სასამართლოს მიერ
არაერთი მოქმედების შესრულების განხორციელებასთან (გადაწყვე-
ტილების მომზადება, მისი მხარისათვის ჩაბარება, საჩივრის დასაშვე-
ბობის შემოწმება, საჩივრის განხილვა და ა.შ.). იმისათვის, რომ სასა-
მართლოს მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები არ გა-
მოდგეს გაუმართლებელი და მოხდეს სასამართლოს რესურსების მარ-
თლზომიერი გამოყენება, მხარე ვალდებულია, დროულად აცნობოს სა-
სამართლოს, რომ ვერ ახერხებს სასამართლოში გამოცხადებას და და-
ასაბუთოს გამოუცხადებლობის საპატიოობა. მსგავსი განცხადების არ-
სებობისას და გამოუცხადებლობის მიზეზის საპატიოობის დამადას-
ტურებელი მტკიცებულების წარდგენისას, სასამართლო უარს განაც-
ხადებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე. საპროცესო
ეკონომიის მიზნებიდან გამომდინარე, მსგავსი მოქმედებათა განხორ-
ციელება შედის არა მხოლოდ სასამართლოს, არამედ მხარის ინტერე-
სებშიც.

101. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დაუსწრებელი გადაწყვე-
ტილების ინსტიტუტი მიზნად ისახავს სასამართლოს ეფექტურ საქმი-
ანობას, სასამართლო დავების სწრაფად და გაჭიანურების გარეშე გა-

დანყვეტას, მხარეთა „იძულებას“, განახორციელონ საპროცესო კანონით მინიჭებული უფლებები – საქმის განხილვაში მიიღონ აქტიური მონაწილეობა და ხელი შეუწყონ სასამართლოს გადანყვეტილების გამოტანაში. დაუსწრებელი გადანყვეტილება თავისი იურიდიული ბუნებით წარმოადგენს სანქციას იმ მხარისათვის, რომელიც არ ცხადდება საქმის განხილვაზე (სსკ-ის 229-ე, 230-ე, 231-ე, 232-ე მუხლები) ან/და არ ახორციელებს თავის საპროცესო უფლებებს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹-ე მუხლი), რითაც ქმნის ვარაუდს, რომ მან დაკარგა ინტერესი, შეენიანაღმდეგოს მის მიმართ აღძრულ სარჩელს (პრეზუმფცია). ასეთ შემთხვევაში, სასამართლო საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე კი არ იღებს გადანყვეტილებას, არამედ სარჩელში მითითებულ ფაქტებს უპირობოდ დადასტურებულად მიიჩნევს და თუ მათი ერთობლიობა, თეორიულად, სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას იძლევა, გამოაქვს დაუსწრებელი გადანყვეტილება (შდრ. სუსგ №ას-1158-1113-2016, 10 თებერვალი, 2017).

102. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საჩივარი დაუსწრებელი გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ (საჩივარი დაუსწრებელ გადანყვეტილებაზე) თავისი შინაარსით განსხვავდება როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო და კერძო საჩივრისაგან. მთავარი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ საჩივარი დაუსწრებელ გადანყვეტილებაზე შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა გამონვეული იყო საპატიო მიზეზებით. ამრიგად, საჩივარი დაუსწრებელ გადანყვეტილებაზე არ შეიძლება ემყარებოდეს გარემოებებს, რომლებიც ასაბუთებენ მის უსწორობას არსებითად, მის შეუსაბამობას საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან, რადგან დაუსწრებელი გადანყვეტილება მიიღება არა საქმის მასალების საფუძველზე, არამედ მხარის გამოუცხადებლობის გამო. ამიტომ გამართლებული და ახსნილი უნდა იქნეს ის, რასაც ეს გადანყვეტილება ეფუძნება – გამოუცხადებლობა, კერძოდ გამოუცხადებლობის საპატიოობა. სააპელაციო და საკასაციო საჩივრისგან დაუსწრებელ გადანყვეტილებაზე საჩივარი იმითაც განსხვავდება, რომ ამ საჩივარს იხილავს და გადანყვეტილებას იღებს ის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა დაუსწრებელი გადანყვეტილება. ამ მხრივ გამოინაკლისია მეორე დაუსწრებელი გადანყვეტილება, რომელიც გათვალისწინებულია სსსკ-ის 242-ე, 366-ე, 392-ე მუხლებით.

103. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 372-ე მუხლის თანახმად საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, სააპელაციო სასამართლოს საქმის წარმოების

თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამდენად, ამ ნორმაში გათვალისწინებული ტერმინები „ცვლილებებითა“ და „დამატებებით“ მიუთითებენ სააპელაციო სასამართლოს ინსტანციისათვის დამახასიათებელ თავისებურებებზე, რომელთა შეცვლა დაუშვებელია და მხოლოდ ამ თავისებურებების გათვალისწინებით (და არა მათი უგულებელყოფით) არის შესაძლებელი პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის დადგენილი წესების დაცვა.

104. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის მარეგულირებელი სპეციალური ნორმაა, რომელიც ადგენს სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის შედეგებს, კერძოდ, ნორმის პირველი და მე-2 ნაწილებით განსაზღვრულია აპელანტის ან მონინალმდეგე მხარის გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები, ხოლო მე-3 ნაწილით დადგენილია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მარეგულირებელი ყველა იმ წესის გამოყენების აუცილებლობა, რაც სპეციალურ მონესრიგებას (სსსკ-ის 387-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები) არ ეწინააღმდეგება. იმისათვის, რათა სააპელაციო სასამართლოში აპელანტის მონინალმდეგე მხარის გამოუცხადებლობისას გამოტანილ იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, უნდა შემოწმდეს არსებობს თუ არა 387-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წინაპირობები: ა) საქმის ზეპირ განხილვაზე არ უნდა გამოცხადდეს აპელანტის მონინალმდეგე მხარე; ბ) გამოცხადებული აპელანტი უნდა შუამდგომლობდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე. ამ გარემოებათა კუმულატიურად არსებობა, წარმოადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას. სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობის დადგენის შემდეგ, ამავე ნორმის მე-3 ნაწილის დათქმიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს ხომ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამატკიცებელი გარემოებები, კერძოდ სახეზე ხომ არ არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა. სსსკ-ის 372-ე მუხლი განსაზღვრავს პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის დადგენილი წესების გამოყენების ფარგლებს, ე.ი. ამ წესების გამოყენება არ ატარებს შეუზღუდავ ხასიათს, არამედ შეზღუდულია სააპელაციო სასამართლოს მიზნებით, სააპელაციო სასამართლოს საქმისწარმოების თავისებურებებით. მაშასადამე, სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილი სისტემურ-ლოგიკურ კავშირშია სსსკ-ის 372-ე მუხლთან. (მდრ: საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-121-117-2016, 17 მარტი, 2016).

105. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილი შეიძლება ორ კომპონენტად იქნეს დაყოფილი: ფაქტობრივი ნაწილი, რომელიც ივარაუდება ამ ნორმით და სამართლებრივი შედეგი, რომელიც მოჰყვება ფაქტობრივ ქცევას. განსახილველ მუხლში მოცემულია პირობა, რომლის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია დადგეს იურიდიული შედეგი – დაუსწრებელი გადაწყვეტილება. პირობებს, გარემოებებს, რომელთა არსებობისასაც შეიძლება იქნეს გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, წარმოადგენს საქმის ზეპირ განხილვაზე მხარის (აპელანტი, მისი მოწინააღმდეგე მხარე) გამოუცხადებლობა და გამოცხადებული მხარის (აპელანტი, მისი მოწინააღმდეგე მხარე) სასამართლოსადმი თხოვნა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილი ავსებს და არ „აუქმებს“ პირველი და მეორე ნაწილებით დადგენილ წესს. ის პირობები, გარემოებები, რომელიც დადგენილია პირველი და მეორე ნაწილებით (საქმის ზეპირ განხილვაზე მხარის გამოუცხადებლობა და ა.შ.), ნაგულისხმევია სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ხოლო ამ ნორმაში მითითებული სიტყვები „სხვა შემთხვევაში“ გაგებული უნდა იქნეს ზუსტად ის შემთხვევები, რომლებიც საქმის ზეპირ განხილვაზე მხარის გამოუცხადებლობასთან ერთად იწვევენ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, რაც არ არის მითითებული სსსკ-ის 387-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით (მაგალითად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებენ მოთხოვნას; ორივე მხარის გამოუცხადებლობის შედეგები; დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ა.შ.). აღნიშნული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, ნათელია, რომ შესაგებლის წარუდგენლობა და საქმის ზეპირ განხილვაზე გამოუცხადებლობა სხვადასხვა პირობებია, რომლებიც გათვალისწინებულია სამართალწარმოების სხვადასხვა სტადიაზე. იმის გათვალისწინებით, რომ სსსკ-ის 387-ე მუხლი სპეციალური ხასიათისაა, მის მე-3 ნაწილში მითითებული სიტყვების „სხვა შემთხვევაში“ ფართო განმარტება არ შეიძლება იმ შეზღუდვების გათვალისწინებლად, რაც დადგენილია სსსკ-ის 372-ე მუხლით.

106. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 241-ე მუხლი განსაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს, კერძოდ, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამომწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლომ არ უნდა მიიღოს დაუსწრებელი გა-

დანყვეტილება, თუკი ვლინდება სსსკ-ის 233-ე მუხლში ჩამოთვლილი ერთ-ერთი გარემოება: ა) გამოუცხადებელი მხარე მონვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით; ბ) სასამართლო-სათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; დ) არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები.

107. მაშასადამე, გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია გააქარწყლოს ამგვარი გადაწყვეტილების საფუძვლად მიჩნეული ვარაუდი, თუ დაამტკიცებს, რომ არსებობდა იმგვარი მოვლენა, რომელიც, სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, გონივრული შეფასებიდან გამომდინარე, ქმნის პრეზუმფციას არა მარტო დაინტერესებული მხარის ინტერესის შესახებ განსახილველი საქმის მიმართ, არამედ გამოუცხადებლობის ობიექტურ ან/და ადამიანურ ფაქტორებზეც. მხოლოდ ამ გარემოებათა ერთობლივად შეჯერებითა და შეფასებით არის შესაძლებელი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება. სსსკ-ის 233-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი უზრუნველყოფს მხარის კანონიერი ინტერესების (მიიღოს მონაწილეობა საპროცესო სამართალწარმოებაში) დაცვას, ამასთან, ობიექტურ გარემოებათა დადასტურების შემთხვევაში, მხარის გამოუცხადებლობას საპატიოდ მიიჩნევს და დაუშვებელია, რომ ამ მხარის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილებისთვის დამახასიათებელი საპროცესო წესით დადგინდეს როგორც საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, ისე სამართლებრივი შედეგიც. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნებოდა ისეთ ვითარებას, როდესაც დაუსწრებელი გადაწყვეტილება იქნებოდა სანქცია არა მარტო უპასუხისმგებლო, ან პროცესის მიმართ ინტერესის არმქონე პირისთვის, არამედ მათთვისაც, ვისაც რეალური ინტერესი გააჩნია სამართალწარმოების მიმართ, მაგრამ საპატიო გარემოებების გამო ვერ შეძლო სასამართლო სხდომაზე გამოცხადება. სსსკ-ის 233-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი სწორედ ისეთ შემთხვევებს ანებსრიგებს, რომ მხარეს არ ჩამოერთვას სამართლიანი სასამართლოს უფლება და მისი გამოუცხადებლობა ყველა შემთხვევაში მართლოდენ სანქციად არ იქცეს (შდრ: სუსგ №ას-1504-2019, 13 მარტი, 2020წელი).

108. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სწრაფი, ეკონომიური და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება როგორც სასამართლო ხელისუფლების, ისე სამართალწარმოების მონაწილე პირთა პასუხისმგებლობა და სამისოდ ყველა ლეგიტიმური შესაძლებლობის გამოყენებაა საჭირო, რაც თანაბრად უზრუნველყოფს მხარეთა თანასწო-

რობას საქმის განხილვის ყველა ეტაპზე და ხელს შეუწყობს სასამართლოში საქმეთა განხილვის გაჭიანურების არიდებას. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დამკვიდრებულია პრინციპი, რომლის თანახმად მხარეებს (ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს), შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში როგორც პირადად, აგრეთვე წარმომადგენლის მეშვეობით. სასამართლო წარმომადგენლობა ესაა კანონით გარანტირებული შესაძლებლობა მხარემ აწარმოოს საქმე სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით. სასამართლო წარმომადგენელი არის პირი, რომელიც ასრულებს სასამართლოში მარწმუნებლის სახელით და მისი ინტერესების შესაბამისად ყველა იმ საპროცესო მოქმედებას, რაც გათვალისწინებულია კანონით და მარწმუნებლის მიერ გაცემული მინდობილობით. სასამართლო წარმომადგენლობა დაიშვება უკლებლივ ყველა საქმეზე, რომელიც სასამართლოს ექვემდებარება უწყებრივად. წარმოშობის საფუძვლების მიხედვით განასხვავებენ: ა) ნებაყოფლობით ანუ სახელშეკრულებო წარმომადგენლობას; ბ) იურიდიული პირის წარმომადგენლობას; გ) კანონისმიერ წარმომადგენლობას. ნებაყოფლობითი (სახელშეკრულებო) წარმომადგენლობა წარმოიშობა მხარეთა თავისუფალი ნების საფუძველზე დავალების ხელშეკრულების დადებით (სსკ-ის 709-ე მუხლი). სსკ-ის 96-ე მუხლი ითვალისწინებს წარმომადგენლის უფლებამოსილების გაფორმების პროცედურებს, ხოლო სსკ-ის 98-ე მუხლი კი, ითვალისწინებს წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლებს. (იხ. ზ. ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი I, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2014, გვ. 180-199).

109. სსკ-ის 93-ე მუხლის თანახმად, მოქალაქეებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში პირადად, ხოლო იურიდიულ პირებს ან სხვა ორგანიზაციებს – იმ თანამდებობის პირის მეშვეობით, რომელსაც წესდებით ან დებულებით შეუძლია ამ იურიდიული პირისა თუ ორგანიზაციის სახელით იმოქმედოს. მხარეებს, შეუძლიათ აგრეთვე საქმე აწარმოონ სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით. საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით არ ართმევს უფლებას მხარეებს თვითონაც პირადად მიიღონ მონაწილეობა საქმეში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილი არაა იმპერატიული ხასიათის და მხარეს მხოლოდ უფლებით აღჭურავს – თავადაც მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ჰყავს წარმომადგენელი. მხარისა და წარმომადგენლის ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის გათვალისწინებით, როდესაც მხარე მისი უფლების დაცვის შესაძლებლობას წარმომადგენელს მიანიჭებს, თუ წარმომადგენელი მინიჭებულ უფლებამოსილებას კეთილსინდისიერად ახორციელებს, წარმომადგენლის საპატიო მიზე-

ზით გამოუცხადებლობა მხარისათვის არახელსაყრელი შედეგის დადგომის წინაპირობა არ შეიძლება გახდეს, რადგანაც მას ამ ურთიერთობის მიმართ კანონიერი ნდობა გააჩნია და ორიენტირებულია ადვოკატის მიერ მარნმუნებლის უფლების კვალიფიციურად დაცვაზე. (შდრ. სუსგ №ას-803-803-2018, 27 სექტემბერი, 2018).

110. მართალია, სსსკ-ის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბოლო წინადადება უფლებას ანიჭებს მხარეს, თავადაც მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მხარის სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობის შემთხვევაში, მისი წარმომადგენელი არაა ვალდებული, გამოცხადდეს საქმის განხილვაზე. თუ თავად წარმომადგენელს არ გააჩნია სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი, იგი ვალდებულია, გამოცხადდეს სასამართლოში და მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში. ამ საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტა აზრს დაუკარგავდა საპროცესო წარმომადგენლობის ინსტიტუტის არსებობას. (შდრ. სუსგ №ას-1666-1654-2011, 8 დეკემბერი, 2011 წელი; №ას-227-214-2015, 16 მარტი, 2015 წელი; სუსგ №ას-678-649-2016, 16 დეკემბერი, 2016).

111. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-სამე ნაწილი განსაზღვრავს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის საპატიოდ მიჩნევის წანამძღვრებს და ასეთად მიიჩნევს ავადმყოფობას, ახლო ნათესავის გარდაცვალებას ან სხვა განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებას, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის საპროცესო მოქმედების შესრულებას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დანესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. მითითებული ნორმის დანაწესი ადგენს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, მხარის მიერ კონკრეტული საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა ჩათვალოს საპატიოდ, თუკი აღნიშნული მოქმედება მან ვერ შეასრულა ავადმყოფობის გამო. ამ შემთხვევაში ისევე, როგორც ზოგადად სამოქალაქო სამართალწარმოებისას, მხარეს ეკისრება სადავო გარემოების მტკიცების ტვირთი. მეტიც, კანონის ზემოაღნიშნული დანაწესი პირდაპირ განსაზღვრავს, თუ რა მტკიცებულებით უნდა დადასტურდეს მხარის ავადმყოფობის ფაქტი და ასეთად მიიჩნევს სამედიცინო დოკუმენტს, რომელიც: ა) ხელმოწერილია სამედიცინო დანესებულების ხელმძღვანელის მიერ; ბ) პირდაპირ მიუთითებს მხარის შეუძლოდ ყოფნაზე კონკრეტული დროის მონაკვეთში (რომლის განმავლობაშიც უნდა შესრულებულიყო სადავო საპროცესო მოქმედება); გ) ასახავს პაციენტის ჯანმრთელობის იმგვარ გაუარესებას, რაც გამოიწვევს საპროცესო მოქმედების შესრულების შესაძლებლობას. სა-

მედიცინო ცნობაში გასაგებად უნდა იკითხებოდეს მხარის ჯანმრთელობის ისეთი მძიმე მდგომარეობის არსებობა, რომელიც რეალურად შეუშლის ხელს მხარეს გადაადგილებაში და სასამართლოსთან კომუნიკაციაში.

112. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილია, თუ რა განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების მიზნებისათვის საპატიო მიზეზად, კერძოდ, „მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას“. „გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია გააქარწყლოს ვარაუდი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ გადაწყვეტილებას, მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის განახლება, თუ დაამტკიცებს, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები“. (შდრ.სუსგ №ას-914-876-2014, 19 თებერვალი, 2014; №-ას-1243-1166-2015, 09 მარტი, 2016).

113. კანონმდებელი ავალდებულებს მხარეს, წინასწარ აცნობოს სასამართლოს სხდომაზე მისი გამოცხადების შეუძლებლობის და მიზეზების შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი შეტყობინება სხდომამდე შეუძლებელია. იმ გარემოებათა მტკიცების ტვირთი, რომლებზეც მოუთითებს მხარე თავის საჩივარში, როგორც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე და ამ გარემოების წინასწარ სასამართლოსათვის შეტყობინების შეუძლებლობაზე, ეკისრება მომჩივანს, ხოლო ამ გარემოებათა შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად საპატიოა მხარის გამოუცხადებლობა, სასამართლოს უფლებამოსილებაა. (შდრ. სუსგ საქმე №ას-1270-2018, 02 ნოემბერი, 2018).

114. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართალწარმოებაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი უზრუნველყოფს მხარეთა მიერ საპროცესო ვალდებულებების შესრულებისადმი პატივისცემისა და მათი პასუხისმგებლობის დონის ამაღლებას. ის ემსახურება საპროცესო დისციპლინის განმტკიცებას და პროცესის გამართივებას. აქედან გამომდინარე, ეს ინსტიტუტი სსსკ-ის მე-3 და მე-4 მუხლებით განმტკიცებული სამართალწარმოების ფუნდამენტური პრინციპების რეალიზაციაა. თუ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას კანონით გათვალისწინებული წინაპირობები დაცულია, მისი გაუქმება სათანადო დასაბუთების გარეშე დაუშვებელია (შდრ. სუსგ №ას-964-929-16, 06 მარტი, 2017).

115. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემ-

თხვევაში დადგენილია დამსაქმებლის წარმომადგენლის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის ფაქტი და ის, რომ მას არ უცნობებია აღნიშნულის მიზეზი სასამართლოსათვის. დასახელებული გარემოება, თავის მხრივ, სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და მოსარჩელისათვის სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების მიზეზი გახდა.

116. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ კასატორის მიერ, მისი საჩივრის განხილვის ეტაპზე წარდგენილი მტკიცებულებები – 8.10.2020წ-ის ცნობა და კ. ლ-ის გარდაცვალების მოწმობა (ს.ფ. 83, 85) ვერ ადასტურებდა 2020 წლის 16 სექტემბერს ობიექტური გარემოებების გამო, სასამართლო სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის გამოუცხადებლობის ფაქტს (იხ. ამ განჩინების პპ: 39-45);

117. განსახილველ შემთხვევაში, კასატორი სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ მისთვის სასამართლო სხდომის თარიღი და დრო ცნობილი იყო. იგი მიიჩნევს, რომ მისი წარმომადგენლის სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი ავადმყოფობა იყო, თუმცა, საჩივარზე დართული ცნობა არ აკმაყოფილებს იმ ფორმალურ და შინაარსობრივ მოთხოვნებს, რომლებიც წაეყენება ამგვარ დოკუმენტს. ვერ იქნება გაზიარებული კასატორის პოზიცია, რომ დოკუმენტის ხელმომწერი პირი არის სამკურნალო დაწესებულების ხელმძღვანელი, რადგანაც წარმოდგენილი ცნობა მსგავს მონაცემს არ შეიცავს და შესაბამისად მხოლოდ ზეპირი განმარტება ვერ მიიჩნევა ფაქტის გაზიარებისათვის საკმარის საფუძველად. ამასთან, წარმოდგენილი ცნობის შინაარსით არ დგინდება, თუ როდის მიმართა საჩივრის ავტორმა სამკურნალო დაწესებულებას და რა ობიექტურმა გარემოებამ დააბრკოლა სასამართლოსთვის სატელეფონო კავშირის მეშვეობით ეცნობებინა პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობასთან მიმართებით. ასევე, წარმოდგენილი ცნობა არ შეიცავს არც იმ მონაცემს, რომ 16.09.2020 წელს 12:00 საათზე მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელს არ შეეძლო გამოცხადებულიყო სასამართლო სხდომაზე.

118. რაც შეეხება საქმეში წარმოდგენილ კ. ლ-ის გარდაცვალების მოწმობას საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ცნობაში გარდაცვალების თარიღად მითითებულია 10 სექტემბერი ანუ, ხსენებული პირი გარდაიცვალა პროცესის გამართვამდე ერთი კვირით ადრე და ამასთან, არ დგინდება გარდაცვლილ პირსა და სხდომაზე გამოუცხადებელ მოპასუხის წარმომადგენელს შორის ნათესაური კავშირი.

119. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი უცვლელად დატოვების თაობაზე განჩინების გაუქმების საფუძველი, სხდომაზე გამოუცხადებლო-

ბის საპატიოობის საფუძვლით არ არსებობს.

120. რაც შეეხება სარჩელის იურიდიული დასაბუთებულობის (სსსკ-ის 230.2 მუხლი) ნაწილს, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს ამ განჩინების პპ: 71-ე-91-ე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და დამატებით მიუთითებს:

121. სსსკ-ის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე. ზემოაღნიშნული კანონის დანაწესის საფუძველზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის უნდა დადასტურდეს შემდეგი წინაპირობები: 1. მოპასუხეს საქმის განხილვის შესახებ კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა; 2. იგი სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა; 3. მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, 4. სარჩელში მითითებული გარემოებები (ფაქტები) იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

122. მითითებული საფუძვლების კუმულაციურად არსებობა ქმნის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას, თუმცა იმისათვის, რათა სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით დააკმაყოფილოს სარჩელი, მოსამართლე ვალდებულია, გამოარკვიოს კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები ამართლებენ თუ არა იურიდიული თვალსაზრისით მოთხოვნას. მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა მოიაზრებს სასამართლოს მხრიდან დამფუძნებელი ნორმების სწორად მოძიებას, რომლებიც დავის გადაწყვეტის ფუნდამენტს წარმოადგენს და იძლევა ამა თუ იმ ურთიერთობის რეგულირების აბსტრაქტულ შემადგენლობას. ნორმის მოძიების შემდგომ სასამართლო ადგენს, სარჩელში მითითებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ აღწერილობას აკმაყოფილებენ თუ არა, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სარჩელის წარმატების საფუძველია. (მდრ. სუსგ №ას-1468-1388-2017, 11 მაისი, 2018.)

123. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოპასუხის გამოუცხადებულობის შემთხვევაში სასამართლო არ იხედება საქმეში, არ ამოწმებს და არ აფასებს მტკიცებულებებს, ვინაიდან ეს საჭირო არაა, რადგან

გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები დამტკიცებულად ითვლება, მაგრამ „იხედება კანონში“, რათა მისცეს ამ დამტკიცებულად ჩათვლილ ფაქტებს იურიდიული შეფასება. თუ ასეთი შეფასების შედეგად აღმოჩნდება, რომ აღნიშნული ფაქტები ამართლებენ შესაბამისი კანონის თანახმად მოსარჩელის მოთხოვნას, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიტანოს ჩვეულებრივი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. (იხ. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2005, გვ. 400).

124. მოპასუხე მხარის სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის კონტექსტში დადგენილად მიიჩნევა დავის ფაქტობრივი გარემოებები, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო დადგენილად მიიჩნევს არა მხარის მოსაზრებებს, არამედ, იურიდიული მნიშვნელობის მქონე იმ ფაქტებს, რომლებიც მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის შემადგენლობას ქმნიან, რაც შეეხება ამა თუ იმ მოსაზრებას, რომელსაც მხარე ავითარებს, ისინი სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს, რა დროსაც საქმის განმხილველი შემადგენლობა ამონმებს ამ ფაქტებს მატერიალური სამართლის დანაწესებთან მიმართებით. თავის მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ მართლმსაჯულების აქტი, მიუხედავად იმისა, იგი მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპითაა მიღებული თუ ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობის შედეგად, ყოველთვის უნდა ემყარებოდეს მატერიალური სამართლის ნორმას. საქმის განხილვაზე ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობა, თუნდაც ეს არასაპატიო მიზეზით იყოს განპირობებული, სასამართლოს არ აქვს უფლებამოსილებისას, გადაწყვეტილებას მხოლოდ სამართლებრივი სანქციის ფუნქცია შესძინოს და იურიდიული შეფასების გარეშე დააკმაყოფილოს გამოცხადებული მხარის ყველა პრეტენზია. სწორედ ამგვარი თვითნებობის თავიდან აცილებას ემსახურება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის დათქმა.

125. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო არ იხილავს მტკიცებულებებს და არ შედის მათ არსებით კვლევაში, მსჯელობს მხოლოდ სარჩელში მითითებულ ფაქტებზე და, სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოაქვს იმ შემთხვევაში, თუ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. თუ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა მოსარჩელე, მაგრამ არ გამოცხადდა მოპასუხე, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ითვლება დამტკიცებულად, მაგრამ მოსარჩე-

ლის სასარგებლოდ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის აუცილებელია ამ ფაქტების იურიდიული შეფასება. თუ ასეთი შეფასების შედეგად აღმოჩნდება, რომ ეს ფაქტები იურიდიულად ასაბუთებენ (ამართლებენ) მოთხოვნას, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას მოსარჩელის სასარგებლოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას გამოცხადებული მოსარჩელის საწინააღმდეგოდ, რომლითაც უარს ეტყვის სხდომაზე გამოცხადებულ მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე. ეს იქნება არა დაუსწრებელი, არამედ ჩვეულებრივი გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო (საკასაციო) წესით.

126. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ მოწინააღმდეგე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას სააპელაციო სასამართლო დაემყარება მომჩივნის ახსნა-განმარტებას. აღნიშნული ნიშნავს არა სარჩელში მითითებული გარემოებების ავტომატურად დადგენილად მიჩნევას, არამედ იმის შემოწმებას, სააპელაციო საჩივარში გადმოცემული აპელანტის განმარტებებით (დადგენილად მიჩნევით) გაქარწყლება თუ არა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ან მისი სადავო ნაწილის დასკვნები, რომლებიც აპელანტის წინააღმდეგაა მიმართული, ანუ სააპელაციო სასამართლომ, აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის მოტივით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას, მხედველობაში უნდა მიიღოს აპელანტის ახსნა-განმარტება (რომელიც შეიძლება არც იყოს მოსარჩელე), ხოლო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით აპელანტის მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო საჩივარში გადმოცემული აპელანტის განმარტებები მოთხოვნას იურიდიულად ამართლებს (ანუ აპელანტი მიუთითებს მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის მატერიალური ნორმის შემადგენელ ელემენტებზე შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას მხედველობაში უნდა მიიღოს აპელანტის ახსნა-განმარტება, ხოლო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით აპელანტის მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო საჩივარში გად-

მოცემული აპელანტის განმარტებები მოთხოვნას იურიდიულად ამართლებს (ანუ აპელანტი მიუთითებს მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის მატერიალური ნორმის შემადგენელ ელემენტებზე). ასეთ შემთხვევაში მტკიცებულებათა გამოკვლევა-შეფასება არ ხდება და მოქმედებს პრეზუმფცია, რომლის თანახმად, ივარაუდება, რომ სააპელაციო მოპასუხემ ვერ დაადასტურა საპირისპირო (შეად. სუსგ-ებს: №ას-330-2019, 19.11.2019წ; №ას-656-626-2016, 27.03.2017წ; №ას-682-648-2013, 10.03.2015წ.; №ას-662-2019, 11 დეკემბერი, 2020).

128. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს დასაქმებულის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ.

129. კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩება სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ნ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 16 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და 2020 წლის 11 ნოემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. საქმის წარმოება სააპელაციო სასამართლოში ახალი ფაქტები და მტკიცებულებები

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1118-2021

20 აპრილი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
მ. ერემაძე

დავის საგანი: შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდულის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თ. გ.-ძემ (შემდეგში: მოსარჩელე ან კასატორი) 2020 წლის 05 მარტს სარჩელი აღძრა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოსა“ (შემდეგში: პირველი მოპასუხე ან პირველი სააგენტო) და „სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს“ (შემდეგში: მეორე მოპასუხე ან მეორე სააგენტო) (ერთად: სააგენტოები, მოპასუხეები ან მოწინააღმდეგე მხარე) წინააღმდეგ და მოითხოვა: 1.1 ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ „სოციალური სამსახურის“ 2020 წლის 31 იანვრის №04-83/კ ბრძანება მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ; 1.2 დაევალოს სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს“ მოსარჩელის სოციალური მუშაკის ან მის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა; 1.3 დაეკისროს „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს“ მოსარჩელის მიმართ იძულებითი მოცდენის გამო შრომის (ხელფასის) ანაზღაურება ყოველთვიურად 800 ლარის ოდენობით 2020 წლის 1 თებერვლიდან სამუშაოზე აღდგენამდე. 2020 წლის 29 სექტემბერს მოსარჩელემ დაზუსტებული სარჩელით 1.3 მოთხოვნა დააზუსტა იმგვარად, რომ მეორე მოპასუხეს იძულებითი მოცდენის გამო დაკისრებოდა შრომის (ხელფასის) ანაზღაურება ყოველთვიურად 1200 ლარის ოდენობით 2020 წლის 01 თებერვლიდან სამუშაოზე აღდგენამდე.

2. მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნები დააფუძნა შემდეგ გარემოებებს: მოსარჩელე 2009 წლიდან დასაქმებული იყო სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ ხონის რაიონულ განყოფილებაში სოციალური მუშაკის პოზიციაზე საიდანაც 2016 წელს პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა. 2019 წლის მარტში მოსარჩელემ მონაწილეობა მიიღო სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლის წარმატებით გავლის შემდეგაც, 2019 წლის 28 მარტიდან 6 თვიანი გამოსაცდელი ვადით დაინიშნა ხონის რაიონული განყოფილების სოციალურ მუშაკად, ხოლო ამავე თანამდებობაზე 2019 წლის 28 სექტემბრიდან მოსარჩელე დაინიშნა განუსაზღვრელი ვადით.

3. 2020 წლის 28 იანვრის 04/-2830 წერილით მოსარჩელეს ეცნობა, რომ 2020 წლის 1 თებერვლიდან მასთან შეწყდებოდა შრომითი ხელშეკრულება. 2020 წლის 31 იანვრის 04-83/კ ბრძანება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მოსარჩელეს ჩაჰბარდა. აღნიშნული ბრძანების თანახმად, გათავისუფლების საფუძველი გახდა რეორგანიზაცია, რომლსაც თან ახლდა შტატების შემცირება. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ დასაქმებული სოციალურ მუშაკთა უმრავლესობა გადაყვანილ იქნა სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში“. მოსარჩელის მითითებით ამ პროცესს კიდევ უფრო გაუგებარს ხდის ის გარემოება, რომ დასაქმებულთა გაშვება-დარჩენის საკითხი პრაქტიკულად ყოველგვარი კონკურსის გარეშე გადაწყდა.

4. მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2020 წლის ნოემბრის თვეში ჩატარებული გასაუბრება არ წარმოადგენს კონკურსს, რადგანაც ამ გასაუბრების ფარგლებში კანდიდატთა ცოდნის შემოწმებას ადგილი არ ჰქონია. გასაუბრებას ჰქონდა მხოლოდ გაცნობითი ხასიათი და იგი მიმდინარეობდა დაახლოებით 5 წუთის განმავლობაში. აღნიშნული გასაუბრების ფარგლებში, მოსარჩელეს ჰკითხეს მხოლოდ მისი გამოცდილებისა და მოვალეობების (თუ რა საქმეებზე უწევდა ძირითადად მუშაობა და რა პრობლემებს აწყდებოდა) შესახებ. მოსარჩელემ მიიჩნია, რომ თანამშრომელთა გაშვება-დარჩენის საკითხი, ნაცვლად სათანადო და ობიექტური კონკურსისა (რომლის ფარგლებშიც ყველა თანამშრომელი თანაბარ მდგომარეობაში იქნებოდა და სათანადო მეთოდით შეფასდებოდნენ), გადაწყდა გარკვეულ პირთა პირადი სიმპატიებით, ან სხვა არაობიექტური მექანიზმით.

5. თავდაპირველად მოსარჩელეს განუმარტეს, რომ მიუხედავად რეორგანიზაციის შესახებ შეტყობინებისა, დასაქმებულებს არ ჰქონდათ მლელვარების საფუძველი შემცირების მოსალოდნელობის თაობაზე, რადგანაც ქვეყანა ისედაც სოციალურ მუშაკთა დეფიციტს განიცდის

და უკვე დასაქმებული მუშაკების გაშვებას არსებული საკანონმდებლო რეფორმა არ ითვალისწინებდა. დასაქმებული პირები საქმიანობას გააგრძელებდნენ განსხვავებული სახელწოდების მქონე სსიპ-ში.

6. პირველმა მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და წარდგენილ შესაგებელში განმარტა, რომ მოსარჩელის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებულის საფუძველი გახდა საქართველოს შრომის კოდექსის (შემდეგში – სშკ-ის) 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. აღნიშნული ნორმის შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას.

7. პირველი მოპასუხის განმარტებით, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში სისტემური და ეფექტური მმართველობის უზრუნველსაყოფად მოსალოდნელი რეორგანიზაციის შესახებ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 24 ივლისის №01-237/ო ბრძანების გათვალისწინებითა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ცენტრალურ აპარატსა და ტერიტორიულ ერთეულებში ორგანიზაციული ცვლილებების შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 26 ივლისის №04-1429/ო ბრძანების შესაბამისად, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოში“ მიმდინარეობს ორგანიზაციული ცვლილებების პროცესი, რაც უკავშირდება სამუშაო ძალის შემცირებას. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 26 ივლისის 04-1429/ო ბრძანების მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით განხორციელდა ამ ბრძანების გაცნობა დაქვემდებარებული თანამშრომლებისათვის, გარდა ამისა, ბრძანების საჯარო გამოცხადების მიზნით, სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების შესაბამის შენობაში, დასაქმებულთა ხელმისაწვდომ და თვალსაჩინო ადგილზე მოხდა ბრძანების განთავსება.

8. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში დაგეგმილი და მიმდინარე ორგანიზაციული ცვლილებები მიზნად ისახავს სისტემური და ეფექტური მმართველობის, ფუნქციონალური მოქნილობის ამაღლებისა და სამინისტროს სისტემაში მიმდინარე პროცესებზე შესაბამისი სამსახურის ოპერატიული

რეაგირების გაზრდის უზრუნველყოფას. მოპასუხის განმარტებით, ამ მიზნის რეალიზება მოითხოვდა სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში შესაბამისი ცვლილებების შეტანას, რომლის გათვალისწინებითაც პარლამენტის მიერ 2019 წლის 11 დეკემბერს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ, საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, აღნიშნული კანონის მე-2 და მე-3 მუხლების შესაბამისად, 2020 წლის 1 თებერვლიდან განხორციელდა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ რეორგანიზაცია და მისი ფუნქციები და უფლებამოსილებები მეურვეობისა და მზრუნველობის, აგრეთვე საერთაშორისო შვილად აყვანის მიმართულება გადაეცა სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს“, რომელიც გამოცხადდა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ უფლებამონაცვლედ ამ მიმართულებებში [იმავე კანონის მე-3 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო ჩაითვალა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამონაცვლედ მეურვეობისა და მზრუნველობის, აგრეთვე საერთაშორისო შვილად აყვანის მიმართულებებით საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში].

9. 2019 წლის 11 დეკემბრის „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ, საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონის მე-4 მუხლის თანახმად, სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტომ“ საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყო ამ კანონის ამოქმედებამდე საჯარო სამართლის იურიდიულ პირში სოციალური მომსახურების სააგენტოში შტატით დასაქმებულ თანამშრომელთა და შტატგარეშე მომუშავეთა უკონკურსოდ გადაყვანა შესაბამის თანამდებობებზე. ასევე, შესაბამისი ცვლილებები იქნა შეტანილი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის 01-14/6 ბრძანებაში (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 იანვრის 01-14/6 ბრძანებით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით) ამ ცვლილებების მიხედვით, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ კომპეტენციიდან ამოღებულ იქნა ისეთი ფუნქციები, როგორიც არის: მეურვეობის მზრუნველობის, მხარდაჭერის, შვილად აყვანისა და მინდო-

ბით აღზრდის პროცესის წარმართვა და კოორდინაცია, გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა ერთიანი რეესტრის და მინდობით აღსაზრდელთა და მინდობით აღმზრდელთა მონაცემთა ბაზის წარმოება ადგილობრივი და სხვა სახელმწიფოში გაშვილების მიზნებისათვის, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციების უზრუნველყოფა და ა.შ.

10. პირველი მოპასუხის მტკიცებით, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები ცალსახად მიუთითებს პირველ სააგენტოში განხორციელებულ ორგანიზაციულ ცვლილებებზე, რაც აუცილებელს ხდის მეურვეობის, მზრუნველობისა და საერთაშორისო შვილად აყვანის მიმართულებით სამუშაო ძალის შემცირებას, აქედან გამომდინარე სშკ-ის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტების საფუძველზე არსებობდა მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების ობიექტური საფუძველი.

11. მეორე მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და წარმოდგენილ შესაგებელში განმარტა, რომ დასაქმებულის გათავისუფლება მართლზომიერად, კანონის მოთხოვნათა დაცვით განხორციელდა, რაც მის თანამდებობაზე აღდგენას გამორიცხავს, შესაბამისად, დაუსაბუთებელია სასარჩელო მოთხოვნა.

12. მეორე მოპასუხემ დამატებით მიუთითა, რომ „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ, საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, განხორციელდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს რეორგანიზაცია, მისი ფუნქციები და უფლებამოსილებები მეურვეობისა და მზრუნველობის, აგრეთვე, საერთაშორისო შვილად აყვანის მიმართულებებით გადაეცა სსიპ – სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო ჩაითვალა სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამონაცვლედ მეურვეობისა და მზრუნველობის, აგრეთვე, საერთაშორისო შვილად აყვანის მიმართულებებით საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში, ხოლო, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტომ საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს ამ კანონის ამოქმედებამდე სოციალური მომსახურების სააგენტოში შტატიტ დასაქმებულ თანამშრომელთა და შტატგარეშე მომუშავეთა უკონკურსოდ გადაყვანა შესაბამის თანამდებობებზე.

13. ზემოაღნიშნული კანონის მიხედვით, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო არ ჩათვლილა სოციალური სააგენტოს უფლებამონაცვლედ თანამშრომელთა უკონკურსოდ გადაყვანის ნაწილში. მხოლოდ საჭიროებისას და არა ყველა შემთხვევაში, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო უფ-

ლებამოსილი იყო გადაყვანა უკონკურსოდ სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებული ყველა პირი. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამის თანამშრომელთა უკონკურსოდ გადმოყვანა მოხდა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში რეორგანიზაციის პროცესის კოორდინაციის მიზნით, სამინისტროს 2019 წლის 16 ოქტომბრის №01–306/ო ბრძანების „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში რეორგანიზაციის პროცესის კოორდინაციის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ» ბრძანების საფუძველზე შექმნილი სარეორგანიზაციო კომისიის ოქმისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით.

14. სამტრედიის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად. ბათილად იქნა ცნობილი პირველი მოპასუხე სააგენტოს 2020 წლის 31 იანვრის №04-83/კ ბრძანება მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ; მოსარჩელე აღდგენილ იქნა პირვანდელ სამუშაო ადგილზე, მეორე მოპასუხე სააგენტოში სოციალური მუშაკის თანამდებობაზე. მეორე მოპასუხე სააგენტოს დაეკისრა მოსარჩელისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება ყოველთვიურად 1200 ლარის (გადასახადების ჩათვლით) ოდენობით, 01.02.2020 წლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

15. სამტრედიის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხეებმა (სააგენტოები) გაასაჩივრეს სააპელაციო საჩივრით, მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ამ ნაწილში სარჩელის უარყოფა. მეორე მოპასუხემ აგრეთვე, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოსარჩელისათვის იძულებითი განაცდურის მიკუთვნების ნაწილში და ამ ნაწილში, სარჩელის უარყოფა.

16. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილებით პირველი სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო მეორე მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების ნაწილობრივი გაუქმებით სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: მეორე სააგენტოს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება ყოველთვიურად 1200 ლარის (გადასახადების ჩათვლით) ოდენობით,

01.02.2020 წლიდან – გადაწყვეტილების აღსრულებამდე. დადგინდა, რომ აღნიშნულ თანხას უნდა გამოაკლდეს, მოსარჩელის მიერ მიღებული კომპენსაცია 2 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით, აგრეთვე, პირველ სააგენტოში 2020 წლის 5 ოქტომბრიდან – 2021 წლის 1-ელ აპრილამდე პერიოდის, შრომის ანაზღაურების სახით მიღებული შემოსავალი (გადასახადების ჩათვლით). დანარჩენ ნაწილში, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

17. მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია შემდეგი გარემოებები:

18. მოსარჩელე, რომელიც 2009 წლიდან 2016 წლამდე, შემდეგ კი 2019 წლის 28 სექტემბრიდან მუშაობდა პირველი სააგენტოს ხონის რაიონულ განყოფილებაში სოციალური მუშაკის პოზიციაზე, თანამდებობაზე დაინიშნა განუსაზღვრელი ვადით. სააგენტოში მუშაობის განმავლობაში მას არ დაჰკისრებია რაიმე სახის დისციპლინური სახდელი.

19. 2020 წლის 28 იანვარის №04/-2830 წერილით მოსარჩელეს ეცნობა, რომ 2020 წლის 1 თებერვლიდან მასთან შეწყდა შრომითი ხელშეკრულება, რის შემდეგაც მას ჩაბარდა 2020 წლის 31 იანვრის №04-83/კ ბრძანება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. აღნიშნული ბრძანების თანახმად, განთავისუფლების საფუძველს წარმოადგენდა სშკ-ის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი – რეორგანიზაცია, რომელსაც თან ახლდა შტატების შემცირება. მოსარჩელეს მიეცა 2 თვის კომპენსაცია.

20. დადგენილია, რომ 2020 წლის 7 თებერვლის წერილით, მოსარჩელეს ეცნობა, რომ კანონმდებლობაში შევიდა ცვლილება და 2020 წლის 01 თებერვლიდან განხორციელდა პირველი სააგენტოს რეორგანიზაცია და მისი ფუნქციები და უფლებამოსილებები მეურვეობისა და მზრუნველობის, აგრეთვე, საერთაშორისო შვილად აყვანის მიმართულებებით, გადაეცა მეორე სააგენტოს, რომელიც ასევე გამოცხადდა პირველი სააგენტოს უფლებამონაცვლედ ამ მიმართულებაში.

21. პირველ სააგენტოში მიმდინარეობდა ორგანიზაციული ცვლილებების პროცესი, რაც უკავშირდებოდა სამუშაო ძალის შემცირებას. რაც შეეხებოდა მეორე სააგენტოში შრომითი ურთიერთობის გაგრძელებას, აღნიშნული საკითხი აღემატებოდა პირველი სააგენტოს უფლებამოსილებას.

22. სააპელაციო პალატის მიერ დადგენილია, რომ რეორგანიზაციის შემდეგ, ახლად შექმნილ – მეორე სააგენტოში სრულად გადავიდა ყველა ის საშტატო ერთეული, რაც მანამდე არსებობდა პირველ სააგენტოში შესაბამისი კუთხით. ამასთან, 2020 წლის 1 თებერვლიდან რაიონული წარმომადგენლობის სპეციალისტის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1200 ლარით;

23. დადგენილია, რომ პირველ სააგენტოში შესაბამისი პროფილით (მეურვეობისა და მზრუნველობის მიმართულებით) არსებობდა 271 სამტატო ერთეული, სადაც დასაქმებული იყო – 233 პირი. სამსახურის მიერ ჩატარდა კვლევა, თუ რამდენი პირი უნდა დანიშნულიყო უკონკურსოდ, იმისათვის, რომ უწყვეტობა შენარჩუნებულიყო და დადგინდა, რომ უნდა დანიშნულიყო 205 სოციალური მუშაკი. შესაბამისად, 205 სოციალური მუშაკი დაინიშნა ყოველგვარი კონკურსის გარეშე, 2020 წლის 3 თებერვლის ბრძანებით, ხოლო დანარჩენ 28 სოციალურ მუშაკს მიეცა ორთვიანი კომპენსაცია, რათა მეორე მოპასუხის მიერ კონკურსის გამოცხადებამდე მათ ჰქონოდათ შემოსავალი. ამასთან, უწყების დონეზე, ახლო პერიოდში იგეგმებოდა მეორე სააგენტოში სოციალურ მუშაკთა რაოდენობის 271-მდე გაზრდა, ხოლო წლის განმავლობაში 350-მდე გაზრდა.

24. დადგენილია, რომ მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ, 1 თვეში, 2020 წლის მარტში, მეორე სააგენტოში გამოცხადდა კონკურსი ხონის რაიონული წარმომადგენლობის №60538 ვაკანსიაზე. სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა და 2020 წლის 30 მარტის განჩინებით, მოპასუხეს აეკრძალა ხონის სოციალური მუშაკის ვაკანტურ პოზიციაზე უვადოდ სხვა პირის დანიშვნა.

25. სააპელაციო პალატის მსჯელობით, განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს შრომითი ხელშეკრულებიდან. სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე შრომითი დავის განხილვისას, სასამართლომ, პირველ რიგში, უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად მართლზომიერად მოქმედებდა დამსაქმებელი დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლებისას. აღნიშნული საკითხის გამორკვევა შესაძლებელია, მხოლოდ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე გამოცემულ ბრძანებაში მითითებული დასაქმებულის გათავისუფლების საფუძვლის კვლევის შედეგად. დადგენილია, რომ მოსარჩელე თ. გ-ძესთან შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი გახდა სშპ-ს 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი რომლის მიხედვითაც გათავისუფლების საფუძველი შეიძლება იყოს ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომელიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას (იხ. შრომის კოდექსის ახალი რედაქციის 47-ე მუხლი). მითითებული ნორმის ანალიზით, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შესაწყვეტად კუმულაციურად უნდა არსებობდეს ხსენებული ნორმით გათვალისწინებული წინაპირობები, კერძოდ, ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები შედეგობრივად უნდა იწვევდეს სამუშაო ძალის შემ-

ცირებას.

26. სააპელაციო პალატის შეფასებით, ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები იმ შემთხვევაში წარმოშობს მუშაკის სამსახურიდან განთავისუფლების მართლზომიერ საფუძველს, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული ცვლილებები თავისი შინაარსის გათვალისწინებით, ეკონომიკური სიღუბნის გამო, შტატების ან/და ხელფასების შემცირების ან სხვა ობიექტური საჭიროების გამო, დამსაქმებელს აყენებს კონკრეტული თანამდებობიდან მუშაკის განთავისუფლების აუცილებლობის წინაშე. დადგენილია, რომ პირველ სააგენტოში ფუნქციური ცვლილებები განხორციელდა „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე 2019 წლის 11 დეკემბერს მიღებული კანონით, რომლის თანახმად: განხორციელდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს რეორგანიზაცია და მისი ფუნქციები და უფლებამოსილებები მეურვეობისა და მზრუნველობის, აგრეთვე, საერთაშორისო შვილად აყვანის მიმართულებებით გადაეცა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – მეორე სააგენტოს, ასევე, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მეორე სააგენტო ჩაითვალა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამონაცვლედ მეურვეობისა და მზრუნველობის, აგრეთვე, საერთაშორისო შვილად აყვანის მიმართულებებით, საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში.

27. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ რეორგანიზაციისას შტატებისა და სახელფასო ფონდის შემცირებას ადგილი არ ჰქონია, პირიქით, იგეგმებოდა შტატების არა თუ შემცირება, არამედ დამატება. ამასთან, რეორგანიზაციის შემდეგ ახლად შექმნილ მეორე სააგენტოში სრულად გადავიდა ყველა ის საშტატო ერთეული, რაც მანამდე არსებობდა პირველ სააგენტოში შესაბამისი კუთხით.

28. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ დასაქმებული დამსაქმებელთან შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა განუსაზღვრელი ვადით. ამასთან, მთელი მუშაობის პერიოდში, მას არ შეფარდებია რაიმე სახის დისციპლინური სახდელი, რაც მიუთითებს, რომ იგი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. სანინალმდევო მტკიცება ან შედავება, ამ გარემოებასთან დაკავშირებით, აპელანტებს არ წარუდგენიათ. იმის გათვალისწინებით, რომ რეორგანიზაციის შემდეგ ახლად შექმნილ მეორე სააგენტოში სრულად გადავიდა ყველა ის საშტატო ერთეული, რაც მანამდე არსებობდა პირველ სააგენტოში შესაბამისი კუთხით, მოსარჩელე სამუშაოდ მიღებული უნდა ყოფილიყო იმავე სამუშაო პოზიციაზე და იმავე სამარ-

თლებრივ მდგომარეობაში – უვადოდ.

29. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დამსაქმებელთან მრავალ-წლიანი შრომითი ურთიერთობის გათვალისწინებით, მისი კვალიფიკაცია და შრომითი უნარები, იმავე სამუშაო პოზიციაზე, არ შეიძლება დაქვემდებარებოდა რაიმე სახის ხელახალ შეფასებას. აქედან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დამსაქმებლის პოზიცია, მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე არ გააჩნია ლეგიტიმური საფუძველი და დასახული მიზნის არაპროპორციულობა.

30. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ არ არსებობდა მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი.

31. ამ მოცემულობაში, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სშკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილზე, რომელიც ითვალისწინებს სამუშაოდ უკანონოდ გათავისუფლებული პირის უფლებრივი რესტიტუციის მექანიზმს და მიიჩნია, რომ ვინაიდან, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ხ-ის რაიონულ განყოფილების უფლებამონაცვლე ორგანოში არსებობს იგივე სამუშაო პოზიცია, რაზეც სასამართლოს განჩინების საფუძველზე მოპასუხეს აეკრძალა უვადოდ სხვა პირის დანიშვნა, არსებობს უკანონოდ გათავისუფლებული მოსარჩელის იმავე სამუშაო ადგილზე აღდგენის საფუძველი. ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადან-ყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა თ. გ-ძის სასარჩელო მოთხოვნები სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობისა და იმავე სამუშაო ადგილზე აღდგენის ნაწილში, დასაბუთებულია, რაც გამორიცხავს სააპელაციო საჩივრების დაკმაყოფილებისა და ამ ნაწილებში გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმებას.

32. რაც შეეხება იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას, ვინაიდან მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულება შეწყდა 2020 წლის 1 თებერვლიდან, რაც სასამართლომ მიიჩნია უკანონოდ და მიღებულ იქნა გადანყვეტილება მისი სამუშაოზე აღდგენის შესახებ, შესაბამისად, მეორე სააგენტოს დაეკისრა მოსარჩელისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება ყოველთვიურად 1200 ლარის (გადასახადების ჩათვლით) ოდენობით, რასაც უნდა გამოაკლდეს მოსარჩელის მიერ მიღებული კომპენსაცია 2 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით, აგრეთვე, პირველ სააგენტოში 2020 წლის 5 ოქტომბრიდან – 2021 წლის 1-ელ აპრილამდე პერიოდის, შრომის ანაზღაურების სახით მიღებული შემოსავალი (გადასახადების ჩათვლით).

33. სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე გაირკვა, რომ მოსარჩელე პირველ სააგენტოში მიღებული იქნა 2020 წლის 05 ოქტომბრიდან 2021 წლის 1-ელ აპრილამდე და მისი ყოველთვიური შრომის ანაზ-

ლაურება შეადგენდა 1200 ლარს. [იხ. 2021 წლის 23 ივლისის საოქმო განჩინება/ ამონაწერი სასამართლოს სხდომის ოქმიდან], შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნულ პერიოდში ხელფასის სახით მიღებული თანხები ასევე უნდა გამოაკლდეს მისთვის იძულებითი განაცდურის სახით ასანაზღაურებელ თანხებს, რაც ამ ნაწილში გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმების საფუძველია.

34. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება მოსარჩელემ (აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე) გაასაჩივრა საკასაციო საჩივრით. კასატორი მოითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადანყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებას განაცდურის გაანგარიშების ნაწილში, კერძოდ, 2020 წლის 5 ოქტომბრიდან 2021 წლის 1-ლი აპრილის პერიოდის შრომის ანაზღაურების სახით მიღებული შემოსავალი და სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას. კასატორი ასევე მოითხოვს სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 23 ივლისის საოქმო განჩინების გაუქმებას, რომლითაც დაკმაყოფილდა მეორე სააგენტოს შუამდგომლობა პირველ სააგენტოში მოსარჩელის დასაქმების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე.

35. საკასაციო პრეტენზია გასაჩივრებული გადანყვეტილების იურიდიულ დაუსაბუთებლობას ემყარება. კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა და არ დაასაბუთა ის გარემოება, თუ რატომ უნდა ყოფილიყო საპატიოდ მიჩნეული მეორე სააგენტოს მიერ სააპელაციო სასამართლოში ახალი მტკიცებულების წარდგენა. არ არსებობდა კანონმდებლობით გათვალისწინებული საპატიო გარემოება, რომლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს შეეძლო მიეღო მოპასუხის მიერ წარდგენილი ახალი მტკიცებულება. კასატორის მითითებით, სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსსკ-ის) 380-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვით სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეს შეეძლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა.

36. კასატორი მიუთითებს, რომ სამტრედიის რაიონული სასამართლოს მიერ ბოლო მოსამზადებელი სხდომა (რომელიც შემდგომში გადაზრდილ იქნა მთავარ სხდომაში) გაიმართა 2020 წლის 26 ნოემბერს, მაშინ როდესაც ერთ თვეზე მეტი იყო გასული, რაც მოსარჩელე დასაქმდა მეორე სააგენტოში. ამასთან, პირველი სააგენტო პროცესზე წარმოადგენდა ერთ-ერთ მოპასუხეს (პირველი მოპასუხე). გარდა ამისა, სააგენტოები ექვემდებარებიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

37. მოცემულ შემთხვევაში, მეორე სააგენტოს საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე არ გამოუყენებია საპროცესო შესაძლებლობა, წარმოედგინა სათანადო მტკიცებულებები მოსამზადებელ სხდომაზე. არცერთ მოპასუხეს არ მიუღია სსსკ-ით დადგენილი ზომები თავად მოეპოვებინათ აღნიშნული ინფორმაცია. ამასთან, კასატორისათვის გაუგებარია მეორე მოპასუხის პოზიცია იმის შესახებ, რომ არ იცოდა და ვერ შეიტყო მდგომარეობის პირველ სააგენტოში დასაქმების შესახებ, რადგანაც სააგენტოებს აქვთ აქტიური კავშირი ერთმანეთთან. ამასთან, მათ ზემდგომ სამინისტროს წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. გარდა ამისა, პირველი სააგენტო საქმეში წარმოადგენდა ერთ-ერთ მოპასუხეს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია, როგორც სსსკ-ის 380-ე მუხლის დანაწესი, ისე ამავე კოდექსის მე-3 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებული დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი.

38. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 17 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, კერძოდ, საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. ამავე განჩინებით გადაწყდა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილება გამოიტანოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესახებაც მხარეებს ეცნობათ კანონით დადგენილი წესით.

სამოტივაციო ნაწილი:

39. უპირველესად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია მხოლოდ მოსარჩელის მიერ და იმ ნაწილში, რომლითაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკისრებულ იძულებით განაცდურს სააპელაციო პალატამ (გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-6 ნაწილი) გამოაკლო პირველ სააგენტოში მოსარჩელის მიერ 2020 წლის 5 ოქტომბრიდან 2021 წლის 1-ელი აპრილის პერიოდის შრომის ანაზღაურების სახით მიღებული შემოსავალი (გადასახადების ჩათვლით). ამიტომაც, სსსკ-ის 409-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით (საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ

იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ), საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ ამ ფარგლებში.

40. საკასაციო პალატას საქმეზე დადგენილი გარემოებებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების შედეგად მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილების მიღებით საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

41. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო პალატის შეფასების საგანი იქნება კასატორის შედავების საფუძვლიანობა. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ემყარება კანონდარღვევას, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი პროცესუალური ნორმების დარღვევით.

42. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; არასწორად განმარტა კანონი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

43. განსახილველი დავის ფარგლებში საკასაციო სასამართლოს მიერ შეფასების საგანს წარმოადგენს მოსარჩელისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობების არსებობა. ამ ტიპის სარჩელის წარმატებულობა, ბუნებრივია, უნდა შემოწმდეს მისი დამფუძნებელი ნორმის/ნორმების წინაპირობებთან მიმართებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ უპირველესად, სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს მოთხოვნის მარეგულირებელი სამართლებრივი საფუძველი – კანონის ნორმა, გამოარკვიოს სარჩელში მითითებული ფაქტების შესაბამისობა დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებთან (ფორმალური გამართულობა), დადებითი პასუხის შემთხვევაში, სარჩელსა და შესაგებელში გამოთქმული პოზიციების ურთიერთშეჯერე-

ბით გამოარკვეოს სადავო და უდავო ფაქტობრივი გარემოებები (მტკიცების საგანი) და გაანალიზოს მხარეთა შორის მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადასტურების ტვირთი (მტკიცების ტვირთი).

44. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს.

45. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა, საქმეზე გადანყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

46. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის

დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება კი, სა-სამართლოს ვალდებულებაა. სადავო ურთიერთობის შეფასებისას, ზემ-დგომი ინსტანციის სასამართლო არაა შებოჭილი ქვემდგომი ინსტან-ციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებებით, შესაბამისად, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გამოარკვევს, რომ ქვემდგომი სა-სამართლოს სამართლებრივი შეფასება არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან, იგი ვალდებულია, ეს გარემოებები თა-ვად შეაფასოს სამართლებრივად სწორად და მიიღოს შესაბამისი გა-დანწყვეტილება.

47. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლომ ყოველ კონ-კრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემო-ებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მო-სარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელ-შეკრულებო შეთანხმებებიდან, ზიანის მიყენებიდან (დელიქტი), უსა-ფუძვლო გამდიდრებიდან თუ კანონით გათვალისწინებული სხვა სა-ფუძვლიდან.

48. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გა-რანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტს, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს მი-ერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს მხარისათვის განჭვრეტა-დი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპუ-ლი სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ ეროვნუ-ლი სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სა-მართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდ-გენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (იხ., გადაწყვეტილება საქ-მეზე Ruiz Torija v. Spain, §§ 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგე-ნის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გადაწყ-ვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძ-ველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც ამკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევ-დეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონ-კრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ., გადაწყვეტილება საქმეზე Seryavin and Others v. Ukraine §§ 55-62). სასამართლოს აქვს ვალ-დებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუ-

მენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. *Kraska v. Switzerland*, § 30; *Van de Hurk v. the Netherlands*, § 59; *Perez v. France*, § 80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (იხ. *Milatova and others v. The Czech republic* §59; *Niderost-huber v. Switzerland*, § 24; *K.S. v. finland* § 21).

49. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი შედეგის – შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა (უფლებრივი რესტიტუცია) და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება – სამართლებრივი საფუძველია სშკ-ის 38.8 (იხ. შრომის კოდექსის მოქმედი რედაქციის 48.8 მუხლი) „სასამართლოს მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამსაქმებელი ვალდებულია, პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება“ (დამატ. იხ. სშკ-ის 2.1, 2.2 მუხლი), 44-ე (იხ. შრომის კოდექსის მოქმედი რედაქციის 58-ე მუხლი) „შრომითი ურთიერთობისას მხარის მიერ მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“, ასევე, სსკ-ის 394.1 „მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება“ და 408.1 „იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“ მუხლები.

50. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ფაქ-

ტების მითითების ტვირთისა და ფაქტების დამტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის.

51. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. შეჯიბრებითობის პრინციპი, მხარეთა თანასწორობის პრინციპთან ერთად, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით, აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო უფლების მნიშვნელოვან კომპონენტს.

52. სსსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. შეჯიბრებითობის პრინციპმა თავისი ასახვა ჰპოვა სსსკ-ის მთელ რიგ სხვა ნორმებში.

53. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის შინაარსის ანალიზი საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები: 1. შეჯიბრებითობის პრინციპი მოიცავს მხარეთა საქმიანობას მხოლოდ საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების სფეროში. საკითხი იმის შესახებ, რომ სასამართლო საქმის განხილვას (სამოქალაქო პროცესს) იწყებს მხოლოდ დაინტერესებული პირის მოთხოვნით, ან, რომ სასამართლო არ უნდა გასცდეს მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს და ა.შ. განეკუთვნება არა შეჯიბრებითობის, არამედ დისპოზიციურობის პრინციპის სფეროს. 2. მხარეთა მოთხოვნების თუ შესაგებლის ფაქტობრივი (და არა იურიდიული) დასაბუთება (გამართლება) ეკისრებათ თვითონ მხარეებს. 3. მხარეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს (შესაგებელს). ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული აგრეთვე სსსკ-ის 178-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად, სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს, აგრეთვე სსსკ-ის 201-ე მუხლში, რომლის თანახმად, თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, მან უნდა მიუთითოს რა კონკრეტულ გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ. 4. მხარეებმა თვითონ უნდა მიუთითონ მტკიცებულებებზე, რომელთა საფუძველზე უნდა დამტკიცდეს (დადასტურდეს) მათ მიერ თავიანთი მოთხოვნის (შესაგებლის) დასაბუთების მიზნით მითითებული

ფაქტები. ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსსკ 178-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს (ე.ი. მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ გარემოებებს), აგრეთვე, სსსკ-ის 201-ე მუხლში, რომლის თანახმად, მოპასუხემ თავის პასუხში (შესაგებელში) უნდა მიუთითოს რა მტკიცებულებებით შეიძლება დამტკიცდეს ეს გარემოებები, (ე.ი. მოპასუხის მიერ თავის შესაგებელში მითითებული გარემოებები).

54. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კონცენტრირებულად შეჯიბრებითობის პრიციპი გამოხატულია სსსკ-ის 102-ე მუხლში, რომლის თანახმად თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

55. შეჯიბრებაში გამარჯვებულად გამოცხადდება მხარე, რომელმაც უკეთ შეძლო დაერწმუნებინა სასამართლო თავისი მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივ დასაბუთებულობაში, ანუ მხარე, რომელმაც მიუთითა ფაქტებზე, რომლებიც იურიდიულად ამართლებენ მოთხოვნას (შესაგებელს) და წარმოდგინა სასამართლოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ ფაქტებს.

56. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადანყევთა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ე.ი. ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს. ამრიგად, სასამართლო ვერ გადანყევს ვერცერთ სამოქალაქო საქმეს, თუ მან წინასწარ არ დაადგინა გარკვეული ფაქტები. ამ ფაქტების დადგენა ხორციელდება უმთავრესად დამტკიცების გზით, შესაბამისი მტკიცებულებების გამოყენებით.

57. ფაქტების დამტკიცების პროცესი საკმაოდ დეტალურად რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ, განსაზღვრულია მტკიცების საშუალებათა (მტკიცებულებათა) წრე, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად, ამ მტკიცებულებათა დასაშვებობა და განკუთვნილობა, მტკიცების ტვირთის (მოვალეობის) განაწილება მხარეთა შორის, ანუ რომელმა მხარემ რა გარემოება უნდა დაამტკიცოს, მტკიცებულებათა გამოკვლევის წესი, მტკიცებულებათა შეფასების ზოგადი წესები და ა.შ.

58. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო პროცესში დადგენილი უნდა იქნეს სამი სხვადასხვა ხასიათის, შინაარსისა და შედეგების მიხედვით ისეთი ფაქტები, როგორიცაა: 1) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მხოლოდ პროცესუალურ სამართლებრივი შედეგი (სარჩელის მიღება წარმოებაში, ან ასეთ მიღებაზე უარის თქმა); 2) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მატერიალურ სამართლებრივი შედეგი, ანუ მთავარი საძიებელი ფაქტები (სარჩელის დაკმაყოფილება, ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა); 3) მტკიცებულებითი ფაქტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება მთავარი, ანუ გადაწყვეტილებით სათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცება – დადასტურება.

59. შესაბამისად, სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანი მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტები, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები თავიანთი მოთხოვნების (შესაგებლის) დასაბუთება-გამართლების მიზნით. რა კრიტერიუმით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ მტკიცების საგნის განსაზღვრისას? სარჩელის აღძვრით მოსარჩელეს სურს გარკვეული შედეგის დადგომა. მისი ეს სურვილი აისახება სარჩელის იმ ელემენტში, რომელსაც სარჩელის საგანი ეწოდება. ამრიგად, სარჩელის საგანს ქმნის მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი. მაგრამ, მოსარჩელისათვის სასურველი შედეგის დადგომა, მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც კანონი უკავშირებს მოსარჩელის მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ზუსტად იგივე უნდა განსაზღვროს იმ ფაქტების წრე, რომლებსაც უკავშირდება მხარეთა მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივი დასაბუთებულობა. მიუთითონ ფაქტებზე, რომლებიც ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს, არის თვითონ მხარეთა მოვალეობა.

60. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცების საგანში შედიან მხარეთა მიერ მითითებული ფაქტები, რომლებიც სასამართლოს შეხედულებით სამართლებრივად ასაბუთებენ (ამართლებენ) მათ მოთხოვნებს და შესაგებელს. კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და მატერიალურ სამართლებრივი ნორმა.

61. „სამართლებრივი დავისას სამოქალაქო საქმის განმხილველ მოსამართლეს ორი ამოცანა აქვს დასაძლევ: პირველ რიგში, მან უნდა გამოარკვიოს, თუ რა მოხდა სინამდვილეში. მეორე რიგში კი მოსამართლემ სამართლებრივად უნდა შეაფასოს ფაქტობრივი გარემოებები და

დაადგინოს, არსებობს თუ არა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. მოსარჩელემ სასამართლოს უნდა მიუთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, მაშინ სარჩელი უკვე ამ საფუძველზე არ უნდა დაკმაყოფილდეს. ასეთ შემთხვევაში, მოსამართლეს არა აქვს უფლება, საკუთარი ინიციატივით მოიძიოს სასარჩელო მოთხოვნის დამადასტურებელი გარემოებები და შეაგროვოს მტკიცებულებები. თუ მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულია ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ადასტურებენ მოთხოვნის არსებობას, მაშინ უკვე მოპასუხეზეა დამოკიდებული, ამ გარემოებების არსებობის უარყოფა“ (იხ. თომას ჰერმანი, მტკიცებულებითი სამართალი, GIZ, თბილისი, 2016, გვ.3-4). „მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს“ (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ, ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანყვეტილებათა მიღების მეთოდика, თბ., 2004, გვ.64). შეუძლია თუ არა სასამართლოს თავისი ინიციატივით შეიტანოს მტკიცების საგანში და საფუძველად დაუდოს გადანყვეტილებას ფაქტები, რომლებზეც მხარეები არ მიუთითებენ? იურიდიულ დოქტრინაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, სასამართლოს ეს არ შეუძლია. (იხ. დამატებით: თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, გვ. 87; ჰ. ბოელინგი, ლ, ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანყვეტილებათა მიღების მეთოდика, თბ., 2004, გვ.64).

62. სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის დროს, რაც შეიძლება მოხდეს მოსამზადებელ სხდომაზე (სსსკ-ის 205-ე მუხლი) ან მთავარ სხდომაზე (სსსკ-ის 218-ე მუხლი), შეკითხვების მიცემის საშუალებით კიდევ ერთხელ დააზუსტოს ფაქტური გარემოებები, რომლებსაც ემყარება მხარეთა მოთხოვნა (შესა-

გებელი). ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსსკ-ის 128-ე მუხლში, რომლის თანახმად სასამართლოს უფლება აქვს შეკითხვები მისცეს მხარეებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმის გადანყვევებისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულად და ზუსტად განსაზღვრას. საგულისხმოა სსსკ-ის 219-ე მუხლის დანაწესი იმის შესახებ, რომ მხარეები შეზღუდული არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული. ამრიგად, ფაქტებზე თვითონ მხარეებმა უნდა მიუთითონ. სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მხარეთა გამოკითხვისა და შეკითხვების მიცემის გზით ხელი შეუწყოს გადანყვევტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების სრულად და ზუსტად განსაზღვრას.

63. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა ნამდვილი შეჯიბრება რეალურად შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ იყვნენ ამ შეჯიბრებაში მონაწილე მხარეები თანასწორნი. მხარეთა პროცესუალური თანასწორობის პრინციპითაა გამსჭვალული საპროცესო კანონმდებლობის თითქმის ყოველი ნორმა, დაწყებული საქმის მომზადების სტადიით და დამთავრებული გადანყვევტილების გამოტანით და მისი გასაჩივრებით. მაგალითად, სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ მოპასუხეს ეგზავნება ამ სარჩელისა და მასზე დართული დოკუმენტების ასლები. მოპასუხეს თავის მხრივ შეუძლია ცნოს სარჩელი, ან არ ცნოს, მაგრამ თუ არ ცნობს – უნდა წარმოუდგინოს სასამართლოს წერილობითი ფორმით შედგენილი პასუხი სარჩელზე და მასზე თანდართულ საბუთებზე. ამ წერილობით პასუხში მანვე უნდა აცნობოს სასამართლოს, თუ რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოსარჩელისაგან თავის დაცვას. ისე, როგორც მოსარჩელეს, მოპასუხეს სრული უფლება აქვს არამართო გამოთქვას თავისი მოსაზრებები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ფაქტების უარსაყოფად, არამედ წარმოუდგინოს სასამართლოს ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც ამართლებენ მის შესაგებელს, აქარწყლებენ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, ადასტურებენ ამ მტკიცებულებების სიყალბეს ან არასარწმუნოობას და ა.შ. სასამართლო ვერ გამოიტანს გადანყვევტილებას, თუ მან არ მოუშმინა ორივე დაპირისპირებულ მხარეს ან არ მისცა მათ შესაძლებლობა გამოიყენონ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა უფლება და მექანიზმი თავიანთი პოზიციის გასამართლებლად, თავიანთი უფლებების დასაცავად.

64. „მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა სამოქალაქო საპროცესო სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რაც პირველ რიგ-

ში გულისხმობს მოსარჩელისა და მოპასუხისათვის თანაბარი პროცესუალური შესაძლებლობების მინიჭებას. შეჯიბრებითობის პრინციპი ეფუძნება მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას, აღიჭურვონ სათანადო საპროცესო ინსტრუმენტებით...“ (შდრ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/8/594; 2017 წლის 01 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/6/746).

65. თუ მოსარჩელე ვერ დაამტკიცებს სადავო (დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე) გარემოებებს, სარჩელი არ დაკმაყოფილდება. სარჩელის წარმატება მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის (დამფუძნებელი ნორმა) წინაპირობების მითითება/დადასტურებაზეა დამოკიდებული, ასეთი შედავების დროს მოპასუხე სადავოდ ხდის სწორედ მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობებს, უთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც მოთხოვნის არსებობას გამორიცხავენ, საკმარისია მოპასუხის მხრიდან თუნდაც ერთი წინაპირობის გამორიცხვა, რომ სარჩელის წარმატებას საფრთხე შეექმნას.

66. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელისათვის სასურველი შედეგის დადგომა, მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც კანონი უკავშირებს მოსარჩელის მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ზუსტად იგივე უნდა განსაზღვროს იმ ფაქტების წრე, რომლებსაც უკავშირდება მხარეთა მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივი დასაბუთებულობა. მიუთითონ ფაქტებზე, რომლებიც ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს, არის თვითონ მხარეთა მოვალეობა.

67. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის მიერ მითითებულ (არსებით) გარემოებებზე შედავებას საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთების გარეშე, მაშინ ამ გარემოებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უკვე მტკიცების სტადიაზე მიიღება იმისდა მიხედვით, (მტკიცების ტვირთის განაწილების გათვალისწინებით) დამტკიცდება თუ არა ეს სადავო გარემოებები; თუ მოპასუხე ვერ ახერხებს საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთებას და ვერც მოსარჩელის მიერ მითითებული და მოთხოვნის დამაფუძნებელი გარემოებების სათანადო შედავებას, სასამართლოს შეუძლია მოსარჩელის სასარგებლოდ დააკმაყოფილოს სარჩელი; თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს სამართლებრივი შესაგებლის დასაბუთებას და თუ მოსარჩელე არ ხდის სადავოს მის შესაგებელს, მაშინ სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ უარი უნდა ეთქვას სარჩელს საპირისპირო (მოთხოვნის გამომრიცხავი) ნორმის არსებობის გამო; თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის არსებითი გარემოებების შედავებას

და ასევე საპირისპირო ნორმის წინაპირობების საკმარისად დასაბუთებას, მაშინმტკიცების სტადიაზე უნდა გაირკვეს, მტკიცდება თუ არა სადავო გარემოებები (მტკიცების ტვირთის გადანაწილების შესაბამისად). შემდეგ ეტაპზე უნდა შემოწმდეს, ახერხებს თუ არა მოსარჩელე თავისი მოთხოვნის დამაფუძნებელი გარემოებების იმგვარ დასაბუთებას, რომელიც ასევე აქარწყლებს მოპასუხის მიერ დასაბუთებულ საპირისპირო მითითებებს (ნორმებს).

68. საკასაციო პრეტენზია გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიულ დაუსაბუთებლობას ემყარება. კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა და არ დაასაბუთა ის გარემოება, თუ რატომ უნდა ყოფილიყო საპატიოდ მიჩნეული მეორე სააგენტოს მიერ სააპელაციო სასამართლოში ახალი მტკიცებულების წარდგენა. არ არსებობდა კანონმდებლობით გათვალისწინებული საპატიო გარემოება, რომლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს შეეძლო მიეღო მოპასუხის მიერ წარდგენილი ახალი მტკიცებულება. კასატორის მითითებით, სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსსკ-ის) 380-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვით სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეს შეეძლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა. კასატორი მიუთითებს, რომ სამტრედიის რაიონული სასამართლოს მიერ ბოლო მოსამზადებელი სხდომა (რომელიც შემდგომში გადაზრდილ იქნა მთავარ სხდომაში) გაიმართა 2020 წლის 26 ნოემბერს, მაშინ როდესაც ერთ თვეზე მეტი იყო გასული, რაც მოსარჩელე დასაქმდა მეორე სააგენტოში. ამასთან, პირველი სააგენტო პროცესზე წარმოადგენდა ერთ-ერთ მოპასუხეს (პირველი მოპასუხე). გარდა ამისა, სააგენტოები ექვემდებარებიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. მეორე სააგენტოს საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე არ გამოუყენებია საპროცესო შესაძლებლობა, წარმოედგინა სათანადო მტკიცებულებები მოსამზადებელ სხდომაზე. არცერთ მოპასუხეს არ მიუღია სსსკ-ით დადგენილი ზომები თავად მოუპოვებინათ აღნიშნული ინფორმაცია. ამასთან, კასატორისათვის გაუგებარია მეორე მოპასუხის პოზიცია იმის შესახებ, რომ არ იცოდა და ვერ შეიტყობდა მოსარჩელის პირველ სააგენტოში დასაქმების შესახებ, რადგანაც სააგენტოებს აქვთ აქტიური კავშირი ერთმანეთთან. ამასთან, მათ შემდგომ სამინისტროს წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. გარდა ამისა, პირველი სააგენტო საქმეში წარმოადგენდა ერთ-ერთ მოპასუხეს. ყოველივე ზემოაღ-

ნიშნულიდან გამომდინარე, კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია, როგორც სსსკ-ის 380-ე მუხლის დანაწესი, ისე ამავე კოდექსის მე-3 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებული დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი.

69. კასატორის აღნიშნულ პრეტენზიასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს იმსჯელოს შესაგებებლზე, როგორც სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის საშუალებაზე.

70. შესაგებელი, როგორც მოპასუხის საპროცესო თავდაცვის საშუალება მნიშვნელოვანი ინსტიტუტია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მასში ვლინდება წერილობითი შეჯიბრებითობის პრინციპი. იგი ასევე ერთგვარი გამოხატულებაა დისპოზიციურობის (სსსკ-ის მე-3 მუხლი) პრინციპისა, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა საპროცესო უფლებების ავტონომიურად განკარგვის შესაძლებლობას. საპროცესო ავტონომიის ფარგლებში მოპასუხის გადასაწყვეტია ცნობს თუ არა სარჩელს, დაასრულებს თუ არა საქმეს მორიგებით, ან რა სახის საპროცესო თავდაცვის საშუალებას გამოიყენებს, რაც გარკვეულწილად დავაში შესვლას და სარჩელში მითითებულ გარემოებებზე პასუხის გაცემას გულისხმობს. შესაბამისად, სარჩელის წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად კვალიფიციურად დაიცავს თავს მოპასუხე სარჩელისაგან.

71. ვიდრე საქმის არსებითად განხილვა დაიწყება სასამართლოში, მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს საქმის მომზადება, რომელიც მათ შორის მხარეთა წერილობითი პოზიციების გაცვლას მოიცავს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება, ერთი მხრივ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის, ხოლო მეორე მხრივ, შესაგებლისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოსარჩელისათვის ჩაბარება. სასამართლომ მკაცრად უნდა გააკონტროლოს ამ კონტექსტში მხარეთა საპროცესო უფლებების დაცვა (წერილობითი დოკუმენტაციის სრულყოფილად მიღება და პასუხის გასაცემად გონივრული ვადის დადგენა), წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6.1 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა. მოპასუხეს მისთვის გზავნილის (სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები) ჩაბარების შემდეგ წარმოეშობა შესაგებლის წარდგენის ვალდებულება.

72. კანონმდებლის ამგვარი მოთხოვნა გამომდინარეობს წერილობითი სამართალწარმოების პრინციპიდან, რაც წინა ეტაპია ზეპირი სამართალწარმოებისა და რასაც ვერ ჩაანაცვლებს მხარეთა მოსმენის პრინციპი, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო პროცესი დაკარგავდა განსაზღვრულობის სახეს და მივიღებდით საპროცესო მოქმედებების ქაოსს. მხარეს უფლება აქვს წინასწარ, საქმის არსებითად განხილ-

ვის დაწყებამდე იცოდეს, რაზე აფუძნებს მეორე მხარე თავის მოთხოვნას ან რა საპროცესო საშუალებებით აპირებს თავის დაცვას. მხარეებს უნდა მიეცეთ ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალება, რათა დაიცვან საკუთარი სამოქალაქო უფლებები, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლების მოთხოვნაა.

73. ამგვარი მიდგომა სრულადაა შესაბამისობაში სამართლებრივი სიცხადის პრინციპთან. ამიტომაც კანონმდებელი ასეთი მკაცრი მოპასუხის მხრიდან თავისი საპროცესო მოვალეობის დარღვევის მიმართ და სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის წარუდგენლობის შედეგს უკავშირებს არა სამართალწარმოების გაგრძელებას, არამედ ზეპირი მოსმენის გარეშე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამ თვალსაზრისით სასამართლო პრაქტიკასა თუ დოქტრინაში შესაგებლის წარუდგენლობა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობას უთანაბრდება (ივარაუდება, რომ მხარემ დაკარგა იურიდიული ინტერესი დავის მიმართ), ანუ სამართლებრივი შედეგი იგივეა, რაც მოპასუხის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობისას – მოსამართლე სარჩელში მითითებულ, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან ფაქტებს შეუდავებლად (დამტკიცებულად) მიიჩნევს, ამასთან, თუ სარჩელში მითითებული ფაქტები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, ხოლო სხდომის ჩატარების შემთხვევაში, მოპასუხე ვერ განახორციელებს ფაქტობრივ შედავებას, მათ შორის მტკიცებულებათა წარდგენას (სსსკ-ის 232¹-ე მუხლი), შესაბამისად, მოპასუხეს მხოლოდ სამართლებრივი შედავების უფლება რჩება. ვინაიდან საქმის განხილვის და დავის გადაწყვეტის მთავარი ფიგურანტი მოსამართლეა, მას ჯერ კიდევ წერილობითი ფორმით წარდგენილი სარჩელიდან და შესაგებლიდან უნდა შეექმნას წარმოდგენა დავის სურათზე (ფაბულა), მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველზე (სარჩელით მოთხოვნილი შედეგის განმსაზღვრელი ნორმა), მოთხოვნის წინაპირობებზე (ნორმის შემადგენლობა), მტკიცების საგანსა (სადავო გარემოება, რომელიც უნდა დამტკიცდეს) თუ სარჩელის პერსპექტიულობაზე. იმის მიხედვით, რამდენად აკმაყოფილებს სარჩელი და შესაგებელი ფორმალური დასაბუთებულობის (გამართულობის) მოთხოვნებს, მოსამართლე ნიშნავს მოსამზადებელ ან მთავარ სხდომას. შესაბამისად, თუ მოსამართლე დანიშნავს მოსამზადებელ სხდომას, მან აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მხარეთა საპროცესო უფლებები – დააზუსტონ/შეავსონ სარჩელში/შესაგებელში მითითებული გარემოებები (სსსკ-ის 83-ე მუხლი). დასაბუთებულობის მოთხოვნა გამოიყენება შესაგებელთან მიმართებაშიც, ამ დროს მოწმდება როგორი შესაგებელი წარადგინა მოპასუხემ (მოთხოვნის შემწყვეტი, შემაფერხებელი, გა-

მომრიცხავი). შესაგებლის შინაარსიდან უნდა მიხვდეს მოსამართლე, რომელია უდავო და რომელია სადავო მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები. შესაგებლის ინსტიტუტი, სარჩელის ინსტიტუტთან ერთად ერთგვარი გზამკვლევა მტკიცების სტადიისა, რომელზე გადასვლა არ ხდება, ვიდრე არ ამოიწურება მხარეთა პოზიციების (სარჩელი; შესაგებელი; მოპასუხის მხრიდან არსებითი შედეგების შემთხვევაში მოსარჩელის პასუხი და ა.შ.) ურთიერთგაცვლა და უდავო გარემოებების იდენტიფიცირება. საქმის განმხილველი მოსამართლის გადასაწყვეტია, თუ რა ფაქტობრივი აღწერილობა (ფაბულა) უნდა დაუდოს საფუძვლად საკუთარ მსჯელობას, თავის მხრივ მთავარ როლს ფაბულის შექმნაში მხარეები ასრულებენ, რაც სრულად პასუხობს შეჯიბრებითობის პრინციპის მოთხოვნებს. ერთი მხრივ რელევანტური ფაქტების დახარისხება ხდება სამართლის ნორმის მიხედვით, ხოლო მეორე მხრივ, ფაქტები განსაზღვრავენ, რომელია მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა. აქედან გამომდინარე, დავის გადაწყვეტაში სარჩელთან ერთად შესაგებლის, როგორც საპროცესო ინსტიტუტის როლი, უაღრესად მნიშვნელოვანია.

74. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შესაგებლის ზოგადი კლასიფიკაცია შემდეგია: მატერიალური და საპროცესო შესაგებელი; აბსტრაქტული (ზოგადი) და კონკრეტული შესაგებელი; მარტივი და კვალიფიციური (არსებითი) შესაგებელი. რა ტიპის შესაგებელს წარადგენს მოპასუხე, სრულად თავსდება ამ უკანაქნელის ნების ავტონომიის ფარგლებში. კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება გამომდინარეობს 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან (ივარაუდება, რომ შედავებული უნდა იყოს დავის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი ფაქტები და არა სამართლებრივი მოსაზრებები, ე.ი. ისეთი ფაქტები, რომელთა არსებობა წარმოშობენ მოთხოვნას), წინააღმდეგ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები, დამტკიცებულად ითვლება. მოსამართლემ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს პირველ რიგში საპროცესო შესაგებელს, ხოლო ამის შემდეგ მატერიალურ შესაგებელს.

75. მატერიალური შედავება მიმართულია სარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი შედეგის მიღწევის წინააღმდეგ, რაც გულისხმობს მოპასუხის მხრიდან ისეთ ფაქტებზე (წინაპირობებზე) მითითებას, რომლებიც გამორიცხავენ, წყვეტენ ან აფერხებენ (განუხორციელებელს ხდიან) სარჩელით მოთხოვნილი შედეგის დადგომას.

76. საკასაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნა, რომ სსსკ-ის 201-ე მუხლის მეოთხე და მეხუთე ნაწილების თანახმად, „პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მო-

პასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. მოპასუხე ვალდებულია, პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები). სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანი, რომელიც წარმოადგენს სადავო მატერიალურსამართლებრივ ფაქტებს, რომელზეც მიუთითებენ მოსარჩელე და მოპასუხე, მოთხოვნის თუ შესაგებლის დასაბუთების ან გაქარწყლებისათვის, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მტკიცებითი საქმიანობის გარეშე. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მოპასუხე ვალდებულია, საქმის მომზადების მიზნით აქტიურად იმოქმედოს, რაც, უპირველესად, სასამართლოსათვის სარჩელზე მისი წერილობითი მოსაზრებების წარდგენაში გამოიხატება. მოპასუხის მიერ ამ უფლების განუხორციელებლობა, სსსკ-ის 206-ე მუხლის შესაბამისად, ართმევს მას უფლებას, შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს (ანუ, სასამართლოს სხდომაზე მხარისაგან მტკიცებულების მიღება აღარ ხდება). ამ შემთხვევისათვის სხვა რაიმე სპეციალურ შედეგს კანონი არ ადგენს“ (მდრ. სუსგ დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016, 02 მარტი, 2017, პ.201).

77. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ შესაგებლის სახეებიდან განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია კვალიფიციურ შედავებას. კვალიფიციური შედავება იურიდიულ დოქტრინაში განმარტებულია შემდეგნაირად: „მოპასუხე მოსარჩელის მოხსენების ნაცვლად წარმოადგენს მოვლენათა განვითარების მისეულ, განსხვავებულ ვერსიას, რომელიც ცალკეულ საკითხებში სადავოს ხდის მოსარჩელის მოხსენებას“. (მდრ. მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, შ.შმიტი, ჰ.რიჰტერი, (GIZ), 2013წ., გვ. 19.) კვალიფიციურ შედავებას არსებით შედავებადაც მოიხსენიებენ. ამგვარი შედავება, ერთი მხრივ, შეიძლება გამორიცხავდეს სარჩელის დაკმაყოფილებას უსაფუძვლობის გამო, ხოლო მეორე მხრივ, ცვლიდეს მოსარჩელის მიერ შემოთავაზებული სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიკაციას, საიდანაც მოსარჩელეს დამატებითი მოხსენების (ფაქტების მითითების) გარეშე გაუჭირდება იმ შედეგის მიღწევა, რომელიც სარჩელით აქვს მოთხოვნილი. კვალიფიციური (არსებითი) შედავება მოსამართლეს ცალკეულ შემთხვევაში ავალდებულებს მოიძიოს მოთხოვ-

ნის სხვა დამფუძნებელი ნორმა, ასევე შეამოწმოს საგამონაკლისო ნორმები.

78. მას შემდეგ, რაც მოსამართლე მოიძიებს მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას, განსაზღვრავს ნორმის ფაქტობრივ ელემენტებს (წინაპირობებს), ამ წინაპირობებს მიუსადაგებს მოსარჩელის მიერ მოხსენებულ ფაქტებს და თითოეულ წინაპირობაზე გასცემს დადებით პასუხს, იგი ამოწმებს რომელ ფაქტებს ხდის მოპასუხე სადავოდ (მოპასუხის სტადია). თუ მოპასუხეს არ აქვს წარდგენილი კვალიფიციური (არსებითი) შედავება, არამედ მხოლოდ სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების უარყოფით შემოიფარგლება, მოსამართლე გადადის მტკიცების სტადიაზე, რაც ნიშნავს სადავოდ გამხდარი ფაქტების დადგენის პროცესს. მოპასუხის მხრიდან არსებითი ხასიათის შედავების შემთხვევაში, მოსამართლემ ასევე უნდა მოიძიოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც გამორიცხავს, წყვეტს ან აფერხებს მოთხოვნის განხორციელებას, ხოლო ნორმის წინაპირობების შემოწმება იმავე წესით ხორციელდება. აქაც მნიშვნელოვანია რას პასუხობს მოსარჩელე მოპასუხის არსებით შედავებას, არ არის გამორიცხული მოსარჩელემაც კვალიფიციური პასუხი გასცეს მოპასუხის ამგვარ განმარტებას. ამდენად მოსამართლე ასე უწვეტად გადადის მოსარჩელის სტადიიდან მოპასუხის სტადიაზე და პირიქით, ვიდრე არ დასრულდება მხარეთა განმარტებების ურთიერთგაცვლის პროცესი, რომლის შედეგადაც უნდა გაირკვეს უდავო და სადავო (მტკიცების საგანში შემავალი) ფაქტები.

79. შესაგებლის შინაარსობრივი მხარე, განსაკუთრებით ფაქტობრივი ნაწილი გავლენას ახდენს მტკიცების ტვირთზე. სსსკ-ის 102.1 მუხლის ზოგადი დათქმიდან გამომდინარე, უფლების შემწყვეტი, შემაფერხებელი და გამომრიცხველი შესაგებლის მტკიცების ტვირთი მოდის მოპასუხეზე.

80. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის მიერ მითითებულ (არსებით) გარემოებებზე შედავებას საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთების გარეშე, მაშინ ამ გარემოებებთან დაკავშირებით გადანყვეტილება უკვე მტკიცების სტადიაზე მიიღება იმისდა მიხედვით, (მტკიცების ტვირთის განაწილების გათვალისწინებით) დამტკიცდება თუ არა ეს სადავო გარემოებები; თუ მოპასუხე ვერ ახერხებს საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთებას და ვერც მოსარჩელის მიერ მითითებული და მოთხოვნის დამფუძნებელი გარემოებების სათანადო შედავებას, სასამართლოს შეუძლია მოსარჩელის სასარგებლოდ დააკმაყოფილოს სარჩელი; თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს სამართლებრივი შესაგებლის დასაბუთებას და თუ მოსარჩელე არ ხდის სადავოს მის შესაგებელს, მაშინ სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ უარი უნდა ეთქვას სარჩელს საპირისპირო

(მოთხოვნის გამომრიცხავი) ნორმის არსებობის გამო; თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის არსებითი გარემოებების შედავებას და ასევე საპირისპირო ნორმის წინაპირობების საკმარისად დასაბუთებას, მაშინ მტკიცების სტადიაზე უნდა გაირკვეს, მტკიცდება თუ არა სადავო გარემოებები (მტკიცების ტვირთის გადანაწილების შესაბამისად). შემდეგ ეტაპზე უნდა შემოწმდეს, ახერხებს თუ არა მოსარჩელე თავისი მოთხოვნის დამაფუძნებელი გარემოებების იმგვარ დასაბუთებას, რომელიც ასევე აქარწყლებს მოპასუხის მიერ დასაბუთებულ საპირისპირო მითითებებს (ნორმებს).

81. საკასაციო პალატა კასატორის პრეტენზიის ფარგლებში ყურადღებას გაამახვილებს მოსარჩელის 2020 წლის 29 სექტემბრის დაზუსტებულ სარჩელზე წარდგენილ, საქმეში განთავსებულ მოპასუხეთა შესაგებლებზე, პირველი ინსტანციის სასამართლოს 2020 წლის 29 დეკემბრის სასამართლოს მოსამზადებელი სხდომის ოქმზე, 2021 წლის 04 თებერვლის სასამართლოს მოსამზადებელი სხდომის მთავარ სხდომაში გადაზრდის შესახებ ოქმზე და აღნიშნავს, რომ მოპასუხეებს არც შესაგებლით და არც პირველ ინსტანციის სასამართლოს სხდომებზე არ მიუთითებიათ და არც სადავოდ გაუხდიათ მოსაჩელის მიერ პირველ მოპასუხესთან 2020 წლის 5 ოქტომბრიდან დასაქმების ფაქტი და არ მოუთხოვიათ აღნიშნულ პერიოდში შრომის ანაზღაურების სახით მიღებული შემოსავლის (გადასახადების ჩათვლით) იძულებითი განაცდურისათვის გამოკლება.

82. შესაბამისად, გასაზიარებელია კასატორის პრეტენზია, რომ სამტრედიის რაიონული სასამართლოს მიერ ბოლო მოსამზადებელი სხდომა (რომელიც შემდგომში გადაზრდილ იქნა მთავარ სხდომაში) გაიმართა 2021 წლის 4 თებერვალს, მაშინ როდესაც ერთ თვეზე მეტი (თითქმის 4 თვე) იყო გასული, რაც მოსარჩელე დასაქმდა მეორე სააგენტოში. ამასთან, პირველი სააგენტო პროცესზე წარმოადგენდა ერთ-ერთ მოპასუხეს (პირველი მოპასუხე). გარდა ამისა, სააგენტოები ექვემდებარებიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. მეორე სააგენტოს საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე არ გამოუყენებია საპროცესო შესაძლებლობა, წარმოედგინა სათანადო მტკიცებულებები მოსამზადებელ სხდომაზე. არცერთ მოპასუხეს არ მიუღია სსსკ-ით დადგენილი ზომები თავად მოეპოვებინათ აღნიშნული ინფორმაცია.

83. კასატორის პრეტენზია უკავშირდება აგრეთვე იმ საკითხს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა და არ დაასაბუთა, თუ რატომ უნდა ყოფილიყო საპატიოდ მიჩნეული მეორე სააგენტოს მიერ სააპელაციო სასამართლოში ახალი მტკიცებულების წარდგენა. არ არსებობდა კანონმდებლობით გათვალისწინებული საპატიო გარემოება, რომ-

ლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს შეეძლო მიეღო მოპასუხის მიერ წარდგენილი ახალი მტკიცებულება. კასატორის მითითებით, სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსსკ-ის) 380-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვით სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეს შეეძლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა. კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია, როგორც სსსკ-ის 380-ე მუხლის დანაწესი, ისე ამავე კოდექსის მე-3 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებული დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი. კასატორი ასევე მოითხოვს სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 23 ივლისის საოქმო განჩინების გაუქმებას, რომლითაც დაკმაყოფილდა მეორე სააგენტოს შუამდგომლობა პირველ სააგენტოში მოსარჩელის დასაქმების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვისა და საქმეზე ახალი მტკიცებულების სახით დართვის თაობაზე.

84. კასატორის აღნიშნულ პრეტენზიასთან მიმართებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლო საქართველოში სასამართლო სისტემის მნიშვნელოვანი რგოლია, რომელიც განიხილავს მხარეთა მიერ სადავოდ მიჩნეული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს სააპელაციო წარმოების წესსა და ფარგლებს, ამავე დროს, იმპერატიულად ადგენს, რომ სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, სააპელაციო საჩივრის დასაბუთება შეამოწმოს მხოლოდ იმ ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით და იმ მტკიცებულებებით, რომლებიც წარდგენილი იყო და შემოწმდა პირველი ინსტანციის სასამართლოში. ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა სააპელაციო სასამართლოში მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებშია დასაშვები (არასრული (შეზღუდული) აპელაცია). (მდრ: სუს-ს დიდი პალატის 2016 წლის 17 მარტის განჩინება საქმეზე №ას-121-117-2016).

85. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს 2004 წლის 24 ნოემბერს, სტრასბურგში, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) მიერ შემუშავებული №6 დასკვნის 98-ე და 135-ე პარაგრაფებზე, რომლის თანახმად, „უნდა არსებობდეს გარკვეული შეზღუდვები ყოველი მხარისათვის წარმოადგინოს ახალი მტკიცებულება ან ახალი ფაქტობრივი გარემოებები სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას. აპელაცია არ უნდა იყოს და განიხილებოდეს, როგორც შეუზღუდავი შესაძლებლობა შესწორებების შეტანისა ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებში, რომელთა წარდგენაც მხარეს შეეძლო და

უნდა წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში. შეუზღუდავი აპელაცია აკნინებს პირველი ინსტანციის მოსამართლის როლს და ამ ფაქტმა შეიძლება პოტენციურად გამოიწვიოს პირველი ინსტანციის მოსამართლის მიერ საქმის მართვისა მიზანშეწონილობის დღის წესრიგში დაყენება. მხარეები უფლებამოსილი არიან მათი მოთხოვნისა თუ დაცვის „სამართლიან სასამართლო მოსმენაზე, რომელიც უნდა დასრულდეს გონივრულ მისაღებ ვადაში“ და არა განუსაზღვრელ შესაძლებლობებზე. ეს განსაკუთრებით ეხება მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვას“.

86. ამდენად, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ მხარეთა აქტიურობა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად უზრუნველყოფილი და ეფექტურია საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვის დროს, ხოლო სააპელაციო სასამართლოში მხარეთა აქტიურობა შეზღუდულია თვით სააპელაციო სამართალწარმოების შეზღუდვის გამო.

87. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 380-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შეიძლება მოყვანილი იქნეს ახალი ფაქტები და წარდგენილი იქნეს ახალი მტკიცებულებები. სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეს შეეძლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა.

88. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საპროცესო კოდექსით დადგენილი მოწესრიგება, რომელიც იმპერატიულად ადგენს ფორმალურ წესებს, სავალდებულოა არა მხოლოდ მხარეებისათვის, არამედ სასამართლოსათვისაც და ამ რეგულაციების შეცვლა ან განსხვავებული ინტერპრეტაცია მხარეთა ნებაზე ან სასამართლოს მიხედულებაზე ვერ იქნება დამოკიდებული.

89. საკასაციო პალატა განსახილველ საქმეზე დადგენილი გარემოებებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 23 ივლისის საოქმო განჩინება მიღებულია კანონდარღვევით, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მოპასუხეებს აღნიშნული მტკიცებულების გამოთხოვისა და განსახილველ საქმეზე დართვის შესახებ შუამდგომლობა არ დაუყენებიათ, მეორე მოპასუხემ ვერ დაასაბუთა საპატიო მიზეზი, თუ რატომ არ დააყენა აღნიშნული შუამდგომლობა პირველ ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დარღვეული იქნა სსსკ-ის 380-ე მუხლის დანაწესი, რადგან არ არსებობდა მეორე აპელანტის შუამდგომლობის დაკმაყოფილების სამართლებრივი წინაპირობები.

90. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ უნდა დაკმაყოფილდეს კასატორის მოთხოვნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 23 ივლისის საოქმო განჩინების – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან გამოთხოვილ იქნეს ინფორმაცია, თ. გ-ძე დასაქმებული იყო თუ არა სოციალური მომსახურების სააგენტოში 2020 წლის ოქტომბრიდან 2021 წლის 31 მარტის ჩათვლით და ასევე გამოთხოვილი იქნეს ინფორმაცია თ. გ-ძის სახელფასო ანაზღაურების შესახებ 2020 წლის იანვრიდან 2021 წლის 31 მარტის ჩათვლით – გაუქმების თაობაზე.

91. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, რაც მისი გაუქმების საფუძველია, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, ხოლო სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

92. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-4 და მე-6 პუნქტის ნაწილობრივი შეცვლით მიღებული უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის სრულად დაკმაყოფილების შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით, 404-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. თ. გ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 23 ივლისის საოქმო განჩინება მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ;
3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 და მე-6 პუნქტების ნა-

ნილობრივი შეცვლით მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

4. თ. გ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს;

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტში მითითებულ თანხას გამოაკლდეს, თ. გ-ძის მიერ მიღებული კომპენსაცია 2 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით. სსიპ სახელმწიფო ზრუნვის და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დაეკისროს თ. გ-ძისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2020 წლის 5 ოქტომბრიდან 2021 წლის 1-ელ აპრილამდე ყოველთვიურად 1200 ლარის (გადასახადების ჩათვლით) ოდენობით;

6. დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

7. საქმის წარმოების განახლება

ახლად აღმოჩენილი გარემოება

განჩინება საქართველოს სახალხო

№ა-828-17-ა-2022

18 ივლისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ბაქაძე-ურბი,
მ. ერემიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით შ. ლ-ნის (შემდეგში: მოსარჩელე) სარჩელი ნ. ყ-ის (შემდეგში: მოპასუხე, აპელანტი, კასატორი ან განმცხადებელი) მიმართ, თანხის დაკისრების თაობაზე, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 2 000 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 8 დეკემბრის განჩინებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

3. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა მოპასუხემ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 9 მარტის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარს ხარვეზი დაუდგინდა და კასატორს დაევალა ამ განჩინების ასლის ჩაბარებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოედგინა 175 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი.

5. საკასაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის შესახებ განჩინება კასატორს, მის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე, გაეგზავნა ორჯერ, თუმცა გზავნილი ადრესატს ვერ ჩაჰბარდა. საფოს-

ტო უკუგზავნილებზე კურიერმა აღნიშნა, რომ მისამართი არ იყო სრული და სოფლის მოსახლეობაში გაკითხვით ადრესატი არ მოიძებნა.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 8 ნოემბრის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

7. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში არსებული 2021 წლის 11 მაისის და 13 აგვისტოს უკუგზავნილებით დასტურდება, რომ ზემოხსენებული განჩინების ასლი კასატორს, საკასაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე (წყალტუბო, სოფელი ...) გაეგზავნა ორჯერ, თუმცა ვერ ჩაჰბარდა, კურიერის განცხადებით აღნიშნულ სოფელში ადრესატი არ ცხოვრობს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 71-ე მუხლის მეორე ქვეპუნქტის თანახმად, თუ მხარეს მის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ვერ ჩაჰბარდა სსსკ-ის 73-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება. საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ განჩინება საკასაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის შესახებ, ზემოაღნიშნული საპროცესო ნორმის საფუძველზე, ჩაბარებულად უნდა ჩათვლილიყო. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩენილიყო, ვინაიდან კასატორმა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ შეავსო.

8. უზენაეს სასამართლოს, 2022 წლის 25 თებერვალს, კასატორმა განცხადებით მომართა და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

9. განმცხადებლის განმარტებით, მას შემდეგ რაც მან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა, უზენაესი სასამართლოდან შეტყობინებას ელოდა. კასატორის განმარტებით, ის და თავისი წარმომადგენელი რამდენჯერმე დაუკავშირდნენ მოსამართლის თანაშემწეს, თუმცა სასამართლოდან პასუხობდნენ, რომ ბევრი საქმე იყო და განჩინებას უნდა დალოდებოდნენ. საბოლოოდ კასატორს უზენაესი სასამართლოდან საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების განჩინება ჩაჰბარდა, ხარვეზის გამოუსწორებლობის მოტივით.

10. განმცხადებლის განმარტებით, აშკარად ვილაცის განზრახ ან გაუფრთხილებლობით, დაუდევრობით შეილახა მისი კონსტიტუციური უფლება, ესარგებლა სამართლიანი სასამართლოს უფლებით. კასატორის ინტერესებში იყო ბაჟის გადახდა და საკასაციო საჩივრის განხილვა. კასატორის განმარტებით, მას საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინების ასლი ზუსტად იმ მისამართზე ჩაჰბარდა, სადაც დაბადებიდან ცხოვრობს და სხვა საცხოვრებელი არ აქვს.

მისთვის გაუგებარია, რატომ მიუთითა კურიერმა თითქოს ადრესატი სოფელში არ ცხოვრობდა.

11. მოპასუხის განცხადებას ერთვის ცნობა ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ, რომლის თანახმადაც განმცხადებელი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ... 1963 წლიდან დღემდე ცხოვრობს.

12. საქართველოს უზენაეს სასამართლოს, 2022 წლის 30 მარტს, განცხადებით მომართა კასატორმა და საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე აღსრულების შეჩერება მოითხოვა, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში მისთვის საქმის წარმოების განახლება აზრს დაკარგავდა. განცხადებას ერთვის პასუხი აღსრულების ეროვნული ბიუროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროდან, რომლის თანახმადაც მოპასუხის საქმე სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია, თუმცა აუქციონი ჯერ ჩანიშნული არ არის.

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 11 აპრილის განჩინებით მოპასუხის (აპელანტის) განცხადება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 8 ნოემბრის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე, მიჩნეულ იქნა დასაშვებად. მოწინააღმდეგე მხარეს (მოსარჩელეს) გაეგზავნა განცხადების ასლი და განესაზღვრა ვადა წერილობითი პასუხის წარმოსადგენად. მოსარჩელეს გზავნილი 2022 წლის 21 აპრილს პირადად ჩაჰბარდა, თუმცა მას სასამართლოსათვის წერილობითი პასუხი არ წარმოუდგენია.

14. საკასაციო სასამართლოს, 2022 წლის 6 მაისს, შუამდგომლობით მომართა მოპასუხემ და მოითხოვა, რომ სასამართლოს მიერ ტ-ე. ფოსტიდან გამოთხოვილ იქნეს 2021 წლის 11 მაისისა და 13 აგვისტოს გზავნილების ასლი, ასევე, ინფორმაცია კურიერის შესახებ, სახელი და გვარის მითითებით, ვინც ეს უკუგზავნილები შეადგინა. განმცხადებელმა, ასევე, სასამართლოს წინაშე ფოსტის იმ თანამშრომლის დაკითხვა მოითხოვა, ვინც ეს უკუგზავნილები შეადგინა. განმცხადებლის მითითებით, მან ფოსტას წერილობით მიმართა, ფოსტიდან კი პასუხი არ მიუღია. შუამდგომლობას ახლავს მოპასუხის განცხადება და პასუხი შპს „ს. ფ-დან“, რომლის თანახმადაც მოპასუხის განცხადება ტ-ი ფოსტას 2022 წლის 25 თებერვალს ჩაჰბარდა.

15. საკასაციო სასამართლოში, 2022 წლის 18 ივლისს, დისტანციურ რეჟიმში, გამართულ სასამართლო სხდომაზე განმცხადებლის წარმომადგენელმა უარი განაცხადა მის მიერ დაყენებულ შუამდგომლობებზე (იხ. ამ განჩინების მე-12 და მე-14 პუნქტები) და მიუთითა იმ გარემოებებზე, რომლებიც ამ განჩინების 9-11 პუნქტებშია ასახული. თავის მხრივ, განმცხადებლის მოწინააღმდეგე მხარემ – შ. ლ-ნმა დაუსაბუთებლად მიიჩნია ნ. ყ-ის მოთხოვნა, რადგან სამოქალაქო საპროცესო

კოდექსით დადგენილი წესით იმოქმედა საკასაციო სასამართლომ და არ არსებობს განცხადების დაკმაყოფილების საფუძველი

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და მოპასუხის განცხადების საფუძველების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ აღნიშნული განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

16. სსსკ-ის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (სსსკ-ის 422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (სსსკ-ის 423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

17. განსახილველ შემთხვევაში განმცხადებელი საქმის წარმოების განახლებას იმ საფუძველით ითხოვს, რომ მას საკასაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით არ ჩაჰბარებია, რადგან ფოსტის კურიერმა შეცდომით მიუთითა საფოსტო უკუგზავნილზე თითქოს ადრესატი მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობდა. შესაბამისად, მოპასუხის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოდ იქნა განუხილველად დატოვებული.

18. სსსკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება) შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი ნაწილის „ე“-„ვ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძველებით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს, წარმოედგინა კანონიერ ძალაში შესული და იმავე სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება, ან მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

19. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება დასაშვებია, თუ არსებობს შემდეგი წინაპირობები:

– მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლო-

ში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას;

- ამ გარემოებების და მტკიცებულებების შესახებ მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ;

- მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოდგინა კანონიერ ძალაში შესული და იმავე სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება, ან მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე (შდრ. სუსგ №გ-74-ა-5-2016, 17.06.2016 წ.).

20. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის №2/8/765 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სსსკ-ის 430-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების / საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე/ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვას იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება სსსკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით /კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისთვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას/ გათვალისწინებული საფუძვლით კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებთან მიმართებით, ასევე, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სსსკ-ის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის /თუ გამოირკვევა, რომ საქმის წარმოების განახლების მოთხოვნა საფუძვლიანია, მაშინ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას სასამართლო გააუქმებს თავისი განჩინებით, რაც შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით/ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების სსსკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით /კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისთვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას/ გათვალისწინებული საფუძვლით გაუქმების შესაძლებლობას საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით (ამ განჩინების მიღების დროს საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციით მხედველობაშია 31-ე

მუხლის პირველი პუნქტი – ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია).

21. საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილებით ხაზგასმულია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შეუქცევადობის მნიშვნელობა და განმარტებულია, რომ დაუსრულებელი დავის შესაძლებლობა დააფრთხობს პირებს, გაართულებს სამართლებრივი უსაფრთხოების დამყარებას – უფლების მუდმივი საეჭვოობის დაშვება მოსპობს თავად უფლების სიცოცხლისუნარიანობას, რადგან ის ვერ იქნება გამოყენებული მომავალი ურთიერთობების დასამყარებლად, უფლებების შესაძენად (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-27).

22. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 27 მაისის განჩინებაში, საქმე „ჭიჭინაძე საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადი №18156/05), მითითებულია, რომ კანონის უზენაესობის ერთერთი ფუნდამენტური ასპექტი არის სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი, რომლის თანახმადაც სასამართლო თუ გადაწყვეტის საკითხს, მისი განჩინება არ უნდა დადგეს ეჭვქვეშ (ბრუმანესკუ რუმინეთის წინააღმდეგ, 28342/95). ეს პრინციპი ნიშნავს, რომ არც ერთ მხარეს არ უნდა ჰქონდეს საბოლოო და ძალაში შესული გადაწყვეტილების გადახედვის მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმიტომ, რომ მიაღწიოს საქმის ხელახლა მოსმენასა და ახალ გადაწყვეტილებას. უმაღლესი ინსტანციის სასამართლოების მიერ საქმის გადახედვა არ უნდა იქცეს შენიღბულ აპელაციად და საკითხზე ორი შეხედულების არსებობა არ წარმოადგენს საქმის გადასინჯვის საფუძველს. ამ პრინციპიდან გადახვევა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის აუცილებლობა გამომწვეულია არსებითი და გარდაუვალი ხასიათის გარემოებების წარმოშობით. გარდა ამისა, საკუთრების ინტერესის არსებობა, რომელიც დადასტურებულია სავალდებულო და საბოლოო განჩინებით, წარმოადგენს განჩინების ბენეფიციარის „საკუთრებას“ №1 დამატებითი ოქმის პირველი მუხლით დადგენილი მნიშვნელობით. ასეთი გადაწყვეტილების ბათილად ცნობა უტოლდება საკუთრებით სარგებლობაში ჩარევას (იხ. სხვათა შორის, ბურდოვი რუსეთის წინააღმდეგ, №59498/00).

23. საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით სსსკ-ის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის გამოყენებით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება უქმდება იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ მტკიცებულებების დროულად წარდგენის შემთხვევაში მხა-

რისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული. მხარის-თვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა გულისხმობს არა მხოლოდ იმ შემთხვევებს, როდესაც დგინდება, რომ ახლად აღმოჩენილი გარემოება/მტკიცებულება იმდენად ძირეულ გავლენას ახდენს გადაწყვეტილებაზე, რომ მისი არსებობის შემთხვევაში მიღებული იქნებოდა სრულიად საპირისპირო გადაწყვეტილება, არამედ ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ახლად აღმოჩენილი გარემოებას/მტკიცებულებას შეუძლია, განცხადების ავტორის სასიკეთო ცვლილება მოახდინოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე, ნაწილობრივ შეცვალოს მის მიმართ დამდგარი ნეგატიური სამართლებრივი შედეგები.

24. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგია ის, რომ იგი სავალდებულოა, მას აქვს მაღალი ლეგიტიმაცია და სანდოობა, თუმცა, მიუხედავად ამისა, საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესაძლებლობას, მათ შორისაა სსსკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დასახელებული ნორმის კონსტიტუციურობა არ დამდგარა ეჭვქვეშ, არამედ საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო სსსკ-ის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რაც ამავე კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებისა თუ მტკიცებულების არსებობისა და მისი საფუძვლიანობის შემთხვევაში „აპრიორი“ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებას იწვევდა, მიუხედავად იმისა შეიცვლებოდა თუ არა გადაწყვეტილებით დამდგარი სამართლებრივი შედეგი. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, სსსკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით დადგენილი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება უნდა დაეფუძნოს სასამართლოს მიერ გამოკვლეულ იმ გარემოებებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დასრულებულ დავას თუნდაც ნაწილობრივ, მაგრამ სხვაგვარად მოაწესრიგებს. საკონსტიტუციო სასამართლო ამ გადაწყვეტილებით მიზნად ისახავს, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებით არ დაზიანდეს და საფრთხე არ შეექმნას სასამართლო გადაწყვეტილების მიმართ საზოგადოებაში არსებულ მაღალ ნდობას.

25. საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თუ მოსამართლე მივა დასკვნამდე, რომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილების შედეგების გაუქმებით

შელახული ინტერესები აღემატება განმცხადებლის დაცულ ინტერესს, მაშინ მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, არ გააუქმოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლოს შეფასებით წინამდებარე განჩინების მე-15 პუნქტში მოხმობილი არგუმენტი არის საკვანძო საკითხი, რის გამოც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სსსკ-ის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების სსსკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით გაუქმების შესაძლებლობას საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით (ამ განჩინების მიღების დროს საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციით მხედველობაშია 31-ე მუხლის პირველი პუნქტი – ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია).

26. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილების საფუძველზე, სსსკ-ის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენებისას, მნიშვნელოვანია, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების არსებითად განხილვის დროს სასამართლო განცხადების განხილვის დროს ხელმძღვანელობდეს იმ ამოსავალი დებულებით, რომ შეაფასოს, თუ რამდენად მოახდენს გავლენას საქმის წარმოების განახლების საფუძველად მიჩნეული გარემოება თუ მტკიცებულება განსაახლებელი საქმის სამართლებრივ შედეგზე. თუკი სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ სამართლებრივი სურათი საქმეზე, რომელზედაც მოთხოვნილია წარმოების განახლება, არ შეიცვლება, მან უარი უნდა უთხრას განმცხადებელს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და მარტოოდენ ფორმალურად არ უნდა გააუქმოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. საქმის წარმოების განახლებას არ უნდა ჰქონდეს ფორმალური ხასიათი, იგი შედეგზე უნდა იყოს ორიენტირებული და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება სასამართლომ უნდა განიხილოს იმგვარად, რომ არსებითად გადაწყვიტოს საქმის წარმოების განახლება შეცვლის თუ არა უკვე მიღებული გადაწყვეტილების იურიდიულ შედეგს.

27. განსახილველ შემთხვევაში განმცხადებლის პრეტენზია წარმოშობს იმის საფუძველს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 8 ნოემბრის განჩინება, მოპასუხის საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, გაუქმდეს და საქმის წარმოება საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების ეტაპიდან განახლდეს. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ცნობით

დასტურდება, რომ იგი საქმეში მითითებულ მისამართზე ცხოვრობს, საფოსტო უკუგზავნილზე კი შეცდომით იქნა მითითებული, თითქოს კასატორი აღნიშნულ მისამართზე არ ცხოვრობდა. ამასთან საქმის მასალების მიხედვით დასტურდება, რომ საქმისწარმოების ყველა ეტაპზე მოპასუხეს სასამართლოს გზავნილები ჩაბარებული აქვს ერთადერთ მისამართზე: წყალტუბო, სოფ.

28. საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სახეზეა ახლად აღმოჩენილი გარემოება, რაც სადავო განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველია. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველი შემთხვევა არის სწორედ ისეთი შემთხვევა, რაც განმცხადებლისათვის საპროცესო სამართლებრივად ხელსაყრელი გადაწყვეტილების (განჩინების) გამოტანას განაპირობებს, მისი საკასაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული, საკასაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის მოტივით, საკასაციო სასამართლოს წარმოებაშიც კი არ მიუღია განმცხადებლის საკასაციო პრეტენზია, შესაბამისად, არ შეუფასებია საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობა, რაც გასაჩივრების ფუნდამენტურ უფლებას უკავშირდება სასამართლო გზით უფლების დაცვის დროს. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო საკასაციო საჩივრის ავტორს ხარვეზის გამოსასწორებლად ვადა ხელახლა უნდა განესაზღვროს, რაც ცალსახად მნიშვნელოვანია კასატორისათვის, რომელსაც კანონით დადგენილი წესით არ ჩაჰბარებია საკასაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით, 257-ე მუხლის პირველი ნაწილით, 421-ე, 423-ე, 430-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ყ-ის განცხადება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 8 ნოემბრის განჩინების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე, დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 8 ნოემბრის განჩინება გაუქმდეს და საქმის წარმოება განახლდეს ნ. ყ-ის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემთხვევების ეტაპიდან;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge